ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

მწვანე კავკასია
Green Caucasus

ივნისი, 2019

2016 წლის სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის ანგარიში

მკვლევარები:
დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი

პუბლიკაცია შექმნილია პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ფარგლებში, ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „მწვანე კავკასია“ და შესაძლოა იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

შინაარსი

1. შესავალი ... 5
1.1. ანგარიშის მიზანი და დაფარვის არეალი ... 5
1.2. მეთოდოლოგია ... 6
2. ძირითადი მიგნებები ... 9
2.1. საერთო მონაცემები ... 9
2.2. მიგნებები სფეროების მიხედვით ... 12
2.3. სიტუაცია ინსტიტუციების მიხედვით ... 13
2.4. ზოგადი მიგნებები ... 16
3. სახელმწიფო გრანტების შესახებ ზოგადი მონაცემები ... 17
3.1. გრანტის გაცემის ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა ... 17
3.2. სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუციები ... 18
3.3. გაცემული გრანტების შესახებ ჯამური ინფორმაცია ... 20
3.4. ინფორმაცია ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ გაცემული გრანტების შესახებ ... 20
4. გრანტის გაცემის ეტაპების მონიტორინგი ცელკეული საჯარო ინსტიტუციების მიხედვით ... 22
I. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ... 22
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 22
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 23
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 26
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 26
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 29
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 30
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 32
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 33
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 34
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 34
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 35
II. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ... 37
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 37
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 38
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 39
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 39
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 41
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 42
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 44
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 45
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 45
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 45
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 47
III. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო / სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო ... 48
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 48
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 49
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 50
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 50
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 53
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 54
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 56
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 58
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 58
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 58
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 60
IV. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ... 62
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 62
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 63
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 63
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 63
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 64

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 65
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 66
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 67
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 67
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 67
V. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი ... 70
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 70
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 71
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 72
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 72
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 76
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 77
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 79
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 79
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 80
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 80
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 84
VI. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ... 86
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 86
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 87
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 88
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 88
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 89
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 90
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 91
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 91
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 91
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 91
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 92
VII. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ... 93
4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა ... 93
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა ... 97
4.3. გრანტების გაცემის პროცესი ... 98
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ... 98
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 98
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება ... 99
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 102
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 104
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი ... 104
4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება ... 104
4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება ... 105
VIII. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ... 106
4.1. გასაცემი დაფინანსების დაგეგმვა - პროგრამების შექმნა ... 106
4.2. დაფინანსების გაცემის დაგეგმვა ... 107
4.3. დაფინანსების გაცემის პროცესი ... 107
4.3.1. კონკურსის გამოცხადება ... 107
4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება ... 108
4.3.3. საკონკურსო შეთავაზების შეფასება ... 109
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ... 109
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები ... 109
4.4. პროექტების განხორციელების მონიტორინგი ... 109
4.4.1 დაფინანსებული პროექტების განხორციელების შეფასება ... 109
5. დასკვნები / რეკომენდაციები ... 111
დანართი #1 ძირითადი სამართლებრივი აქტების სია ... 113
დანართი #2 სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ 2016 წელს გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია, ინსტიტუციებისა და ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით ... 114

1. შესავალი

1.1. ანგარიშის მიზანი და დაფარვის არეალი

ანგარიშში წარმოდგენილია სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ 2016 წელს გაცემული გრანტების მონიტორინგის შედეგები. კვლევა აღწერს საგრანტო პროგრამების მომზადებისა და გამოცხადების, საგრანტო განაცხადების შერჩევის, გრანტების გაცემის და შეფასების პროცესს 2016 წელს მოქმედი ნორმატიული ბაზის შესაბამისად.

ანგარიში მოიცავს არა ზოგადად სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაცემული სუბსიდიების, არამედ უშუალოდ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე (სსო-ებზე) გაცემული საგრანტო დაფინანსების ანალიზს. ამავე დროს შესწავლილია უშუალოდ საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული პროგრამები და არა დაფინანსების სხვა წყაროებით (მაგ. საერთაშორისო ორგანიზაციები) დაფინანსებული საქმიანობა.

ანგარიში მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ მომზადებული "სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელოს"[1] რეკომენდაციების მიხედვით. სამუშაო ვერსია განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეებთან (გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციები, გრანტის მიმღებები), რის შემდეგად ჩამოყალიბდა ანგარიშის საბოლოო ვერსია.

ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

- ძირითადი მიგნებები (ნაწილი 2);
- ზოგადი სახის ინფორმაცია (ნაწილი 3), მათ შორის:
    - სახელმწიფო გრანტების გაცემის სამართლებრივი ბაზის მოკლე აღწერა;
    - სახელმწიფო გრანტების გამცემი საჯარო ინსტიტუტების რაოდენობა და სია;
    - გაცემული გრანტების რაოდენობა (მ.შ. ცალკეული საჯარო ინსტიტუტების მიხედვით);
    - გაცემული გრანტის ოდენობა/მოცულობა და სია (მ.შ. ცალკეული საჯარო ინსტიტუტების მიხედვით);
    - გრანტის მიმღები სუბიექტების რაოდენობა და სია (მ.შ. ცალკეული საჯარო ინსტიტუტების მიხედვით);
- ცალკეული ინსტიტუციების მიერ გაცემული პროექტების განხორციელების პროცესის ანალიზი (ნაწილი 4).

მონიტორინგმა მოიცვა შემდეგი სახელმწიფო ინსტიტუციები, რომლებმაც 2016 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გასცეს გრანტები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
- სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში მოექცა სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებისთვის დაფინანსებული პროექტები, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების რეგულაციები, აგრეთვე, დამატებით მოძიებულ იქნა ინფორმაცია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ სპორტულ ორგანიზაციებზე გრანტების ფორმით გაცემული სუბსიდიების შესახებ.

[1] თ.ტურაშვილი, გ.ლომთაძე, თ.შერგელაშვილი, ლ.ფანიაშვილი, ე.დანელია, ი. გაბუნია. სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელო. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. თბილისი, 2017

ზემოაღნიშნული ორი სახელმწიფო ინსტიტუცია 2016 წელს არ გასცემდა გრანტებს, ამ ტერმინის კლასიკური მნიშვნელობით და შესაბამისი იურიდიული რეგულაციებით. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდს ეს უფლება 2018 წლიდან მიეცა, ხოლო პრეზიდენტის ფონდს ასეთი ფორმა არსებობის მანძილზე არ გამოუყენებია.

მიუხედავად ამისა, ამ ორი სახელმწიფო სტრუქტურის მიერ განხორციელებული სუბსიდირება თავისი არსით სრულიად შეესატყვისებოდა საგრანტო პროგრამების განხორციელების პრინციპებს და პროცედურებს. შესაბამისად მათი მოხვედრა ანგარიშში ამ გარემოებამ განაპირობა.

2018 წლიდან, ოპტიმიზაციის მიზნით, მოხდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შერწყმა, აგრეთვე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაერთიანდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, შესაბამისად, მონიტორინგის მიზნებისათვის საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილი და მიღებული იყო შემდეგი დაწესებულებებიდან:

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია
- სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
- სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

დანარჩენი ინსტიტუციების მიერ 2016 წელს გაცემული საგრანტო დაფინანსების გაცემის შესახებ ინფორმაცია მოძიებულ იქნა ოფიციალური ღია წყაროებიდან და ინტერვიუირების შედეგად.

1.2. მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა სახელმწიფო გრანტების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით. კვლევის დაგეგმვისათვის გამოყენებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) პუბლიკაცია "საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები".[2] მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული იყო:

- ინფორმაციის მოპოვება საჯარო ინსტიტუციების მიერ 2016 წელს დაფინანსებული პროექტების, დაფინანსებული ორგანიზაციებისა და გაცემული დაფინანსების რაოდენობის შესახებ;
- შემთხვევითი შერჩევით შერჩეული კონკრეტული გრანტების (პროექტების) განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
- გრანტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ჩატარების 2016 წლის პრაქტიკის შესწავლა.

მონიტორინგის პირველ ეტაპზე ჩატარდა 2016 წელს საჯარო ინსტიტუციების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საგრანტო დაფინანსების გაცემის, საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ნორმატიული რეგულირების კვლევა, რომელიც მოიცავდა:

- გრანტების გაცემის დაგეგმვის ეტაპზე არსებული რეგულაციების და პრაქტიკის შესწავლას: როგორ ხდებოდა გრანტის გამცემთა მიერ საგრანტო პროგრამების დაგეგმვა და რა სამართლებრივი აქტები განსაზღვრავდა ამ პროცესს;

[2] ვ. სალამაძე, ლ.ფანიაშვილი, გ.ავაზაშვილი, ნ.აფხაზავა. საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების მექანიზმები. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. თბილისი, 2017

- გრანტების გაცემის ეტაპზე არსებული რეგულაციების შესწავლას: რეგულირდებოდა თუ არა გრანტის გაცემის ეტაპები სამართლებრივი აქტებით და როგორ განისაზღვრებოდა გრანტის სავარაუდო თემატიკა;
- გაცემული გრანტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების რეგულაციების შესწავლას: რეგულირდებოდა თუ არა გრანტების განხორციელების მონიტორინგი და შეფასება სამართლებრივი აქტებით.

საქმიანობა განხორციელდა პროაქტიულად გამოქვეყნებული და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე სამაგიდო კვლევის, ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფის საშუალებით.

დასამონიტორინგებელი გრანტების მიმღები ორგანიზაციების შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმებით:

1. დასამონიტორინგებელი სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გრანტებზე გაცემული თანხების პროპორცია,
2. დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობის პროპორცია,
3. დიდი, საშუალო და მცირე გრანტების პროპორცია,
4. ცენტრალური და რეგიონული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების თანაბარი თანაფარდობა,
5. დასამონიტორინგებლად შერჩეულ ერთობლიობაში ორგანიზაციების გათვალისწინება, რომლებსაც რამდენიმე ინსტიტუციიდან ჰქონდათ მიღებული გრანტი ან ერთიდან - რამდენიმე პროექტი.

ცხრილი 1. შერჩეულ ერთობლიობაში სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გრანტებზე გაცემული თანხების და დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობის პროპორცია

გრანტის გამცემი ინსტიტუცია	გაცემული თანხა სულ		შერჩევა		გაცემული გრანტების რაოდენობა		შერჩევა	
იუსტიციის სამინისტრო *	338,137.00 ₾	6%	106,223.00 ₾	7%	12	9%	3	8%
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო **	849,981.00 ₾	16%	265,494.00 ₾	17%	10	7%	2	6%
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	2,082,506.82 ₾	38%	625,846.42 ₾	40%	50	36%	14	39%
სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	1,049,967.78 ₾	19%	277,827.00 ₾	18%	51	37%	13	36%
სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	14,000.00 ₾	0.26%	5,000.00 ₾	0.32%	3	2%	1	3%
სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	1,130,405.00 ₾	21%	287,702.00 ₾	18%	13	9%	3	8%
სულ გაცემული თანხა	**5,464,997.60 ₾**		**1,568,092.42 ₾**	**29%**				
სულ გაცემული გრანტები					**139**		**36**	**26%**

* სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ გრანტებთან ერთად

ცხრილი 2. შერჩეულ ერთობლიობაში სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გრანტების სიდიდის პროპორცია, პროექტების დაფინანსების მოცულობისა და რაოდენობის მიხედვით

გრანტის ზომა	გაცემული თანხა სულ		შერჩევა		გაცემული გრანტების რაოდენობა		შერჩევა	
დიდი (>100000 ლარზე)	2,037,954.95 ₾	37%	659,100.00 ₾	42%	15	11%	4	11%
საშუალო (30000-100000 ლ)	1,169,362.00 ₾	21%	352,819.00 ₾	22%	22	16%	7	19%
პატარა (ნაკლები 30000 ლარზე)	2,257,680.15 ₾	41%	556,173.42 ₾	35%	102	73%	25	69%

სულ	5,464,997.10 ₾	100%	1,568,092.42 ₾		139	100%	36	100%

ცხრილი 3. შერჩეულ ერთობლიობაში ცენტრალური და რეგიონული ორგანიზაციებისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების თანაფარდობა

ადგილმდებარეობა	ორგანიზაციები	პროექტები
თბილისი	15	19
ოზურგეთი	4	4
ლანჩხუთი	1	1
რუსთავი	1	1
ბოლნისი	1	1
წნორი	1	1
ქუთაისი	2	3
წყალტუბო	2	2
ზუგდიდი	1	2
ამბროლაური	2	2
სულ	**30**	**36**
მ.შ. რეგიონებში	**15 (50%)**	**17 (47%)**

ინფორმაცია სახელმწიფო ინსტიტუციებიდან 2016 წელს მიღებული გრანტებით განხორციელებული პროექტების შესახებ მოძიებულ იქნა როგორც ღია წყაროებიდან და საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნს გზით, ისე ბენეფიციარებს შორის ჩატერებული კვლების შედეგად. ჩატარდა 2 ფოკუს-ჯგუფი და ინტერვიუები გრანტის მიმღებ 30 საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, სადაც მოხდა როგორც გრანტების გაცემის პროცესისა და მისი გამჭვირვალობის, ასევე, გრანტის გამცემთა მიერ პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების შესახებ მოსაზრებების შესწავლა. გარდა ამისა, ჩატარდა ინტერვიუ 3 სახელმწიფო ინსტიტუციის წარმომადგენლებთან, მათ შესახებ ანგარიშში მოცემული ცალკეული საკითხების დაზუსტების მიზნით.

საჯარო ინფორმაციის გამოთხონის პროცესი და შედეგები შესაბამისი ინსტიტუციების აღწერის ნაწილშია მოცემული.

2. ძირითადი მიგნებები

2.1. საერთო მონაცემები

2016 წელს სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ განხორციელებული საგრანტო პროგრამების შეფასება "სახელმწიფო გრანტების მონიტორინგის სახელმძღვანელოს" მეთოდოლოგიაში მოცემული კითხვარის მიხედვით განხორციელდა. შესაბამისი კითხვების დეტალები ანგარიშის IV ნაწილშია განხილული. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შედარებისათვის მოცემულია ყველა ამ საკითხის ზოგადი შედეგი იმ ინსტიტუციების მიხედვით, რომლებიც მოექცა მონიტორინგის პროცესის ფოკუსში.

	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი
	1	2	3	4	5	6	7	8
4.1. საგრანტო პროგრამების შექმნა								
4.1.1. პროგრამის შექმნის ვალდებულებას ითვალისწინებს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.1.2. საგრანტო პროგრამა არსებობს და იგი დამტკიცებულია (ცალკე პროგრამის ან სხვა) ფორმით	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.1.3. პროგრამა შეესაბამება ინსტიტუციის მიზნებს ან/და მისთვის გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.1.4. საგრანტო პროგრამის შექმნისას (შემუშავება და დამტკიცება) დაცულია გრანტის გაცემის მარეგულირებელი აქტით გათვალისწინებული წესები	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.1.5. საგრანტო პროგრამა დაფუძნებულია ინსტიტუციის კომპეტენციის სფეროში მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის საჭიროებებსა და კვლევაზე	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.1.6. საგრანტო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა დაინტერესებული პირები	არა	არა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა								
4.2.1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს პროგრამის ადმინისტრირებისთვის სპეციალურო ორგანოს (საბჭო/კომისია) შექმნას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ
4.2.2. შექმნილია საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის ორგანო (საბჭო/კომისია)?	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	არა	არა
4.2.3. საბჭო/კომისია შეიქმნა გრანტების გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით დადგენილი წესების შესაბამისად	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	არა	არა
4.2.4. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნების (დოკუმენტების, პროცედურების) შემუშავებას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ

4.2.5. განსაზღვრულია საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და მისი განხილვის პროცედურები	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.2.6. წინასწარ იყო შექმნილი საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.2.7. წინასწარ იყო განსაზვრული კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი (გამოსაქვეყნებული ინფორმაცის სია და ფორმა)	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.2.8. წინასწარ იყო განსაზვრული საგრანტო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხები	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3. გრანტების გაცემის პროცესი								
4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება								
4.3.1.1. გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს გრანტის გამოცხადების პროცედურებსა და ფორმებს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა
4.3.1.2. აქტი ითვალისწინებს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების ფორმას (ვებგვერდი, ერთიანი ელექტრონული სისტემა, სოც. ქსელი, ,,,)	არა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.1.3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ გავრცელდა (ვებგვერდი, შესყიდვების ელ.სისტემა, სოც.ქსელები, მედია (ტრადიციული და ონლაინ), განცხადება ...)	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.1.4. დოკუმენტაცია ამომწურავი იყო (ფორმა, მოთხოვნები, კრიტერიუმები, გადაწყვეტილებების მიღების და გასაჩივრების პროცედურები)	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.1.5. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს განაცხადების წარდგენის მინიმალურ ვადებს	დიახ	არა	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა
4.3.1.6. წინასწარ დადგინდა განაცხადის/დოკუმენტების წარდგენის ვადა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა
4.3.1.7. გრანტის გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს წარდგენის საშუალებებს (ელ-ფოსტა, ელ.სისტემა ...)	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.1.8. კონსულტაციის გზები დაინტერესებულ პირებისათვის დამატებითი კითხვების შემთხვევაში (ელ-ფოსტა, საკონსულტაციო საათები ...)	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა
4.3.2. შემფასებელი ორგანოს ფორმირება								
4.3.2.1. სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) ფორმირებას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.2.2. კომისიის/საბჭოს ფორმირებისას დაცულია სამართლებრივი აქტით/გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები	არ ჩანს	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.2.3. შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) შემადგენლობა წარმომადგენლობითი ან კონკურსის თემატიკასთან შესაბამისი იყო	არ ჩანს	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.2.4. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულია ინტერესთა კონფლიქტის საკითხი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.2.5. ინტერესთა კონფლიქტის ცნება გათვალისწინებულია გრანტის გამცემის ნორმატიულ აქტში	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.2.6. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს შემფასებელი ორგანოს (კომისია/საბჭო) მუშაობის საკითხს/პრინციპებს/წესებს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება								
4.3.3.1. მარეგულირებელი აქტი ან გრანტის განაცხადი ითვალისწინებს შეფასების კრიტერიუმებს ან მათი განსაზღვრის წესებს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.3.2. განაცხადების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყო დადგენილი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა

4.3.3.3. წარდგენილი, განხილული და განუხილავი საკონკურსო განაცხადი	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არ ჩანს
4.3.3.4. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესებს	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა	არ ჩანს
4.3.3.5. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცედურებს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.3.6. შეფასებისას დაცული იყო მარეგულირებელი აქტით გათვალისწინებული ყველა პროცედურა	არ ჩანს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.3.7. გათვალისწინებული იყო შეფასების ქულათა სისტემა	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება								
4.3.4.1. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს გადაწყვეტილების მიღების წესებს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.3.4.2. გამარჯვებული შეირჩა დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით	არ ჩანს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არ ჩანს
4.3.4.3. იკვეთება თუ არა ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევები შემფასებელი ორგანოს წევრებსა და კონკურსანტ(ებ)ს შორის?	არ ჩანს	არ ჩანს	დიახ	არა	არა	არ ჩანს	არა	არ ჩანს
4.3.4.4. მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა
4.3.4.5. ინფორმაცია გამარჯვებულის შესახებ გავრცელდა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.4.6. გამარჯვებული პროექტის შესახებ ძირითადი დეტალები ხელმისაწვდომი იყო	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები								
4.3.5.1. გრანტის გაცემის მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს	დიახ	არა	დიახ	არა	არა	არა	არა	არა
4.3.5.2. თუ ითვალისწინებს, გასაჩივრდა თუ არა კონკურსი, განიხილეს თუ არა საჩივარი	არ ჩანს	არა	არა	არა	დიახ	დიახ	არა	არა
4.3.5.3. გაცემის მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
4.3.5.4. გასაჩივრების შედეგები გამოქვეყნდა	არა	არა	არა	არა	დიახ	არა	არა	არა
4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი								
4. 4.1. გრანტების განხორციელების შეფასება								
4.4.1.1. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს მონიტორინგის ვალდებულებას და მექანიზმებს	დიახ	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ
4.4.1.2. გრანტის გამცემი ახორციელებს გაცემული გრანტების მონიტორინგს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.4.1.3. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადების ვალდებულებას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.4.1.4. საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულია მონიტორინგის ვალდებულება, მექანიზმები და შედეგების შეფასების სისტემა	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არ ჩანს
4.4.1.5. საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებს ანგარიშგების მექანიზმებს (შუალედური და საბოლოო პროგრამული, ფინანსური ანგარიში, აუდიტი)	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არ ჩანს
4.4.1.6. მარეგულირებელი აქტი/ხელშეკრულება ითვალისწინებს გრანტის პირობების დარღვევის, პასუხისმგებლობის საკითხს	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.4.1.7. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს მონიტორინგის გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ
4.4.1.8. გრანტის გამცემს შემუშავებული/დამტკიცებული აქვს მონიტორინგის გეგმა და მეთოდოლოგია	არა	არა	დიახ	არა	დიახ	დიახ	არა	არა
4.4.1.9. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს გრანტის განხორციელების შესახებ	არა	არა	არა	არა	არა	დიახ	არა	არა

ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს								
4.4.1.10. ინფორმაცია პროექტის განხორციელების (მ.შ. ცვლილებების) შესახებ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის	დიახ	არა	დიახ	არა	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.4.1.11. შევიდა თუ არა ცვლილებები საგრანტო ხელშეკრულებაში	არ ჩანს	არა	დიახ	არა	დიახ	არ ჩანს	არა	არა
4.4.2. პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება								
4.4.2.1. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მის მექანიზმებს	არა	არა	არა	არა	დიახ	არა	არა	არა
4.4.2.2. საგრანტო პროგრამა ითვალისწინებს შეფასების ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს	არა	არა	დიახ	არა	დიახ	არა	არა	არა
4.4.2.3. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს გრანტების ეფექტიანობის შეფასებას და მის მექანიზმებს	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
4.4.2.4. ხელშეკრულებით განსაზღვრულია გრანტის ეფექტიანობის შეფასება და შესაბამისი შეფასების მექანიზმები (და სიხშირე)	არ ჩანს	დიახ	დიახ	დიახ	არა	არ ჩანს	დიახ	არა
4.4.2.5 გრანტის გამცემი აფასებს, რამდენად მიღწეული იქნა გრანტის წინასწარ განსაზღვრული მიზნები	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.4.2.6. გრანტის გამცემი აფასებს გრანტის შედეგების შესაბამისობას საგრანტო პროგრამის გაცხადებულ მიზნებთან	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	დიახ	არა
4.4.2.7. გრანტის გამცემი აფასებს გრანტის ბენეფიციართა კმაყოფილებას	არა	დიახ	დიახ	არა	არა	არა	არა	არა
4.4.2.8. მარეგულირებელი აქტი ითვალისწინებს შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას, განხორციელებას	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა	არა
4.4.2.9. გრანტის გამცემი ითვალისწინებს გრანტის ეფექტიანობის შეფასების შედეგებს ახალ საგრანტო პროგრამაში	დიახ	დიახ	დიახ	არა	დიახ	არ ჩანს	არა	არა
4.4.2.10. გრანტების შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა	დიახ	დიახ	არა
4.4.2.11. საგრანტო პროგრამის შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის	დიახ	დიახ	დიახ	არა	არა	დიახ	დიახ	არა

შენიშვნა:
შეფასება "არა" ნიშნავს:

- ან დასმულ კითხვაზე უარყოფით პასუხს, რაც არ ნიშნავს, რომ შეფასება ნეგატიურია;
- ან იმას, რომ უშუალოდ სახელმწიფო ინსტიტუციის ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში არ არის მოცემული პასუხი და იგი რეგულირდება საქართველოს მთავრობის გრანტის გაცემის წესით.

შეფასება "არ ჩანს" აღნიშნავს, რომ:

- ან შესაბამისმა ინსტიტუციამ არ გასცა ინფორმაცია ან მოწოდებულ ინფორმაციაში არ ჩანს პასუხი კითხვაზე;
- ან აღნიშნული პასუხი ვერ იქნა მიღებული ვერც ალტერნატიული წყაროებიდან..[3]

2.2. მიგნებები სფეროების მიხედვით

დადებითი მხარე:

- მარეგულირებელი აქტებით ყველგანაა გათვალისწინებული პროგრამების შექმნის ვალდებულება (გარდა პრეზიდენტის ფონდისა, რომელიც დაფინანსებებს გასცემდა და არა გრანტებს და შესაბამისად საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულება არ გააჩნდა)
- საგრანტო პროგრამები შეესაბამება გრანტის გამცემი ინტიტუტების მიზნებს და შესაბამისი ასიგნებების მიზნობრიობას.

[3] ცალკეულ პროგრამებთან დაკავშირებული კონკრეტული შემთხვევები შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუვიებთან დაკავშირებულ ქვეთავებშია მოცემული.

- სახელმწიფო ინსტიტუციების უმრავლესობა იყენებდა შეფასებისა და ადმინიტრირებისათვის სპეციალური ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმატს, ასეთი სტრუქტურის შექმნის წესი განსაზღვრული იყო დაფინანსების გაცემის მარეგულირებელი ნორმატიული აქტითაც და პრაქტიკაშიც ხორციელდებოდა.
- მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო პირობების და კონკურსების გამოცხადების და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების წესი ყველა სახელმწიფო ინსტიტიტუციის პროგრამების მარეგულირებელ აქტებით არ იყო გაწერილი, პრქატიკაში მათი უმეტესობა იყენებდა შესაბამის, მრავალფეროვან საშუალებებს.
- ინტერესთა კონფლიქტების გარემოება თითქმის არ ფიქსირდება, ხოლო იქ სადაც იგი ჩნდება, მოქმედებს შესაბამისი პროცედურები და სამართალდარღვევის ან გადაცდომის შემთხვევები არ ვლინდება - ამ შემთხვევაში საბჭოს/კომისიის წევრი აცხადებს ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ და ასეთი საპროექტო განაცხადის განხილვაში მონაწილეობას არ იღებს .

უარყოფითი მხარე:

- პროგრამების შემუშავების პროცესი არ ეფუძნება არსებული პრობლემების სიღრმისეულ შეფასებას და საჭიროებათა ანალიზს (მსგავსი პრაქტიკა საერთოდ არ ფიქსირდება).
- პროგრამების შემუშავების პროცესში არ ჩანს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა და ბენეფიციართა კმაყოფილების შესწავლის შედეგების გათვალისწინება ძალზე იშვიათია.
- გასაჩივრების უფლება და შესაბამისი პროცედურები რიგ ინსტიტუციებს არ აქვთ დადგენილი.
- პრობლემურია გასაჩივრების შემთხვევების, მათი მიმდინარეობისა და შედეგების საჯაროობის საკითხი - გასაჩივრებული საქმეების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ინსტიტუციებს ნორმატიული აქტებით არ გააჩნიათ და პრაქტიკაშიც არ ახორციელებენ.
- ზოგადია ან საერთოდ არ არსებობს საქმიანობის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასებების პროცედურები. ამავე დროს ამას საჯარო დაწესებულებებს არც მარეგულირებელი აქტები არ ავალდებულებს.

2.3. სიტუაცია ინსტიტუციების მიხედვით

სახელმწიფო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების, საჯარო მოხელეებთან და ბენეფიციარებთან ინტერვიურებისა და ფოკუს-ჯგუფების შედეგების ანალიზის უერთიერთშეჯერების საფუძველზე შესაძლებელი ხდება გაკეთდეს რამდენიმე დასკვნა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

საგრანტო ხელშეკრულების შეწყვეტისა ან/და გასაჩივრების შემთხვევები არ ფიქსირდება. სამინისტროს შემუშავებული აქვს გრანტის მიმღებთან ერთად წინასწარი კონსულტირების მექანიზმი და თავიდანვე ახდენს შესაძლო ხარვეზების გამოვლენას, შესაძლო პრობლემების წარმოშობის პრევენციას.

ამ პროცესს დადებითად ახასიათებენ გრანტების მიმღებებიც.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

პროგრამის მართვის მექანიზმი კარგად იყო შემუშავებული, ამ მხრივ სამინისტრო ერთერთი საუკეთესო სახელმწიფო ინსტიტუციად იქნა მიჩნეული.

ამავე დროს გრანტის მიმღებებს შორის გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია დაბალმა სახელფასო ჭერმა (მაგ. პროექტის დირექტორის ხელფასი შეიძლება ყოფილიყო მაქსიმუმ 300 ლარი), რასაც გრანტის მიმღებები დიდი პროექტების და მრავალი აქტივობის განხორციელების პირობებში არარეალისტურად მცირედ მიიჩნევდნენ.

კონკურსის დროს შემფასებელი ორგანოს მიერ განაცხადების განხილვისას არ იყო შესაძლებელი ხარვეზების გამოსწორება, რაც ქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ საპროექტო განაცხადი დაწუნებული ყოფილიყო მცირე ტექნიკური ხარვეზის გამო.

სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს პროგრამის განხორციელების შემდეგ ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხის შესწავლისა და შემდგომი წლის პროგრამების შემუშავებაში გათვალისწინების პრაქტიკა, რომელიც მხოლოდ ამ სამინისტროს სისტემაში იყო შემოღებული.

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

პროგრამის მართვის მექანიზმი გამართულია. 2016 წელს ძირითადად მოქმედებდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მარეგულირებელი აქტის მსგავსი ნორმებით (სამინისტროს ეგიდით გრანტების გაცემის და შესრულების პროცესის მენეჯმენტს ახორციელებდა). აქაც ხდებოდა ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხის გაზომვა.

სააგენტოში, კონკურსის მსვლელობის პროცესში, თავად კომისიის წევრის მხრიდან დაფიქსირდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, რის შემდეგ ამოქმედდა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმი.

პროგრამის კიდევ ერთ დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ცალკე შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის არსებობა, რომლის საქმიანობის მხარდაჭერაც მომდევნო წლებში (2017) უკვე თავად საპროექტო განაცხადებში იქნა გათვალისწინებული.

და ბოლოს, მისასალმებელია, რომ ბენეფიციართა რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო მომდევნო წლის პროგრამის შედგენისას.

სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე 3 გრანტის გაცემა მოხდა ღია კარის პრინციპით, მინი/მცირე გრანტების სახით და კონკურსები არ ცხადდებოდა. შესაბამისად, საგრანტო პროცედურები ასეთ შემთხვევებში ისე დეტალიზებული არ არის, როგორც ხდება შედარებით დიდი მოცულობის გრანტების გაცემისას და სააგენტოს ხელმძღვანელი ერთპიროვნულად იღებდა დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას.

გრანტის მიმღებთა აზრით, განხორციელებული პროექტების შეფასების პროცედურებიც არ არის მკაცრი, თუმცა ამ პარამეტრით 2016 წელს გაცემული გრანტების შეფასება (თანხების შეზღუდულობისა და ერთჯერადი აქტივობის გამო) არც არის მართებული.

სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

მისასალმებელია, რომ პროგრამების შემუშავება ხდება დაინტერესებულ მხარეთია ნაწილის (ამ შემთხვევაში - პოლიტიკური პარტიების) ჩართულობით.

რაც შეეხება საპროექტო შეთავაზებების წარდგენას, კონკურსის მონაწილეები ნაკლად მიიჩნევდნენ განაცხადის ცენტრში პირადად წარდგენის საჭიროებას. ელექტრონული ფორმით არც პროექტში მითითებული ხარვეზის გამოსწორებაა შესაძლებელი, რაც რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებისთვის გარკვეულ სირთულეებს ქმნის.

კიდევ ერთ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს გასაჩივრებისას სამართლებრივი შედეგის არარეალისტურობა - გამარჯვების შემთხვევაშიც კი მომჩივანი ორგანიზაციას აღარ შეუძლია განახორციელოს პროექტი, ვინაიდან შესაბამისი პერიოდი, საარჩევნო კალენდარიდან გამომდინარე, უკვე გასულია.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში მიზნით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ჩართვა, შესაძლო ფინანსური დარღვევების გამოვლენის მიზნით, ასევე კარგი მექანიზმია, მაგრამ კარგი იქნებოდა ფინანსური მონიტორინგი არა პოსტ-ფაქტუმ განხორციელებულიყო, არამედ პროექტის მიმდინარეობის პროცესში - არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (როგორც მაგალითად იუსტიციის სამინისტროს შემთხვევაში).

ცენტრის პროგრამის განხორციელების შემდეგ აღინიშნა დავები ცალკეული პროექტების განმახორციელებლებთან, რაც ორ შემთხვევაში სასამართლო პროცესამდე მივიდა. გრანტების მიმღებები აღნიშნავენ, რომ 2016 წელს ცეესკომ შეფასებისა და შიდა გასაჩივრების პროცესში ისეთი ხარჯები ჩათვალა არამიზნობრივად, რაზეც პროექტების დამტკიცებისა და ხელშეკრულების გაფორმებისას ცეესკომ დაამტკიცა და რაც 2015 წელს განხორციელებილი, ანალოგიური აქტივობების შემთხვევაში, არ ყოფილა.

პრობლემა აქ შემოწმებისა და ანგარიშგების სისტემის დაუხვეწაობამ შექმნა - რამდენიმე შემთხვევაში პოსტ-ფაქტუმ მოხდა ანგარიშგების პროცედურის და მოთხოვნების შეცვლა.

გრანტის მიმღებები ასევე მიუთითებენ პროექტების მოკლევადიანობაზე, რაც არ იძლევა მდგრადი განვითარების საშუალებას.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

გრანტის მიმღებები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საგრანტო განაცხადების მომზადებისას წამოყენებული მთხოვნები ნათელი და მარტივი იყო. ამავე დროს ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო გრანტების მოცულობა (2016 წელს ფონდის მიერ საერთაშორისო წყაროებიდან მიღებული წყაროებიდან გაცემული პროექტებისგან განსხვავებით) შედარებით მცირე თანხაა (20-25 ათ. ლარი) საიმისოდ,რომ ორგანიზაციულ განვითარებას და პროექტების მდგრადობას შეუწყოს ხელი.

გარკვეულ სირთულეებს საზოგადოებრივი ორგანიზაციები აწყდებიან პროექტების განხორციელების პროცესში შესყიდვებისას ბიუჯეტით განსაზღვრული და შეძენილი საქონლის სპეციფიკაციის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევებში, რისი შეცვლის ნათელი მექანიზმიც არ არსებობდა. ეს პრობლემა ყველა სახელმწიფო ინსტიტუციასთან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ანგარიშგების პროცესს ახასიათებს, რამდენადაც მოქმედი კანონმდებლობით შესყიდვების პროცესისადმი გრანტის გამცემებს იგივე მოთხოვნები აქვთ, რაც საჯარო დაწესებულებების მიმართ.

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

პროგრამა ხორციელდებოდა ღია კარის პრინციპით და წინასწარი კონკრეტული მოთხოვნები გრანტების შინაარსობრივი მხარისადმი არ არის დადგენილი. ამავე დროს პრიორიტეტების გამოკვეთისათვის არსებობს საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო.

აღსანიშნავია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების გამრთული მექანიზმი - გრანტის მაძიებელს შეუძლია პროექტის შეფასების პროცესში მისთვის არასასურველი 3 ექსპერტის თავიდან აცილება. ამავე დროს არსებობს შეზღუდვები იმავე სფეროში მომუშავე პირებზე, რომლებმაც შეიძლება სარგებელი (მ.შ. არაფინანსური) მიიღონ კონკრეტული პროექტის განხორციელებით ან განუხორციელებლობით.

გრანტების მიმღებები აღნიშნავენ ხარვეზს დაფინანსებული პროექტების ფინანსური მონიტორინგის პროცესში - კერძოდ სამივლინები ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენისას, ამავე დროს აღინიშნა ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ფონდმა გადაცდომები ფორს-მაჟორულ სიტუაციას მიაწერა და შიდა დავა გრანტის მიმღებთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. მიუხედავად ამისა, აღინიშნება ფინანსური პროცედურების დახვეწის საჭიროება - კერძოდ 2-3 წლიანი პროექტების პერიოდში დამტკიცებულ ბიუჯეტებში ცვლილება გარდაუვალია და შეფასების პროცესში ეს გათვალისწინებული უნდა იყოს.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

პროგრამა ხორციელდებოდა ღია კარის პრინციპით და კონკურსები არ ცხადდებოდა.

სარეზერვო ფონდი გასცემდა არა გრანტებს, არამედ დაფინანსებებს, შესაბამისად გრანტების გაცემის კლასიკური კრიტერიუმები არ მოქმედებდა.

უშუალოდ პროექტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია ზოგიერთ დაფინანსებულ პროექტში ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების მაღალი წილი, რაც სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში არის აღნიშნული.

2.4. ზოგადი მიგნებები

როგორც მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის და ღია წყაროები შესწავლის, ასევე, გრანტების მიმღებების მოსაზრებათა გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ განხორციელებული პროგრამების პროცედურები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ვინაიდან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაა შემუშავებული. მიუხედავად ამისა, ძირითადი პრინციპები ყველგან ერთნაირია.

ზოგადად შეფასების შედეგების ანალიზისას ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ პრობლემურ თემებზე, რომელთა გამოსწორება გააუმჯობესებს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროგრამების დაგეგმვის, გრანტების გაცემის, მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს:

- არ ხდება ზოგადად საგრანტო პროგრამის ეფექტურობის შემოწმება გაცემული გრანტებით შესრულებული პროექტების შედეგების ანალიზის საფუძველზე;
- რიგ შემთხვევებში ზედმეტად გართულებულია ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები (რასაც გრანტების მიმღებებიც აღნიშნავენ) და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ გამოიყენება ის მოთხოვნები, რაც საჯარო სტრუქტურების ფინანსური ანგარიშგებისთვისაა გათვალისწინებული. ამასთან, ფინანსური ანგარიშგების პროცედურები მოითხოვს გრანტის გაცემამდე, წინასწარ დაკონკრეტებას და დაზუსტებას - ცალკეულ შემთხვევებში რიგი მოთხოვნები გრანტის მიმღებებს პოსტ-ფაქტუმ, პროექტების დასრულების შემდეგ წამოუყენეს, რამაც ანგარიშგების პროცესში გაურკვევლობა და დაბნეულობა გამოიწვია;
- როგორც პროგრამების მიმდინარეობის, ისე ცალკეული გრანტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების ხარისხი საკმაოდ დაბალია და აშკარად საჭიროებს გაუმჯობესებას. მართალია ამ ინფორმაციის ნაწილის მოპოვება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვავაში შესაძლებელია, მაგრამ პროაქტიულად მისი დიდი ნაწილის გამოქვეყნება არ ხდება;
- მცირე გამონაკლისის (მაგ.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო) გარდა, სახელმწიფო ინსტიტუცია არ ახდენს საგრანტო პროგრამების განხორციელების შემდეგ უშუალოდ ბენეფიციართა (მოქალაქეთა) კმაყოფილების ხარისხის შესწავლას;
- არ ხდება პროგრამების განხორციელების პროცესში მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინება შემდეგი წლის საგრანტო პროგრამების დაგეგმვისას.

3. სახელმწიფო გრანტების შესახებ ზოგადი მონაცემები

3.1. გრანტის გაცემის ჩარჩო საკანონმდებლო ბაზა

საჯარო ინსტიტუციების მიერ საქართველოში გრანტის გაცემის, მიღებისა და გამოყენების საერთო პირობებს, გრანტების გაცემის შესაძლებლობას და გრანტის გაცემის მიმართულებებს ადგენს საქართველოს კანონი "გრანტების შესახებ". გარდა ამისა საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილებით, განისაზღვრა საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ) საგრანტო ურთიერთობის პროცედურები.

ამავე დროს კანონით არ არის დადგენილი ცალკეული სამინისტროების ან საჯარო სამართლის იურიდული პირების მიერ გრანტის გაცემის საერთო პრინციპები, პროცედურები და წესები. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით ან/და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით;

გარდა ამისა, ანგარიშში სიღრმისეულად გაანალიზდა გრანტების გამცემი ცალკეული საჯარო სტრუქტურების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (2016 წლის მდგომარეობით):

1. იუსტიციის სამინისტროს დებულება, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილებით;
2. იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესი, დამტკიცებული მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №160 ბრძანებით;
3. "სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესი", დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს №152 ბრძანებით;
4. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება, დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 25 მარტის №16 ბრძანებით;
5. "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესი, დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანებით;
6. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის №2883 ბრძანებით;
7. "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა" #01-2016, დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 თებერვლის N583 ბრძანებით;
8. ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის (32 02 12) "სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამა" (32 02 12), დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 15 იანვრის N24 ბრძანებით;
9. "საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილება;
10. "სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესი", დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის №1-1/282 ბრძანებით;
11. ცვლილება "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონში, 2008 წლის 30 დეკემბერი;

12. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის № 7/2012 დადგენილებით;
13. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 15 მარტს, 4 აპრილს და 17 ივნისს გამოცხადებული კონკურსებით გრანტების გაცემის მიმართულებები, განსაზღვრული ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 11 მარტის №123/2016 და 2016 წლის 31 მარტის №165/2016 განკარგულებებით;
14. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულება, დამტკიცებული საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით;
15. "სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №2 ბრძანებით;
16. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბიროს დებულება, დამტკიცებული საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №4 ბრძანებით;
17. "სამეცნიერო გრანტების გაცემის უფლებამოსილების მქონე საჯარო - სამართლის იურიდიული პირის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №273 დადგენილება;
18. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N 62 ბრძანებით;
19. "ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლი №84 დადგენილებით;
20. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესი, საგრანტო კონკურსების დებულებები და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის № 131 დადგენილებით;
21. "საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ", დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის№57/ნ ბრძანებით;
22. "საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ", დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებით;
23. საქართველოს ფონდის განკარგვის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის წესი, დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის №412 ბრძანებულებით.

გარდა ამისა ანალიზის პროცესში დამუშავდა რამდენიმე ათეული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომლებიც შეეხება საგრანტო პროცედურებისა და პროექტების შეფასების ცალკეულ ეტაპებს.

3.2. სახელმწიფო გრანტების გამცემი ინსტიტუციები

2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გრანტების ფორმით გასცეს შემდეგმა სახელმწიფო ინსტიტუციებმა:

- **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**

პრიორიტეტები:
- ყოფილ მსჯავდებულთა ბიზნესინიციატივები;
- დანაშაულის ეფექტური პრევენცია;
- ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება;
- ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

- **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**

პრიორიტეტები:
- სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების და სოციალური პროექტების დაფინანსება;
- დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა;
- პროფესიული მომზადების პროგრამაში ჩართულობა;
- იურიდიული დახმარება
- საზოგადოების ინფორმირების პროგრამა

- **სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**

პრიორიტეტები:
- სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, თანადაფინანსების გზით (ტექნიკის/მექანიზაციის შესყიდვა);
- თვითდასაქმების სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა (მცირე ბიზნეს ინიციატივებზე და თვითკმარობაზე მიმართული პროექტები).

უპირატესობა ენიჭებოდა:
- გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ბენეფიციარ დევნილებს;
- გენდერული თანასწორობის, ბავშვებთან და შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს;
- უკიდურესად მოწყვლადი დევნილების ჩართულობას;
- ინფორმაციის გავრცელების ეფექტური საშუალებებს.

- **სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**

პრიორიტეტები:
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება;
- ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს საპარლამენტის არჩევნებისათვის;
- მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა.

- **სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო**

პრიორიტეტი: სააგენტოს დებულებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობა.

- **სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი**

პრიორიტეტები:
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ფუნდამენტური კვლევები;
- ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით;
- სეზონური სკოლები;
- კონფერენციები.

2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პროექტები (კონკურსის ან არასაკონკურსო ფორმით) დაუფინანსეს შემდეგმა სახელმწიფო ინსტიტუციებმა:

- **სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი**

პრიორიტეტები:
- დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება (სოციალური მეწარმეობა; სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობა);
- ცხოვრების ჯანსაღი წესი და მასობრივი სპორტი (მასობრივი სპორტის განვითარება; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია);

- სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა (გარემოს დაცვა; გადაწყველტილების მიღებაში ჩართვა; კულტურა);
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიური გამოგონებების ხელშეწყობა (ახალგაზრდებში ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერა)

უპირატესობა ენიჭებოდა:
- რეგიონიდან (განსაკუთრებით, მაღალმთიანი) შემოსულ პროექტებს;
- ეთნიკურ უმცირესობათა სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას.

- **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია**

დაფინანსების გაცემა ეფუძნებოდა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მიზანს: საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა.

3.3. გაცემული გრანტების შესახებ ჯამური ინფორმაცია

საჯარო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული და მიმართვების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის თანახმად 2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე შვიდმა სახელმწიფო ინსტიტუციამ ჯამში გრანტების სახით გასცა 5,5 მლნ. ლარი.

სულ გრანტები გაიცა 142 პროექტზე, დაფინანსება 132-მა ბენეფიციარმა ორგანიზაციამ მიიღო.

#	გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუცია	მიმღებების რაოდენობა	დაფინანსებული პროექტების საერთო რაოდენობა	დაფინანსების საერთო ოდენობა
1.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი *	10	15	407,121.00
2.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	6	6	600,000.00
3.	სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	51	51	1,049,967.78
4.	სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო	2	4	249,981.00
5.	სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	48	50	2,082,506.82
6.	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	3	3	14,000.00
7.	სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	12	13	1,130,405.00
	ჯამი	**132**	**142**	**5,533,981.60**

* მოიცავს 2015 წელს დაფინანსებულ და 2016 წელს განხორციელებულ პროექტებს, აგრეთვე 2016 წელს დაფინანსებულ პროექტებს, რომელბიც 2017 წელს განხორციელდა. შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაფონანსებაში ნაჩვენებია არა 12 პროექტი (ჯამური ღირებულება - 338,137 ლარი), არამედ 15 პროექტი (ჯამური - 407,121 ლარი).

3.4. ინფორმაცია ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ გაცემული გრანტების შესახებ

დეტალური ინფორმაცია, 2016 წელს სახელმწიფო ინსტიტუციებიდან მიღებული გრანტებით განხორციელებული ცალკეული პროექტების შესახებ, გრანტის გამცემი ინსტიტუციებისა და გრანტის მიმღებების მიხედვით, მოცემულია დანართ 2-ში. დეტალურმა მონიტორინგმა არ მოიცვა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სპორტული ფედერაციებისა და კლუბებისათვის გრანტების ფორმით გაცემული მიზნობრივი დაფინანსება, რომელიც, ფაქტობრივად, სუბსიდიებს წარმოადგენს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია მოყვანილია ანგარიშის მე-2 დანართში (ნაწილი VIII). მონიტორინგმა ასევე არ მოიცვა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო

ფონდიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გაცემული დაფინანსებით შესრულებული პროექტები, თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ დაფინაანსების გაცემის ძირითადი წესები და პროცედურები განხილულია დამატებით.მე-4 თავის VIII ნაწილში.

4. გრანტის გაცემის ეტაპების მონიტორინგი ცელკეული საჯარო ინსტიტუციების მიხედვით

I. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

2012 წლის იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო გრანტების გაცემა არასამთავრობო სექტორისათვის[4]. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილებით დამტკიცებულია სამინისტროს დებულება, რომლის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ს" ქვეპუნქტით, მინისტრი ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში გრანტების გაცემის წესსა და საგრანტო პროგრამას.[5] იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესი (შემდგომში - **გრანტების** გაცემის წესი) დამტკიცებულია მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №160 ბრძანებით.[6] გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 23 აგვისტოს №152 ბრძანებით დამტკიცებულია "სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესი".[7] [8]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 25 მარტის №16 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დებულება, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "გ" ქვეპუნქტით, ცენტრის ერთ-ერთი ფუნქციაა "სამინისტროსა და ცენტრის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად - დანაშაულის პრევენციის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის მიმართულებით - საგრანტო პროგრამის განვითარება და კოორდინაცია". დებულების მე-4 მუხლის "ო" პუნქტით ცენტრის დირექტორს აქვს უფლებამოსილება, კომპეტენციის ფარგლებში, ხელს მოაწეროს სამინისტროს მიერ დადებული საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში გასაფორმებელ მიღება-ჩაბარების აქტებს, ხოლო მე-12 მუხლის "კ" პუნქტით, ცენტრის კვლევისა და სერვისების განვითარების სამმართველო უზრუნველყოფს სამინისტროს მიერ დაფინანსებული და ცენტრის საქმიანობის სფეროს მიკუთვნებული საგრანტო პროექტების მენეჯმენტს.

გრანტების გაცემის წესის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემუშავებულ საგრანტო პროგრამას, რომელიც მოიცავს მონაცემებს საგრანტო თემის აქტუალურობის, მიზნების, მიმართულებების (პრიორიტეტების), შესრულების სავარაუდო ვადების და თანხების შესახებ. საგრანტო პროგრამის მიზანია იუსტიციის სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება მიმართულებების აქტუალურობის, გეოგრაფიული გავრცელებისა და ბენეფიციარების რაოდენობის შესაბამისად.[9]

გრანტების გაცემის წესის მე-5 მუხლით, საგრანტო პროგრამა უნდა მოიცავდეს: ა) იმ აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დასახელებას, რომელთა გადასაწყვეტად გამიზნულია სამინისტროს მიერ გრანტის გაცემა; ბ) გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობას; გ) საგრანტო ვადას; დ) დაფინანსების ზღვრულ ოდენობას; ე) ცალკეული საგრანტო წინადადებების დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას; ვ) დაფინანსების წყაროს. სამინისტროს საგრანტო პროგრამის შემუშავება ხდება პერიოდულად, სამინისტროს სისტემის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

---

[4] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=3782
[5] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/391
[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1547084?publication=6
[7] https://matsne.gov.ge/document/view/1730398
[8] 2016 წელს სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გრანტების გაცემა არ მომხდარა, რის გამოც მონიტორინგის წინამდებარე ანგარიშში არ არის ასასხული.
[9] http://prevention.gov.ge/page/34/geo

გრანტების გაცემის წესის მე-6 მუხლის მიხედვით, მინისტრის ბრძანებით შესაძლებელია საგრანტო პროგრამაში ცვლილების შეტანა, რის საფუძველი შეიძლება გახდეს საგრანტო საბჭოს გადაწყვეტილება, განპირობებული სამინისტროს ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით, ასევე პროგრამაში შეტანილი საკითხის აქტუალობის ცვლილებით ან სხვა გარემოებებით. საგრანტო პროგრამების შემუშავებისას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობის რეგულაციები და პრაქტიკა არ არსებობს.

იუსტიციის სამინისტრომ არ გასცა გრანტების გაცემის პროცესთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაცია და ორგანიზაციის მოთხოვნას აღნიშნულის თაობაზე იგნორირება გაუკეთა, შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ეყრდნობა სამინისტროს მიერ მის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

2016 წელს სამინისტრომ საგრანტო კონკურსები გამოაცხადა 4 პროგრამით:

1) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **საგრანტო პროგრამა #001-2016 ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა** ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ 2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ამნისტიის შესახებ, რომელიც სასჯელისგან მსჯავრდებულთა ნაწილობრივ ან სრულ გათავისუფლებას გულისხმობდა. ამ კანონის საფუძველზე, სასჯელაღსრულების დაწესებულებები მთლიანობაში რამდენიმე ათასმა მსჯავრდებულმა დატოვა. საგრანტო საბჭოს განცხადებით,[10] ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანი იყო ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე ზრუნვა, რათა მათ გაადვილებოდათ საზოგადოებაში ინტეგრაცია და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაცია, რაც შეამცირებდა მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბენეფიციარებთან კომპლექსურ მუშაობას მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშეწყობა პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

2016 წლის 14 მარტს სამინისტროს მიერ ყოფილ მსჯავდებულთა ბიზნესინიციატივების დაფინანსების მიზნით გამოცხადებული საგრანტო კონკურსი გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას ყოფილი მსჯავრდებულების ბიზნესინიციატივების დაფინანსების მიზნით, რასაც, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესისათვის, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფდა ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებასა და გაძლიერებას, რათა სამომავლოდ მათ დამოუკიდებლად შესძლებოდათ მსგავსი სერვისის შეთავაზება ბენეფიციარებისთვის.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების შედეგად, ყოფილი მსჯავრდებულებს უნდა გაევლიოთ თემატური ტრენინგ-კურსი, აღჭურვილიყვნენ თვითდასაქმებისთვის და მცირე ბიზნესის წარმოებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით. პროგრამის მონაწილეებს უნდა განვითარებოდათ მცირე ბიზნესის მართვის უნარები, ნაწილს კი შესაძლებლობა ექნებოდა, დასაქმებულიყო გამარჯვებულ ბიზნეს-პროექტებში. პროგრამის განხორციელებას, ასევე, უნდა შეემცირებინა ყოფილი მსჯავრდებულების მხრიდან განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი.

2) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **საგრანტო პროგრამა #002-2016 დანაშაულის ეფექტური პრევენცია** ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მაკოორდინირებელ ორგანოს და

[10] საგრანტო საბჭოს განცხადება № 001-2016

დანაშაულის პრევენციისთვის ღონისძიებების გატარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. საგრანტო კონკურსის გამოცხადება ემსახურება საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობასა და დანაშაულის პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას. ქვეყანაში მიმდინარე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებლის შემცირებას - არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენციას, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რეაბილიტაციასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის და რესოციალიზაციის მხარდაჭერა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწისა და გაუმჯობესების კუთხით დღეს არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იდგმება ზოგადად სახელმწიფოს და, განსაკუთრებით კი, იუსტიციის სამინისტროს მხრიდან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროგრამას წარმოადგენს განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, როგორც სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მექანიზმი. პროგრამის მნიშვნელობას ადასტურებს არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულება თუ სხვა დოკუმენტი. გარდა ამისა, არაერთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი აქტი უსვამს სისხლისსამართლებრივი ალტერნატივების გამოყენების აუცილებლობას ხაზს.

საგრანტო საბჭოს განცხადებით,[11] არასრულწლოვანთა დანაშაულის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. საჭიროა განსაკუთრებული მიდგომა დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფი არასრულწლოვნების მიმართ. აღნიშნულ ჯგუფთან მუშაობა და ადრეული ჩარევა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კრიმინალური ქცევის შემცირებას. ამ მხრივ, საყურადღებოა დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ ისეთ ჯგუფებთან მუშაობა, როგორებიცაა: 1) განათლების სისტემის მიღმა დარჩენილი არასრულწლოვნები; 2) ზრუნვის სისტემიდან გამოსულები; 3) პატიმრებისა და ყოფილი პატიმრების შვილები, რომლებიც ხშირად სტიგმატიზაციასაც განიცდიან; 4) 14 წლამდე არასრულწლოვნები რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ სისხლის სამართლის პასუხისგებაში არ მიეცნენ ასაკის გამო. ასევე, მნიშვნელოვანია იმ მოზარდებთან დანაშაულის ჩადენის პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომლებიც ანტისოციალური ქცევით გამოირჩევიან.

დღეისათვის, არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების და, აგრეთვე, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნებისათვის, განსაკუთრებით კი განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ყურადღება ექცევა ბენეფიციარებისათვის საჭირო სერვისების მიწოდებას და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმების წარმატების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც რისკ ჯგუფების წარმომადგენლებს და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს დაეხმარება მათ წინაშე არსებული სირთულეების დაძლევაში.

2016 წლის 23 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი მიზნად ისახავდა როგორც პირველად, ასევე განმეორებით დანაშაულის პრევენციას. დაგეგმილი პროექტები ემსახურებოდა სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ბენეფიციარების - ყოფილი პატიმრების, განრიდებული და დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი პირების რეცოსიალიზაციის მხარდაჭერას მათთვის ისეთი სერვისების შეთავაზების გზით, რომელიც ხელს შეუწყობს მათი უნარების განვითარებას, საზოგადოებაში ინტეგრაციას, ანტისოციალური ქცევის პრევენციას, დანაშაულებრივი ქმედების გააზრებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაანალიზებას.

3) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **საგრანტო პროგრამა #003-2016 "ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება"** ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციის პროგრამას, რომლის მიზანია სასჯელაღსრულების

[11] საგრანტო საბჭოს განცხადება № 002-2016

დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოებაში სრულუფლებიან წევრებად.

სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ, სხეულზე გაკეთებული ნახატები ყოფილ პატიმრებს ხელს უშლის საზოგადოებაში ინტეგრაციაში, უჭირთ სამუშაოს მოძიება, საზოგადოება აღიქვამს მათ კრიმინალებად, არიან ნაკლებად თავდაჯერებულები, განიცდიან დისკომფორტს, ამიტომ აუცილებელი იყო მათთვის ტატუს მოშორების სერვისის შეთავაზება, რაც მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის წინაპირობაა.

საგრანტო საბჭოს განცხადებით, [12] საგრანტო პროგრამა მიზნად ისახავდა განმეორებით დანაშაულის პრევენციას და ემსახურება ყოფილი პატიმრების და დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი პირების რეცოსიალიზაციის მხარდაჭერას მათთვის აუცილებელი სერვისების შეთავაზების გზით, ხოლო 2016 წლის 13 ოქტომბერს საგრანტო კონკურსის გამოცხადება ემსახურებოდა საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობასა და დანაშაულის პრევენციისაკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას. პროგრამის განხორციელების შედეგად საქართველოს მასშტაბით სულ მცირე 30 ყოფილი პატიმარს ან დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი პირს უნდა მიეღეო ტატუს მოშორების სერვისი.

4) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს **საგრანტო პროგრამა #004-2016 "ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა"** ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: ქვეყანაში მწვავედ იდგა მიუსაფარი ბავშვების – ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მთავრობის მიერ დონორი ორგანიზაციების დახმარებით სისტემატურად ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი, მოცემული ეტაპისთვის ასეთი ბავშვები კვლავ საჭიროებდნენ დახმარებას. კანონიერი წარმომადგენლები ხშირად არ ან ვერ უზრუნველყოფდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესისა და მათი უფლებების დაცვას, რის შედეგადაც არასრულწლოვნები სხვადასხვა სახის ძალადობის, მათ შორის, ტრეფიკინგის, მსხვერპლნი ხდებოდნენ. სწორედ ამ პრობლემებმა განაპირობა, რომ საქართველოს მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად განისაზღვრა მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა და მათ მიმართ ყოველგვარი ძალადობისა და სხვადასხვა სახის ექსპლუატაციის შემთხვევების აღკვეთა.

საგრანტო საბჭოს განცხადებით,[13] აღნიშნულ ვითარებაში საკანონმდებლო რეგულაციების მოწესრიგების კვალდაკვალ მნიშვნელოვანი იყო მიუსაფარ ბავშვთა იდენტიფიცირების ხელშემწყობი მექანიზმების გაძლიერება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც, თავის მხრივ, შეამცირებდა ამ კატეგორიის ბავშვების მიერ ქუჩაში დაბრუნების ალბათობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, როგორც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შემმუშავებელი უწყებათაშორისი ორგანოს, წამყვანი უწყება. აღნიშნული საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი მიზანია ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებზე ზრუნვა და მათი დაცვა ტრეფიკინგისგან, რაც, ასევე, ასახულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში. სამოქმედო გეგმა, მიუსაფარი ბავშვების დაცვასა და საზოგადოებაში ინტეგრაციასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მათი იდენტიფიცირების საკითხს. კერძოდ, სამოქმედო გეგმის 1.2.1 აქტივობა მიზნად ისახავს "ქუჩაში მცხოვრები და ქუჩაში მომუშავე ბავშვების პრობლემის შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებას", ხოლო, ამავე სამოქმედო გეგმის 1.2.3. აქტივობა ითვალისწინებს "ქუჩაში მცხოვრებ და ქუჩაში მომუშავე ბავშვებთან მომუშავე მობილური ჯგუფებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას".

2016 წლის 13 ოქტომბერს გამოცხადებული საგრანტო კონკურსი გულისხმობდა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გრანტის გაცემას, ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

[12] საგრანტო საბჭოს განცხადება # 003-2016
[13] საგრანტო საბჭოს განცხადება # 004-2016

მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დანაშაულის მეორე დონის პრევენციის პროგრამებში ჩართული ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" მიერ იდენტიფიცირებული ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისათვის, რომელთა ჩართვაც სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" სერვისებში არ ან ვერ მოხერხდა, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, სოციალური, კულტურული, სპორტული თუ სხვა სახის პროგრამების სისტემატური შეთავაზების მიზნით, მეორე მხრივ კი, შესაბამის უწყებებთან კოორდინაციითა და თანამშრომლობით მიუსაფარ ბავშვთა საკითხზე სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის მომზადებისა და არასამუშაო საათებსა და უქმე დღეებში მიუსაფარი ბავშვების ახალი ლოკაციების იდენტიფიცირების მიზნით, რაც დაეხმარებოდა სსიპ "სოციალური მომსახურების სააგენტოს" აღნიშნულ მობილურ ჯგუფებს ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებაში. საგრანტო კონკურსს, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო ამ კატეგორიის ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესისთვის, მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფდა ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვაში და მათ განვითარებასა და გაძლიერებას, რათა სამომავლოდ მათ დამოუკიდებლად შესძლებოდათ მსგავსი სერვისების შეთავაზება მიუსაფარი ბავშვებისთვის.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლი არეგულირებს საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნების პროცედურებსა და ფორმებს. ის ითვალისწინებს განცხადების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას და განაცხადების მიღების მინიმალურ ვადას: *"საგრანტო განაცხადების მიღება დასაშვებია საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების მომენტიდან. განცხადება საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს განაცხადის მიღების ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა ერთ კვირით ადრე მაინც".* ამავე მუხლის მიხედვით, საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გრანტის გამცემის დასახელება;
- შესაბამისი სფეროს დასახელება, საქმიანობის/მომსახურების აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შეფასების კრიტერიუმები;
- საგრანტო ვადა;
- გრანტის მაქსიმალური ოდენობა;
- საგრანტო წინადადება და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
- განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.

ა) 2016 წლის 14 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ **ყოფილ მსჯავდებულთა ბიზნეს-ინიციატივების დაფინანსების მიზნით** საგრანტო კონკურსი გამოაცხადა.[14] განცხადების მიხედვით, ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე ზრუნვა ძალიან მნიშვნელოვანია, რათა მათ გაუადვილდეთ საზოგადოებაში ინტეგრაცია და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაცია, რაც შეამცირებს მათ მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის ალბათობას. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამას. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბენეფიციარებთან კომპლექსურ მუშაობას მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. ყოფილი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშეწყობა პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ ამ მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მიერ **2 (ორი) გრანტი გაიცემოდა შემდეგი მიმართულების ფარგლებში:**

[14] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5130

ლოტი #	პროგრამის დასახელება / მიმართულება	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა	პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა
01-001-2016	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა	100 000 (ასი ათასი) ლარი	აღმოსავლეთ საქართველო
02-001-2016	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა	49 000 (ორმოცდაცხრა ათასი) ლარი	აჭარა, გურია, სამეგრელო

განმცხადებელი უნდა ყოფილიყო საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან მისი ფილიალი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, სამინისტრო ითხოვდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობის და ორგანიზაციის დებულების/წესდების წარდგენას; განმცხადებელს შეეძლო თითოეულ მიმართულებაზე არაუმეტეს ერთი განაცხადის წარდგენა; საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო საგრანტო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარზე მეტი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, არანაირი თანამონაწილეობა სავალდებულო არ იყო. განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 24 მარტი 15:00 საათი.

ბ) 2016 წლის 23 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ **დანაშაულის ეფექტური პრევენციის მიზნით** საგრანტო კონკურსი გამოაცხადა.[15] განცხადების მიხედვით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის, დანაშაულის მეორე დონის პრევენციისა და განრიდების და მედიაციის პროგრამებს. პროგრამები უზრუნველყოფს ბენეფიციარების რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობას. აღნიშნულ პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა უნარების განვითარების, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის, ანტისოციალური ქცევის პრევენციის, დანაშაულებრივი ქცევის პრევენციისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაანალიზების მიზნით, იუსტიციის სამინისტროს მიერ **6 (ექვსი) გრანტი გაიცემოდა შემდეგი მიმართულების ფარგლებში:**

ლოტი #	პროგრამის დასახელება/ მიმართულება	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა	პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა	სამიზნე ჯგუფი
01-002-2016	კრიზისული ინტერვენცია	35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი	თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი	ყოფილი პატიმრები
02-002-2016	ფორუმ თეატრი მოზარდებისთვის	10 000 (ათი ათასი) ლარი	თბილისი	დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები
03-002-2016	პიროვნული განვითარება	10 000 (ათი ათასი) ლარი	თბილისი	დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნები
04-002-2016	კონფლიქტისა და ბრაზის მართვა	15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი	თბილისი	გაწრიდებული არასრულწლოვნები
05-002-2016	დანაშაულებრივი ქმედების გააზრება	15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი	გაწრიდებული არასრულწლოვნები
06-002-2016	ელექტრონული წიგნის პროგრამა	10 000 (ათი ათასი) ლარი	თბილისი	გაწრიდებული არასრულწლოვნები

განმცხადებელი უნდა ყოფილიყო საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან მისი ფილიალი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ ორწლიანი

[15] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5137

სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, სამინისტრო ითხოვდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობის და ორგანიზაციის დებულების/წესდების წარდგენას; განმცხადებელს შეეძლო თითოეულ მიმართულებაზე არაუმეტეს ერთი განაცხადის წარდგენა; საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო საგრანტო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარზე მეტი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, არანაირი თანამონაწილეობა სავალდებულო არ იყო. განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 3 აპრილი 18:00 საათი.

2016 წლის 13 აპრილს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ **დანაშაულის ეფექტური პრევენციის მიზნით** საგრანტო კონკურსი განმეორებით გამოაცხადა 1 (ერთი) გრანტის გასაცემად შემდეგი მიმართულების ფარგლებში:[16]

ლოტი #	პროგრამის დასახელება/ მიმართულება	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა	პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა	სამიზნე ჯგუფი
01-002-2016	კრიზისული ინტერვენცია	35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი	თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი	ყოფილი პატიმრები

განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 23 აპრილი 18:00 საათი.

გ) 2016 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საგრანტო კონკურსი **"ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება"** გამოაცხადა. განცხადების მიხედვით, **1 (ერთი) გრანტი გაიცემოდა შემდეგი მიმართულებების ფარგლებში:**

ლოტი #	პროგრამის დასახელება/ მიმართულება	სამიზნე ჯგუფი	პროექტის ვადა	ადგილმდებარეობა	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა
01-003-2016	ტატუს მოშორება	ყოფილი მსჯავრდებულები; დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი პირები;	6 თვე	თბილისი	15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ან მის ფილიალს, რომელიც დაინტერესებულია დანაშაულის პრევენციის საკითხით და გააჩნია მინიმუმ ორწლიანი შესაბამისი გამოცდილება. სამინისტრო ითხოვდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობის და ორგანიზაციის დებულების/წესდების წარდგენას; განმცხადებელს შეეძლო არაუმეტეს ერთი განაცხადის წარდგენა; საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო საგრანტო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარზე მეტი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, არანაირი თანამონაწილეობა სავალდებულო არ იყო. საგრანტო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 28 ოქტომბერი, 15:00 სთ.

დ) 2016 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ **ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით** საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. განცხადების მიხედვით, 2 (ორი) გრანტი გაიცემოდა შემდეგი მიმართულებების ფარგლებში:

[16] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5152

ლოტი #	პროგრამის დასახელება / მიმართულება	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა	პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა	პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა
#01-004-2016	„ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“	34 000 (ოცდათოთხმეტი ათასი ლარი)	თბილისი	5 თვე
#02-004-2016	„ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირების ხელშეწყობა“	20 000 (ოცი ათასი ლარი)	თბილისი	4 თვე

განმცხადებელი უნდა ყოფილიყო საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან მისი ფილიალი, რომელსაც ჰქონდა მინიმუმ ორწლიანი სამუშაო გამოცდილება შესაბამის სფეროში, სამინისტრო ითხოვდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შემდეგ გაცემული რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობის და ორგანიზაციის დებულების/წესდების წარდგენას; განმცხადებელს შეეძლო თითოეულ მიმართულებაზე არაუმეტეს ერთი განაცხადის წარდგენა; საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო საგრანტო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარზე მეტი. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, არანაირი თანამონაწილეობა სავალდებულო არ იყო. საგრანტო წინადადების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2016 წლის 28 ოქტომბერი, 15:00 სთ.

2016 წელს გამოცხადებული ყველა კონკურსის დროს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი იყო საგრანტო საბჭოს განცხადება (პროგრამის შინაარსის მოკლე აღწერით, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნებით და სხვ.), გრანტის გაცემის წესი (მ.შ. გადაწყვეტილებების მიღებისა და გასაჩივრების პროცედურებით), შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობები, წინადადების შეფასების კრიტერიუმები, წარსადგენი დოკუმენტები: საგრანტო განაცხადის ფორმა, აგრეთვე, საგრანტო წინადადების, ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმის ფორმები, საგრანტო განაცხადები მიიღებოდა ელექტრონულ ფოსტაზე: grants@justice.gov.ge. დამატებითი ინფორმაციის მიღება აპლიკანტებს შეეძლოთ იმავე ელექტრონული ფოსტით ან საგრანტო საქმიანობის მენეჯერთან სატელეფონო კონტაქტით.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტების გაცემის წესის მე-7 მუხლით, საგრანტო პროგრამების ადმინისტრირებას ახდენს, ანუ საგრანტო კონკურსს აცხადებს, საგრანტო განაცხადებს იღებს, იხილავს და გამარჯვებულებს ავლენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიური ორგანო - საგრანტო საბჭო, რომელიც აერთიანებს შესაბამის თემაზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ექსპერტებს. საგრანტო საბჭო, სულ მცირე, 5 წევრისგან უნდა შედგებოდეს, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე. საბჭოს წევრად შეიძლება დაინიშნოს სამინისტროს თანამშრომელი ან უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, ოღონდ ის არ უნდა იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

გრანტების გაცემის წესის მიხედვით, არავის აქვს უფლება ჩაერიოს საბჭოს საქმიანობაში ან/და მოახდინოს რაიმე ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღების მიზნით. საგრანტო საბჭო:

- ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

- ადგენს გამარჯვებული წინადადების შერჩევის კრიტერიუმებს;
- ადგენს და აქვეყნებს განცხადებას საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- იღებს საგრანტო განაცხადებს და ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას კანონმდებლობასთან;
- იღებს გადაწყვეტილებას განმცხადებლის დისკვალიფიკაციის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს წევრის აცილების შესახებ;
- განიხილავს საგრანტო წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;
- ასრულებს გრანტების გაცემის წესით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

გრანტების გაცემის წესის მე-3 მუხლით დადგენილია გრანტის გაცემის პრინციპები: *"გრანტი გაიცემა თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპების დაცვით".*

გრანტების გაცემის წესის მე-9 მუხლი არეგულირებს საგრანტო საბჭოს მუშაობისას ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხს. კერძოდ, საგრანტო კონკურსის ჩატარებისას, კონკრეტული საკონკურსო განაცხადის განხილვაში არ მონაწილეობს საბჭოს წევრი და მოწვეული ექსპერტი, თუ განმცხადებელი ან საგრანტო წინადადებაში მითითებული იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მართვის ორგანოს წევრი მისი ახლო ნათესავია ან მისი ახლო ნათესავის წარმომადგენელია; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობაზე (მმართველობაზე) პასუხისმგებელი ორგანოს წევრია; იგი შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან; პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებულია განმცხადებელთან. ახლო ნათესავად ითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავი და და/ძმა; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და/ძმა; და/ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

საბჭოს წინაშე აცილების საკითხი შეიძლება დააყენოს საბჭოს წევრმა ან განმცხადებელმა. საბჭოს წევრი, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს თვითაცილების შესახებ შესაბამისი საფუძვლის მითითებით. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს საბჭოს ის წევრი რომელმაც დააყენა თვითაცილება ან რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება.

საგრანტო საბჭოს მუშობის წესები დეტალურადაა გაწერილი გრანტის გაცემის წესის მე-10-13 და მე-19-22 მუხლებში.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

გრანტის გაცემის წესის მიხედვით, საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს ან მის ფილიალს, რომელიც აკმაყოფილებს კონკრეტული საგრანტო პროგრამის მოთხოვნებს. იუსტიციის სამინისტრო გრანტს გასცემს თავისუფალი კონკურენციის, ეფექტიანობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, კანონის წინაშე თანასწორობის, დამოუკიდებლობისა და კოორდინირებულობის პრინციპების დაცვით.

გრანტის გაცემის წესის მე-15 მუხლით დადგენილია, რომ საგრანტო საბჭომ აპლიკანტებისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დაადგინოს საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად., ამასთანავე, განმცხადებლის მოთხოვნით, საბჭო ვალდებულია გონივრულ ვადაში განმარტოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დებულებები. ორგანიზაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო განაცხადის პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კონკურსის დროს უნდა იქნას დისკვალიფიცირებული. საბჭოს უფლება აქვს საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებელს მოსთხოვოს საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელმა ვერ წარმოადგინა ასეთი ცნობა, საბჭო მიიღებს

გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადის დისკვალიფიკაციის თაობაზე. საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგრანტო განაცხადის დისკვალიფიკაციის თაობაზე დავალიანების მოცულობის გათვალისწინებით.

გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მიხედვით, საგრანტო განაცხადები, რომლებიც შეუსაბამოა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან იმავე სხდომაზევე ცხადდებიან დისკვალიფიცირებულად და მათი დოკუმენტაცია შემდგომ გასწორებას/შევსებას არ ექვემდებარება. საბჭო არ ახდენს განმცხადებლის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებითად არ ეწინააღმდეგება საკონკურსო განაცხადის პირობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გრანტების გაცემის წესის მე-19 მუხლი ადგენს საგრანტო წინადადების შეფასების მინიმალურ კრიტერიუმებს, როგორიცაა:

ა) დასმული საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის მეთოდი;
ბ) საგრანტო წინადადების შესრულების ვადა;
გ) ადამიანური რესურსების გამოცდილება.

გარდა ამისა, საგრანტო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით საგრანტო საბჭო ადგენს დამატებით შეფასების კრიტერიუმებს. საგრანტო წინადადებები ფასდება საბჭოს მიერ ცალ-ცალკე საგრანტო პროგრამით თითოეული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულების ზღვრული მოცულობის მიხედვით.

2016 წელს გამოცხადებულ ყველა საგრანტო კონკურსში გამოყენებულ იქნა საგრანტო წინადადების შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	შეფასების მაქსიმალური ქულა
წარმოდგენილი საგრანტო წინადადების ხარისხი: – არსებული მდგომარეობა; – პროექტის მიზანი; – პროექტის ღონისძიებების განხორციელების გზები; – პროექტის მოსალოდნელი შედეგები და პროექტის მდგრადობა.	50 ქულა
ორგანიზაციის გამოცდილება: – ორგანიზაციის გამოცდილება, მათ შორის, რელევანტურ სფეროში.	10 ქულა
ადამიანური რესურსი: – პროექტის ხელმძღვანელის გამოცდილება პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში; – პროექტის სხვა ძირითადი თანამშრომლების გამოცდილება და ცოდნა სფეროსთან მიმართებაში.	20 ქულა
ხარჯვის დაგეგმვის ეფექტურობა: – რამდენად რეალისტურია წარმოდგენილი ბიუჯეტი იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც ასახულია საგრანტო წინადადებაში; – რამდენად ადეკვატურია პროგრამის მენეჯმენტისთვის მოთხოვნილი თანხები.	20 ქულა
ჯამი:	100 ქულა

გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მიხედვით, საბჭოს წევრებმა ცალ-ცალკე უნდა განიხილონ თითოეული საგრანტო წინადადების შესაბამისობა შეფასების კრიტერიუმებთან. გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ხდება ქულათა შეჯამება. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში არ იქნა შეტანილი არცერთი საგრანტო წინადადება ან ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, სხდომიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა, საბჭო, სამინისტროსთან შეთანხმებით, იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას საგრანტო კონკურსის ხელახალი გამოცხადების, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეცვლის ან საგრანტო კონკურსის შეწყვეტის შესახებ.

გრანტების გაცემის წესის მე-20 მუხლით დადგენილია საგრანტო წინადადებების შერჩევის/შეფასების პროცედურები, ხოლო 21-ე მუხლით - საუკეთესო საგრანტო განაცხადის გამოვლენის წესი.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

გრანტების გაცემის წესის 21-ე მუხლით დადგენილია საგრანტო საბჭოს მიერ საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის დეტალური პროცედურები, აგრეთვე, სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე საგრანტო კონკურსის შედეგების საჯაროდ ქვეყნდების ვალდებულებას, ხოლო 22-ე მუხლით - გადაწყვეტილების მიღების მაქსიმალური ვადა.

2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა გააფორმა შემოდგომაზე გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გამარჯვებულ 5 არასამთავრობო ორგანიზაციასთან: ფონდი "აფხაზინტერკონტი", გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, მიგრაციის ცენტრი, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი" და წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი – GCRT. ხუთივე საგრანტო პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ჯამურად 129739 ლარით დააფინანსა[17]. ამდენად, ეს პროექტები 2016 წელს განხორციელდა.[18] [19] [20]

ყოფილ მსჯავდებულთა ბიზნესინიციატივების დაფინანსების მიზნით 2016 წლის 14 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგები საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 4 აპრილს გამოაცხადა.[21] ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდით გავრცელდა და მასში ნათქვამი იყო, რომ საგრანტო საბჭომ განიხილა საგრანტო პროგრამის "ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა" (#001-2016) ფარგლებში შემოსული განაცხადები და გამოავლინა გამარჯვებულები: საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი" და გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი. საგრანტო დაფინანსება გაიცა 148773 ლარის ოდენობით. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადა იყო 2016 წლის 16 მაისი.

დანაშაულის ეფექტური პრევენციის მიზნით 2016 წლის 23 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგები საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 13 აპრილს გამოაცხადა.[22] ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდით გავრცელდა და მასში ნათქვამი იყო, რომ საგრანტო საბჭომ განიხილა საგრანტო პროგრამის "დანაშაულის ეფექტური პრევენცია" (#002-2016) ფარგლებში შექმნილმა შემოსული განაცხადები და გამოავლინა გამარჯვებულები: "დავიწყოთ ახლა", "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის", "გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი", საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი" და სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი. ლოტში № 01-002-2016 (კრიზისული ინტერვენცია - თბილისი, გორი, ქუთაისი, ბათუმი, ზუგდიდი) გამარჯვებული არ გამოვლინდა. საგრანტო დაფინანსება გაიცა 59625 ლარის ოდენობით. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების ვადა იყო 2016 წლის 1 ივნისი.

2016 წლის 13 ოქტომბერს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის **"ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება"** შედეგები საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 03 ნოემბერს გამოაცხადა.[23] ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდით გავრცელდა და მასში ნათქვამი იყო, რომ საგრანტო საბჭომ განიხილა საგრანტო პროგრამის #003-2016 "ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება" შემოსული განაცხადები და გამოავლინა გამარჯვებული: საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი". საგრანტო დაფინანსება გაიცა 14984 ლარის ოდენობით. პროექტების განხორციელების დაწყების თარიღად განსაზღვრული იყო 2016 წლის 15 დეკემბერი (განხორციელდა 2017 წლის იანვრიდან).

2016 წლის 13 ოქტომბერს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის **"ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის"** შედეგები

[17] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5084
[18] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5007
[19] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5021
[20] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5030
[21] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5146
[22] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5151
[23] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5311

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2016 წლის 16 ნოემბერს გამოაცხადა.[24] ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდით გავრცელდა და მასში ნათქვამი იყო, რომ საგრანტო საბჭომ განიხილა #004-2016 საგრანტო პროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადები და გამოავლინა გამარჯვებულები: World Vision International-ის ფილიალი საქართველოში და "ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის". საგრანტო დაფინანსება გაიცა 54000 ლარის ოდენობით. პროექტების განხორციელების დაწყების თარიღად განსაზღვრული იყო 2016 წლის 15 დეკემბერი (განხორციელდა 2017 წლის იანვრიდან).

კონკურსის შედეგების გამოქვეყნების გარდა, ყველა განცხადებაში მითითებული იყო, რომ კონკურსის მონაწილეებს შედეგების გასაჩივრება შეეძლოთ გრანტის გამცემთან ან სასამართლოში ადმინისტრაციული წესით.

2016 წელს 9 არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა 338137 ლარის ჯამური ღირებულების 12 საგრანტო პროექტი, რომლებიც დაფინანსდა იუსტიციის სამინისტროს მიერ.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა და მათ მიერ მიღებული დაფინანსების ოდენობა მოცემულია ცხრილში:

№	ორგანიზაცია	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	მიღებული დაფინანსება, ლარი
1	საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	4 (მ.შ. 1 -2017)	144694
2	გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი	2	91203
3	ფონდი აფხაზინტერკონტი	1	42450
4	World Vision International-ის ფილიალი საქართველოში	1 (2017)	34000
5	ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის	2 (მ.შ. 1- 2017)	30000
6	გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი	1	15000
7	მიგრაციის ცენტრი	1	15000
8	წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი GCRT	1	14980
9	სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი	1	10000
10	დავიწყოთ ახლა	1	9794

საგრანტო საბჭოს მიერ საგრანტო წინადადებების განხილვის, შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების დეტალები, ისევე, როგორც გამარჯვებული პროექტების შესახებ ძირითადი დეტალები არ არის გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენად დადგენილი წესისა და კრიტერიუმების მიხედვით ხდებოდა გამარჯვებულის გამოვლენა.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

გრანტების გაცემის წესის 23-ე მუხლი ადგენს კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმის ზოგად წესებს, რომ *"გრანტის გამცემის და საბჭოს ნებისმიერი ქმედება ან/და გადაწყვეტილება ან საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით"*, კერძოდ, საბჭოს ქმედება ან/და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გრანტის გამცემთან ან/და სასამართლოში, ხოლო გრანტის გამცემის ქმედება ან/და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში. აღნიშნული სამართლებრივი აქტი გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას არ ითვალისწინებს.

[24] http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=5311

გრანტების გაცემის წესის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტით, დაუშვებელია საგრანტო ხელშეკრულების დადება, თუ გასაჩივრებულია საბჭოს გადაწყვეტილება გრანტის მიმღების საგრანტო წინანადადების გამარჯველად გამოვლენის შესახებ და სუბიექტი მოითხოვს საგრანტო კონკურსის შედეგების არარად, ბათილად ან/და ძალადაკარგულად გამოცხადებას

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

გრანტების გაცემის წესის 24-ე მუხლი ადგენს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა სამინისტროსა და გრანტის მიმღებს შორის წესრიგდება გრანტების გაცემის წესით და მათ შორის დადებული წერილობითი საგრანტო ხელშეკრულებით. საგრანტო ხელშეკრულების პროექტი მის გაფორმებამდე, საგრანტო ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მისაღებად წარედგინება საქართველოს მთავრობას ან საქართველოს პრემიერ-მინისტრს. თანხმობის მიღებიდან არაუგვიანეს 10 დღისა, სამინისტროს უფლებამოსილ პირსა და საგრანტო კონკურსში გამარჯვებულს შორის იდება საგრანტო ხელშეკრულება.

საგრანტო ხელშეკრულების დადების საფუძველია საბჭოს გადაწყვეტილება, გრანტის მიმღების საგრანტო წინანადადების გამარჯველად გამოვლენის შესახებ. საგრანტო ხელშეკრულების შინაარსი განსაზღვრულია გრანტების გაცემის წესის 25-ე მუხლით.

გრანტების გაცემის წესის 27-ე მუხლი ადგენს გაცემული გრანტის მონიტორინგის ვალდებულებას და მონიტორინგის მექანიზმებს, ხოლო 28-ე მუხლით განსაზღვრულია საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის პროცედურები.

გრანტების გაცემის წესის მიხედვით, სამინისტრო ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ან/და კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრის მეშვეობით, ამოწმებს საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობას, გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე. პრაქტიკაში საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს ახორციელებს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრი".

გრანტების გაცემის წესის მიხედვით, მონიტორინგი ტარდება ანგარიშგების მასალების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას გრანტების გაცემის წესი არ ითვალისწინებს.

თავად გრანტის მიმღები ვალდებულია, ხელშეკრულებაში დადგენილი პერიოდულობით, გრანტის გამცემს წარუდგინოს საგრანტო პროგრამის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიში. ანგარიში უნდა მოიცავდეს, მინიმუმ, შემდეგ ინფორმაციას:

- გრანტის მიმღების შესახებ;
- გრანტის გაცემის სფეროს, მიზნების, ამოცანების და სამიზნე ჯგუფის შესახებ;
- გრანტის მოცულობის შესახებ;
- საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ;
- გრანტით მიღწეული მიზნების შეფასების შესახებ;
- დანახარჯების შესახებ.

ხელშეკრულების თანახმად, პროექტის ანგარიში გრანტის გამცემს წარედგინებოდა ყოველი კალენდარული თვის ბოლოს, ოფიციალურად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გრანტის გამცემი უფლებამოსილია გრანტის მიმღებს გაუწიოს რეკომენდანცია (სამუშაოს შესრულების/მომსახურების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზება), რომელიც ხელს შეუწყობს მიზნების უკეთ მიღწევას.

გრანტების გაცემის წესს 28-ე და 29-ე მუხლები ითვალისწინებს გრანტის პირობების/ხელშეკრულების პირობების დარღვევისას საგრანტო დაფინანსების შეწყვეტას და გრანტის გამოუყენებელი ნაწილის დაბრუნებას.

გრანტების გაცემის წესით გათვალისწინებული არაა გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმები.

საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, 2016 წელს გაცემული გრანტების მონიტორინგს დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებდა, ყოველთვიური ნარატიული და ფინანსური ანგარიშების მოთხოვნის, მიმდინარე საქმიანობის გადამოწმებისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით. დაგეგმილი საქმიანობების განხორციელება ხდებოდა დონორთან მჭიდრო კოორდინაციით. მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ ამგვარი მიდგომით ყველა შესაძლო ხარვეზის გამოსწორება პირველივე თვის ანგარიშების ჩაბარების შემდეგ მოხდა, შესაბამისად, პროექტების დასრულებისა და საბოლოო ფინანსური და ნარატიული ანგარიშების ჩაბარების შემდეგ ორგანიზაციებს დონორთან რაიმე პრობლემა არ ჰქონიათ.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

გრანტების გაცემის წესი საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას, შეფასების მექანიზმებს, ინდიკატორებს და შეფასების პროცესის განხორციელების საკითხებს არ ითვალისწინებს. ასევე, გრანტების გაცემის წესით არ არის განსაზღვრული გრანტის პროგრამული და ფინანსური შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და მსგავსი შეფასებების განხორციელების ვალდებულება.
ზოგიერთი საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასების შემცველი ზოგადი ინფორმაცია მოცემულია ცენტრის ვებ-საიტზე: "საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციის პროგრამის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით 2014 წლიდან დაიწყო საგრანტო პროექტი - **"ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა"**. პროექტის მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი ბიზნესიდეების დაფინანსება და დასაქმების ხელშეწყობა. პროექტში ჩართულნი არიან "ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის" ბენეფიციარები. საგრანტო პროექტით სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, წარმოებისა და მომსახურების დარგები ფინანსდება. წარმატებული ისტორიების გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტროს საგრანტო თანხა ყოველწლიურად იზრდება და უფრო მეტ ყოფილ პატიმარს შეუძლია საკუთარი ბიზნესიდეის განხორციელება. 2014-2016 წლებში 80 ბიზნესიდეა დაფინანსდა".[25] ვებ-საიტზე მოყვანილია პროგრამის 25 ბენეფიციარის წარმატების ისტორია.

იმავე საიტზე გამოქვეყნებულია[26] მოკლე ინფორმაცია **"ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორების"** პროგრამისა და 2017 წლის 3 აპრილის ვიდეო მისი შედეგების შესახებ, რომელსაც YouTub-ზე მონიტორინგის მომენტისთვის 9700-ზე მეტი ნახვა ჰქონდა.[27]

საგრანტო პროგრამების შესრულებისა და მათი ეფექტიანობის შესახებ მცირე ინფორმაციაა მოცემული იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ[28] "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვაშიც", სადაც ნათქვამია:

- **ყოფილ მსჯავდებულთა ბიზნესინიციატივების დაფინანსების საგრანტო პროგრამის (#001-2016)** შესახებ: "ბენეფიციართა ბიზნესინიციატივების ხელშემწყობ საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 58 ბენეფიციარის 57 ბიზნესიდეა. 2016 წელს დაგემილთან შედარებით დაფინანსდა 42-ით მეტი ბიზნესიდეა, რაც განპირობებულია ბენეფიციარების მაღალი ინტერესით კონკურსში მონაწილეობის მიღებისადმი. აღსანიშნავია, რომ წელს პირველად კონკურსში მონაწილეობის

[25] http://prevention.gov.ge/page/2356/geo
[26] http://prevention.gov.ge/page/4684
[27] https://www.youtube.com/watch?time_continue=285&v=gBQ_1-FHaXc
[28] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/471

მიღების შესაძლებლობა მიეცათ დასავლეთ საქართველოში ჩართულ ბენეფიციარებს, რამაც განაპირობა ამ მიმართულებით დამატებითი ფინანსური რესურსების მიმართვა".

- **დანაშაულის ეფექტური პრევენციის საგრანტო პროგრამის** (#002-2016) შესახებ:
  - "არტთერაპია მოზარდთათვის" – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრანტი მიიღო ა(ა)იპ "მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა", რომელმაც რთული ქცევის მქონე 40 ბენეფიციარი ჩართო თერაპიულ პროგრამაში. თითო ჯგუფთან (4 ჯუფი) მუშაობა ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. პროექტის დასკვნითი გამოფენა 1 ივლისს მედიაციის სახლში გაიმართა;
  - "პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისათვის" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტი იყო. მის მიზანს წარმოადგენდა ბენეფიციარების გაძლიერება და მათი პიროვნული ზრდის ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო 35 ბენეფიციარი;
  - "გახდი აქტიური ახალგაზრდა" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული კიდევ ერთი ახალი პროექტი იყო, რომლის ფარგლებშიც ჩართულ მოზარდებს სხვადასხვა მნიშვნელოვან და მათთვის პრობლემურ თუ აქტუალურ საკითხზე მიეწოდათ ინფორმაცია, მიღებული ცოდნის გამოყენებით კი, დადგეს და მონაწილეობა მიიღეს ფორუმთეატრში. პროექტში ჩართული იყო 72 ბენეფიციარი;
  - 2016 წელს სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის" და იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფინანსდა 40,000 ლარამდე ოდენობით გრანტები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისათვის სერვისის მიწოდების დაფინანსების მიზნით, მათ შორის, "დანაშაულის მესამეული პრევენციის ხელშეწყობა არასრულწლოვანი განრიდებულების უნარ-ჩვევების განვითარებით", "დანაშაულის გაცნობიერება აღდგენითი პროგრამის საშუალებით", "ელექტრონული წიგნი მოგზაურებსა და დიდ აღმოჩენებზე".

- **ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორების საგრანტო პროგრამის** (#003-2016) შესახებ:
  - "ტატუირებების მოცილების საგრანტო პროგრამაში ჩაერთო 27 ბენეფიციარი, მათგან 20-მა ბენეფიციარმა მიიღო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება".

"საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვაში" არაფერია ნათქვამი **ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის (#004-2016)** შესახებ, სავარაუდოდ, იმის გამო რომ ამ პროგრამით გაცემული 2 საგრანტო პროექტის განხორციელება 2016 წლის დასასრულს დაიწყო. ამ პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მოცემულია "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2017 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების მიმოხილვაში":[29]

2017 წლის იანვრიდან დაიწყო და ივნისში დასრულდა სამი საგრანტო პროექტი:

- პროექტში – "ყოფილ მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა ტატუს მოშორების გზით" ჩაერთო 31 ყოფილი პატიმარი;
- პროექტში – "ინოვაციები ინტეგრაციისთვის" – ჩაერთო ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე 26 ბავშვი.
- პროექტის – "ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება საჭიროებათა კვლევისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების გზით" – ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომლის შედეგებიც გადაეგზავნა იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის დეპარტამენტს".

[29] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/494

II. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საგრანტო პროგრამას 2015 წლიდან ახორციელებდა. გრანტების გაიცემოდა საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, მედიკამენტებით უზრუნველყოფის, კვალიფიკაციის ამაღლების, ანაზღაურებადი სტაჟირებების ხელშეწყობისა და სოციალური პროექტების დაფინანსების მიზნით. საგრანტო პროგრამის შემუშავების მიზანი იყო, ერთი მხრივ, სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების ღირსეული რეინტეგრაციის პროცესისთვის ხელშეწყობა და, მეორე მხრივ, ამავე მიმართულებით, არასამთავრობო სექტორის განვითარება და გაძლიერება.[30]

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

სამინისტროს მიერ 2016 წელს საგრანტო პროგრამების განხორციელების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესით"[31] (შემდგომში - გრანტის გაცემის წესი), რომელიც არეგულირებდა საგრანტო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების, საგრანტო კონკურსის განხორციელების, გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამავე საფუძვლით, საგრანტო კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა საგრანტო კომისია და დაკომპლექტდა როგორც სამინისტროს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მიხედვით, საგრანტო პროგრამის შემუშავება და მინისტრისთვის დასამტკიცებლად წარდგენას ახდენდა სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი). საგრანტო პროგრამის შედგენა ხდებოდა სამინისტროს სისტემის კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, მას უნდა მოეცვა:

- იმ აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დასახელება, რომელთა გადასაწყვეტად გამიზნულია სამინისტროს მიერ გრანტის გაცემა;
- გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობა;
- საგრანტო ვადა;
- დაფინანსების ზღვრული ოდენობა;
- თითოეული საგრანტო წინადადებების დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა;
- დაფინანსების წყარო.

საგრანტო პროგრამა მტკიცდებოდა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით. მინისტრის ბრძანებითვე შესაძლებელი იყო საგრანტო პროგრამაში ცვლილების შეტანა, რისი საფუძველიც შეიძლება ყოფილიყო სამინისტროს ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებით, ასევე პროგრამაში შეტანილი საკითხის აქტუალობის ცვლილებით ან სხვა გარემოებებით განპირობებული საგრანტო კომისის გადაწყვეტილება (გრანტის გაცემის წესის მე-6 მუხლი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით შესაბამისი თანხის გამოყოფის შემდეგ, დეპარტამენტის მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს მიერ

[30] http://www.mra.gov.ge/geo/news/show/189/6267
[31] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3061472?publication=0

შემუშავდა საგრანტო პროგრამა, რომელიც 2016 წლის 2 მარტს დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N1391 ბრძანებით.

მას შემდეგ, რაც 2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა პირველად გამოიყო ამ მიმართულებით საქმიანობის განსახორციელებლა, სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული თანხის გრანტის სახით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაცემის შესახებ, რაც რამდენიმე მიზეზით იყო მოტივირებული:[32]

სამიზნე ჯგუფი, სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სარეინტეგრაციო დახმარებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში საჭიროებდა და პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმიც ამ მიმართულებით იყო განსაზღვრული. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაბრუნებულ მიგრანტთათვის სარეინტეგრაციო სერვისების მიწოდება ეფექტიანად და მოქნილად უზრუნველყო არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მნიშვნელოვან არგუმენტს ხარჯთეფექტურობა წარმოადგენდა. რადგან პროგრამის განხორციელება საქართველოს რეგიონების მასშტაბით სამინისტროსათვის დამატებითი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დანახარჯთან იყო დაკავშირებული, რისი გათვალისწინებითაც, ბევრად ეფექტური იქნებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტის გაცემა, შესაბამისი ადმინისტრაციული ხარჯის მოცულობის განსაზღვრით.

გარდა ამისა, საგრანტო პროგრამის მიზანს ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის განვითარება და გაძლიერება წარმოადგენდა. ერთი მხრივ, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორის დაფინანსება უმთავრესად საერთაშორისო გრანტებზეა დამოკიდებული, მნიშვნელოვანია სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის კოოპერაციის განვითარება და გაღრმავება. გარდა ამისა, სახელმწიფოს ხედვა - არასამთავრობო სექტორის ჩართულობისა პოლიტიკის განსაზღვრისა და იმპლემენტაციის პროცესში, აისახა აღნიშნულ პროგრამაში. პროგრამაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის საქმიანობის გაძლიერების, სახელმწიფოსა და არასამთავრობო სფეროს კოოპერაციის განვითარებისა და გაღრმავების ხელშეწყობის მიზანი ეხმიანებოდა ასოცირების შეთანხმების ჩანაწერს, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის უზრუნველყოფას.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 2 მარტის N1391 ბრძანებით დამტკიცებული **"საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" N001-2016 საგრანტო პროგრამა** მოიცავდა 6 საგრანტო მიმართულებას და დაფინანსების საერთო მოცულობა იყო 600 000 ლარი.

#	მიმართულების აღწერილობა	გეოგრაფიული არეალი	დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა
0100	სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; სოციალური პროექტების დაფინანსება; საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა.	თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი	190 500 ლარი
0200	სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა.	სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი	106 500 ლარი

[32] "საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის 30.05.2016-31.03.2017 ანგარიში

0300	სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	106 500 ლარი
0400	სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსება; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ბენეფიციართა ჩართვის ხელშეწყობა.	აჭარა, გურია	106 500 ლარი
0500	იურიდიული დახმარება	საქართველო	20 000 ლარი
0600	საზოგადოების ინფორმირების პროგრამა	საქართველო	70 000 ლარი

პროგრამის მიზანს წარმოადგენდა ემიგრაციაში არალეგალურად მყოფი სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის წარმატებით უზრუნველსაყოფად, ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც აღნიშნული ჯგუფის წარმომადგენლებს დაეხმარებოდათ საზოგადოებაში ხელახალი ინტეგრაციის პროცესში მათ წინაშე წარმოშობილი სირთულეების დაძლევაში, რაც დაკავშირებულია როგორც ჯანმრთელობასთან და სამშობლოში იძულებით დაბრუნებისგან გამოწვეულ ფსიქოლოგიურ პრობლემებთან, ისე დასაქმების შესაძლებლობებთან, სხვადასხვა იურიდიულ სირთულესთან თუ შემოსავლის წყაროს არარსებობასთან.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაბამისი და ზუსტი ინფორმაცია იმ საქმიანობის შესახებ, რასაც სახელმწიფო ახორციელებდა დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციის მხარდასაჭერად, რათა პირდაპირი თუ ირიბი გზებით აღნიშნული ინფორმაცია სწორად მისულიყო სამიზნე ჯგუფამდე.

საგრანტო პროგრამის *სამიზნე ჯგუფს* წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები (საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვით), რომლებიც:

- საზღვარგარეთ იმყოფებოდნენ ერთ წელზე მეტი ვადით არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდათ განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდნენ თავშესაფრით;
- სამშობლოში დაბრუნებიდან 1 წლის განმავლობაში დარეგისტრირდებოდნენ "საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

პროგრამის *რეგიონული დაფარვა:* ქ. თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა, გურია.

"საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" 2016 წლის პროგრამა წარედგინა საგრანტო კომისიას, რის საფუძველზეც მან შეიმუშავა საგრანტო კონკურსის გამოცხადებისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია: (საგრანტო განცხადება, საგრანტო მიმართულებების აღწერილობა, საგრანტო განაცხადის ფორმა, საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმები, დანართი N1 - საგრანტო წინადადების ფორმა, დანართი N2- სამოქმედო გეგმის ფორმა, დანართი N3 - ბიუჯეტის ფორმა).

საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი, ისევე როგორც გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხები რეგულირდებოდა გრანტის გაცემის წესის მე-12 (1), მე-16 (1) და მე-18 (6) მუხლებით.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გაცემის წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული იყო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნების ნორმები. კერძოდ, კომისიას, გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადებისათვის, უნდა შეედგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შემდგომ, სააგენტოს უნდა გამოექვეყნებინა განცხადებას გრანტის

გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. გრანტის გაცემის წესის მიხედვით, საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გრანტის გამცემის დასახელება;
- შესაბამისი სფეროს დასახელება, საქმიანობის/მომსახურების აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შეფასების კრიტერიუმები;
- საგრანტო ვადა;
- გრანტის მაქსიმალური ოდენობა;
- საგრანტო წინადადება და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
- განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.

გრანტის გაცემის წესის შესაბამისად, სამინისტრომ **2016 წლის 7 მარტს "საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების"** 2016 წლის პროგრამის ფარგლებში, ემიგრაციიდან დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეების რეინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ სამინისტროს ვებ-გვერდზე და, დამატებით, Facebook-გვერდზეც გამოქვეყნდა.[33]

საკვალიფიკაციო მოთხოვნები იყო შემდეგი:

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლო არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, ან მის ფილიალს, რომელიც დაინტერესებულია სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხით.
2. განმცხადებელს ჰქონდა თითოეულ მიმართულებაზე არაუმეტეს ერთი განაცხადის წარმოდგენის შესაძლებლობა;
3. განმცხადებელს შეეძლო წარმოედგინა განაცხადი ერთ ან მეტ მიმართულებაზე;
4. საგრანტო განაცხადით მოთხოვნილი გრანტის მოცულობა არ უნდა ყოფილიყო საგრანტო პროგრამის შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული დაფინანსების ზედა ზღვარზე მეტი.

ამასთან, საგრანტო განაცხადი გულისხმობდა რამდენიმე დოკუმენტის შევსებული სახით წარდგენას და შედგებოდა შევსებული საგრანტო განაცხადის ფორმის და თანდართული დოკუმენტაციისგან (დანართი 1, დანართი 2, დანართი 3). გარდა აღნიშნული დანართებისა, თანდართული უნდა ყოფილიყო ქვემოთ მოცემული დოკუმენტები:

1. განმცხადებლის დებულება/წესდება;
2. ამონაწერი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ;
3. საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა;
4. რეკომენდაცია პარტნიორი ორგანიზაციისგან/დონორისგან (არანაკლებ ერთისა).

ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან, ერთ-ერთი დოკუმენტის წარმოუდგენლობაც კი საგრანტო კომისიის მიერ განაცხადის განხილვაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა.

განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებს სამინისტროში საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის შექმნილი საგრანტო კომისია განიხილავდა, რომლის შემადგენლობაშიც როგორც სამინისტროს, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიოდნენ. კომისია თითოეულ საგრანტო მიმართულებაზე გამარჯვებულს შეჯიბრებითობის, გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით გამოავლენდა.

[33] http://mra.gov.ge/geo/news/show/189/10190

7 მარტს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mra.gov.ge. განთავსდა დეტალური ინფორმაცია, კერძოდ, განცხადება საგრანტო კონკურსის შესახებ, საგრანტო პროგრამა - #001-2016, მისი მიმართულებების აღწერილობა, განაცხადის, საგრანტო წინადადების, სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის ფორმები, აგრეთვე, წინადადების შეფასების კრიტერიუმები.

გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით, საგრანტო განაცხადი კომისიისთვის უნდა წარედგინათ სამინისტროს იურიდიულ მისამართზე. აპლიკანტებს სრულად შევსებული განაცხადები უნდა წარედგინათ ადგილზე მიტანით, კერძო კურიერის ან დაზღვეული წერილის საშუალებით. დაზღვეული წერილის შემთხვევაში საგრანტო განაცხადის წარდგენის თარიღად თვლიდა სამინისტროში (საარსებო წყაროების სააგენტოში) წერილის მიტანის თარიღს. განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 21 მარტი, 18:00 ადგილობრივი დროით. ამ ვადის დარღვევით შეტანილი განაცხადები აღარ განიხილებოდა.

2016 წელს საგრანტო განაცხადების წარდგენა ხდებოდა დალუქული კონვერტებით, რომლებიც შემდეგ გადაეცემოდა კომისიას შემდგომი განხილვისთვის და მათი გახსნა ხდებოდა კომისიის სხდომაზე.

7 მარტს კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებით დევნილთა და განსახლების მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ ბრიფინგი გამართა. იმავე დღეს მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც შეხვდა და კონკურსის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. 10 მარტს მან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა ბათუმში.[34] გარდა ამისა, არასამთავრობო სექტორის ინფორმირების მიზნით საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა ქ. გორში, ქ. ახალციხესა და ქ. ზუგდიდში, სადაც ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამის არსის, განხორციელების პროცესის, საგრანტო კონკურსის პროცედურებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. გარდა ამისა, აპლიკანტებს საშუალება ჰქონდათ ელ.ფოსტით გაეგზავნათ დამატებითი კითხვები.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტის გაცემის წესის მე-7 მუხლით, სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, მინისტრი ქმნის საგრანტო კომისიას, რომელიც:

- ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ადგენს დამატებით კრიტერიუმებს წარმოდგენილ საგრანტო წინადადებათაგან გამარჯვებულის გამოსავლენად;
- ადგენს და აქვეყნებს განცხადებას საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- იღებს საგრანტო განაცხადებს და ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას კანონმდებლობასთან;
- იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადისა და წინადადების განუხილველად დატოვების შესახებ;
- განიხილავს საგრანტო წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;
- ასრულებს გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული იყო კომისიის მუშაობის წესები, მ.შ. ამ წესის მე-8 მუხლი ითვალისწინებს ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს, კერძოდ, საგრანტო კონკურსის ჩატარებისას, კონკრეტული საგრანტო განაცხადის განხილვაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა კომისიის წევრს ან/და მიწვეული ექსპერტს, თუ ის განმცხადებელი ან საგრანტო წინადადებაში

[34] http://mra.gov.ge/geo/news/show/189/10198

მითითებული პირის ხელმძღვანელი ან მართვის ორგანოს წევრი მისი ახლო ნათესავი, ან მისი ახლო ნათესავის წარმომადგენელი იყო; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იყო; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობაზე (მმართველობაზე) პასუხისმგებელი ორგანოს წევრი იყო, ან შრომით ურთიერთობაში, პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული იყო განმცხადებელთან. ახლო ნათესავად ითვლებოდა: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავი და და/ძმა; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და/ძმა; და/ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

გრანტის გაცემის წესის თანახმად, კომისიის წინაშე აცილების საკითხი შეიძლება დაეყენებინა კომისის წევრს ან განმცხადებელს. კომისიის წევრი, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ განეცხადებინა თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. კომისია კენჭს უყრიდა თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებდა კომისის ის წევრი, რომელმაც დააყენებდა თვითაცილებას/რომლის მიმართაც დაყენებული იქნებოდა აცილება. კომისიის წევრი აცილებულად/თვითაცილებულად ითვლებოდა კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, მინისტრის N1391 ბრძანებით[35] 2016 წლის 2 მარტს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ როგორც სამინისტროს თანამშრომლები, ისე მიგრაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მინისტრის აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარ იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იყო მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი, ხოლო წევრები იყვნენ მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის, საფინანსო დეპარტამენტისა და იურიდიული დეპარტამენტისა თანამდებობის პირები. კომისიის წევრები ასევე იყვნენ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცის (IOM), დანიის ლტოლვილთა საბჭოსა (DRC) და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენლები.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კომისიის წევრებს განცხადება არ გაუკეთებიათ.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

გრანტის გაცემის წესის მე-12 მუხლით, სახელმწიფო გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადებისათვის კომისია ადგენდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შემდეგ კი აქვეყნებდა განცხადებას სახელმწიფო გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლით, კომისიას საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დაედგინა საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად. თუ ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებდა საკონკურსო განაცხადის პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დეპარტამენტის უფროს ამის თაობაზე წერილობით აცნობებდა კომისიას და ორგანიზაციის საგრანტო განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. კომისიას უფლება ჰქონდა, საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებლისთვის მოეთხოვა საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგინა ამ ცნობას, კომისია მიიღებდა გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე, დავალიანების მოცულობის გათვალისწინებით.

[35] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანება N 1391 „საგრანტო კომისიის შექმნისა და საგრანტო პროგრამის დამტკიცების თაობაზე", 2016 წლის 2 მარტი

2016 წელს საგრანტო განაცხადები და წინადადებები შეფასდა წინასწარ დადგენილი და შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული. საგრანტო წინადადებები ფასდებოდა კომისიის მიერ ცალ-ცალკე საგრანტო პროგრამით თითოეული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულების ზღვრული მოცულობის მიხედვით, და გამარჯვებულის გამოვლენა ხდებოდა გრანტის გაცემის წესის მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილი წესებით.

კრიტერიუმი	შეფასების მაქსიმალური ქულა
წარმოდგენილი საგრანტო წინადადების ხარისხი **– არსებული მდგომარეობა** - რამდენად სწორად არის აღქმული და გააზრებული ორგანიზაციის მხრიდან საგრანტო პროგრამითა და შესაბამისი მიმართულებით გათვალისწინებული საკითხის ირგვლივ არსებული მდგომარეობა; **– პროექტის მიზანი** - რამდენად პასუხობს დასახული მიზნები საგრანტო პროგრამის მიზნებს; **– პროექტის ღონისძიებების განხორციელების გზები** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები რამდენად ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან და რამდენად თანხვედრაშია დასახულ მიზნებთან; **– რისკები** - რამდენად რეალისტურად არის შეფასებული პროექტთან დაკავშირებული რისკები და რამდენად რელევანტურია რისკის შემცირების დასახული გზები და ღონისძიებები; **– პროექტის მოსალოდნელი შედეგები და პროექტის მდგრადობა** - რამდენად უზრუნველყოფს პროექტის მოსალოდნელი მოკლევადიანი შედეგები გრძელვადიან შედეგებამდე მისვლას და რამდენად მიიღწევა დასახული მიზნები; **– ვადები** - პერიოდულობის მიხედვით რამდენად დროულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და რამდენად ქმნის საქმიანობის მთელი პროცესის ლოგიკურ ჯაჭვს.	**50 ქულა** 5 ქულა 10 ქულა 10 ქულა 10 ქულა 5 ქულა 10 ქულა
ორგანიზაციის გამოცდილება – ორგანიზაციის გამოცდილება, მათ შორის, რელევანტურ სფეროში (ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ).	**10 ქულა**
ადამიანური რესურსი – პროექტის ხელმძღვანელის გამოცდილება პროექტების დაგეგმვაში, განხორციელებასა და შედეგების შეფასებაში; – პროექტის სხვა ძირითადი თანამშრომლების გამოცდილება და ცოდნა სფეროსთან მიმართებაში. (რამდენად რელევანტურია წარმოდგენილი ადამიანური რესურსი პროექტის წარმატების განხორციელებისთვის).	**20 ქულა**
ხარჯვის დაგეგმვის ეფექტურობა – რამდენად რეალისტურია წარმოდგენილი ბიუჯეტის სტრუქტურა იმ შედეგების მისაღწევად, რომლებიც ასახულია საგრანტო წინადადებაში (მათ შორის პროექტის ადმინისტრირებისათვის განკუთვნილი თანხის ხარჯვა).	**20 ქულა**
ჯამი:	**100 ქულა**

საგრანტო პროგრამა ითვალისწინებდა წარმოდგენილ განაცხადში ხარვეზის შევსების/ გასწორების წესებს, გრანტის გაცემის წესის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, კომისიას შერჩევის პროცესში შეეძლო მიეღო საგრანტო განაცხადში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების გადაწყვეტილება, რომლის ვადები დადგენილი იყო საგრანტო პროგრამის მნიშვნელოვანი ვადების პუნქტში. აგრეთვე, გრანტის გაცემის წესის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილი იყო, საგრანტო განაცხადის შერჩევისას, კომისიის სხდომაზე მიეწვია განმცხადებელი, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის დაზუსტების/განმარტების მიზნით.

სულ შემოსულ იქნა 13 განაცხადი 10 ორგანიზაციისგან, განაცხადს, რომელიც საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, უარი ეთქვა განხილვაზე, ხოლო დანარჩენ განაცხადებს მიეცა ხარვეზების გამოსწორების ვადა, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ხარვეზების აღმოფხვრის შემდგომ, კომისიის წევრები გაეცნენ განაცხადსა და წარმოდგენილ დოკუმენტაციას. დადგენილი კრიტერიუმებისა და შესაბამისი ქულების მიხედვით შეაფასეს საგრანტო განაცხადები, რის შედეგადაც, ჯამური მაჩვენებლით გამოვლინდა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 14 აპრილის N1725 ბრძანებით დამტკიცდა საუკეთესო საგრანტო განაცხადი. შესაბამისად, გამოვლინდა თითოეულ საგრანტო მიმართულებაზე გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია.

საგრანტო მიმართულება	სულ შემოსული განაცხადები	უარი განხილვაზე	ხარვეზებით	გამოსწორებული ხარვეზები	საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება
0100	5	1	4	4	3
0200	1	0	1	1	0
0300	1	0	1	1	0
0400	3	0	3	3	2
0500	1	0	1	1	0
0600	2	0	1	1	1

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

2016 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში საგრანტო განაცხადები განიხილა და შეჯიბრებითობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით გამარჯვებულები გამოავლინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა საგრანტო კომისიამ. გრანტის გაცემის წესის მე-19 მუხლით, საგრანტო წინადადებების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულებულიყო და გამარჯვებული გამოვლენილიყო საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგები სამინისტრომ 2016 წლის 29 მარტს გამოაცხადა. ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდით გავრცელდა[36] და მასში ნათქვამი იყო, რომ **"საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების"** 2016 წლის პროგრამის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 6 არასამთავრობო ორგანიზაცია გამოვლინდა. საგრანტო პროგრამა 6 საგრანტო მიმართულებას მოიცავდა და დაფინანსების საერთო მოცულობა 600 000 ლარს შეადგენდა. საგრანტო განაცხადები, დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, საგრანტო კომისიამ შეაფასა, რომლის შემადგენლობაში როგორც სამინისტროს, ისე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდნენ.

გამოქვეყნდა კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და შესაბამისი საგრანტო მიმართულებების ჩამონათვალი:

1. თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი (სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა) - **ა(ა)იპ საზოგადოებრივი დამცველი**;
2. შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი (სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა) - **ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია "ტოლერანტი"**;
3. სამეგრელო-ზემო სვანეთი (სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა) - **ა(ა)იპ საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"**;
4. აჭარა, გურია (სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა) - **ა(ა)იპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - ბათუმი**;
5. იურიდიული დახმარება (საქართველოს მთელი ტერიტორია) - **ა(ა)იპ ახალგაზრდა ადვოკატები**;
6. საზოგადოების ინფორმირების პროგრამა (საქართველოს მთელი ტერიტორია) - **ა(ა)იპ ვიპიარ ჯგუფი**.

[36] http://www.mra.gov.ge/geo/news/show/189/10208

სამინისტროს მიერ შემუშავდა საგრანტო ხელშეკრულებების პროექტები, რომლებიც კანონმდებლობის თანახმად წარედგინა საქართველოს მთავრობას (N0100, N0200, N0300, N0400, N0600) შესაბამისი განკარგულების გამოცემის მიზნით და საქართველოს პრემიერ-მინისტრს (N0500) წინასწარი თანხმობის მისაღებად. მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2016 წლის 27 მაისის N12877 თანხმობით N0500-2016 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და N0100-2016, N0200-2016, N0300-2016, N0400-2016, N0600-2016 ხელშეკრულებებთან დაკავშირებით **საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის N971 განკარგულებით.**

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

2016 წლის სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამაში კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი არ იყო გაწერილი. საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელი იყო დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჩივრის წარდგენის გზით, შემდეგ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის წარდგენის გზით. საგრანტო კონკურსის ფარგლებში კონკურსის შედეგების გასაჩივრება არ მომხდარა.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით განსაზღვრული იყო მონიტორინგის პრინციპები და წესები, კერძოდ, მონიტორინგი ტარდებოდა ანგარიშგების მასალების და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

გრანტის გაცემის წესით, გრანტის გამცემი, დეპარტამენტის მეშვეობით, ამოწმებს საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობას, გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე. გრანტის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულებაში დადგენილი პერიოდულობით გრანტის გამცემისთვის წარედგინა საგრანტო პროგრამის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიში. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დასრულებული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღების შესახებ; გრანტის გაცემის სფეროს, მიზნების, ამოცანების და სამიზნე ჯგუფის შესახებ; გრანტის მოცულობის შესახებ; საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ; გრანტით მიღწეული მიზნების შეფასების შესახებ; დანახარჯების შესახებ.

საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირი შემოწმების შედეგად მომზადებულ მონიტორინგის დასკვნის პროექტი წერილობით უნდა წარედგინა კომისიისთვის საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას შესათანხმებლად წარუდგენდა მინისტრს. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გრანტის გამცემი უფლებამოსილი იყო, გრანტის მიმღებისთვის გაეწია რეკომენდანცია (სამუშაოს შესრულების/მომსახურების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზება), რომელიც ხელს შეუწყობდა მიზნების უკეთ მიღწევას.

გარდა ამისა, გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით გათვალისწინებული იყო საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის, ხოლო 24-ე მუხლით - გრანტის გამოუყენებელი ნაწილის დაბრუნების პირობები.

გრანტის გაცემის წესში მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულება, აგრეთვე, გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმები გათვალისწინებული არ იყო.

2016 წლის 30 და 31 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულებები საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ხელშეკრულების დანართს წარმოადგენდა საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი 3 ძირითადი დოკუმენტი: საგრანტო წინადადება, სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდად განისაზღვრა 10 თვე 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ხელშეკრულებებით დარეგულირდა თანამშრომლობის ფორმატი სამინისტროსა და გრანტის მიმღებ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განისაზღვრა როგორც გრანტის მიმღების უფლება-მოვალეობები პროგრამის იმპლემენტაციის პროცესში განსახორციელებელ აქტივობებთან, ადამიანურ რესურსთან, საგრანტო თანხის გამოყენებასთან დაკავშირებით, ისე გრანტის გამცემის უფლებები და ვალდებულებები გრანტის მიმღების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად და ხელშეკრულების შესრულების მდგომარეობის შემოწმების მიზნით შესაბამისი მოქმედებების შესახებ. დარეგულირდა ანგარიშსწორების პირობები, პერიოდულობა და პროცედურები.

ხელშეკრულებების თანახმად, გრანტის მიმღები პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, გრანტის მიმღები ყოველთვიურად ანგარიშვალდებული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინაშე. წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე სამინისტროს მიერ ხორციელდებოდა ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი დასკვნების შემუშავება.

სამინისტროს მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს მიერ ხორციელდებოდა სამინისტროსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესრულების შემოწმება, რის შედეგადაც დგებოდა მონიტორინგის დასკვნა და შემაჯამებელი დასკვნა. შემაჯამებელი დასკვნის საფუძველზე მხარეებს შორის ფორმდებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პერიოდული პროგრამული და ფინანსური ანგარიშების საფუძველზე, 2016 წლის აგვისტოსა და ნოემბერის თვეებში მომზადდა შუალედური მონიტორინგის დასკვნები, ხოლო საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიშების წარდგენის შემდეგ, პროექტის მონიტორინგის საბოლოო დასკვნები.

მონიტორინგის დასკვნები წერილობით წარედგინებოდა საგრანტო კომისიას გადაწყვეტილების მისაღებად, რის საფუძველზეც გრანტის გამცემი, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გრანტის მიმღებს წარუდგენდა რეკომენდაციას საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საგრანტო თანხის პირველი ნაწილის (საგრანტო თანხის 30%) გადარიცხვა გრანტის გამცემის მიერ განხორციელდა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2 კვირის ვადაში გრანტის მიმღების მიერ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

პირველი გადარიცხვის შემდგომ, მომდევნო 2 გადარიცხვა (საგრანტო თანხის 40% და 30%) განხორციელდა გრანტის გამცემის მიერ, მომზადებული შუალედური მონიტორინგის დასკვნების, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებისა და გრანტის მიმღების მიერ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2016 წელს დადებულ ხელშეკრულებებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

მონიტორინგის დასკვნების შედეგად, საანგარიშო პერიოდში გრანტის მიმღების მიერ თანხის მიზნობრივი ათვისება დასტურდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებით.

საბოლოო მონიტორინგის დასკვნების შემდგომ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით სრულად დადასტურდა ხელშეკრულების ფარგლებში ათვისებული თანხები და მოხდა აუთვისებელი თანხების უკან დაბრუნება გრანტის გამცემის სახაზინო ანგარიშზე.

მონიტორინგის დასკვნებიდან ირკვევა, რომ პროგრამის განსახორციელებლად საბიუჯეტო სახსრებიდან გამოყოფილი 600 000 ლარიდან მიზნობრივად დახარჯულ იქნა თანხის 93 პროცენტზე მეტი, დანარჩენი თანხა კი სრულად იქნა დაბრუნებული სახელმწიფოს სახაზინო ანგარიშზე.

ა(ა)იპ "საზოგადოებრივ დამცველი"	ლარი	%
სულ დარიცხული	190500	100%
ათვისებული თანხა	184391,34	96.79%
აუთვისებელი თანხა	6108,66	3.21%

ა(ა)იპ "სამცხე-ჯავახეთის რეგიონალურ ასოციაცია ტოლერანტი"	ლარი	%
სულ დარიცხული	106500	100%
ათვისებული თანხა	100175,24	94.06%
აუთვისებელი თანხა	6324,76	5.94%

ა(ა)იპ "საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრი აფხაზეთი"	ლარი	%
სულ დარიცხული	106500	100%
ათვისებული თანხა	93947,3	88.22%
აუთვისებელი თანხა	12552,7	11.78%

ა(ა)იპ "კავშირი წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრ - ბათუმი"	ლარი	%
სულ დარიცხული	106500	100%
ათვისებული თანხა	100769,7	95%
აუთვისებელი თანხა	5730,35	5%

ა(ა)იპ "ახალგაზრდა ადვოკატები"	ლარი	%
სულ დარიცხული	20000	100%
ათვისებული თანხა	11581,21	57.9%
აუთვისებელი თანხა	8418,79	42.1%

ა(ა)იპ "ვიპიარ ჯგუფი"	ლარი	%
სულ დარიცხული	70000	100%
ათვისებული თანხა	69989,44	99.98%
აუთვისებელი თანხა	10,56	0.02%

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

გრანტის გაცემის წესი გრანტის პროგრამული და ფინანსური შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას და ასეთი შეფასებების განხორციელებას, ისევე, როგორც საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მის მექანიზმებს, არ ითვალისწინებდა. 2016 წელს საგრანტო პროგრამების პროგრამული და ფინანსური შეფასება ხორციელდებოდა როგორც 2015 წლის 18 თებერვალის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის №246 ბრძანების ,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის '' 22-ე მუხლის ისევე გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

2016 წლის საგრანტო პროგრამის შეფასება მოხდა 2017 წელს მიგრაციისა და რეპატრიაციის სამმართველოს მიერ შედგენილი "საგრანტო პროგრამის ანგარიშით",[37] რომელიც მოიცავდა 30.05.2016-31.03.2017 პერიოდს.

თითოეული საგრანტო პროგრამის ბენეფიციართა კმაყოფილების შეფასება ხორციელდებოდა სპეციალური კითხვარებით, თითოეულ ბენეფიციართან სატელეფონო კავშირის მეშვეობით.

[37] "საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის 30.05.2016-31.03.2017 ანგარიში

III. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო / სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) შეიქნა 2014 წელს. სააგენტოს მიზანია დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა. მიზნის მისაღწევად სააგენტო შეიმუშავებს, ახორციელებს და აფასებს საარსებო წყაროების პროგრამებს, რომლებიც მაქსიმალურად არის მორგებული დევნილთა საჭიროებებსა და მოთხოვნებზე. სააგენტო უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამების განხორციელებისთვის სათანადო ფინანსური რესურსების მოპოვებასა და მართვას.

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის №2883 ბრძანებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ",[38] ამდენად, ის ძალაში შევიდა 2016 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ჩატარების შემდგომ პერიოდში. (შემდგომში - სააგენტოს გრანტის გაცემის წესი). 2016 წლის დასაწყისში, როდესაც ჩატარდა საგრანტო კონკურსები, მოქმედებდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის №246 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესი"[39] (შემდგომში - გრანტის გაცემის წესი).

სააგენტოს გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მიხედვით, საგრანტო პროგრამის შემუშავება ხდება სააგენტოს ან დონორი ორგანიზაციაის მიერ. საგრანტო პროგრამის შემუშავება ხდება სააგენტოს კომპეტენციის სფეროში დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ის უნდა მოიცავდეს:

- საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის დასახელებას, რომელთა უზრუნველსაყოფად გამიზნულია სააგენტოს მიერ გრანტის გაცემა;
- გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობას;
- საგრანტო ვადას;
- დაფინანსების ზღვრულ ოდენობას;
- თითოეული საგრანტო წინადადების დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
- დაფინანსების წყაროს.

დევნილთა საარსებო წყაროების გაუმჯობესების მიზნით, 2015-2016 წლებში სააგენტომ შეიმუშავა **"დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა"** #01-2016, რომელიც იყო დამტკიცებული ერთიანი სტრუქტურირებული პროგრამის სახით, შეესაბამებოდა სააგენტოს მიზნებს და მისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების მიზნობრიობას. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში და პარტნიორი სახელმწიფო უწყებები. პროგრამა დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 თებერვლის N583 ბრძანებით.

ამასთანავე, საგრანტო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობის თვალსაზრისით, საყურადღებოა სააგენტოს მართვის მექანიზმიც:

[38] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3404566?publication=0
[39] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3061472?publication=0

სააგენტოს საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებსა და საქმიანობის სტრატეგიას განსაზღვრავს *მმართველი საბჭო,* რომლის წვერებიც არიან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანამდებობის პირები. საბჭოს სხდომებზე, გამჭვირვალობისა და მეტი ეფექტურობისთვის, შესაძლებელია სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნენ დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე საბჭოს არაწევრი, სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და ქართველი და უცხოელი ექსპერტები.

სააგენტო საარსებო წყაროების პროგამების შექმნისას ხელმძღვანელობს დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით. სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელებას ხელს უწყობს დევნილთა სამინისტროში მოქმედი, *დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭო.* სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამთავრობო უწყებებისა და სააგენტოებისგან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. იგი უფლებამოსილია კონკრეტული საკითხების აქტუალურობიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, შექმნას თემატური სამუშაო ჯგუფები და დაავალოს მათ სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის სტანდარტების, კრიტერიუმებისა და სამართლებრივი საკითხების შემუშავება; საჭიროების შემთხვევაში მოამზადოს წინადადებები და რეკომენდაციები სამოქმედო გეგმის ცვლილებებთან დაკავშირებით.

სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციებს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებებს იღებს *უწყებათაშორისი კომიტეტი.* კომიტეტი ასევე, მონიტორინგს უწევს და მართავს დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესს.

გრანტის გაცემის წესის მიხედვით, საგრანტო პროგრამას დირექტორი ამტკიცებს მმართველი საბჭოს მიერ მისი განხილვის შემდეგ. ამდენად, არსებობს ფორმალური შესაძლებლობები საგრანტო პროგრამების შემუშავებისას მმართველ საბჭოსა და, გარკვეულწილად, დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭოში საზოგადოების მონაწილეობისათვის.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

2016 წელს სამინისტრომ "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის" საგრანტო პროგრამის #01-2016 ფარგლებში დაგეგმა 4 გრანტის გაცემა, რისთვისაც გამოყო 250 000 ლარი. საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღების, განხილვისა და გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით 2016 წლის 3 თებერვალს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის N583 ბრძანებით დამტკიცებული იქნა აღნიშნული პროგრამა და შეიქმნა საგრანტო კომისია.

პროგრამის ზოგად მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, დევნილების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა მათ საცხოვრებელ ადგილებზე და, მეორე მხრივ, სახელმწიფოზე დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლის უზრუნველყოფა. პროგრამის კონკრეტული მიზნები იყო:

- დევნილების შემოსავლის ზრდა მათი სასოფლო სამეურნეო და სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის გზით;
- პროგრამის სამოქმედო არეალში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება.

პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები იყო:

- სასოფლო სამეურნეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს თანადაფინანსებული გრანტების გაცემის გზით სასოფლო-სამეურნეო ინიციატივების დაფინანსებას, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის/მექანიზაციის შესყიდვას;
- თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივების მხარდაჭერა, როგორიცაა მცირე ბიზნეს ინიციატივებისა და თვითკმარობაზე მიმართული პროექტები.

2016 წელს უპირატესობა ენიჭებოდა იმ განაცხადებს, რომლებშიც:

- ძირითადი აქცენტი გაკეთდებოდა იმ დევნილებზე, რომლებიც წარმოადგენენ სამინისტროს გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ბენეფიციარებს (ბენეფიციართა თაობაზე ინფორმაციის გადამოწმება შესაძლებელია სამინისტროში);
- საარსებო წყაროების ხელმისაწვდომობისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისკენ მიმართულ პროექტებში გათვალისწინებული იქნებოდა გენდერული თანასწორობის, ბავშვებთან და შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები;
- შემოთავაზებული იქნებოდა კრეატიული მიდგომები უკიდურესად მოწყვლადი დევნილების ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
- შემოთავაზებული იქნებოდა მიზნობრივ რეგიონებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტური საშუალებები. უპირატესობა მიენიჭებოდა იმ განაცხადებს, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა, ერთის მხრივ, სამიზნე რეგიონ(ებ)ში მცხოვრები დევნილების კონკურენტული რაოდენობის ჩართულობის უზრუნველყოფისა და მეორეს მხრივ, დევნილთა ინიციატივების წარდგენის გამარტივებული პროცედურებით სარგებლობის გზები. (მაგ. საზოგადოებრივი ცენტრების, სხვა სერვის ცენტრების და ა.შ. დახმარებით)

საგრანტო განაცხადის შემუშავებისას განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს სამინისტრომ შესთავაზა დასაშვები საქმიანობის შემდეგი სახეები:

1. დამწყები ბიზნესების დახმარება - სოფლის მეურნეობისა და სოციალური ინიციატივების მხარდასაჭერად;
2. სასოფლო სამეურნეო ტექნიკა-დანადგარებისა და მექანიზაციის საშუალებების შესყიდვა - გარდა იმ დანადგარებისა, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის;
3. ინოვაციური და რეალური პროექტების მხარდაჭერა, რომელთა მიზანიცაა დევნილთა აქტიური ჩართულობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია.
4. შედეგზე ორიენტირებული პროექტების წახალისება, რომლებიც ფოკუსირებულია სამიზნე ჯგუფის დევნილებისთვის მდგრადი შემოსავლის წყაროს შექმნაზე.

საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი, ისევე როგორც გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხები წინასწარ თავად პროგრამის ტექსტში არ იყო განსაზღვრული, მაგრამ რეგულირდებოდა გრანტის გაცემის წესის მე-12 (1), მე-16 (1) და მე-18 (6) მუხლებით.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გაცემის წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული იყო საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების გამოქვეყნების ნორმები. კერძოდ, კომისიას, გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადებისათვის, უნდა შეედგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის შემდგომ, სააგენტოს უნდა გამოექვეყნებინა განცხადებას გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე. გრანტის გაცემის წესის მიხედვით, საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გრანტის გამცემის დასახელება;

- შესაბამისი სფეროს დასახელება, საქმიანობის/მომსახურების აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შეფასების კრიტერიუმები;
- საგრანტო ვადა;
- გრანტის მაქსიმალური ოდენობა;
- საგრანტო წინადადება და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
- განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.

პროგრამის შემუშავების დროისათვის, სააგენტოს კანონით არ ჰქონდა მინიჭებული გრანტის გაცემის უფლება. აქედან გამომდინარე, საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის გამოცხადდა და გამარჯვებულები გამოვლინდნენ სამინისტროს სახელით (და არა სააგენტოს სახელით). საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, სააგენტომ ორგანიზება გაუკეთა პროგრამის სამიზნე რეგიონებში მოქმედ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრებს და გააცნო მათ პროგრამის ძირითადი ასპექტები.

2016 წლის 2 თებერვალს სამინისტრომ, დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საგრანტო კონკურსი გამოაცხადა.[40] სამინისტროს მიერ დევნილთა გრანტზე განაცხადის შემომტანებისთვის გამოქვეყნებულ გზამკვლევის მიხედვით, საგრანტო პროგრამა ვრცელდებოდა შემდეგ რეგიონებზე: სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი, შესაბამისად, მისი ბიუჯეტი დაყოფილი იყო ოთხ ლოტად:

ლოტი N	რეგიონები	ბენეფიციართა მინიმალური რაოდენობა	თანხის მაქსიმალური ოდენობა (ადმინისტრაციული ხარჯების ჩათვლით)	დევნილებზე გრანტის სახით გასაცემი თანხის მინიმალური ოდენობა
ლოტი #1	სამგრელო-ზემო სვანეთი	80	100 000	75 000
ლოტი #2	იმერეთი	60	75 000	56 250
ლოტი #3	შიდა ქართლი	30	37 500	28 125
ლოტი #4	ქვემო ქართლი	30	37 500	28 125

აქვე მითითებული იყო, რომ პროექტის ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო 6-დან 9 თვემდე, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯები (ანაზღაურება, ტრანსპორტირებისა თუ სხვა ზედნადები ხარჯები (გარდადაუშვებელი ხარჯებისა), არ უნდა ყოფილიყო პროექტის საერთო ბიუჯეტის 25%-ზე მეტი. გარდა ამისა, სამინისტრო იტოვებდა უფლებას, რომ ორი მსგავსი პროექტიდან (როგორც შედეგების, ისე ხარისხის თვალსაზრისით) უპირატესობა მიენიჭებინა ნაკლები ადმინისტრაციული ხარჯის მქონე საგრანტო განაცხადისთვის.

განმცხადებელი უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი; მას უნდა ჰქონოდა საარსებო წყაროების განვითარების, სოციალური პროგრამებისა და/ან დევნილებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება (ერთობლივი განაცხადების შემთხვევაში, გამოცდილებად ითვლებოდა იმ ორგანიზაციის გამოცდილება, რომელიც უფრო ადრე დარეგისტრირდა); უნდა ჰქონოდა პროგრამის მიზნების შესაბამისი პროექტის განსახორციელებლად საჭირო, დოკუმენტურად დადასტურებული მატერიალური და ადამიანური რესურსი (კერძოდ, აპლიკანტს უნდა წარედგინა საარსებო წყაროების მიმართულებით განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, შესაბამისი ბიუჯეტის მითითებით და თანამშრომელთა რეზიუმეები). ერთობლივი საგრანტო განაცხადის შემთხვევაში, ყველა კრიტერიუმი, რომელიც დაწესებული იყო მთავარი განმცხადებლ(ებ)ისათვის, იმავე ფორმითა და წესით ვრცელდებოდა თანაგანმცხადებლ(ებ)საც.

[40] http://livelihood.gov.ge/ge/finishedcontests/4-devnilta-saarsebo-tskharoebis-sheqmnis-gaumjobesebisken-mimartuli-initsiativebis-mkhardatcheris-sagranto-konkursi

განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციას შეეძლო შეეტანა განაცხადი, როგორც ერთ, ისე რამდენიმე ლოტზე. განმცხადებელს შეეძლო ამავე დროს ყოფილიყო თანაგანმცხადებელი სხვა საგრანტო განაცხადში (მაგრამ არა უმეტეს ერთისა).

აპლიკანტებისთვის სავალდებულო იყო პროექტის თანადაფინანსება (პროგრამის სავალდებულო კომპონენტი), რომელიც ყველა საგრანტო განაცხადში უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. პროგრამის მიზნებისთვის, ნებადართული იყო როგორც ფულადი, ისე არამატერიალური კონტრიბუცია. თანადაფინანსების პროცენტული რაოდენობა შეიძლება განსხვავდებული ყოფილიყო პროგრამის პრიორიტეტების მიხედვით და ყოფილიყო შემდეგი:

- მინიმუმ 30% სასოფლო-სამეურნეო ინიციატივებისთვის, როგორიცაა ხეხილისა და ბოსტნეულის ბაღების გაშენება, სხვადასვა სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანა; შინაური ცხოველების შენახვა, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის შენახვა და გადამუშავება;
- მინიმუმ 30% სოციალური პროექტებისთვის, როგორიცაა მცირე ბიზნეს ინიციატივებისა და თვითკმარობაზე მიმართული პროექტები;
- მინიმუმ 30% სასოფლო სამეურნეო მანქანა-დანადგარების შესაძენად;
- მინიმუმ 30% სასოფლო სამეურნეო იარაღების შეძენისათვის.

განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს საგრანტო განაცხადებში შეეძლოთ, განესაზღვრათ განსხვავებული თანადაფინანსების პროცენტი, თუმცა, ამავე დროს, თანამონაწილეობის მინიმალური მაჩვენებელი არ უნდა ყოფილიყო 30% -ზე ნაკლები. საგრანტო განაცხადებს, რომელიც შეეხებოდა მარტოხელა დედებს და შშმ პირებს, მიენიჭებოდათ პრიორიტეტი (გრანტის მიმღებთა მინიმუმ 40% უნდა ყოფილიყვნენ ქალები).

პროგრამის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციას არ მოეთხოვებოდა ფინანსური თანამონაწილეობა, თუმცა იმ ხარჯების დაფარვა, რომელსაც არ მოიცავდა პროგრამა, აღიქმებოდა მის კონტრიბუციად. ასეთი ხარჯები შეიძლება ყოფილიყო ოფისის ქირა (ან ოფისის შენახვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ხარჯი), კომუნალური გადასახადები და ა.შ.

გაცხადებული იყო, რომ საგრანტო განაცხადებს განიხილავდა და შეჯიბრებითობის, გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დაცვით გამარჯვებულებს გამოავლენდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მიერ შექმნილი საგრანტო კომისია, რომლის წევრებსაც სამინისტროსა და სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად დამოუკიდებელი ექსპერტები წარმოადგენენ.

განცხადება საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ, აგრეთვე, კონკურსისა და საგრანტო პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებული იყო სამინისტროს და სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე www.mra.gov.ge და www.livelihood.gov.ge, დამატებით - www.jobs.ge-ზე. სამინისტროს და სააგენტოს Facebook გვერდებზე. აპლიკანტებისთვის ხელმისაწვდომი იყო საგრანტო პროგრამა, პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების აღწერა, საგრანტო განაცხადის, საგრანტო წინადადების, პროექტის ლოგიკური ჩარჩოს, ბიუჯეტისა და თანდართული საბუთების ნუსხის ფორმები, აგრეთვე, გზამკვლევი გრანტზე განაცხადის შემტანებისთვის.

სააგენტოს გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, საგრანტო განაცხადი, შესაბამისი დოკუმენტების პაკეტის სახით, კომისიას წარედგინება სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ან იურიდიულ მისამართზე. აღნიშნული წესი გრანტის გაცემის წესის დამტკიცების (2016 წლის 30 სექტემბრის) შემდეგ ამოქმედდა, ხოლო 2016 წლის დასაწყისში გამოცხადებული საგრანტო კონკურსების დროს, მანამდე მოქმედი გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით, საგრანტო განაცხადი კომისიისთვის უნდა წარედგინათ სამინისტროს იურიდიულ მისამართზე. აპლიკანტებს სრულად შევსებული განაცხადები (3 ასლად და კომპაქტ დისკზე ჩაწერილი განაცხადის ელექტრონული ვერსიით) უნდა წარედგინათ ადგილზე მიტანით, კერძო კურიერის ან დაზღვეული წერილის საშუალებით. დაზღვეული წერილის შემთხვევაში საგრანტო განაცხადის წარდგენის თარიღად თვლიდა სამინისტროში (საარსებო წყაროების სააგენტოში) წერილის მიტანის თარიღს. განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 7 მარტი, 18:00 ადგილობრივი დროით. ამ ვადის დარღვევით შეტანილი განაცხადები აღარ

განიხილებოდა. 2016 წელს საგრანტო განაცხადების წარდგენა ხდებოდა დალუქული კონვერტებით, რომლებიც შემდეგ გადაეცემოდა კომისიას შემდგომი განხილვისთვის და მათი გახსნა ხდებოდა კომისიის სხდომაზე.

საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე, სააგენტოსა და სამინისტროს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები დევნილთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან რუსთავში, გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში. შეხვედრების დროს დამსწრე ორგანიზაციებს ჰქონდათ საშუალება დეტალურად გაცნობოდნენ პროგრამის არსს და პირობებს.

აპლიკანტებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეკითხვების გაეგზავნათ ელ. ფოსტის საშუალებით 2016 წლის 16 თებერვლამდე ელექტრონულ მისამართებზე: info@livelihood.gov.ge ან t.gavasheli@livelihood.gov.ge. ყველა შეკითხვა, შესაბამის პასუხთან ერთად 2016 წლის 23 თებერვლამდე გამოქვეყნდა შემდეგ მისამართზე: http://livelihood.gov.ge/ge/faq.

გარდა ამისა, 2016 წლის 26 თებერვალს 12:00 საათზე გაიმართა ღია კარის დღე. სააგენტომ ღია კარის დღეზე უმასპინძლა ყველა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციას. აღნიშნულ შეხვედრას დაესწრო დაახლოებით 30 დაინტერესებული ორგანიზაცია, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ დამატებითი ინფორმაცია/განმარტებები მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

"დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის" ადმინისტრირებისთვის შექმნილი საგრანტო კომისიის 2016 წლის 24 მარტის N4 ოქმის საფუძველზე სამინისტრომ **განმეორებითი კონკურსი (ლოტი #1) 2016 წლის 29 მარტს** გამოაცხადა. განაცხადების მიღების ბოლო ვადა იყო 2016 წლის 4 აპრილი, 18:00 ადგილობრივი დროით.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტის გაცემის წესის მე-7 მუხლით, სამინისტროს საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, მინისტრი ქმნის საგრანტო კომისიას, რომელიც:

- ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ადგენს დამატებით კრიტერიუმებს წარმოდგენილ საგრანტო წინადადებათაგან გამარჯვებულის გამოსავლენად;
- ადგენს და აქვეყნებს განცხადებას საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ;
- იღებს საგრანტო განაცხადებს და ამოწმებს წარდგენილი დოკუმენტების შესაბამისობას კანონმდებლობასთან;
- იღებს გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადისა და წინადადების განუხილველად დატოვების შესახებ;
- განიხილავს საგრანტო წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ;
- ასრულებს გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

გრანტის გაცემის წესით განსაზღვრული იყო კომისიის მუშაობის წესები, მ.შ. ამ წესის მე-8 მუხლი ითვალისწინებს ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს, კერძოდ, საგრანტო კონკურსის ჩატარებისას, კონკრეტული საგრანტო განაცხადის განხილვაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა კომისიის წევრს ან/და მიწვეული ექსპერტს, თუ ის განმცხადებელი ან საგრანტო წინადადებაში მითითებული პირის ხელმძღვანელი ან მართვის ორგანოს წევრი მისი ახლო ნათესავი, ან მისი ახლო ნათესავის წარმომადგენელი იყო; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იყო; იგი განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობაზე (მმართველობაზე) პასუხისმგებელი

ორგანოს წევრი იყო, ან შრომით ურთიერთობაში, პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული იყო განმცხადებელთან. ახლო ნათესავად ითვლებოდა: პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავი და და/ძმა; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და/ძმა; და/ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

გრანტის გაცემის წესის თანახმად, კომისიის წინაშე აცილების საკითხი შეიძლება დაეყენებინა კომისის წევრს ან განმცხადებელს. კომისიის წევრი, რომელსაც გააჩნია ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებული იყო, დაუყოვნებლივ განეცხადებინა თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. კომისია კენჭს უყრიდა თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებდა კომისის ის წევრი, რომელმაც დააყენებდა თვითაცილებას/რომლის მიმართაც დაყენებული იქნებოდა აცილება. კომისიის წევრი აცილებულად/თვითაცილებულად ითვლებოდა კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

2016 წელს საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2016 წლის 3 თებერვლის N583 ბრძანებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე თავმჯდომარეობდა, ხოლო კომისიის შემადგენლობაში იყვნენ როგორც სამინისტროს, ასევე, სააგენტოს თანამშრომლები და ერთი დამოუკიდებელი ექსპერტი, დანიის ლტოლვილთა საბჭოდან (DRC).

სააგენტოს ინფორმაციით[41], საგრანტო პროგრამის ფარგლებში ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. თუმცა, როგორც ირკვევა კომისიის 16 მარტის სხდომის ოქმიდან, [42] კომისიის ერთ-ერთმა წევრს განუცხადებია ინტერესთა კონფლიქტის შესაძლებლობა საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ცენტრის "აფხაზეთი" მიმართ იმ მიზეზით, რომ ის წარმოადგენდა აპლიკანტის პარტნიორ ორგანიზაციას და შეფასების ეტაპზე განაცხადის გადასვლის შემთხვევაში, ის შეიკავებდა თავს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. კომისიის 16 მარტის სხდომაზე ორგანიზაციის განაცხადი დაწუნებულ იქნა საწყის (დასაშვებობის) ეტაპზე და მისი ქულებით შეფასება კომისიის წევრების მიერ არ მომხდარა, მაგრამ 29 მარტს გამოცხადებული განმეორებითი კონკურსის დროს იმავე ორგანიზაციას კვლავ ჰქონდა შეტანილი განაცხადი, რომლის შეფასება მოხდა ქულებით. ოქმში არ არის ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კომისიის აღნიშნულმა წევრმა ამჯერადაც შეიკავებინა თავი შეფასებაში მონაწილეობისაგან (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციამ კონკურსში ვერ გაიმარჯვა).

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

გრანტის გაცემის წესის მე-12 მუხლით, სახელმწიფო გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადებისათვის კომისია ადგენდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შემდეგ კი აქვეყნებდა განცხადებას სახელმწიფო გრანტის გაცემაზე საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე.

გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლით, კომისიას საკვალიფიკაციო მოთხოვნები უნდა დაედგინა საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად. თუ ორგანიზაცია ვერ დააკმაყოფილებდა საკონკურსო განაცხადის პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მისი საგრანტო განაცხადი დარჩებოდა განუხილველი, რის თაობაზეც ეცნობებოდა წერილობით დეპარტამენტის უფროსის მიერ. კომისიას უფლება ჰქონდა საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებლისთვის მოეთხოვა საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგინა ამ ცნობას, კომისია მიიღებდა გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადის განუხილველად დატოვების თაობაზე, დავალიანების მოცულობის გათვალისწინებით.

[41] სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილი "მწვანე კავკასიას" N14/24 25.01.2019

[42] "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის" ადმინისტრირების მიზნით შექმნილი საგრანტო კომისიის 2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი N3, გვ.6

2016 წელს საგრანტო განაცხადები და წინადადებები შეფასდა წინასწარ დადგენილი და შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც "გზამკვლევში გრანტზე განაცხადის შემტანებისთვის" იყო გამოქვეყნებული. საგრანტო წინადადებები ფასდებოდა კომისიის მიერ ცალ-ცალკე საგრანტო პროგრამით თითოეული კრიტერიუმისათვის დადგენილი ქულების ზღვრული მოცულობის მიხედვით, და გამარჯვებულის გამოვლენა ხდებოდა გრანტის გაცემის წესის მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებით დადგენილი წესებით.

<u>დასაშვებობის კრიტერიუმები</u> განსაზღვრავდა დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს შერჩევის ეტაპზე:

- საგრანტო განაცხადის ფორმა შევსებულია სრულყოფილად და ყველა საჭირო დოკუმენტი თან ერთვის;
- პროექტის განაცხადი მიღებულია მათი მიღების ბოლო ვადამდე.
- პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთაღრიცხვა არ სცდება წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს;
- პროექტის განხორციელება დაგეგმილია ერთ ან რამდენიმე სამიზნე რეგიონში;
- თან ერთვის დეტალური ბიუჯეტი;
- თან ერთვის ლოგიკური ჩარჩო;
- თან ერთვის სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" ამონაწერი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ. შენიშვნა: ამონაწერი აღებული უნდა იყოს განაცხადის ჩაბარებამდე არაუმეტეს 10 დღით ადრე;
- თან ერთვის პროექტის თანამშრომლეთა რეზიუმეები;
- ორგანიზაციის წესდება;
- ცნობა საგადასახადო დავალიანების შესახებ
- ორი სარეკომენდაციო წერილი დონორი ორგანიზაციიდან;
- საარსებო წყაროების/სოციალური/დევნილებთა სამიზნე ჯგუფზე განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, შესაბამისი ბიუჯეტისა და დონორის მითითებით.

კონკურსში წარმოდგენილი 23 განაცხადიდან დასაშვებობის კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის მიზეზით განხილვის ეტაპზე არ იქნა დაშვებული 14 ორგანიზაციის განაცხადი[43], ხოლო შეფასების ეტაპზე გადავიდა 9 განაცხადი.

დისკვალიფიკაციის საფუძველი წარმოდგენილი განაცხადების ტექნიკური გაუმართაობა იყო. ცალკეულმა ორგანიზაციებმა არ წარმოადგენინეს:

- განცხადების ელექტრონული ვერსია (CD დისკი)
- მოთხოვნილი რეკომენდაციები (იყო ორის ნაცვლად მხოლოდ ერთი რეკომენდაციის წარმოდგენის შემთხვევა)
- იურიდიულად დადასტურებული დოკუმენტაცია (შესაბამის დოკუმენტში არ იყო ბეჭედი და პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები)
- ორგანიზაციის შესაძლებლობების დამადასტურებელი მონაცემები (არ იყო წარმოდგენილი ცნობა საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ)

<u>შერჩევის კრიტერიუმების</u> მიხედვით, ხორციელდებოდა აპლიკანტის მიერ პროექტის განხორციელების შესაძლებლობისა და კომპეტენციების შეფასება, შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

- აპლიკანტის გამოცდილება საარსებო წყაროების/სოციალური/დევნილთა სამიზნე ჯგუფზე მიმართული პროექტების განხორციელებაში (წარმოდგენილი განხორციელებული პროექტების საფუძველზე);
- განმცხადებელი ორგანიზაციის მართვის უნარები და პროფესიული კომპეტენცია (წარმოდგენილი რეზიუმეების საფუძველზე).

[43] "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის" ადმინისტრირების მიზნით შექმნილი საგრანტო კომისიის 2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი N3

<u>გრანტის გაცემის კრიტერიუმები</u> გამოიყენებოდა განაცხადის ხარისხის შესაფასებლად, რაც გულისხმობდა საგრანტო პროგრამის ამოცანების, დასაშვები საქმიანობებისა და შემოთავაზებული ბიუჯეტის შეფასებას.

<u>ქულებით შეფასება:</u> შეფასება ხდებოდა ნიმუშის მიხედვით, რომელიც დაყოფილი იყო სექციებად და ქვე-სექციებად. ყველა ნაწილს ჰქონდა თავისი მაქსიმალური ქულა, რომელიც გამოითვლებოდა ქვე-სექციების ქულების მიხედვით. მაქსიმალური ქულა ყველა ქვე-სექციისთვის იყო 5, სადაც 1=ძალიან ცუდი, 2=ცუდი, 3=დამაკმაყოფილებელი, 4=კარგი; 5=ძალიან კარგი.

სექცია	მაქს. ქულა
1. სამოქმედო შესაძლებლობები	**15**
1.1 აქვს თუ არა განმცხადებლისა და თანა-განმცხადებლ(ებ)ის პროექტის მართვის გამოცდილება	5
1.2 აქვს თუ არა განმცხადებლსა და თანა-განმცხადებლ(ებ)ის ტექნიკური უნარები	5
1.3აქვს თუ არა განმცხადებლისა და თანა-განმცხადებლ(ებ)ის მენეჯმენტის უნარები	5
2. საქმიანობის შესაბამისობა	**40**
2.1 შეესაბამება თუ არა საგრანტო განაცხადი საგრანტო კონკურის მიზნებს ?	5
2.2 შეესაბამება თუ არა საგრანტო განაცხადი საგრანტო კონკურსის პრიორიტეტებს?	5
2.3 შეესაბამება თუ არა საგრანტო განაცხადი სამიზნე ბენეფიციარების საჭიროებებსა და პრობლემებს?	5
2.4 შეიცავს თუ არა საგრანტო განაცხადი პრიორიტეტულ ელემენტ(ებ)ს, მაგალითად გენდერულ საკითხებს, შშმ პირთა ჩართულობას, უკიდურესად მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი დევნილების საჭიროებებსა და ა.შ.	5
2.5 არის თუ არა პროექტი განხორციელებადი და თანმიდევრული დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით?	5
2.6 არის თუ არა პროექტის რისკებისა და მათი შემსუბუქების სტრატეგია დასაბუთებული?	5
2.7 შეესაბამება თუ არა საგრანტო განაცხადით შემოთავაზებული მეთოდოლოგია პროგრამის მიზნებსა და საქმიანობას?	5
2.8 მისაღებია თუ არა მონიტორინგისა და შეფასების სქემა?	5
3. საქმიანობის ეფექტურობა და განხორციელებადობა	**20**
3.1 არის თუ არა საგრანტო განაცხადით შემოთავაზებული საქმიანობა პრაქტიკული, შესაფერისი და პასუხობს თუ არა პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს?	5
3.2 არის თუ არა სამოქმედო გეგმა გასაგები და განხორციელებადი? შეესაბამება თუ არა სამოქმედო გეგმა საგრანტო პროგრამით განსაზღვრულ ვადებს?	5
3.3 არის თუ არა პროექტის აქტივობები რეალური?	5
3.4 არისთუ არაშემოთავაზებული საქმიანობა მდგრადი? (გაითვალისწინეთ, რომ მდგრადობა გულისხმობს შემოთავაზებული პროექტისა და პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების სიცოცხლისუნარიანობას)	5
4. პროექტის მდგრადობა	**5**
4.1 ექნება თუ არა შემოთავაზებულ პროექტს მატერიალური გავლენა სამიზნე ბენეფიციარებზე?	5
5. პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთ ეფექტურობა	**10**
5.1 აქტივობები შესაბამისადაა ასახული ბიუჯეტში თუ არა?	5
5.2 სავარაუდო ხარჯებსა და მოსალოდნელ შედეგებს შორის თანაფარდობა დამაკმაყოფილებელია თუ არა?	5
საბოლოო მაქსიმალური ქულა	100

კომისიის მიერ განხილულ იქნა ორგანიზაციების განაცხადები თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე და თითოეული მათგანი შეფასდა ქულებით.

საგრანტო პროგრამა არ ითვალისწინებდა წარმოდგენილ განაცხადში ხარვეზის შევსების/ გასწორების წესებს, რაც საგრანტო კონკურსის ჩატარებისას წარმოდგენილი განაცხადების შეფასების ნაკლოვანებად შეიძლება იქნას მიჩნეული, რადგან რიგ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ყურადღება გამახვილებული იყო არც თუ მნიშვნელოვან ფორმალობებზე და ამ საბაბით არ იქნა განხილული განაცხადების შინაარსობრივი ნაწილი. განსაკუთრებით თვალშისაცემია ამგვარი ფორმალისტური მიდგომა ასოციაცია "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასიასა" და საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის მაგალითებზე.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

2016 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში საგრანტო განაცხადები განიხილა და შეჯიბრებითობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით გამარჯვებულები გამოავლინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა,

განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის ბრძანებით შექმნილმა საგრანტო კომისიამ. გრანტის გაცემის წესის მე-19 მუხლით, საგრანტო წინადადებების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულებულიყო და გამარჯვებული გამოვლენილიყო საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში.

საგრანტო განაცხადები შეფასებული იქნა საგრანტო კომისიის 2016 წლის 5 აპრილის სხდომაზე. [44] გამარჯვებულების შერჩევა მოხდა კრიტერიუმების მიხედვით, განაცხადების ქულებით შეფასების საფუძველზე, რომლებიც წინასწარ იყო გამოქვეყნებული "გზამკვლევში გრანტზე განაცხადის შემტანებისთვის". იმავე გზამკვლევში) ნათქვამი იყო, რომ საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ აპლიკანტებს წერილობით ეცნობებოდათ (3.4 საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნება. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაგეგმილი იყო 18 მარტის 18:00 სთ-მდე (3.5 წინასწარი განრიგი). გრანტის გაცემის წესის მე-18 (5) მუხლის მიხედვით, კომისია გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის თაობაზე, არაუმეტეს 1 კვირის ვადაში, წარუდგენდა მინისტრს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობებოდა დეპარტამენტის უფროსის წერილით. საგრანტო კონკურსის გადაწყვეტილებების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების ვალდებულება ადგენდა გრანტის გაცემის წესის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი.

"დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამის" **2016 წლის 2 თებერვალს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ** სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა 2016 წლის 18 მარტს,[45] ხოლო სააგენტოს ვებ-გვერდზე - 2016 წლის 4 აპრილს და მასში ნათქვამი იყო, რომ საგრანტო კონკურსი გამოცხადებული იყო 4 ლოტზე (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი), რომელთაგან ერთ-ერთ ლოტზე ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, დანარჩენ 3 ლოტზე კი გამოვლინდა გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები. გამოქვეყნდა გამარჯვებული ორგანიზაციების ჩამონათვალი:

ლოტი N1	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გამარჯვებული ვერ გამოვლინდა
ლოტი N2	იმერეთი	**ფონდი "აფხაზინტერკონტი"**
ლოტი N3	შიდა ქართლი	**ასოციაცია "სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის"**
ლოტი N4	ქვემო ქართლი	**ასოციაცია "სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის"**

განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებზე გაიცემა 3 გრანტი, რომელთა საერთო ღირებულებაც 150 000 ლარს შეადგენს. გრანტები გაიცა სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით.

29 მარტს განმეორებით გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია სამინისტროს ვებ-გვერდზე[46] 2016 წლის 11 აპრილს, ხოლო სააგენტოს ვებ-გვერდზე[47] 2016 წლის 20 აპრილს გამოქვეყნდა და მათში ნათქვამი იყო, რომ გამოვლინდა განმეორებით საგრანტო კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია: **ფონდი "აფხაზინტერკონტი".** გრანტის საერთო მოცულობამ 100 000 ლარი შეადგინა და ის გაიცა სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში შემოსული განაცხადების შეფასების შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთა შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა პროაქტიულად, სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.livelihood.gov.ge. ამას გარდა, ყველა განმცხადებელ ორგანიზაციას წერილობით ეცნობა კომისიის გადაწყვეტილება, შესაბამისი დასაბუთებით.

---

[44] "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის" ადმინისტრირებისთვის შექმნილი კომისიის 2016 წლის 5 აპრილის N5 სხდომის ოქმი

[45] http://livelihood.gov.ge/ge/contestresults/1-devnilta-saarsebo-tskharoebis-sheqmnis-gaumjobesebisken-mimartuli-initsiativebis-mkhardatcheris-sagranto-konkursis-shedegebi

[46] http://www.mra.gov.ge/geo/news/show/189/10228

[47] http://livelihood.gov.ge/ge/contestresults/2-samegrelo-zemo-svanetshi-ganmeorebiti-sagranto-konkursis-shedegebi

გრანტის გაცემის წესის მე-10 მუხლის მიხედვით, საგრანტო ხელშეკრულების პროექტი მის გაფორმებამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, წარედგინებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს წინასწარი თანხმობის მისაღებად ან განსახილველად საქართველოს მთავრობას, მთავრობის შესაბამისი განკარგულების გამოცემის მიზნით.

ამდენად, ზემოაღნიშნული პროგრამით 2016 წელს ორმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა 249981 ლარის ჯამური ღირებულების 4 საგრანტო პროექტი, რომლებიც დაფინანსდა სამინისტროს მიერ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობა და მათ მიერ მიღებული დაფინანსების ოდენობა მოცემულია ცხრილში:

№	ორგანიზაცია	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	მიღებული დაფინანსება, ლარი
1	ფონდი აფხაზინტერკონტი	2	174989
2	ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის	2	74992

2016 წელს საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული პროექტების და მათი განხორციელების შესახებ ძირითადი დეტალები გამოქვეყნდა სააგენტოს 2016-2017 წლის ანგარიშში[48] და მოიცავს ინფორმაციას როგორც ყველა გრანტის მიმღების მიერ განხორციელებული პროექტის მიზნის, სამიზნე ჯგუფის, ბენეფიციართა რაოდენობის, განხორციელების პერიოდისა და არეალის, მიღწეული შედეგებისა და ბიუჯეტის შესახებ, ასევე, ცალკეულ "წარმატების ისტორიებს".

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

"გზამკვლევში გრანტზე განაცხადის შემტანებისთვის" (3.4 საგრანტო კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნება) ნათქვამი იყო, რომ თუკი განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება უსამართლოა, მას უფლება ჰქონდა ემოქმედა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გადაწყვეტილების გასაჩივრების შიდა მექანიზმს და გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას არც გრანტის გაცემის წესი ითვალისწინებდა.

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელი იყო დაინტერესებული პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, ჯერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში საჩივრის წარდგენის გზით, შემდეგ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის წარდგენის გზით. საგრანტო კონკურსის ფარგლებში კონკურსის შედეგების გასაჩივრება არ მომხდარა.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით, აგრეთვე სააგენტოს გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით (რომელიც 2016 წლის 30 სექტემბრიდან ამოქმედდა) განსაზღვრული იყო მონიტორინგის პრინციპები და წესები, კერძოდ, მონიტორინგი ტარდებოდა ანგარიშგების მასალების და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

გრანტის გაცემის წესით, გრანტის გამცემი, დეპარტამენტის მეშვეობით, ამოწმებს საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობას, გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე. გრანტის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულებაში დადგენილი პერიოდულობით გრანტის გამცემისთვის წარედგინა საგრანტო პროგრამის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიში. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დასრულებული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღების შესახებ; გრანტის გაცემის სფეროს, მიზნების, ამოცანების და სამიზნე ჯგუფის

[48] http://livelihood.gov.ge/res/uploads/lawacts/180320044923168e.pdf

შესახებ; გრანტის მოცულობის შესახებ; საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ; გრანტით მიღწეული მიზნების შეფასების შესახებ; დანახარჯების შესახებ.

საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი პირი შემოწმების შედეგად მომზადებულ მონიტორინგის დასკვნის პროექტი წერილობით უნდა წარედგინა კომისიისთვის საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით. კომისიის თავმჯდომარე კომისიის გადაწყვეტილებას შესათანხმებლად წარუდგენდა მინისტრს. მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, გრანტის გამცემი უფლებამოსილი იყო, გრანტის მიმღებისთვის გაეწია რეკომენდანცია (სამუშაოს შესრულების/მომსახურების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზება), რომელიც ხელს შეუწყობდა მიზნების უკეთ მიღწევას.

გარდა ამისა, გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით გათვალისწინებულია საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის, ხოლო 24-ე მუხლით - გრანტის გამოუყენებელი ნაწილის დაბრუნების პირობები.

გრანტის გაცემის წესში მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულება, აგრეთვე, გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმები გათვალისწინებული არ იყო.

"გრანტზე განაცხადის შემტანებისთვის გზამკვლევის" მიხედვით, (3.5 წინასწარი განრიგი). საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერა დაგეგმილი იყო 21 მარტის 18:00 სთ-მდე. ხელშეკრულებებს გამარჯვებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ხელი მოეწერა 2016 წლის 31 მაისს. პროექტების განხორციელება დაიწო 1 ივნისიდან და ივნისის თვეში განხორციელდა პროექტების საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში. გრანტის მიმღებთან გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო მონიტორინგის ვალდებულება. საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული ორგანიზაციებისთვის შემუშავებული იქნა გრანტის პროგრამული და ფინანსური ანგარიშგების ფორმები.

2016 წელს, საგრანტო პროგრამის ფარგლებში დადგენილი წესის შესაბამისად, მონიტორინგი ორ თვეში ერთხელ ხორციელდებოდა. გრანტის მიმღები ორგანიზაციები სააგენტოში წარადგენდნენ როგორც პროგრესის, ისე ფინანსურ ანგარიშებს, პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ ფორმაში. საჭიროების შემთხვევაში ანგარიშებთან ერთად ხდებოდა დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენაც. სააგენტო, როგორც ამ პროგრამის ტექნიკურ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი უწყება, ახორციელებდა პროგრამის მონიტორინგს. სააგენტოს 2016 წელს ჰქონდა მიმდინარე საქმიანობების მონიტორინგის საინტერესო პრაქტიკა, ამ ფუნქციის აუთსორსინგზე გატანის სახით: ცალკე იყო დაკონტრაქტებული მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახორციელებდა გრანტის მიმღების მიერ გაწეული საქმიანობებზე დეტალურ დაკვირვებას და შეფასებას. 2017 წლიდან მონიტორინგის ჯგუფის დაკონტრაქტების ვალდებულება თავად გრანტის მიმღები ორგანიზაციების მიერ წარდგენილ საპროექტო განაცხადების ბიუჯეტებში იყო გათვალისწინებული. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მონიტორინგის ვიზიტების საფუძველზე დგებოდა მონიტორინგის დასკვნა, რომელიც წარედგინებოდა საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისათვის შექმნილ კომისიას. კომისია, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებდა რეკომენდაციებს, რომლებსაც ატყობინებდა პროექტის განმახორციელებელ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ბოლო ანგარიში (როგორც ფინანსური, ისე მიმდინარე) უნდა ჩაბარებულიყო 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

საგრანტო პროგრამის განხორციელების შესახებ სააგენტომ საველე ვიზიტების ფორმატით ინფორმაცია მიაწოდა დევნილებს. გარდა ამისა, ინფორმაციის გავრცელების მიზნით, გამარჯვებულმა ორგანიზაციებმა საგრანტო წინადადების შესაბამისად, ჩაატარეს საინფორმაციო კამპანია სამიზნე რეგიონებში, დაბეჭდეს და გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები.

გრანტის მიმღებ ორგანიზაციასთან გაფორმებულ საგრანტო ხელშეკრულებებში 2016 წლის 20 ოქტომბერს განხორციელდა ცვლილებების შეტანა, რომლის თანახმად, ცვლილება შევიდა ვადებთან დაკავშირებით. ცვლილება განპირობებული იყო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ გრანტის ნაწილის დაგვიანებული ჩარიცხვით.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

გრანტის გაცემის წესი გრანტის პროგრამული და ფინანსური შეფასებების მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას და ასეთი შეფასებების განხორციელებას, ისევე, როგორც საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და მის მექანიზმებს, არ ითვალისწინებდა. სამინისტროს მიერ დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრანტზე განაცხადის შემომტანებისთვის გამოქვეყნებულ გზამკვლევში[49] (3.3.2 პროექტის შეფასება) ნათქვამი იყო, რომ განმცხადებელ არასამთავრობო ორგანიზაციებს კონკურსზე უნდა წარედგინათ პროექტის ლოგიკური ჩარჩო, მიზნებისა და ინდიკატორების მითითებით. პროექტ(ებ)ის დასრულების შემდეგ სააგენტო განახორციელებდა მათ შეფასებას აღნიშნულ ლოგიკურ ჩარჩოში მოცემული წინაწარ განსაზღვრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით. გარდა ამისა, შეფასებაში იქნებოდა: განაცხადების რაოდენობა, რომელიც მიღებულია პროგრამის ფარგლებში; დაფინანსებული ინიციატივების რაოდენობა; პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარების რაოდენობა და ა.შ.

2016 წლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების შესაბამისობის შეფასება განხორციელდა საბოლოო მონიტორინგის დროს, ხოლო პროგრამის ეფექტიანობის შეფასება განხორციელდა ბენეფიციართა აზრის გამოკითხვის გზით, რისთვისაც წინასწარ შემუშავებულ იქნა შესაბამისი კითხვარი. 2017 წლის დასაწყისში გამოკითხულ იქნენ სხვადასხვა პროგრამის, მათ შორის "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის" საგრანტო პროგრამის ბენეფიციარები და, მას შემდეგ, სააგენტო ყოველწლიურად ახორციელებდა ბენეფიციართა აზრის გამოკითხვას სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ დევნილთა შორის. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით, დასაქმების ხელშეწყობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად იყო წარმოდგენილი, რის საფუძველზეც სააგენტოში შემუშავდა "დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა." აღნიშნულ საგრანტო პროგრამას სააგენტო ახორციელებს 2017 წლიდან, რომლის ფარგლებში დევნილებს თვითდასაქმების მიზნით გადაეცემათ სახელობო იარაღები.

გარდა ამისა, პროექტის დასასრულს, სააგენტო გრანტის მიმღებ ორგანიზაციებს სთხოვდა გაეანალიზებინა პროექტის განხორციელების სირთულეები და შემდგომ წელს საგრანტო პროგრამის შედგენისას ითვალისწინებდა მათ მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებს.

გზამკვლევში (2. გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერა) მოცემული იყო პროგრამის მოსალოდნელი შედეგი: "პროგრამის განხორციელების შედეგად, 200 დევნილი შეიქმნის/გაიუმჯობესებს საარსებო მდგომარეობას შემოსავლის წყაროს გაჩენის გზით. რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობოსებასა და განსახლების ადგილებზე მათ მდგრად ინტეგრაციას".

სააგენტოს 2016-2017 წლის ანგარიშის მიხედვით,[50] დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ნაყოფიერად ითანამშრომლა შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან: სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და "აფხაზინტერკონტი". ორგანიზაციებმა განახორციელეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და სააგენტოს ერთობლივი პროექტი, რომელიც მიმართული იყო სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული ინიციატივების დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2016 წლის ანგარიშში[51] მოკლედ არის აღწერილი სააგენტოს მიერ განხორციელებული "დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ

[49] http://livelihood.gov.ge/ge/finishedcontests/4-devnilta-saarsebo-tskharoebis-sheqmnis-gaumjobesebisken-mimartuli-initsiativebis-mkhardatcheris-sagranto-konkursi

[50] http://livelihood.gov.ge/res/uploads/lawacts/180320044923168e.pdf

[51] http://mra.gov.ge/res/docs/2017041019081859539.pdf

მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამის" განხორციელების პროცესი და მოყვანილია მისი შედეგების შეფასება, კერძოდ, ნათქვამია, რომ *"2016 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თანამონაწილეობრივი გრანტი გაიცა 259 ბენეფიციარზე, რომელთაგან 132 (50,9%) ქალია. ბენეფიციართა შერჩევის დროს პრიორიტეტი მიენიჭა სამინისტროს მიერ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებულ დევნილებს, რათა განხორციელდეს განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილების სწრაფი და მდგრადი ინტეგრაცია საცხოვრებელ ადგილებზე. პროგრამის თანახმად, ბენეფიციარის თანამონაწილეობა იყო მინიმუმ 30%. რიგ შემთხვევებში, პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა თანამონაწილეობა იყო მეტიც. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბენეფიცართა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ მოწყვლადი დევნილები (სოციალურად დაუცველები, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ა.შ)".*

IV. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში გრანტების გაცემის სამართლებრივი საფუძველი შექმნილია "საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის "ტ" ქვეპუნქტით, რომლის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის №1-1/282 ბრძანებით დამტკიცებულია "სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესი" (შემდგომში - გრანტის გაცემის წესი).[52]

სააგენტოს 2014 წლიდან აქვს ორი ტიპის საგრანტო დაფინანსების მექანიზმი, რომლის ბენეფიციარიც შეიძლება იყოს არასამეწარემო (არაკომერციული) იურიდიულ პირი. საგრანტო კონკურსის გარდა, გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულია გრანტის გაცემის გამარტივებული მექანიზმი[53].

გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია "გასცეს მცირე გრანტები, რომელთაგან თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 5 000 ლარს, გრანტის გაცემის წესით დადგენილიდან განსხვავებული, გამარტივებული პროცედურის დაცვით. სააგენტოს თავმჯდომარე მცირე გრანტების გაცემის წესს ამტკიცებს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით". 2015 წლის 26 ოქტომბრიდან ამ მუხლს დაემატა მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვით, "კონკურსის გამოცხადების გარეშე, თავმჯდომარე მინისტრთან შეთანხმებით უფლებამოსილია გასცეს გრანტი უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, მუნიციპალიტეტებსა და მათ მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე"[54].

გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის 1-5 პუნქტები ითვალისწინებს პერიოდულად, სააგენტოს მიზნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულებას. საგრანტო პროგრამას შეიმუშავებს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს შესათანხმებლად წარუდგენს სსიპ-ის თავმჯდომარე.

საგრანტო პროგრამა ხელს უნდა უწყობდეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული მიზნების განხორციელებას და უნდა მოიცავდეს სააგენტოს კომპეტენციის სფეროში აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის მიზანს.

საგრანტო პროგრამა უნდა მოიცავდეს:

- იმ აქტუალური და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების დასახელებას, რომელთა გადასაწყვეტად გამიზნულია სააგენტოს მიერ გრანტის გაცემა;
- გრანტის გაცემით მისაღწევი შედეგების აღწერილობას;
- საგრანტო ვადას;
- დაფინანსების ზღვრულ ოდენობას;

---

[52] აღნიშნული ბრძანება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 23 თებერვლის №1-1/73 ბრძანებით ძალადაკარგულადაა გამოცხადებული და დამტკიცებულია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის ახალი წესი.

[53] აღნიშნული ბრძანება ასევე ითვალისწინებდა 50 000 ლარიანი საგრანტო პროგრამის განხორციელების წესს და პროცედურებს, რომელიც განხორციელდა მხოლოდ 2014 წელს, შესაბამისად მონიტორინგის ანგარიშში ასახული არ არის.

[54] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2015 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება № 1-1/459 "საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის №1-1/282 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

- ცალკეული საგრანტო წინადადებების დაფინანსების მაქსიმალურ ოდენობას;
- დაფინანსების წყაროს.

საგრანტო პროგრამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების უფლებამოსილება, მინისტრთან შეთანხმებით, აქვს სსიპ-ის თავმჯდომარეს.

საგრანტო პროგრამაში ცვლილების შეტანის საფუძველი შეიძლება გახდეს საგრანტო საბჭოს გადაწყვეტილება, რაც შეიძლება განაპირობოს სააგენტოს ბიუჯეტში შეტანილმა ცვლილებამ, ასევე პროგრამაში შეტანილი საკითხის აქტუალობის ცვლილებამ ან სხვა გარემოებებმა. საგრანტო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მინისტრთან შეთანხმებით.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

2016 წელს საგრანტო პროგრამა არ შემუშავებულა, კონკურსი არ გამოცხადებლა და სააგენტომ, გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, გამარტივებული პროცედურით არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გასცა 3 მცირე გრანტი, რომელთაგან არც ერთი არ აღემატებოდა 5 000 ლარს.

სააგენტოს ცნობით, ზემოაღნიშნული გრანტების მიზნებიდან გამომდინარე, არ იყო საგრანტო პროგრამის არსებობის საჭიროება, შესაბამისად, ასეთი პროგრამა ამ კონკრეტული გრანტებისათვის 2016 წელს არ არსებობდა, საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის არ შექმნილა საგრანტო საბჭო, კონკურსის გამოცხადება სპეციალური ფორმით არ მომხდარა და საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სააგენტოს თავმჯდომარე.[55]

გრანტის გაცემის წესის საფიძველზე 2014 წლის 1 დეკემბერს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის (#47 ბრძანება "ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, პროტოტიპების შესაქმნელად, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში გასამართ ღონისძიებებში საქართველოს სახელით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გრანტების გაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე) თანახმად განისაზღვრა 2016 წელს გრანტების გაცემის პროცედურა.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლით, გრანტის გაცემის თაობაზე საქმისწარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება ყოფილიყო საბჭოს მიერ მიღებული გრანტის გაცემის წესით დადგენილი, შესაბამისი გადაწყვეტილებები, რის შემდეგ სააგენტოს შეეძლო საგრანტო კონკურსის გამოცხადება. საგრანტო განაცხადების მიღება დასაშვები იქნებოდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების სააგენტოს ვებგვერდზე განთავსების მომენტიდან. განცხადება საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნებულიყო განაცხადის მიღების ვადის ამოწურვამდე სულ ცოტა ერთ კვირით ადრე მაინც და მასში უნდა ყოფილიყო შემდეგი ინფორმაცია:

- გრანტის გამცემის დასახელება;
- შესაბამისი სფეროს დასახელება, საქმიანობის/მომსახურების აღწერა და ის მიზნები, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული გრანტის გაცემით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- შეფასების კრიტერიუმები;
- საგრანტო ვადა;

[55] სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2018 წ. 28 დეკემბრის წერილი № 02/733 ა(ა)იპ მწვანე კავკასიას

- გრანტის მაქსიმალური ოდენობა;
- საგრანტო წინადადება და წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;
- განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების თარიღი.

გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მიხედვით, საგრანტო განაცხადი ერქვა საგრანტო კონკურსის ფარგლებში, განმცხადებლის მიერ სააგენტოში შესატანი პაკეტს, რომელიც შედგებოდა შემდეგი დოკუმენტებისაგან: საგრანტო წინადადება და განმცხადებლის დებულება/წესდება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საგრანტო განაცხადი სააგენტოს წარედგინებოდა საგრანტო პროგრამაში არსებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე. დოკუმენტები უნდა ყოფილიყო შედგენილი სახელმწიფო ენაზე. სააგენტო უფლებამოსილი იყო კონკრეტული საგრანტო პროგრამის ფარგლებში მოეთხოვა დოკუმენტების წარდგენა ინგლისურ ენაზეც.

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განმცხადებელს პირადად ან/და ელ.ფოსტის მეშვეობით უნდა მიემართა სააგენტოსთვის. ელექტრონული ფორმით დოკუმენტების მიღების თარიღად და დროდ ჩაითვლებოდა მათი გამოგზავნის თარიღი და დრო, რომელიც მითითებული იქნებოდ ელექტრონულ ფოსტაზე. განაცხადი მიღებულად არ ჩაითვლებოდა, თუ განმცხადებელს არ დაუბრუნდებოდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ დოკუმენტები მიღებულ იქნა და შესაძლებელია მისი წაკითხვა.

საგრანტო განაცხადში უნდა მითითებული ყოფილიყო:

- გრანტის გამცემის დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;
- განმცხადებლის სახელი, იურიდიული/რეგისტრაციის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ელ.ფოსტა და ტელეფონი.);
- მოთხოვნა გრანტის მიღების შესახებ;
- განაცხადზე დართული დოკუმენტების ჩამონათვალი;
- განაცხადის წარდგენის თარიღი და ხელმოწერა.

2016 წელს დაფინანსების მიზანს წარმოადგენდა სამგზავრო გრანტების ფორმით და შესაბამისი აქტივობებისათვის (საპრეზენტაციო აქტივობა და ა.შ.) გაცემული დაფინანსება.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტის გაცემის წესის მე-7 მუხლი ითვალისწინებდა სააგენტოს საგრანტო პროგრამის ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების, საგრანტო განაცხადების მიღებისა და განხილვის და საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსის მონაწილის გამოვლენის მიზნით, თავმჯდომარის მიერ მინისტრთან შეთანხმებით საგრანტო საბჭოს შექმნას. საბჭოს შექმნის შესახებ თავმჯდომარის ბრძანებით უნდა განსაზღვრულიყო საბჭოს შექმნის ვადა (არაუმეტეს 3 წელი) და მისი შემადგენლობა. საბჭოს წევრად შეიძლება დანიშნულიყო სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან იურიდიული პირის წარმომადგენელი და უმაღლესი განათლების მქონე ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, გარდა სააგენტოს თანამშრომლისა ან პოლიტიკური პარტიის წევრისა. საბჭოს წევრების შრომითი ანაზღაურება დაუშვებლად იყო მიჩნეული. საბჭო შემადგენლობა შეიძლება განსაზღვრულიყო, სულ მცირე სამი წევრით, ხოლო რაოდენობა უნდა ყოფილიყო კენტი. საბჭომ შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება სათათბირო ხმის უფლებით შესაბამისი დარგის ექსპერტების მოწვევის შესახებ, რომელთა რაოდენობა უნდა ლუწი ყოფილიყო.

გრანტის გაცემის წესის მე-9 მუხლი ითვალისწინებდა ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებს, კერძოდ, საგრანტო კონკურსის ჩატარებისას, კონკრეტული საკონკურსო განაცხადის განხილვაში არ უნდა მიეღო მონაწილეობა საბჭოს წევრს და მოწვეული ექსპერტს, თუ ის იყო:

- განმცხადებელი ან საგრანტო წინადადებაში მითითებული იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მართვის ორგანოს წევრი მისი ახლო ნათესავია ან მისი ახლო ნათესავის წარმომადგენელი;

- განმცხადებელი იურიდიული პირის ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი;
- განმცხადებლის და/ან მისი ფილიალის ხელმძღვანელობაზე (მმართველობაზე) პასუხისმგებელი ორგანოს წევრი;
- შრომით ურთიერთობაშია განმცხადებელთან;
- პირადი ან საქმიანი ინტერესით დაკავშირებული განმცხადებელთან.

ახლო ნათესავად ითვლებოდა პირდაპირი ხაზის ნათესავი; მეუღლე, მეუღლის პირდაპირი ხაზის ნათესავი და და/ძმა; აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და/ძმა; და/ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

საბჭოს წინაშე აცილების საკითხი შეეძლო დაეყენებინა საბჭოს წევრს ან განმცხადებელს. საბჭოს წევრი, რომელსაც გააჩნდა ინტერესთა კონფლიქტი, ვალდებული იყო დაუყოვნებლივ განეცხადებინა თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. საბჭო კენჭს უყრიდა თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებდა საბჭოს ის წევრი, რომელიც დააყენებდა თვითაცილებას ან რომლის მიმართაც დაყენებული იქნებოდა აცილება. საბჭოს წევრი აცილებულად/თვითაცილებულად ითვლებოდა საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

სააგენტოს საბჭოსთვის დასამტკიცებლად უნდა წარედგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საგრანტო წინადადების რეკვიზიტები, გამარჯვებული წინადადების შერჩევის კრიტერიუმები და საგრანტო განაცხადის ფარგლებში წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი. საბჭოს მიერ მათი დამტკიცების შემდეგ სააგენტოს შეეძლო საგრანტო კონკურსის გამოცხადება.

2016 წელს გრანტების გაცემის მიზნით შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება არ განხორციელებულა, რაც მოქმედი (ზემოაღწერილი) რეგულაციების თანახმად არ გახდა საჭირო.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლით, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად, უნდა წინასწარ დაედგინა საბჭოს. განმცხადებელი, რომელიც ვერ დააკმაყოფილებდა საკონკურსო განაცხადის პირობებს და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, უნდა ყოფილიყო დისკვალიფიცირებული. საბჭოს უფლება ჰქონდა, საგრანტო კონკურსის მიმდინარეობისას განმცხადებლისთვის მოეთხოვა საგადასახადო დავალიანების მდგომარეობის ამსახველი ცნობა. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი ვერ წარმოადგენდა ასეთ ცნობას, საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას საგრანტო განაცხადის დისკვალიფიკაციის თაობაზე. საგადასახადო დავალიანების არსებობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება საგრანტო განაცხადის დისკვალიფიკაციის თაობაზე, დავალიანების მოცულობის გათვალისწინებით.

გრანტის გაცემის წესის მე-18 მუხლით, საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმები, საგრანტო პროგრამის მიზნების შესაბამისად, უნდა განესაზღვრა საბჭოს. საგრანტო წინადადების შეფასების კრიტერიუმები უნდა გამოქვეყნებულიყო საგრანტო კონკურსის შესახებ განცხადებაში სააგენტოს ვებგვერდზე.

გრანტის გაცემის წესის იმავე მუხლით დადგენილი იყო საგრანტო წინადადების შეფასების მინიმალური 2 კრიტერიუმი: დასმული საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის მეთოდი და საგრანტო წინადადების შესრულების ვადა. დამატებითი შეფასების კრიტერიუმებს, საგრანტო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაამტკიცებდა საბჭო.

გრანტის გაცემის წესის მე-11 მუხლის მიხედვით, სააგენტოს საგრანტო წინადადების შესაფასებლად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით უნდა მოეწვია დამოუკიდებელი ექსპერტი ან ექპერტები. სააგენტოს მათთვის უნდა წარედგინა საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო ექსპერტი ვალდებული იყო წარმოედგინა წერილობითი დასკვნა სააგენტოს მიერ

განსაზღვრულ გონივრულ ვადაში. ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოუდგენლობა, ასევე დასკვნის დაგვიანებით ან/და არასრულყოფილად წარმოდგენა ხელს არ უშლიდა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2016 წელს რეგულაციების შესაბამისად აღნიშნული პროცედურების განხორციელება საჭირო არ გახდა.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მიხედვით, სააგენტოს დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე საბჭო უფლებამოსილი იყო საგრანტო განაცხადი გამოეცხადებინა დისკვალიფიცირებულად, რომლის შემდგომ დოკუმენტაცია გასწორებას/შევსებას არ ექვემდებარებოდა. ამასთან, საბჭოს არ უნდა მოეხდინა განმცხადებლის დისკვალიფიკაცია, თუ მის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი შეიცავდა ისეთ უზუსტობებს, რომლებიც არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა საკონკურსო განაცხადის პირობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

გრანტის გაცემის წესის მე-19 მუხლით, საგრანტო განაცხადის შერჩევის მიზნით, სააგენტოს უნდა შეემოწმებინა, შეესაბამებოდა თუ არა წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თითოეული განაცხადის დისკვალიფიკაციის თუ განსახილველად მიღების საკითხი საბჭოს უნდა გადაეწყვიტა კენჭისყრით. დისკვალიფიკაციის გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო დასაბუთებული და მასში კონკრეტულად უნდა მითითებულიყო დისკვალიფიკაციის საფუძველი. განაცხადი ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, თუ ის არ აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან:

- განმცხადებელმა არ წარადგინა დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილი იყო საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის;
- განმცხადებელმა არ წარადგინა დოკუმენტი, რომლის წარდგენაც მოითხოვა სააგენტომ/საბჭომ, ან ამ დოკუმენტის წარდგენის მიუხედავად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საგრანტო განაცხადის დისკვალიფიკაციის თაობაზე;
- წარმოდგენილი დოკუმენტი არ იყო კანონმდებლობით დადგენილი ფორმის;
- ერთი სუბიექტის მიერ წარმოადგენილი იყო ერთზე მეტი საგრანტო წინადადება;
- გრანტის გაცემის წესით განსაზღვრულ ვადაში არ აღმოიფხვრა ტექნიკური ხარვეზი;
- განმცხადებელმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა საგრანტო კონკურსში მონაწილეობაზე.

განაცხადში აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზი არ მიიჩნეოდა დისკვალიფიკაციის საფუძვლად და იგი უნდა გასწორებულიყო განმცხადებლის მიერ მისი გამოვლენიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

გრანტის გაცემის წესის მე-20 მუხლით, საუკეთესო საგრანტო განაცხადის გამოსავლენად, დისკვალიფიკაციის პროცედურის შემდგომ სააგენტო, დეტალური შესწავლისა და შეფასებასათვის, დამოუკიდებელ ექსპერტებს განსახილველად გაუგზავნიდა მიღებულ საგრანტო წინადადებს. შეფასება განხორციელდებოდა ექსპერტების მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საგრანტო პროგრამის შესახებ გადაწყვეტილებით, განაცხადების განხილვის პროცედურისთვის შეეძლო დაემატებინა დამატებითი ეტაპ(ებ)ი, რომლის ჩატარების წესს განსაზღვრავდა სააგენტო.

საგრანტო წინადადების შეფასება უნდა მომხდარიყო ექსპერტების მიერ მინიჭებული ქულებით. გამარჯვებულად ჩაითვლებოდა ის საგრანტო წინადადება, რომელიც სხვა საგრანტო წინადადებაზე უფრო მეტ ქულას მიიღებდა. გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მიხედვით, საბჭოს უნდა განიხილავს ექსპერტების მიერ წარმოდგენილი დასკვნები და მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება.

გრანტის გაცემის წესის 21-ე მუხლით, საგრანტო წინადადებების შერჩევის პროცედურა უნდა დასრულებულიყო და გამარჯვებული გამოვლენილიყო საგრანტო განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 90 დღის ვადაში. საგრანტო კონკურსში გამარჯვებულის თაობაზე ინფორმაცია საჯაროდ უნდა გამოქვეყნებულიყო სააგენტოს ვებგვერდზე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2016 წელს კონკურსის გამოცხადება არ მომხდარა. სააგენტო განაცხადებს იღებდა "ღია კარის" პრინციპით. 2016 წელს მიღებულ იქნა 109 საგრანტო განაცხადი, საიდანაც განხილულ იქნა 102 განაცხადი, ხოლო შვიდმა განმცხადებელმა პირადი სურვილის საფუძველზე გაითხოვა საგრანტო დაფინანსებაზე განაცხადი. 2016 წელს დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ მიიღოთ კონსულტაციები, როგორც სატელეფონო ზარის, ელ-ფოსტის, ასევე უშუალოდ სააგენტოში შესაბამის თანამშრომლებთან.

2016 წელს გაიცა 4 გრანტი, აქედან გაიცა სამი 5000 ლარამდე მცირე გრანტი, გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ხოლო ერთი გრანტი გაიცა გრანტის გაცემის წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.

2016 წელს საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა სააგენტოს თავმჯდომარე, რომლის საფუძველზე გამარჯვებულ კანდიდატთან ფორმდებოდა საგრანტო ხელშეკრულება. გრანტები გაცემულ იქნა შემდეგ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე:

1. **ა(ა)იპ ედუქეარ ჯორჯია** - 5000 ლარის ოდენობით - "Educare Global" პროექტისთვის ,,Educare Global" ონალაინ საგანმანათლებლო პლატფორმის შესაქმნელად. აღნიშნული პლატფორმა ითვალისწინებდა საგნმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე პირების პროექტების განთავსებას და სახალხო დაფინანსების პრინციპით პროექტებისთვის დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას.
2. **ა(ა)იპ ეუჰაკი** - 4000 ლარის ოდენობით - პროექტისათვის ,,ჰაკათონი". პროექტის მიზანი იყო თავისუფალ უნივერსიტეტში 48 საათიანი ჰაკათონის ჩატარება ტექნოლოგიის სფეროში ახალგაზრდების ინოვაციურ პროექტებში ჩასართავად. ჰაკათონში მონაწილეობას იღებდა 150 სტუდენტი.
3. **ა(ა)იპ ,,Georgian Society of Investment Professionals" -** 5000 ლარის ოდენობით - პროექტისათვის ,,Seedstars Tbilisi 2016". პროექტის მიზანი იყო ჩატარებულიყო შეჯიბრი სტარტაპებს შორის, გამარჯვებულ გუნდს შესაძლებლობა ჰქონდა წარდგენილიყო საქართველოს სახელით შვეიცარიაში ქ. ჟენევაში დაგეგმილ გლობალურ საფინალო კონკურსზე (Seedstars Global).

საგრანტო დაფინანსების შესახებ გადაწყვტილებები ეცნობათ უშუალოდ განმცხადებლებს. 2016 წელს დაფინანსებული საგრანტო პროექტების შესახებ მოკლე აღწერა იდებოდა სააგენტოს ვებ გვერდზე, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, რადგანაც სააგენტოს ვებ გვერდი 2017 წელს შეიცვალა.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

გრანტის გაცემის წესის 22-ე მუხლით, გრანტის გამცემის და საბჭოს ნებისმიერი ქმედება ან/და გადაწყვეტილება ან საგრანტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები საჩივრდებოდა კანონმდებლობით დადგენილი წესით. საბჭოს ქმედება ან/და გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულიყო გრანტის გამცემთან ან/და სასამართლოში. გრანტის გამცემის ქმედება ან/და გადაწყვეტილება ასევე შეიძლება გასაჩივრებულიყო სასამართლოში.

2016 წელს ასეთ პრეცენდენტს ადგილი არ ჰქონია.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

გრანტის გაცემის წესის 26-ე მუხლით, სააგენტო ამოწმებს საგრანტო ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობას, გრანტის მიმღების საქმიანობაში ჩარევის გარეშე. გრანტის მიმღები ვალდებული იყო ხელშეკრულებაში დადგენილი პერიოდულობით, გრანტის გამცემისთვის

წარედგინა საგრანტო პროგრამის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიში. ანგარიშში უნდა ყოფილიყო ინფორმაცია დასრულებული გრანტების შესახებ, მათ შორის:

- გრანტის მიმღების შესახებ;
- გრანტის გაცემის სფეროს, მიზნების, ამოცანების და სამიზნე ჯგუფის შესახებ;
- გრანტის მოცულობის შესახებ;
- საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის შესახებ;
- გრანტით მიღწეული მიზნების შეფასების შესახებ;
- დანახარჯების შესახებ.

იმავე მუხლის მიხედვით, მონიტორინგი უნდა ჩატარებულიყო ანგარიშგების მასალების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის და გრანტის გამცემის მიერ დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით გრანტის გამცემი უფლებამოსილი იყო, გრანტის მიმღებისთვის გაეწია რეკომენდაცია (სამუშაოს შესრულების/მომსახურების ალტერნატიული მეთოდის შეთავაზება), რომელიც ხელს შეუწყობდა მიზნების უკეთ მიღწევას.

გარდა ამისა, გრანტის გაცემის წესის 27-ე მუხლით, გათვალისწინებული იყო საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის პირობები. კერძოდ, თუ გრანტის მიმღები გრანტს არ გამოიყენებდა კონკრეტული მიზნებისათვის ან/და არ შეასრულებდა, ან არასათანადოდ შეასრულებდა საგრანტო წინანადადებით ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, გრანტის გამცემი ამის შესახებ დაუყოვნებლივ გააფრთხილებდა გრანტის მიმღებს შესაბამისი შეტყობინებით. თუ გრანტის მიმღები დაუყოვნებლივ არ აღმოფხვრიდა სარეკომენდაციო წერილში მოცემულ დარღვევას შეტყობინებით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გრანტის გამცემი გაუგზავნიდა წერილობით შეტყობინებას საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შესახებ. დარღვევის აღმოფხვრამდე სააგენტო ვალდებული იყო შეეჩერებინა გრანტისათვის განკუთვნილი თანხების გადარიცხვა, თუ გრანტის მიმღებს სრულად არ ჰქონდა მიღებული გრანტი ან მას იღებდა ეტაპობრივად. გაფრთხილებისა და დაფინანსების შეწყვეტის ვადები განისაზღვული იყო საგრანტო ხელშეკრულებით. საგრანტო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში გრანტის მიმღები ვალდებული იყო, დაებრუნებინა გამოუყენებელი თანხები.

ასევე, გრანტის გაცემის წესის 28-ე მუხლით გათვალისწინებული იყო გრანტის გამოუყენებელი ნაწილის დაბრუნება: თუ საგრანტო ვადის ამოწურვის შედეგად დარჩებოდა გამოუყენებელი თანხები, გრანტის მიმღები ვალდებული იყო საგრანტო ვადის ამოწურვიდან 30 დღის ვადაში გრანტის გამცემისთვის დაებრუნებინა გრანტის გამოუყენებელი ნაწილი, თუ არ მოხდება საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ორივე მხარის თანხმობით.

სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წელს ის ახორციელებდა თითოეული გაცემული გრანტის მონიტორინგს, გრანტის გაცემის წესის შესაბამისად. 2016 წელს გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით, გრანტის მიმღები ვალდებული იყო პროექტის დასრულების შემდეგ 10 სამუშაო დღის ვადაში, გრანტის გამცემისთვის წარედგინა ფინანსური და პროგრამული ანგარიშები. ხელშეკრულებებში ასევე დეტალურად იყო გაწერილი მონიტორინგის მიზნით ფინანსური და პროგრამული ანგარიშების წარდგენის წესები.

სააგენტომ მონიტორინგის მიზნით არ გასცა გრანტის მიმღებების ფინანსური და პროგრამული ანგარიშები იმ მიზეზით, რომ ის არ არის უფლებამოსილი გასცეს მსგავსი ინფორმაცია "ბენეფიციარების თანხმობის გარეშე, რადგანაც აღნიშნული დოკუმენტები შეიცავს პერსონალურ და კომერციულ ინფორმაციას". სააგენტოს ინფორმაციით, პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო თავად ბენეფიციარებისათვს, ხოლო მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო, ზემოაღნიშნული საფუძვლით.

სააგენტოს ინფორმაციით, გრანტის მიზნების მიღწევის შეფასება წარმოადგენდა პროგრამული ანგარიშის ნაწილს და შესაბამისად ხორციელდებოდა ყველა გაცემული გრანტის შემთხვევაში,

ხოლო შეფასების შედეგები თავად პროექტის ავტორის/განმცხადებლისათვის არის ხელმისაწვდომი.

2016 წელს გაცემული გრანტების ეფექტიანობის და ბენეფიციართა კმაყოფილების შეფასება არ მომხდარა.

V. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს კანონში 2008 წლის 30 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით შესაძლებელია არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა პარტიების განვითარებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით (მუხლი 30[1]). კანონი გრანტის გამცემად ადგენს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს (შემდგომში - სწავლების ცენტრი). სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომში - ცესკო), რომლის 2012 წლის 3 თებერვლის № 7/2012 დადგენილებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებულია სწავლების ცენტრის დებულება. ამ დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" პუნქტით, სწავლების ცენტრის ფუნქციებში შედის პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; ხოლო "ვ" პუნქტით - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება, მათ შორის ("ვ.ბ" ქვეპუნქტით) არასამთავრობო ორგანიზაციებზე გრანტების გაცემა პარტიების განვითარების ხელშეწყობისა და ამომრჩეველთა სამოქალაქო განათლების მიზნით წარდგენილი პროექტების საფუძველზე. იმავე დადგენილებით დამტკიცებულია "გრანტის გაცემის წესი", რომლის დანართებით განსაზღვრულია საგრანტო განაცხადის ფორმა, საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების ფურცელი და ფინანსური ანგარიშის ფორმა.

სწავლების ცენტრმა 2016 წელს გრანტები გასცა შემდეგი მიმართულებებით:

1. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის,
2. ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის;
3. მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში, რომელიც, თავის მხრივ, ორ თემატურ მიმართულებად იყოფოდა:
   3.1. მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში,
   3.2. ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში

პირველი მიმართულებით კონკურსები გამოცხადდა 2016 წლის 15 მარტს და 4 აპრილს, ხოლო მეორე და მესამე მიმართულებით - 17 ივნისს.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სწავლების ცენტრის მიერ 15 მარტს და 4 აპრილს გამოცხადებული კონკურსებით გრანტების გაცემის მიმართულება განისაზღვრა ცესკოს 2016 წლის 11 მარტის №123/2016 და 2016 წლის 31 მარტის №165/2016 განკარგულებებით, ხოლო მათი საჭიროება მოცემული იყო სწავლების ცენტრის დირექტორის N1-41 15.03.2016 და N1-57 04.04.2016 ბრძანებების დანართში მოცემულ სიტუაციურ ანალიზში:

"საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით ქვეყანაში საარჩევნო კულტურის განვითარების მიზნის ეფექტიანად განხორციელება, სხვადასხვა ასპექტებთან ერთად, უკავშირდება არჩევნებში ჩართული მხარეებისათვის საარჩევნო საინფორმაციო /საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობას, მათი საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობისა და ზოგადად კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად.

საარჩევნო ადმინისტრაციაში არჩევნებთან დაკავშირებით წარმოებული საჩივრების რეესტრის მიხედვით (http://sachivrebi.cec.gov.ge/) იკვეთება, რომ კვლავ მაღალია პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ შედგენილი საჩივრების განუხილველად დატოვებისა და უსაფუძვლობის გამო დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევების სიხშირე. საარჩევნო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, პოლიტიკური პარტიებისთვის შესაბამისი საინფორმაციო /საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების აუცილებლობის შესახებ რეკომენდაციები ასევე ასახულია სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში (მაგ., ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში, საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, 2012 წლის 1 ოქტომბერი)"

ამომრჩეველთა ინფორმირების, აგრეთვე, მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის მიზნით სწავლების ცენტრის მიერ 17 ივნისს გამოცხადებული კონკურსით გრანტების გაცემის მიმართულებები განისაზღვრა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 14 ივნისის №123/2016 განკარგულებით და ეფუძნებოდა გარემოებებს, რომლებიც მოყვანილია სწავლების ცენტრის დირექტორის N 1-149 17/06/2016 ბრძანების დანართში, სიტუაციურ ანალიზში:

"ამომრჩევლებისათვის სრულფასოვანი საინფორმაციო სივრცის უზრუნველყოფის ინიციატივების მხარდაჭერა საგრანტო კონკურსის ფარგლებში უკავშირდება 2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის არჩევნების გამართვას. არჩევნებისთვის მზადების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება - ელექტორატის ინფორმირების კომპონენტი ეფუძნებოდა უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საარჩევნო პროცესის ანალიზის შედეგებსა და საერთაშორისო/ ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების რეკომენდაციებს, რომლებიც ცხადყოფდა საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების სისტემატურად განხორციელების აუცილებლობას.

პირველი მიმართულებით გრანტების განხორციელება სწავლების ცენტრის ოფიციალურ ვებ-საიტზე electionreforms.ge "პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამად" მოიხსენიება, ხოლო მეორე და მესამე მიმართულებებით გაცემული გრანტების განხორციელება - "ამომრჩეველთა საინფორმაციო კამპანიად", თუმცა ასეთი ტიპის პროგრამის/კამპანიის ჩარჩო-დოკუმენტი, რამდენიმე წელზე გათვლილი პროგრამის სახით, რომელშიც გაწერილი იქნებოდა პროგრამის მიზნები, მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და მათი მიღწევის ინდიკატორები, სწავლების ცენტრს არ გააჩნია და არც მის მიერ გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ითვალისწინებს საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულებას.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

2016 წელს გამოცხადებული საგრანტო კონკურსების პროგრამები/პირობები შემუშავდა "გრანტის გაცემის წესის" მიხედვით, რომლის თანახმად ცესკო განკარგულებით განსაზღვრავს გამოსაცხადებელი კონკურსის დაფინანსების მიმართულებებს.

საგრანტო კონკურსები პირველ მიმართულებაზე *"პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის"* სწავლების ცენტრმა გამოაცხადა ცესკოს 2016 წლის 11 მარტის №123/2016 და 2016 წლის 31 მარტის №165/2016 განკარგულებების საფუძველზე, ხოლო 2 სხვა მიმართულებით: *"ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის"* და *"მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში"* - ცესკოს 2016 წლის 14 ივნისის №123/2016 განკარგულების საფუძველზე.

"გრანტების გაცემის წესი" საგრანტო პროგრამის შექმნის ვალდებულებას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, მისი ადმინისტრირებისთვის სპეციალურო ორგანო (საბჭო/კომისია) არ იქმნება. საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტების და მისი

განხილვის პროცედურების შემუშავება ცალკეული კონკურსებისათვის არ ხდება და ისინი მოცემულია აღნიშნულ "გრანტების გაცემის წესში", ხოლო მისი დანართი - საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების ფურცელი შეიცავს შეფასების კრიტერიუმებს.

ცესკოს თანხმობით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორი ბრძანებით განსაზღვრავს კონკურსის გამოცხადების თარიღს, საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადებს, საკონკურსო თემატიკას, საკონკურსო მიმართულებისა და პროექტის დაფინანსების ფარგლებს, პროექტის ხანგრძლივობას, კონკურსის დამატებით მოთხოვნებს (საჭიროებისამებრ) და საკონკურსო კომისიის შემადგენლობას. ცესკოს თანხმობა მიიღება ცესკოს განკარგულებით.

პირველი მიმართულებით **2016 წლის 15 მარტს** (და, დამატებით **- 4 აპრილს**) კონკურსის გამოცხადება ქვეყანაში პარლამენტის მორიგი არჩევნების ჩატარებას უკავშირდებოდა. სწავლების ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანებების თანახმად, ამ გარემოების გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არჩევნებთან მიმართებით სამართლებრივ და სხვა ზოგად-კონცეპტუალურ საკითხებზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისად არჩევნებისთვის აღიჭურვებიან უფლებით დანიშნონ წევრები ან/და წარმომადგენლები საოლქო საარჩევნო კომისიებსა და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

მეორე და მესამე მიმართულებებით **2016 წლის 17 ივნისს** კონკურსის გამოცხადება მიზნად ისახავდა არასამთავრობო სექტორის ინიციატივების წახალისებას ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანების უზრუნველსაყოფად, რომელიც უკავშირდება არჩევნებისადმი ელექტორატის სოციალური განწყობის გაუმჯობესებას, ამომრჩევლის განათლებას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლების, აქტივობის ზრდისა და ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის წახალისებასა და მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრირებას.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

გრანტის გაცემის წესის მე-3-7 მუხლები ითვალისწინებს საგრანტო კონკურსების გამოცხადების პროცედურებსა და ფორმებს. 2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებთან მიმართებაში საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები და სხვა საკითხები წინასწარ, დეტალურად განისაზღვრა სწავლების ცენტრის დირექტორის N1-41 15.03.2016, N1-57 04.04.2016 და N 1-149 17/06/2016 ბრძანებებით.

2016 წლის 15 მარტს საგრანტო კონკურსი გამოცხადდა ცესკოს 2016 წლის 11 მარტის №123/2016 განკარგულებით განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის მიმართულებაზე - **პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის**.

სწავლების ცენტრის დირექტორის N1-41 15.03.2016 ბრძანების დანართის (ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ) თანახმად, საკონკურსო თემატიკით განსაზღვრული მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო, რომ პოლიტიკური პარტიებისთვის საარჩევნო ცნობიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ყოფილიყო საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა მინიმუმი (არანაკლებ 21 საათის ხანგრძლივობის), რომელიც პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით მოიცავდა შემდეგ მოდულებს:

- არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა;
- გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება;

- კონფლიქტების მართვა, საარჩევნო დავები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა;
- წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები.

სასწავლო პროგრამაში გაწერილი უნდა ყოფილიყო შესაბამისი მოდულის მიზანი, შინაარსი, სწავლების შედეგი, მეთოდოლოგია, ხანგრძლივობა და სწავლების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაცია. ამ პროგრამა მინიმუმის წარმოდგენასთან დაკავშირებით პირობის შეუსრულებლობა საკონკურსო დოკუმენტაციის კონკურსიდან მოხსნის საფუძველი იყო.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილ არასამთავრობო ორგანიზაციასთან კოორდინაციის პირობებში, პროექტის განხორციელების პროცესში სწავლების ცენტრი დამატებით უზრუნველყოფდა კონტრიბუციას შემდეგი მოდულების სწავლების კუთხით:

- საარჩევნო ციკლი და საკანონმდებლო სიახლეები;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა;
- კენჭისყრის დღის პროცედურები.

შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციას მის მიერ წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაში დამატებით უნდა გაეთვალისწინებინა 3 საათი სწავლების ცენტრის მიერ მოდულების ჩატარებისთვის. სწავლების ცენტრის თანამშრომლების მიერ სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული შრომა და სამივლინებო ხარჯები ანაზღაურდებოდა თავად სწავლების ცენტრის მიერ.

სწავლების ცენტრის დირექტორის იმავე ბრძანების დანართით განსაზღვრული იყო საგრანტო პროექტის სამიზნე ჯგუფები და მათი კატეგორიები, საგრანტო განხორციელების პერიოდი (2016 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის არაუგვიანეს 1 სექტემბრამდე), აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციის სწავლების ცენტრში წარდგენის ვადა.

"გრანტის გაცემის წესის" მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, "საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება არანაკლებ 10 სამუშაო დღისა კონკურსის შესახებ ინფორმაციის ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე გამოქვეყნების დღიდან". საკონკურსო დოკუმენტაციის სწავლების ცენტრში წარდგენის ვადა აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა: 2016 წლის 16 მარტიდან 2016 წლის 29 მარტის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

იმავე აქტით განისაზღვრა საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები: საგრანტო პროექტები უნდა განხორციელებულიყო ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ რომელიმე რეგიონში და უნდა მოეცვა მოიცავს კონკურსის მიზნებისთვის პოლიტიკური პარტიებიდან წარდგენილი წარმომადგენლების მაქსიმალური რაოდენობა (24 წარმომადგენელი რეგიონში მოქმედ თითო საოლქო საარჩევნო კომისიაზე გათვლით), ხოლო დაფინანსების ფარგლები განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- თბილისი (10 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 156 000 ლარისა;
- კახეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 124 800 ლარისა;
- ქვემო ქართლი (7 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 109 200 ლარისა;
- შიდა ქართლი - მცხეთა-მთიანეთი (8 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 124 800 ლარისა;
- სამცხე-ჯავახეთი (6 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 93 600 ლარისა; იმერეთი (თერჯოლისა და ტყიბულის გარდა) (10 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 156 000 ლარისა;
- რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, თერჯოლა და ტყიბული (6 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 93 600 ლარისა;
- სამეგრელო და ზემო სვანეთი (9 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 140 400 ლარისა;
- გურია - აჭარა (9 საოლქო საარჩევნო კომისია) - არაუმეტეს 140 400 ლარისა.

თუ კონკურსში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ პარტიებიდან პროექტში მონაწილეობის შესახებ მიღებული თანხმობის წერილებიდან გამოიკვეთებოდა, რომ შემცირდა პროექტით გათვალისწინებულ სამიზნე ჯგუფებში მონაწილეთა რაოდენობა, არასამთავრობო

ორგანიზაცია ვალდებული იყო სწავლების ცენტრისთვის წარედგინა პროექტის კორექტირებული ბიუჯეტი, ზემოაღნიშნული დაანგარიშების პრინციპის გათვალისწინებით. არასამთავრობო ორგანიზაციას კორექტირებული ბიუჯეტი სწავლების ცენტრისთვის უნდა წარედგინა პარტიებისთვის დაგზავნილ მოწვევისა და პარტიებიდან მიღებული თანხმობის წერილებთან ერთად (ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით (CD)). ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაცია დაფინანსებაზე უარს მიიღებდა.

თბილისის რეგიონზე განაცხადების წარუდგენლობის გამო, ანალოგიური პირობებით კონკურსი კვლავ **2016 წლის 4 აპრილს,** საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის №165/2016 განკარგულებით განსაზღვრულ, საგრანტო კონკურსის იმავე მიმართულებაზე - **პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის,** სწავლების ცენტრის დირექტორის N1-57 04.04.2016 ბრძანებით გამოაცხადა. კონკურსის ფარგლებში უნდა გამოვლინილიყო ერთი გამარჯვებული პროექტი, აღნიშნული რეგიონისთვის. საგრანტო პროექტის განხორციელება უნდა მომხდარიყო 2016 წლის 5 ივნისიდან 2016 წლის არაუგვიანეს 5 სექტემბრამდე პერიოდში, ხოლო საკონკურსო დოკუმენტაციის სწავლების ცენტრში წარდგენის ვადები იყო: 2016 წლის 5 აპრილიდან 2016 წლის 18 აპრილის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან - 18:00 საათამდე.

2016 წლის 17 ივნისს ამომრჩეველთა ინფორმირების, აგრეთვე, მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის მიზნით კონკურსი გამოცხადდა ცესკოს 2016 წლის 14 ივნისის №123/2016 განკარგულების საფუძველზე და მისი პირობები განიზსაზღვრა სწავლების ცენტრის დირექტორის N 1-149 17/06/2016 ბრძანებით.

საკონკურსო თემატიკაზე "*ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის"* წარდგენილი საგრანტო პროექტში უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით საინფორმაციო/სასწავლო ხასიათის პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემების ან/და სხვა ფორმატის ღონისძიებების განხორციელება.

მიმართულება *მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში* 2 საკონკურსო თემატიკად იყოფოდა:

I: **მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში.** პარლამენტის არჩევნებში მოწყვლადი ჯგუფების სამოქალაქო აქტივობის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნულ თემატიკაზე წარმოდგენილი საგრანტო პროექტში უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო საარჩევნო საინფორმაციო კამპანიის უზრუნველყოფის ინიციატივა, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობის საკითხებზე და საარჩევნო უფლებების რეალიზების საკანონმდებლო მექანიზმებზე. მნიშვნელოვანი იყო, რომ პროექტს გაეთვალისწინებინა საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები განხორციელებას არამხოლოდ სემინარის ან ტრენინგის ფორმატში, არამედ, ასევე როლური, თეატრალიზებული ან სხვა ინოვაციური ღონისძიებების სახით. განსაზღვრული იყო სამიზნე ჯგუფები:

- ეთნიკური უმცირესობები
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები
- იძულებით გადაადგილებული პირები
- ეკომიგრანტები

საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა განისაზღვრა 2016 წლის 7 აგვისტო - 7ოქტომბრის პერიოდით, საგრანტო პროექტის დაფინანსების ფარგლები - არა უმეტეს 30 000 ლარით.

II: ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში. წარმოდგენილი საგრანტო პროექტში უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ქალთა ჩართულობის ზრდის წახალისება. პროექტი ორიენტირებული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, საინფორმაციო კამპანიების, გადაცემების ან სხვა ღონისძიებების განხორციელების გზით ქალთა პოლიტიკური, სამოქალაქო უფლებების რეალიზების ხელშეწყობასა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის, მოტივაციის ზრდაზე. სამიზნე ჯგუფები, რომელზეც გავრცელდებოდა პროექტი, უნდა გამოვლენილიყო პროექტში წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე. საგრანტო პროექტის ხანგრძლივობა:

ყველა შემთხვევაში საგრანტო პროექტების ხანგრძლივობად განსაზღვრული იყო 2016 წლის 7აგვისტო - 7 ოქტომბრის პერიოდი. ფინანსდებოდა არაუმეტეს 30 000 ლარის მოცულობის საგრანტო პროექტები.

სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა *დამატებითი მოთხოვნებიც:* საგრანტო პროექტი უნდა განხორციელებულიყო აპლიკანტის შეხედულებისამებრ შერჩეულ საქართველოს ერთ ან რამდენიმე რეგიონში, გარდა თბილისისა. დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები/საგრანტო პროექტის შესრულების პროცესში ჩართული პირები უნდა ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები და მიუკერძოებლები, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის/ღონისძიებების განხორციელების პერიოდში თავი აერიდებინათ ისეთ მოქმედებისათვისს, რომელიც შეიძლება აღქმული ყოფილიყო რომელიმე პარტიისა თუ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერად/წინააღმდეგ ქმედებად, მათ შორის, თავი უნდა შეეკავებინათ პროექტის განმახორციელებლებად ან შემსრულელებად ისეთი პირების ჩართვისაგან, რომლებიც პარლამენტის არჩევნებისთვის წარმოადგენენ საარჩევნო სუბიექტს. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ მოხდებოდა "გრანტის გაცემის წესით" განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება.

სწავლების ცენტრში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის ვადად განისაზღვრა პერიოდი 2016 წლის 20 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან - 19:00 საათამდე.

"გრანტის გაცემის წესის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, "კონკურსის გამოცხადების თაობაზე ინფორმაცია ქვეყნდება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე (www.cesko.ge; www.electionreforms.ge)". 2016 წელს, სწავლების ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანებების შესაბამისად, კონკურსების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა, მ.შ. განაცხადის ფორმას, კონკურსანტების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს, განაცხადების შეფასების კრიტერიუმებს, გადაწყვეტილებების მიღებისა და გასაჩივრების პროცედურებს, გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.[56]

"გრანტის გაცემის წესის" მე-6 მუხლის შესაბამისად, 2016 წელს გამოცხადებული კონკურსებისთვის საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა სავალდებულო იყო როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული ფორმით (CD).

2016 წელს საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენასთან დაკავშირებით სწავლების ცენტრში იმართებოდა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.[57]

---

[56] http://electionreforms.ge/geo/list/show/956-informatsia-sagranto-konkursis-shesakheb
http://electionreforms.ge/geo/list/show/981-informatsia-sagranto-konkursis-shesakheb
http://electionreforms.ge/geo/list/show/1058-informatsia-sagranto-konkursis-shesakheb

[57]http://electionreforms.ge/geo/list/show/962-sainformatsio-shekhvedra-arasamtavrobo-organizatsiebtansagranto-konkurstan-dakavshirebit
http://electionreforms.ge/geo/list/show/988-sainformatsio-shekhvedra-arasamtavrobo-organizatsiebtansagranto-konkurstan-dakavshirebit
http://electionreforms.ge/geo/list/show/1062-sainformatsio-shekhvedra-arasamtavrobo-organizatsiebtansagranto-konkurstan-dakavshirebit

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაციები საპროექტო განაცხადების წარდგენის პროცესის ნაკლოვანებად მიიჩნევენ, რომ სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი არ იყენებს განაცხადების წარდგენის ელექტრონული ფორმას. პრაქტიკაში საჭიროა განაცხადის პირადად წარდგენა, ამასთან, ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, მისი გამოსწორების მიზნით, კვლავ დოკუმენტაციის პირადად წარდგენა ხდება საჭირო. ეს გარემოება რეგიონულის ორგანიზაციებისთვის დამატებით პრობლემებთან და ხარჯებთანაა დაკავშირებული.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

გრანტის გაცემის წესის მე-9 მუხლის მიხედვით, საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასების, არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსების/დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების. შესასრულებლად იქნება კომისია. გრანტის გაცემის წესის მე-10 მუხლის მიხედვით, კომისია შედგება გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი არანაკლებ 5 წევრისგან, მათ შორის, კომისიის თავმჯდომარისა და წევრებისაგან". კომისიაში გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილ წევრად შეიძლება მოწვეულ იქნენ: საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები; საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები; აკადემიური სექტორის წარმომადგენლები; საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, გარდა ცესკოს წევრებისა; სახაზინო/საბიუჯეტო დაწესებულებების წარმომადგენლები. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით მიწვეული უნდა იქნეს სულ მცირე სამი საერთაშორისო ორგანიზაციის ან შესაბამისი გამოცდილების მქონე უცხოური ფონდის წარმომადგენელი. კომისიის საქმიანობის წესები დეტალურადაა გაწერილი გრანტის გაცემის წესის მე-11-13 მუხლებში.

2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა სწავლების ცენტრის დირექტორის N 1-59 04/04/2016 ბრძანებით, 2016 წლის 4 აპრილის გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის N 1-81 27/04/2016 ბრძანებით, ხოლო 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის კომისიის შემადგენლობა - N 1-161 01/07/2016 ბრძანებით, სამივე შემთხვევაში კომისია 10 წევრისაგან შედგებოდა.

2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილ კომისიის შემადგენლობაში შეყვანილი იყვნენ შემდეგი აკადემიური, სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო” (OSGF), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD), კონრად ადენაუერის ფონდი (KAS), საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა (OSCE HCNM). 2016 წლის 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის შექმნილი კომისიის შემადგენლობა იყო იგივე, KAS-ის გამოკლებით, რომელიც შეიცვალა გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლით..

კომისიების ფორმირების დაცული იყო გრანტის გაცემის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები, კომისიების შემადგენლობა იყო საკმარისად წარმომადგენლობითი და კონკურსის თემატიკასთან შესაბამისი.

"გრანტის გაცემის წესის" მე-10 მუხლის მე-10-11 პუნქტების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტად ითვლება კომისიის წევრის მონაწილეობა იმ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის ან/და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია სარგებელი მიიღოს კომისიის წევრმა ან მასთან დაკავშირებულმა პირმა. აღნიშნულ პირთა წრეში იგულისხმება "საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირები. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის

არსებობის შემთხვევაში კომისიის წინაშე განაცხადოს თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. კომისიის წევრი უფლებამოსილია, რომ კომისიის წინაშე დააყენოს კომისიის სხვა წევრის აცილების შესახებ საკითხი, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. კომისია კენჭს უყრის აცილების შესახებ საკითხს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომლის მიმართაც დაყენებულია აცილების საკითხი. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება კომისიის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.

"გრანტის გაცემის წესის" მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2016 წელს ჩატარებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა ხელმძღვანელი პირები ან/და კონკურსში წარსადგენად შემუშავებული პროექტის განმახორციელებელი პირები იყვნენ: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები; ცესკოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი, მისი მოადგილე; სწავლების ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი; "გრანტის გაცემის წესის" შესაბამისად შექმნილი საკონკურსო კომისიის, კომისიის სამდივნოსა და მონიტორინგის ჯგუფის წევრი. სწავლების ცენტრის ინფორმაციით, 2016 წელს ჩატარებულ კონკურსებში ინტერესთა კონფლიქტი არ დაფიქსირებულა.

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ 2016-19 წლებში გამოცხადებული კონკურსებისათვის იქმნება პრაქტიკულად ერთიდაიგივე გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან დაკომპლექტებული კომისიები, არ ხდება წევრთა როტაცია და გადაწყვეტილებას ძირითადად ერთიდაიგივე პირები ირებენ.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

სწავლების ცენტრის მიერ 2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებში საგრანტო განაცხადის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრული იყო გრანტის გაცემის წესით, ხოლო წარმოდგენილი განაცხადების შეფასება ხორციელდებოდა "გრანტის გაცემის წესის" მე-13 მუხლის შესაბამისად დადგენილი ქულათა სისტემის საფუძველზე. გამოცხადებული კონკურსების ფარგლებში წარმოდგენილ განაცხადებთან მიმართებაში ხარვეზის დადენისა და გამოსწორების წესი განსაზღვრული იყო "გრანტის გაცემის წესის" მე-7 მუხლით.

2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის **პირველი სხდომა გაიმართა 11 აპრილს**[58]. მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 5 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 2 წევრი. გრანტის გაცემის წესის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სხდომას ასევე ესწრებოდა ცესკოს 1 წევრი. სხდომაზე განიხილეს სამდივნოს მიერ 8 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ განაცხადებში დადგენილი ხარვეზები და დაადგინეს, რომ ყველა ორგანიზაციამ ისინი დადგენილ ვადაში გამოასწორა.

საკონკურსო კომისიის **მე-2 სხდომა გაიმართა 25 აპრილს**.[59] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 5 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 2 წევრი. ასევე ესწრებოდა ცესკოს 1 წევრი. კომისიამ რეგიონების მიხედვით განიხილა **საკონკურსო თემატიკაზე "პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის"** წარმოდგენილი განაცხადები, კომისიის წევრებმა წარუდგინეს 12 განაცხადის შეფასების ფურცლები სამდივნოს, რომელმაც შეაჯამა ქულობრივი შეფასების შედეგები და წარუდგინა კომისიას.

[58] 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1, 11 აპრილი, 2016 წელი

[59] 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2, 25 აპრილი, 2016 წელი

საკონკურსო კომისიის **მე-3 სხდომა გაიმართა 3 მაისს.**[60] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 5 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 3 წევრი. კომისიამ განიხილა 4 არასამთავრობო ორგანიზაციისგან დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის საკითხი, რომლის გათვალისწინებით გაკეთებული შეფასების ფურცლები წარუდგინეს სამდივნოს, ქულების შესაჯამებლად. გადაწყვიტეს, მომდევნო სხდომაზე ემსჯელათ წარმოდგენილი პროექტების ბიუჯეტებთან დაკავშირებით და მიეცათ დამატებითი რეკომენდაციები კონკურსანტებისთვის.

საკონკურსო კომისიის **მე-4 სხდომა გაიმართა 18 მაისს.**[61] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 2 წევრი. კომისიამ განიხილა წარმოდგენილი პროექტების ბიუჯეტები და დამატებითი მოთხოვნის - პარტიებისგან მიღებული შესაბამისი თანხმობების არსებობა. სამდივნომ კომისიას გააცნო ინფორმაცია, რომ კონკურსანტი ორგანიზაციების მიერ დამატებითი მოთხოვნები პარტიების თანხმობის წერილების წარმოდგენის თაობაზე შესრულებულია. კომისიამ აგრეთვე კონკურსანტებს პროექტების ბიუჯეტებში ცვლილებების ცალკეული მოთხოვნები წაუყენა.

2016 წლის 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის **პირველი სხდომა გაიმართა 6 მაისს.**[62] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 5 წევრი. კომისიამ განიხილა **საკონკურსო თემატიკაზე "პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის" თბილისის რეგიონისთვის** წარმოდგენილი განაცხადები, ცნობად იქნა მიღებული, რომ შემოვიდა სულ 4 განაცხადი, მათგან 2-ს ჰქონდა ხარვეზები, კომისიამ კონკურსანტებს დადგენილ ვადებში მათი გამოსწორების მითითება მისცა. კომისიის წევრებმა წარუდგინეს განაცხადების შეფასების ფურცლები სამდივნოს, რომელმაც შეაჯამა ქულობრივი შეფასების შედეგები და წარუდგინა კომისიას.

2016 წლის 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის **მე-2 სხდომა გაიმართა 18 მაისს.**[63] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 2 წევრი. კომისიამ განიხილა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ დამატებითი მოთხოვნის - პარტიებისგან მიღებული შესაბამისი თანხმობების წარმოდგენისა და პროექტის ბიუჯეტის საკითხი. სამდივნომ კომისიას გააცნო ინფორმაცია, რომ კონკურსანტი ორგანიზაციის მიერ დამატებითი მოთხოვნა პარტიების თანხმობის წერილების წარმოდგენის თაობაზე შესრულებულია. კომისიამ აგრეთვე კონკურსანტს პროექტების ბიუჯეტში მცირე ცვლილებების ცალკეული მოთხოვნები წაუყენა.

2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის **პირველი სხდომა გაიმართა 27 ივლისს.**[64] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 1 წევრი. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, განუხილველად დაეტოვებინა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადები, რომლებიც არასრულყოფილად ან ვადების დარღვევით იყო წარმოდგენილი და არ იქნა გამოსწორებული დადგენილ ვადებში:
კომისიამ განიხილა დანარჩენი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან წარმოდგენილი პროექტები, გაკეთებული შეფასების ფურცლები წევრებმა წარუდგინეს სამდივნოს, ქულების შესაჯამებლად. ზოგიერთი ორგანიზაციებისთვის საგრანტო დაფინანსების გაცემის პირობად კომისიამ დაადგინა პროექტების ბიუჯეტებში ცალკეული ცვლილებების განხორციელება.

---

[60] 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N3, 3 მაისი, 2016 წელი
[61] 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N4, 18 მაისი, 2016 წელი
[62] 2016 წლის 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1, 6 მაისი, 2016 წელი
[63] 2016 წლის 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2, 18 მაისი, 2016 წელი
[64] 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N1, 27 ივლისი, 2016 წელი

მეორე მიმართულების საკონკურსო თემატიკებზე "**მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში**" **და** "**ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში**" წარმოდგენილ პროექტებზე კომისიის მიერ გაკეთებული იქნა შეფასებები 51 პროექტზე.

2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის **მე-2 სხდომა გაიმართა 7 აგვისტოს.**[65] მას ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 წევრი და სათათბირო ხმის უფლებით - 1 წევრი. კომისიამ განიხილა პროექტების ბიუჯეტებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გათვალისწინების საკითხი. ერთმა ორგანიზაციამ კომისიას უარი განუცხადა ბიუჯეტში ცვლილებებზე და უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე, სხვა ორგანიზაციებმა გაითვალისწინეს შენიშვნები. ამ გარემოების გამო, კომისიის გადაწყვეტილებით, დაფინანსება მიიღო შეფასებების რეიტინგში შემდგომმა ორგანიზაციამ.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

სწავლების ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებულ კონკურსები გამარჯვებულის გამოვლენის წესი განსაზღვრული იყო "გრანტის გაცემის წესის" მე-13 მუხლით, რომლის თანახმად, გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ იღებს საკონკურსო კომისია და აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

გრანტის გაცემის წესის" მე-13 მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, საგრანტო კონკურსის საფუძველზე საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.[66]

2016 წლის 15 მარტს და 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსებისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიების მიერ **საკონკურსო თემატიკაზე "პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის"** გრანტის გაცემის წესის დაცვით მოხდა 9 ორგანიზაციის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღება.

2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, საკონკურსო თემატიკაზე **"ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის"** დაფინანსდა 21 ორგანიზაცია.

მეორე მიმართულების საკონკურსო თემატიკებზე "**მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში**" **და** "**ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში**" წარმოდგენილ პროექტებზე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, დაფინანსებულიყო 20 ორგანიზაცია, საგრანტო პროექტების ბიუჯეტებში კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ცვლილებების შეტანის პირობით.
ინფორმაცია საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების შესახებ კონკურსანტებს ეცნობათ წერილობით, ელ-ფოსტაზე, ასევე, დროულად გამოქვეყნდდა სწავლების ცენტრის საიტზე.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

[65] 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2, 7 აგვისტო, 2016 წელი
[66] http://electionreforms.ge/geo/list/show/1043-informatsia-sagranto-konkursis-shedegebtan-dakavshirebit
http://electionreforms.ge/geo/list/show/1552-informatsia-sagranto-konkursis-shedegebtan-dakavshirebit

2016 წელს გამოცხადებული კონკურსებისთვის მოქმედი გრანტის გაცემის წესი არ ითვალისწინებდა კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს. გრანტის გაცემის წესის მე-13 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი იყო კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა ცესკოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2016 წელს დაფიქსირდა ცესკოში **გასაჩივრების 2 შემთხვევა**. გადაწყვეტილებები საჩივრებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხული ორგანიზაციები აღნიშნავენ, რომ კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი არაგონივრულია: გასაჩივრება არ იწვევს გამარჯვებულად უკვე გამოცხადებულ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების გაფორმების გადადებას გასაჩივრების შედეგების დადგომამდე. კონკურსის გამოცხადებიდან ვადები ისეა დაგეგმილი, რომ სარჩელის მოგების შემთხვევაშიც კი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დრო გასულია (მაგალითად, წინასაარჩევნოდ მოსახლეობის ინფორმირების პროექტების გასაჩივრების პროცედურები შეიძლება თავად არჩევნების თარიღამდე ან უფრო გვიანობამდე გაიწელოს).

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებულ ორგანიზაციებთან ხდებოდა საგრანტო ხელშეკრულებების დადება, მათში ცვლილებების შეტანა არ მომხდარა. ხელშეკრულება (მისის 2.2. და 2.3 პუნქტები) ითვალისწინებდა გრანტის მიმღების მიერ როგორც შუალედური ანგარიშის წარდგენას (გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად), ასევე, შემაჯამებელი ანგარიშის წარდგენას (გრანტის გაცემის წესის მე-16 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად). გარდა ამისა, ხელშეკრულების 2.6. პუნქტით, გრანტის მიმღები ვალდებული იყო დეტალურად წარედგინა გრანტის გამცემის მიერ "მისთვის გადაცემული თანხის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი ხელშეკრულებების, მიღება-ჩაბარების აქტების, ანგარიშ-ფაქტურების, ქვითრების, სასაქონლო ზედნადებების, საგადახდო დავალებებისა და სხვა ფინანსური დოკუმენტაციის ასლები", ხელშეკრულების 2.7. პუნქტით - შემაჯამებელ ანგარიშთან ერთად ვალდებული იყო წარადგინა საინფორმაციო/საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი ფოტო ან/და ვიდეომასალა ელექტრონული ფორმით, ხოლო 2.8. პუნქტით - გრანტის გაცემის წესის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დაებრუნებინა საგრანტო თანხა, რომლის ათვისებაც ვერ მოხდა საგრანტო პროექტის განხორციელების პერიოდში.

გარდა ამისა, საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებდა გრანტის მიმღების პასუხისმგებლობასაც, კერძოდ, ხელშეკრულების 5.1. პუნქტით, გრანტის მიმღების მიერ ხელშეკრულებითა და საგრანტო პროექტით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გრანტის გამცემი უფლებამოსილი იყო ვადამდე შეეწყვიტა ხელშეკრულება და ნაწილობრივ ან სრულად გამოეთხოვა გრანტის მიმღებისათვის გაცემული გრანტის სახსრები, ხოლო ხელშეკრულების 5.2. პუნქტით, ხელშეკრულებითა და საგრანტო პროექტით გათვალისწინებული პირობებისა და ვალდებულებების დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გრანტის მიმღების მიმართ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო გრანტის გაცემის წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა. ამღნიშნული მუხლით კომისია უფლებამოსილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ გამოეყენებინა შემდეგი სახის პასუხისმგებლობის ზომები: ა) გაფრთხილება; ბ) მიმდინარე საგრანტო პროექტის შეწყვეტა ან/და საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა; გ) საგრანტო თანხის ნაწილობრივ ან სრულად უკან გამოთხოვა.

2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ორგანიზაციების საგრანტო პროექტების განხორციელების მონიტორინგის ფორმები და მეთოდოლოგია განსაზღვრული იყო გრანტის გაცემის წესით, მონიტორინგის გეგმა განისაზღვრა სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მიერ. პროექტების განხორციელების გრაფიკები (განმახორციელებელი ორგანიზაციის დასახელება, განხორციელების თარიღები, ღონისძიებების

დასახელებები, ღონისძიების განხორციელების ლოკაციები) ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის სწავლების ცენტრის ვებგვერდზე განთავსებულ საგრანტო რუკის პორტალზე - http://map.electionreforms.ge/

მონიტორინგის განხორციელება ხდებოდა "გრანტის გაცემის წესის" მე-16 მუხლის შესაბამისად, მონიტორინგი მოიცავდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტს დაგეგმილი ღონისძიების ადგილზე, წინასწარ შემუშავებული საგრანტო პროექტების მონიტორინგის ანგარიშის ფორმის შევსებით, რომელიც წარედგინებოდა სწავლების ცენტრს და, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, განიხილავდა შესაბამისი საგრანტო კომისია.

2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილმა საკონკურსო კომისიამ მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოვლენილი დარღვევები 2016 წელს 2-ჯერ განიხილა:

1. 2016 წლის 29 სექტემბერს გაიმართა კომისიის მე-3 სხდომა,[67] რომელსაც ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 პირი: სხდომაზე განიხილეს მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ პროექტის განხორციელებისას გამოვლენილი დარღვევის შესახებ: ორგანიზაციამ კომისიასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე განახორციელა პროექტით გათვალისწინებული ღონისძიების ადგილმდებარეობის ცვლილება და ბიუჯეტის მუხლით გათვალისწინებულ თანხას ხარჯმა 10%-ით გადააჭარბა. ამ დარღვევაზე ორგანიზაციას მისცეს გაფრთხილება.
2. 2016 წლის 7 ნოემბერს გაიმართა კომისიის მე-4 სხდომა,[68] რომელსაც ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 3 პირი. სხდომაზე განიხილეს ერტ-ერთი ორგანიზაციის მიერ შემაჯამებელი ანგარიშის 2 დღის დაგვიანებით წარმოდგენის საკითხი, რის გამოც ორგანიზაციას მისცეს გაფრთხილება.

2017 წლის 20 მარტს გაიმართა 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის მე-5 სხდომა,[69] რომელსაც ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 4 პირი. შემაჯამებელი მონიტორინგის შედეგების ანგარიშის[70] მიხედვით, აღნიშნული სხდომის ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნას,[71] სწავლების ცენტრმა საგრანტო თანხის ნაწილი უკან გამოითხოვა 5 ორგანიზაციიდან, რომელთაგან ერთმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება ცესკოში.

2017 წლის 20 მარტს აგრეთვე გაიმართა 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის მე-5 სხდომა,[72] რომელსაც ესწრებოდა გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი 3 პირი. შემაჯამებელი მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით,[73] აღნიშნული სხდომისა და 2017 წლის 30 ივნისის N8 სხდომის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც ეყრდნობოდა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნებს,[74], [75] სწავლების ცენტრმა საგრანტო თანხა ნაწილობრივ უკან გამოითხოვა კიდევ 9 ორგანიზაციიდან.

---

[67] 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N3, 29 სექტემბერი, 2016 წელი

[68] 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N4, 7 ნოემბერი, 2016 წელი

[69] 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N5, 20 მარტი, 2017 წელი

[70] "შემაჯამებელი მონიტორინგის შედეგების ანგარიში 2016 წლის 15 მარტსა და 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებით", 2017 წელი

[71] ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001366917 13.03.2017

[72] 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N5, 20 მარტი, 2017 წელი

[73] "შემაჯამებელი მონიტორინგის შედეგების ანგარიში 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებით", 2017 წელი

[74] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001466017 16.03.2017

[75] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N003578517 22.06.2017

ამდენად, 2016 წელს სწავლების ცენტრმა გრანტის თანხების ნაწილის (ჯამურად 35,240 ₾) დაბრუნება მოითხოვა გრანტის მიმღები 14 ორგანიზაციისგან. მათგან 10-მა ორგანიზაციამ თანხები დააბრუნა სახელმწიფო ხაზინაში (ჯამურად 10300 ₾).

ორმა ორგანიზაციამ საგრანტო თანხის ნაწილის დაბრუნების თაობაზე სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებები გაასაჩივრეს ადმინისტრაციული წესით. მათი ადმინისტრაციული სარჩელების საფუძველი იყო შემდეგი გარემოებები: სწავლების ცენტრის დირექტორმა ბრძენებები გამოსცა ისე, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესის დაწყების შესახებ არ აცნობა ორგანიზაციას და არ უზრუნველყო მისი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. მან ადმინისტრაციული წარმოებისას არ გამოიკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე, რაც დაუშვებელია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. კერძოდ, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ მოხდა გრანტის მიმღები ორგანიზაციის არგუმენტების მოსმენა, როგორც ამას ითხოვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტი, რითაც დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით გარანტირებული მხარის უფლება საკუთარი აზრის გამოთქმაზე, მ.შ. 2016 წლის 15 მარტს გამოცხადებული საგრანტო კონკურსისათვის შექმნილი საკონკურსო კომისიის 2017 წლის 20 მარტის სხდომაზე, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი და რომელიც საფუძვლად დაუდო გასაჩივრებულ ბრძანებებს.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივრები და ძალაში დატოვა სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებები.

აღნიშნული ორი ორგანიზაციიდან ერთ-ერთმა ორგანიზაციამ / სსო-მ სწავლების ცენტრის დირექტორის 2017 წლის 20 მარტის N1-40 და N1-44 ბრძანებები, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება გაასაჩივრა სასამართლოში. სასამართლომ ბათილად ცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 18 აპრილის 24/2017 განკარგულება, ხოლო სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებები არ მიიჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად და ისინი საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტებად შეაფასა.[76] სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ხატია არდაზიშვილის აღნიშნული გადაწყვეტილება.

სწავლების ცენტრმა თანხების დაბრუნების მიზნით სასამართლო დავა დაიწყო 4 არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ. წინამდებარე ანგარიშში ქეისის სახით მოგვყავს ერთი ასეთი სასამართლო დავის შედეგები, რამდენადაც პროცესი დასრულებულია ყველა ინსტანციის სასამართლოებში და გამოტანილია გადაწყვეტილებები, რომლებიც საჯაროა. სსო-ს წინააღმდეგ სწავლების ცენტრის მიერ დაწყებული სასამართლო დავა ეფუძნებოდა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნებს, რომელთა მიხედვითაც:

ა) ექსპერტიზაზე არ იქნა წარდგენილი 276.71 ₾ საკომუნიკაციო ხარჯების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია; პრინტერის შესყიდვაზე ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებზე 10%-ზე მეტად გახარჯულია 4,00 ₾; ორგანიზაციამ მგზავრობის ხარჯების დასადასტურებლად წარადგინა სამივლინებო ბრძანებები, თანხების გაცემის უწყისები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში და ტრენინგზე დასწრების ფურცლები. სამივლინებო თანხები სრულად დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით, რომელიც გადარიცხულია ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე. ანგარიში. ექსპერტიზამ სწორად გახარჯულად ჩათვალა სასტუმროს მომსახურების ანაზღაურების თანხა, სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლ) ხარჯების ნორმის" ფარგლებში გახარჯული თანხა, ხოლო ამ თანხის ზემოთ გახარჯულ თანხაზე

[76] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ხატია არდაზიშვილის გადაწყვეტილება საქმეზე №3/3744-17 01.03.2018

(მ.შ. გადახდილ საშემოსავლო გადასახადზე) მიუთითა, რომ "არ არის წარმოდგენილი საერთო ჯამში 11480 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია".[77]

ბ) ორგანიზაციამ მგზავრობის ხარჯების დასადასტურებლად წარადგინა სამივლინებო ბრძანებები, მივლინების მოწმობები, მივლინების ხარჯების ანგარიში. ექსპერტიზამ სწორად გახარჯულად ჩათვალა სასტუმროს მომსახურების ანაზღაურების თანხა, სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლ) ხარჯების ნორმის" ფარგლებში გახარჯული თანხა, ხოლო ამ თანხის ზემოთ გახარჯულ თანხაზე (მ.შ.საშემოსავლო გადასახადზე გადახდილ 1282 ლარზე) მიუთითა, რომ "არ არის წარმოდგენილი 5825 ლარის მიზნობრივად ხარჯვის პირველადი დოკუმენტაცია".[78]

სწავლების ცენტრის განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასმაართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 მაისის განჩინებით ყადაღა დაადო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს 17 736,59 ლარის ფარგლებში, ხოლო სწავლების ცენტრის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლომ 2018 წლის 30 მარტს დააკმაყოფილა და ორგანიზაციას დაავალა "არამიზნობრივად გახარჯული საგრანტო თანხის" უკან დაბრუნება.[79]

სსო-მ აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის **სააპელაციო სასამართლოში** გაასაჩივრა. 2019 წლის 21 თებერვალს სასამართლო კოლეგიამ გელა ბადრიაშვილის (თავმჯდომარე), ნინო ქადაგიძისა და მარიამ ცისკაძის შემადგენლობით მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და *სრულად გაამართლა აღნიშნული ოეგანიზაცია სწავლების ცენტრთან სასამართლო დავაში.*

მეორე ორგანიზაციის შემთხვევაში ექსპერტიზამ სწორად გახარჯულად ჩაუთვალა "სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლ) ხარჯების ნორმის" ფარგლებში გახარჯული თანხა, ხოლო ამ თანხის ზემოთ გახარჯულ 2700 ლარზე (მ.შ. გადახდილ საშემოსავლო გადასახადზე) მიუთითა, რომ "მიზნობრივად ხარჯვის პირველადი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი".[80]

მესამე ორგანიზაციის წინააღმდეგ სწავლების ცენტრის მიერ დაწყებული სასამართლო დავა ეფუძნებოდა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას, რომელთა მიხედვითაც ა) პროექტის მონაწილეთა და ტრენერების მგზავრობის ხარჯების (თოთოეულზე 20 ₾) დასადასტურებლად ორგანიზაციამ წარადგინა თანხის გაცემის უწყისები და ტრენინგზე მონაწილეთა დასწრების უწყისები. ექსპერტიზამ ჩათვალა, რომ "მგზავრობის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საქმეში არ მოიპოვება" და დაასკვნა, რომ "ექსპერტიზაზე არ არის წარმოდგენილი 2080 ლარის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია";[81] ბ) ორგანიზაციამ წარადგინა პროექტის შემსრულებლებისთვის პერ-დიემის გაცემის უწყისები ექსპერტიზამ სწორად გახარჯულად ჩაუთვალა "სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლ) ხარჯების ნორმის" ფარგლებში გახარჯული თანხა, ხოლო ამ თანხის ზემოთ გახარჯულ 240 ლარზე მიუთითა, რომ ამ თანხაზე, და "სხვა ხარჯების" მუხლით გახარჯულ 10.58 ლარზე "მიზნობრივად ხარჯვის პირველადი დოკუმენტაცია ექსპერტიზაზე წარმოდგენილი არ არის".[82]

მეოთხე ორგანიზაციის წინააღმდეგ სწავლების ცენტრის მიერ დაწყებული სასამართლო დავა ეფუძნებოდა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ დღიური ხარჯების დასადასტურებლად წარადგინა სამივლინებო ხარჯების უწყისი. ექსპერტიზამ სწორად გახარჯულად ჩაუთვალა "სამსახურებრივი მივლინების დადგენილ სადღეღამისო (დღიური 15 ლ) ხარჯების ნორმის" ფარგლებში გახარჯული თანხა, ხოლო ამ თანხის ზემოთ გახარჯულ 1087.50 ლარზე მიუთითა, რომ "მიზნობრივად ხარჯვის პირველადი დოკუმენტაცია არ არის

[77] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001366917 13.03.2017 გვ. 3-4
[78] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001466017 16.03.2017 გვ.16
[79] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ივანე აღნიაშვილის გადაწყვეტილება საქმეზე №3/3100 -17 (საქმე № 330310117001902231) 30.03.2018
[80] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N003578517 22.06.2017, გვ. 4-5
[81] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001366917 13.03.2017 გვ.5
[82] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N001466017 16.03.2017 გვ.12-13

წარმოდგენილი". გარდა ამისა, მგზავრობის, საკომუნიკაციო და ვიდეორგოლის დამზადების ხარჯების ბიუჯეტის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებზე 10%-ზე მეტად გახარჯული თანხები ექსპერტიზამ (1085 ₾) ასევე მიიჩნია არასწორად გახარჯულად, რამდენადაც წინასწარ არ იყო შეთანხმებული კომისიასთან.[83]

აღსანიშნავია კომისიის არათანამიმდევრულობა სანქციების გამოყენების საკითხში: ბიუჯეტის მუხლით გათვალისწინებულ ხარჯებზე 10%-ზე მეტად თანხების გადახარჯვის გამო 2016 წლის 29 სექტემბერს გამართულ სხდომაზე კომისია გაფრთხილებით შემოიფარგლა, ხოლო 2017 წლის 20 მარტის სხდომაზე ანალოგიური დარღვევებისთვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს 10%-ზე ზემოთ დახარჯული თანხების უკან დაბრუნება მოითხოვა.

სამივლინებო/მგზავრობის ხარჯების პირველადი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის საბაბით ერთ-ერთ ორგანიზაციას 2017 წელს კვლავ დაუდგინა დარღვევა: "საქმეში არ არის წარმოდგენილი მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ, მგზავრობის ბილეთების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი 186 ლარზე".[84] ეს გარემოება, მონიტორინგის ფარგლებში ინტერვიუირებული ორგანიზაციების მიერ გამოთქმული მოსაზრებებთან ერთად, მიანიშნებს ფინანსური დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულებებთან დაკავშირებით სწავლების ცენტრის მიერ გრანტის მიმღებთა წინასწარი ინფორმირების ხარვეზზე.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

2016 წელს მოქმედი "გრანტის გაცემის წესის" მე-16 მუხლის შესაბამისად, საგრანტო პროექტების პროგრამულ მონიტორინგს ახორციელებდა სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც საგრანტო პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარების კონტროლს უზრუნველყოფდა გასვლითი შემოწმებების, შუალედური და შემაჯამებელი მონიტორინგის ფორმით. საგრანტო პროექტების ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელიც საგრანტო თანხის საგრანტო პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად ხარჯვასთან დაკავშირებით უზრუნველყოფდა ფინანსური და ბუღალტრული ექსპერტიზის ჩატარებას. "გრანტის გაცემის წესი" არ ითვალისწინებს სწავლების ცენტრის მიერ საგრანტო პროექტების ბენეფიციართა კმაყოფილების კვლევას;

2016 წელს გამოცხადებული კონკურსების მიზნებთან განხორციელებული საგრანტო პროექტების შესაბამისობა შეფასებულია სწავლების ცენტრის მიერ შემაჯამებელი მონიტორინგის ანგარიშებში. "გრანტის გაცემის წესის" თანახმად, აღნიშნული შემაჯამებელი ანგარიშები ეგზავნება ცესკოს. ეს დოკუმენტაცია ასევე ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის, კერძოდ, მოთხოვნის შემთხვევაში ხორციელდება მისი გაცემა საჯარო ინფორმაციის სახით.

განხოციელებული საგრანტო პროექტების ეფექტიანობის მთლიანობაში შეფასების მიზნით სწავლების ცენტრი ატარებს შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ ინფორმაციას მათ მიერ განხორციელებული პროექტების შედეგებისა და ეფექტიანობის თაობაზე, განიხილავენ გამოწვევებს და სამომავლო ინიციატივებს. საგრანტო პროექტების შეფასება პრეზენტაციების სახით იხილეთ ქვეყნდება სწავლების ცენტრის საიტზე.[85]

2016 წელს ჩატარებულ შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრებზე გამოკვეთილი რეკომენდაციების გათვალისწინებით სწავლების ცენტრმა 2017 და შემდგომ წლებში გააგრძელა საგრანტო კონკურსების გამოცხადება პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების

---

[83] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N003578517 22.06.2017, გვ. 5-6

[84] ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის დასკვნა N5005679517 10.10.2017 გვ. 13

[85]http://electionreforms.ge/geo/list/show/1665-shemadjamebeli-shekhvedra-sagranto-konkursshi-gamardjvebulorganizatsiebtan
http://electionreforms.ge/geo/list/show/1785-dasrulda-shemadjamebeli-shekhvedrebi-sagranto-konkursshigamardjvebul-organizatsiebtan

მიმართულებით, ასევე ამომრჩეველთა და მოწყვლადი ჯგუფების საარჩევნო ინფორმირების მიმართულებით.[86]

მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულმა ორგანიზაციებმა გამოხატეს ეჭვი, რომ სახელმწიფო ინსტიტუციების, მ.შ. სწავლების ცენტრის მიერ 2017 წლიდან და შემდგომ წლებში ჩატარებულ კონკურსებში შეინიშნებოდა მმართველ პოლიტიკურ ძალასთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ტენდენცია.

მონიტორინგის ფარგლებში ინტერვიუირებული ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ 2016-2019 წლებში სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შედეგებში იკვეთება ერთიდაიგივე ორგანიზაციების დაფინანსების ტენდენცია. ამ მოსაზრების გადამოწმების მიზნით 2016-2019 გაცემული საგრანტო დაფინანსების გადახედვამ აჩვენა, რომ 3 და მეტი გრანტი აქვს მიღებული 26 ორგანიზაციას, რაც სწავლების ცენტრის მიერ *ამ პერიოდში სულ* გაცემული გრანტების 53%-ს, ხოლო საგრანტო დაფინანსების 60%-ს შეადგენს. რეგიონებში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, სწავლების ცენტრის საგრანტო კომისია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების კონკურსებში, უფრო მეტად თბილისში ბაზირებულ ორგანიზაციებს ანიჭებს უპირატესობას, მიუხედავად იმისა, რომ მათთან შედარებით არანაკლები შესაძლებლობების რეგიონულ ორგანიზაციებსაც აქვთ შეტანილი საკონკურსო განაცხადები, რომლებიც უმცირესი სხვაობით ნაკლებ ქულებს იღებენ შეფასებისას. რაც შეეხება ცალკეული ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ ეჭვებს, რომ კონკურსში უპირატესობის მინიჭების საფუძველი გამარჯვებული ორგანიზაციების შესაძლო პოლიტიკურ აფილაციაა, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

[86]http://electionreforms.ge/geo/list/show/1846-informatsia-sagranto-konkursis-shesakheb http://electionreforms.ge/geo/list/show/1949-informatsia-sagranto-konkursis-shesakheb

VI. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი (შემდგომში - ფონდი) 2000 წელს შეიქმნა. ფონდის დებულება საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით დამტკიცდა. ფონდის მიზანი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, მათ მიერ დაგეგმილი პროექტების დაფინანსება, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელებაა. ფონდის დებულება განსაზღვრავს მის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს. 2015 წლიდან მოყოლებული, ფონდს გამოქვეყნებული აქვს მისია და ხედვა. მას ეყრდნობა ფონდის სტრატეგიული გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მის საქმიანობებს, როგორც ფონდის და მისი ბენეფიციარი ახლაგაზრდული ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარებისათვის, ასევე ახალგაზრდული ორგანიზაციების სტრატეგიული ქმედების განხორციელების უზრუნველყოფისათვის. სტრატეგიული გეგმის საბოლოო მიზანია უზრუნველყოს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წვლილის შეტანა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში.

ფონდის საქმიანობა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს "ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ" მიღებული კანონის საფუძველზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაცია და მათი უფლებების დაცვა - სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცა. აღნიშნული კანონი ხელს უწყობს ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების განვითარებას, მათი საქმიანობის წახალისებას და ფინანსურ მხარდაჭერას.

დაარსების დღიდან ფონდი საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის, ხოლო მოგვიანებით - 2010 წლამდე - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. 2010-18 წლებში ფონდზე ადმინისტრაციულ კონტროლს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, შემდეგ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებდა.[87]

2016 წელს ფონდი უზრუნველყოფდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბიროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსებას. ფონდს გრანტების გაცემის უფლება მხოლოდ 2018 წელს მიენიჭა, შესაბამისად 2016 წლამდე ხორციელდებოდა ახლგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფო მხარდაჭერა სახელმწიფო სუბსიდიების ფორმით, რომლის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №2 ბრძანება **"სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ"** (2016 წლის 9 თებერვლის მდგომარეობით)[88].

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

საგრანტო პროგრამა დაფუძნებულია ფონდის განვითარების სტრატეგიაზე, რომელიც შემუშავდა მონაწილეობითი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის ახალგაზრდული ორგანიზაციების ჩართულობით; თვითონ საგრანტო პროგრამა და გზამკვლევი ყოვლეწლიურად მტკიცდება ფონიდის საბჭოს/სათათბიროს მიერ, რომელსიც სამინისტროს წარმომადგენლების გარდა შედიან სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც.

"სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების"

[87] „ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 29 მაისის N4615 ცვლილებებით იგეგმება აღნიშნული ფონდის გაუქმება და მის ნაცვლად საქართველოს მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს ჩამოყალიბება.
[88] https://matsne.gov.ge/ka/document/view/52060?publication=6

(შემდგომში - კონკურსის დებულება) მე-4 მუხლის შესაბამისად, *"წარმოდგენილი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებს".*

ყოველწლიურად, ახალგაზრდული იდეების კონკურსის გამოცხადებამდე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო შეიმუშავებდა კონკრეტულ პროგრამულ პრიორიტეტებს, რომლის ფარგლებშიც უნდა მომხდარიყო საპროექტო განაცხადების წარდგენა. ფონდი პირობებს უყენებდა წარდგენილ პროექტებს, რომ მათ ჰქონოდათ შესაბამისობა წლის ერთ (ან მეტ) პრიორიტეტთან (ან ქვეპრიორიტეტთან).

2016 წელს წლის პროგრამული პრიორიტეტები იყო:

1. დასაქმების ხელშეწყობა და არაფორმალური განათლება

- *სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა:* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია);[89]
- *სკოლიდან სამუშაოზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობა;*

2. ცხოვრების ჯანსაღი წესი და მასობრივი სპორტი

- *მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;*
- *ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია;*

3. სამოქალაქო მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა

- *გარემოს დაცვა;*
- *გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა;*
- *კულტურა;*

4. ინოვაციებისა და ტექნოლოგიური გამოგონებების ხელშეწყობა

- *ახალგაზრდებში ინოვაციებისა და სტარტ-აპ ტექნოლოგიური გამოგონებების მხარდაჭერის პრიორიტეტი.*

2016 წელს უპირატესობა ენიჭებოდათ:

- რეგიონიდან შემოსულ პროექტებს, აგრეთვე მაღალმთიანი (საქართველოს კანონით "მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ") და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან წარმოდგენილ პროექტებს;
- ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი და სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის (თავი მე-3 პუნქტი მე-3) მიხედვით განსაზღვრული სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N 2 ბრძანების,[90] 2016 წელს საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის იქმნებოდა

[89] კონკურსის მიზნებისათვის ფონდი სოციალურ საწარმოდ თვლის ისეთ საწარმოს, რომელიც სრულად ეკუთვნის არამომგებიან ორგანიზაციას, საწარმოდან შემოსული მოგება ხმარდება მხოლოდ საწარმოს განვითარებას, და რომელიც შექმნილია ამა თუ იმ მიზნობრივი ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების და/ან პროფესიული განათლების მიზნით.

[90] საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის ბრძანება N 2 "სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ".

სპეციალურო ორგანო - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო (შემდგომში - სათათბირო). სათათბირო "ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შეიქმნა და მისი დებულება დამტკიცდა საქართველოს **ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №4 ბრძანებით.** ამ ბრძანების 2016 წელს მოქმედი რედაქციით,[91] სათათბიროს ძირითადი მიზნები და ამოცანები იყო:

- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი კოორდინაცია.
- დასაფინანსებელი პრიორიტეტების განსაზღვრა.
- პროექტის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების პროექტების დაფინანსების საკითხის კონკურსის წესით გადაწყვეტა.

სათათბირო სხდომები წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ მოიწვეოდა. სხდომა უფლებამოსილი იყო, თუ მას ესწრება სათათბიროს წევრთა უბრალო უმრავლესობა. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს და წევრთა არანაკლებ 1/3, საჭიროების შემთხვევაში, უფლება ჰქონდათ, მოეწვიათ სათათბიროს რიგგარეშე სხდომა.სათათბიროს შეხვედრების ორგანიზება, დოკუმენტბრუნვის უზრუნველყოფა და ყველა სხვა საჭირო საორგანიზაციო თუ იურიდიული საკითხის მოგვარება ევალება სათათბიროს აპარატს.

სათათბიროს წევრს უფლება ჰქონდა:

- შეეტანა წინადადებები და რეკომენდაციები სათათბიროს მიერ განსახილველი ნებისმიერი საკითხების შემუშავებაში;
- მონაწილეობა მიეიღო სათათბიროში წარმოდგენილი წინადადებების განხილვაში;
- მონაწილეობა მიეღო კენჭისყრაში;

სათათბიროს წევრი ვალდებული იყო:

- მონაწილეობა მიეღო სათათბიროს საქმიანობაში, დასწრებოდა სხდომებს;
- დაეცვა სათათბიროს დებულება.

საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, მისი განხილვის პროცედურები და საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები სათათბიროს მიერ წინასწარ იქნა განსაზღვრული?

კონკურსის დებულება არ ითვალისწინებდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტის წინასწარ განსაზღვრას (თუ რა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნებულიყო და რა გზით უნდა გავრცელებულიყო ინფორმაცია), ისევე, როგორც არ ითვალისწინებდა საგრანტო გადაწყვეტილებების გამოქვეყნების საკითხებს.

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

კონკურსის დებულება განაცხადების წარდგენის მინიმალურ ვადებს არ ითვალისწინებს, მისი მე-7 მუხლის შესაბამისად, *"პროგრამების პროექტების წარდგენის ვადებს აწესებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სამინისტროს სათათბიროსთან ერთად".*

კონკურსის დებულების 7[1] მუხლის შესაბამისად, "*ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირს უფლება აქვს ყოველ კონკურსში დასაფინანსებლად წარმოადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი",* რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო შემდეგი ინფორმაცია:

[91] https://matsne.gov.ge/ka/document/view/52066?publication=9

- პროექტის განმახორციელებელი პირების (პროექტის ხელმძღვანელი, პროექტის კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი) შესახებ მონაცემები (cv);
- პრობლემის განსაზღვრა;
- პროექტის მიზანი;
- მოსალოდნელი შედეგები;
- ზუსტად ფორმულირებული და დაანგარიშებული ბიუჯეტი;
- დროში ეტაპობრივად გაწერილი სამუშაო გრაფიკი;
- პროექტის შესახებ არანაკლებ ერთი სარეკომენდაციო წერილი;
- მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით:
- ორგანიზაციის სახელწოდება;
- ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი;
- ორგანიზაციის ხელმძღვანელის სახელი და გვარი.

ჩამოთვლილი დოკუმენტაციის სრულად წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ორგანიზაციის საკონკურსო განაცხადი არ მიიღებოდა.

ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ ვრცელდებოდა ფონდის ვებ-გვერდით, სადაც ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაცია (განაცხადის ფორმა, კონკურსანტების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები, განაცხადების შეფასების კრიტერიუმები და მისთ.), აგრეთვე, სახელმძღვანელო/გზამკვლევი კონკურსში მონაწილეთათვის. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, ფონდი დაინტერესებულ პირებს სთავაზობდა სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს, ფონდის წარმომადგენლების ტელეფონები და ელ-ფოსტების მისამართები გამოქვეყნებული იყო "გზამკვლევში".

საპროექტო განაცხადების წარდგენა უნდა მომხდარიყო ფონდის ვებ-საიტზე აპლიკაციისა და თანდართული ფაილების ატვირთვით, კონკურსის ვადები იყო 19 თებერვლის 12:00 საათიდან 18 მარტის 18:00 საათამდე.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

კონკურსის დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად, 2016 წელს ფონდში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოტანილი პროექტების დაფინანსების საკითხს, კონკურსის საფუძველზე წყვეტდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბირო.

სათათბირო შედგებოდა 9 წევრისაგან, რომელთაგან სამ წევრს წარადგენდა ფონდის დირექტორი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებიდან, ხოლო ხუთ წევრს ნიშნავდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი (ორი წევრი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურე, სამი წევრი - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის თანამშრომელი, ფონდის დირექტორის წარდგინებით). წევრთა უფლებამოსილება ერთი წლით განისაზღვრებოდა. სათათბიროს თავმჯდომარე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი იყო, რომელიც, კოლეგიალობის პრინციპის დაცვით, ახორციელებდა სათათბიროს საქმიანობის საერთო კოორდინაციას და ხელმძღვანელობას.

სათათბირო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი განხილვის გზით, გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტის დაფინანსების საკითხს სათათბირო გადაწყვეტილებას იღებდა ქულათა სისტემით, შეფასების კრიტერიუმებიდან გამომდინარე) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის ბრძანებით ფორმდებოდა.

სახელმწიფო გრანტის გამცემის ნორმატიულ აქტში - კონკურსის დებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხი გათვალისწინებული არ იყო, თუმცა, ის რეგულირდებოდა სათათბიროს დებულების მე-14[1] მუხლით, შემდეგნაირად: სათათბიროში წარმოდგენილ ბავშვთა და

ახალგაზრდულ კავშირს არ ჰქონდა ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობისა და პროექტის წარმოდგენის უფლება.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №4 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 2016 წელს მოქმედი რედაქციით, პროექტის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა.

სათათბიროს დებულების მე-13[1] მუხლის შესაბამისად, სათათბიროს წევრები პროექტებს აფასებდნენ და დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდნენ ქულათა სისტემით, სათათბიროს მიერ განსაზღვრული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

სათათბიროს მიერ წინასწარ დადგინდა და გამოქვეყნდა თუ არა განაცხადების შეფასების კრიტერიუმები. 2016 წელს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში გამოყენებულ იქნა საგრანტო წინადადების შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

კრიტერიუმები	**მაქსიმალური ქულა**
1. პროექტის შესაბამისობა პროგრამის მიზნებსა და პრიორიტეტებთან	
რამდენად შეესაბამება პროექტი კონკურსში მოთხოვნილ მიზნებსა და პრიორიტეტებს?	**25**
რამდენად სტრატეგიულად არის შერჩეული პროექტის სამიზნე ჯგუფები?	
რამდენად ნათლად არის განსაზღვრული მათი საჭიროებები და ამ საჭიროებათა დაკმაყოფილების გზები?	
შეიცავს თუ არა პროექტი დამატებითი ღირებულების ელემენტს, როგორიცაა	
გენდერული თანასწორობისა და უმცირესობათა უფლებების დაცვა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და სხვა?	
2. ეფექტურობა და განხორციელებადობა	
არის თუ არა შემოთავაზებული აქტივობები შესაფერისი, პრაქტიკული და თანმიმდევრული მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების მიმართ?	**25**
არის თუ არა აქტივობების გეგმა ნათელი და განხორციელებადი?	
შეიცავს თუ არა პროექტი დაგეგმილი შედეგების ობიექტურად შემოწმებად/გაზომვად ინდიკატორებს? არის თუ არა რაიმე ტიპის შეფასება (პროექტის შედეგები) დაგეგმილი?	
არის თუ არა პროექტის განმახორციელებელი პარტნიორების ჩართულობა და მონაწილეობა დამაკმაყოფილებელი?	
3. პროექტის მდგრადობა	
რამდენად ექნება პროექტს გავლენა მიზნობრივ ჯგუფებზე?	**25**
რამდენად სავარაუდოა, რომ პროექტს ექნება გამრავლების ეფექტი (მათ შორის გამეორება სხვათა მიერ, სამომავლო გაფართოება განმახორციელებლების მიერ, და ინფორმაციის გაზიარება).	
მდგრადია თუ არა პროექტის მოსალოდნელი შედეგები? - ფინანსურად (როგორ გაგრძელდება პროექტის აქტივობების დაფინანსება პროექტის შემდეგ?) - ინსტიტუციურად (დარჩებიან თუ არა პროექტის შემდეგ ის სტრუქტურები, რომლებიც იძლევიან აქტივობების განხორციელების საშუალებას?) - პოლიტიკების დონეზე (სადაც შესაძლებელია) (მაგალითად, მიგვიყვანს თუ არა პროექტი გაუმჯობესებულ კანონმდებლობამდე, პრაქტიკამდე, მეთოდამდე, ქცევის წესებამდე?)	
4. პროექტის ბიუჯეტი და ხარჯთეფექტურობა	
არის თუ არა პროექტის ბიუჯეტი ხარჯთეფექტური და რეალისტური?	**25**
იძლევა თუ არა საპროექტო განაცხადის ბიუჯეტი პროექტის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და რამდენად შეესაბამება იგი პროექტის სამოქმედო გეგმას?	
კრიტერიუმების შეფასების ჯამური ქულა	**100**

კონკურსის დებულების მე-10[1] მუხლი წარდგენილ განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესს: *"პროექტების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე სათათბიროს უფლება აქვს, რომ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის*

საშუალებით პროექტის წარმომდგენ ბავშვთა და ახალგაზრდულ კავშირს მიმართოს რეკომენდაციით წარმოდგენილი პროექტის ფინანსურ პარამეტრებში კორექტივების შეტანისა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე დამატებით წარმოდგენის თაობაზე, თუ მოცემული პროექტის შინაარსობრივი ნაწილი შეესაბამება სათათბიროს მიერ განსაზღვრულ დასაფინანსებელ პრიორიტეტებს და ამ მხრივ მიზანშეწონილია მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა".

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის №4 ბრძანებით დამტკიცებული დებულების 2016 წელს მოქმედი რედაქციით, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების პროექტების დაფინანსების საკითხის კონკურსის წესით გადაწყვეტა სათათბიროს კომპეტენციაში შედიოდა.

2016 წელს ფონდმა ახალგაზრდულ ორგანიზაციებს დაუფინანსა 51 პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 1,049,967.78 ლარი შეადგინა.

2016 წელს ფონდის მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია ვებ-საიტზე,[92] სადაც მოცემულია გრანტის მიმღები ორგანიზაციის სახელწოდება, პროექტის სახელწოდება, მიზნობრიობა (პროექტის შინაარსის მოკლე აღწერით) და გრანტის სახით გაცემული თანხის ოდენობა.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

ფონდის მიერ გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი - "სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მიერ შემუშავებული პროექტების კონკურსის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების დებულება" კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს და გასაჩივრების შედეგების გამოქვეყნების ვალდებულებას არ ითვალისწინებდა. თუმცა, ასეთი მექანიზმი ფონდის პრაქტიკაში ფაქტობრივად არსებობდა: შესული საჩივარი ეგზავნებოდა სათათბიროს, რომელიც განიხილავდა მას ფონდის მიერ მიწოდებული დოკუმენტების საფუძველზე და ოფიციალურ პასუხს სცემდა მომჩივანს სამინისტროს სამდივნოს საშუალებით. 2016 წელს ჩატარებული კონკურსების შედეგები არ გასაჩივრებულა.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

კონკურსის დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან ფინანსური მხარდაჭერისთვის მიღებული თანხა შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო მხოლოდ პროგრამების პროექტში განსაზღვრული მიზნებისათვის, ხოლო მე-12 მუხლის შესაბამისად, გრანტის მიმღები ორგანიზაცია მიღებული სახსრების ხარჯვის შესახებ ანგარიშვალდებული იყო ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და სხვა მაკონტროლებელი ორგანოების წინაშე.

კონკურსის დებულების 2016 წელს მოქმედი რედაქცია გრანტის მონიტორინგის ვალდებულებას და მონიტორინგის მექანიზმებს, მისი განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, გრანტის მიმღებთან ხელშეკრულების დადებას და გრანტის პირობების/ხელშეკრულების პირობების დარღვევისას გრანტის მიმღების პასუხისმგებლობის საკითხებს, ასევე, გრანტის განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს არ ითვალისწინებდა.

[92] http://fondi.gov.ge/contentimage/2016_wlis_proeqtebi.pdf

საგრანტო ხელშეკრულება ითვალისწინებდა მონიტორინგის ველდებულებას, კერძოდ, პროექტის შესრულების ფინანსური და პროგრამული ანგარიშგების მექანიზმებს. გრანტის მიმღები ორგანიზაციები ფონდში აბარებდნენ შუალედურ და საბოლოო პროგრამულ და ფინანსური ანგარიშებს. ფონდი ახორციელებდა პროექტების განხორციელების მონიტორინგს აღნიშნული ანგარიშების განხილვისა და ადგილზე მონიტორინგის ვიზიტების მეშვეობით.

2016 წელს მიმდინარე პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია პერიოდულად ქვეყნდებოდა ფონდის ოფიციალურ ვებ-საიტზე.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

2016 წლის 19 დეკემბერს თბილისის საკრებულოს მთავარ დარბაზში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2016 წლის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა[93]. ღონისძიების მთავარი მიზანი იყო განხორციელებული აქტივობების შეჯამება, თავმოყრა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის ერთგვარი ანგარიშის ჩაბარება. ღონისძიება რამდენიმე კომპონენტი მოიცავდა: გაიმართა გამოფენა - სადაც წარმოდგენილი იყო ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის ამსახველი თემატური ბანერები და ფონდის დაფინანსებით დაფუძნებული სოციალური საწარმოების პროდუქციის კუთხეები; წლის შემაჯამებელი ჟურნალის პრეზენტაცია - სადაც თავმოყრილი იყო ვრცელი ინფორმაცია 2016 წელს განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებით, ასევე მოხდა ფონდის ყველაზე აქტიური მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დაჯილდოება.[94] 2016 წელს გაწეული მუშაობისა და დაფინანსებული პროექტების შესახებ ანგარიში ფონდმა 2017 წლის 1 თებერვალს სლაიდ-შოუს სახით გამოაქვეყნა.[95]

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშში (თავი V) პროგრამით "8.6 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04) განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ნათქვამია: *"განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ჩაატარა პირველი საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 51 პროექტი. საანგარიშო პერიოდში დასრულდა 8 პროექტი:*

- *მეთოდური წიგნის "ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში" გამოცემა;*
- *"იტალიური ეზოს ფესტივალი" - 2 000 ბენეფიციარი;*
- *"ბურთი და მოედანი" -ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფეხბურთის პოპულარიზაცია და*
- *ხელმისაწვდომობა სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისათვის - 240 ბენეფიციარი);*
- *"ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისათვის" - 12 ბენეფიციარი;*
- *"გურიის ახალგაზრდული დღეები"-100 ბენეფიციარი;*
- *"უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის ცენტრის შექმნა"- 15 ბენეფიციარი;*
- *"სნოს ახალგაზრდული კემპინგი" - 12 ბენეფიციარი;*
- *"მეკლდეურობის განვითარება ყაზბეგის რაიონში" - 60 მდე ბენეფიციარი".*[96]

აღსანიშნავია, რომ ფონდში ინერგება ცალკეული პროექტების შეფასების პრაქტიკა. ამ ეტაპზე ის უკვე ხორციელდება საერთაშორისო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული პროექტებისათვის.

[93] http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=196&info_id=15395
[94] http://fondi.gov.ge/menuid/13/id/23/lang/1
[95] https://issuu.com/youthfondi.gov.ge/docs/2016
[96] https://mof.ge/images/File/biuj2016_9tv/TAVI%20V.pdf

VII. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

4.1. გასაცემი გრანტების დაგეგმვა - საგრანტო პროგრამების შექმნა

"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის[97] მე-5[1] მუხლის "ე" პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობა "ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას როგორც საბიუჯეტო, ისე სახელმწიფო საგრანტო დაფინანსებისა და არაპირდაპირი სტიმულირების გზით".

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №273 დადგენილებით "სამეცნიერო გრანტების გაცემის უფლებამოსილების მქონე საჯარო - სამართლის იურიდიული პირის განსაზღვრის შესახებ"[98] სამეცნიერო გრანტის გაცემის უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიულ პირად შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი განისაზღვრა.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SRNSFG) (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას. ფონდის საქმიანობა მიმართულია მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველსაყოფად, მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნისა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებისკენ. სამეცნიერო საზოგადოებასთან, სახელმწიფოსათან და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით ფონდი თავის საქმიანობას ახორციელებს გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად.

ფონდის საქმიანობის ნორმატიული საფუძველია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N 62 ბრძანებით "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" დამტკიცებული წესდება (შემდეგში - წესდება).

2011 წლის 16 თებერვალს საქართველოს მთავრობამ "ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" №84 დადგენილებით დაამტკიცა "დებულება ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" (შემდეგში - ფუნდამენტური გრანტების დებულება),[99], "გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" საქართველოს №85 დადგენილებით - "დებულება გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" (შემდეგში - გამოყენებითი გრანტების დებულება),[100] ხოლო "მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" №86 დადგენილებით - "დებულება მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ" (შემდეგში - მიზნობრივი გრანტების დებულება)[101].

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის № 131 დადგენილების [102] შესაბამისად, ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესი, საგრანტო კონკურსების დებულებები და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმები მტკიცდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2016 წლის 9 ივნისს გამოსცა ბრძანება №57/ნ "საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის

[97] https://matsne.gov.ge/document/view/28426?publication=19#!
[98] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1003168?publication=0
[99] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1213329?publication=6
[100] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1213348?publication=5
[101] 2016 წლის 18 მაისის ვერსია https://matsne.gov.ge/ka/document/view/1213374?publication=3
[102] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1242731?publication=1

დებულების დამტკიცების შესახებ"[103] და №58/ნ "სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე"[104].

ზემოთჩამოთვლილი ნორმატიული აქტების შესაბამისად (№58/ნ ბრძანების გარდა), საქართველოში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციაც შეიძლება იყოს ფონდიდან გრანტის მიმღები.

აღნიშნული ნორმატიული ბაზის საფუძველზე ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ერთობლივ ინიციატივებში. საგრანტო პროექტებს ის აფინანსებს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებში:

- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ინჟინერია და ტექნოლოგიები;
- სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
- აგრარული მეცნიერებები;
- სოციალური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები.

ფონდს ჰყავს **საერთაშორისო საკოორდინაციო საბჭო,** რომლის წევრები არიან წამყვანი ქართველი და უცხოელი მეცნიერები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. საბჭო განსაზღვრავს ფონდის ხედვას, პოლიტიკას და უზრუნველყოფს მისი საქმიანობის ხარისხის ზედამხედველობას. ამასთანავე, საბჭო ადგენს ფონდის სტრატეგიულ პრიორიტეტებს და ახორციელებს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს.

ფონდს აქვს **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2015-2019 წწ.),** რომლითაც ამ პერიოდისათვის განსაზღვრულია შემდეგი **პრიორიტეტები**:

1. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა
2. ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა
3. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, ქვეყნის მატერიალური, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია
4. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და ურთიერთობების ხელშეწყობა
5. სამეცნიერო საინფორმაციო და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ხელშეწყობა
6. მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა

თითოეული პრიორიტეტი მოიცავს პროგრამებსა და ღონისძიებებს. ძირითადად ფონდის ბენეფიციარები აკადემიური დაწესებულებები და ფიზიკური პირები არიან, თუმცა, ზოგჯერ საგრანტო კონკურსებში არასამთავრობო ორგანიზაციებიც იმარჯვებენ. 2016 წელს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე გაცემულ იქნა გრანტები პირველი პრიორიტეტის 2 და მეოთხე პრიორიტეტის 2 პროგრამის ფარგლებში:

- ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი
- ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით
- სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი
- საკონფერენციო გრანტების კონკურსი

პროგრამა 1.1 ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი (2015-2019)

პროგრამის დასაბუთება: პროგრამა მიზნად ისახავს ახალი ცოდნის შექმნას ამა თუ იმ სამეცნიერო დარგში. კონკურსი ორიენტირებულია ისეთი მოვლენების, ფაქტების, თეორიების, მოდელების, ახალი იდეებისა და კონცეფციების თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლა-ანალიზზე, რამაც

[103] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3299644?publication=1
[104] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3299625

გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრესს.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ქვე-მიზნები: ფუნდამენტური მეცნიერებების სფეროში სამეცნიერო პროექტების გამოვლენა და დაფინანსება; პროექტები წარმოდგენილი იქნება მეცნიერების ძირითად მიმართულებებში. სამიზნე ჯგუფები: უნივერსიტეტები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრები, სამეცნიერო ინსტიტუტები და მათში მოღვაწე მეცნიერები.

მოსალოდნელი შედეგები: კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა; კვლევების მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაცია; კვლევებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა; კვლევით პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვის გზით მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები: დაფინანსებულ პროექტთა რაოდენობა; დაფინანსებულ მეცნიერთა რაოდენობა; პროექტში ჩართული საერთაშორისო მკვლევარების რაოდენობა; პროექტში ჩართული ახალგაზრდა მეცნიერთა (მათ შორის დოქტორანტთა) რაოდენობა საქართველოს სახელით გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა (საერთაშორისო რეფერირებად, იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში); ციტირების ინდექსი; პროექტის ფარგლებში მოპოვებული პატენტების, აღმოჩენების და ა.შ. რაოდენობა; საერთაშორისო ღონისძიებების რაოდენობა, სადაც წარდგენილია კვლევის შედეგები (სიმპოზიუმები, კონფერენციები, სემინარები).

პროგრამა 1.3 ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით (2015-2019)

პროგრამის დასაბუთება: ქართველ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ნაწილი დაფუძნდა და მოღვაწეობს საზღვარგარეთის განვითარებულ ქვეყნებში წამყვან სამეცნიერო - კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში. ისინი აქტიურად არიან ჩართულები თანამდროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უახლეს სამეცნიერო კვლევებში, აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის კვლევით პროექტებში და გააჩნიათ ფასდაუდებელი სამეცნიერო გამოცდილება კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენების, ინოვაციური ტექნოლოგიების, თანამედროვე ტენდენციებისა და აპარატურის ფლობის თვალსაზრისით. ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო წრისთვის, შეზღუდული ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რსურსების პირობებში, ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან ინტეგრაცია, შესაბამისად, ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი შეიძლება იყოს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეების ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, მათი თანამშრომლობა ადგილობრივ კოლეგებთან - ჩართვა სამეცნიერო პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფილ განვითარებასა და მაღალი დონის კვლევების განხორციელებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტების ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით. პროგრამა ემსახურება უცხოეთის სამეცნიერო - კვლევით ცენტრებში, კვლევით ინსტიტუტებში მოღვაწე წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებთან საქართველოს სამეცნიერო კადრების მჭიდრო, პროფესიული ურთიერთობების დამყარებას, მათი სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას და ეროვნულ კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვებას. პროგრამის მეშვეობით საქართველოში მომუშავე მკვლევარებს მიეცემათ შესაძლებლობა, უკეთ გაეცნონ უცხოეთის წამყვან ქვეყნებში არსებულ სამეცნიერო სიახლეებს და აითვისონ თანამედროვე კვლევითი ტექნოლოგიები. ამასთან, პროგრამა ხელს შეუწყობს უცხოეთში მცხოვრებ წარმატებულ თანამემამულე მეცნიერებს, მუდმივი საქმიანი კონტაქტი ჰქონდეთ სამშობლოსთან და თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ სა-ქართველოში მეცნიერებისა და კვლევების დონის ამაღლებას. პროგრამაში მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვა სამეცნიერო პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო პოტენციალის განვითარებასა და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან ინტეგრაციას.

მოსალოდნელი შედეგები: ქართული სამეცნიერო წრეების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაცია; უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერების სამშობლოსთან საქმიანი კონტაქტის შენარჩუნება; კვლევების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელთან თანამშრომლობის გაღრმავება; ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო პოტენციალის განვითარება.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები: ერთობლივ კვლევებში მონაწილე მეცნიერთა რაოდენობა; ერთობრივ კვლევებში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა (მაგისტრანტების, დოქტორანტების) რაოდენობა; დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მომზადებული პუბლიკაციების რაოდენობა და გამოცემები, სადაც არის გამოქვეყნებული (საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში); პროექტის შედეგად გამოქვეყნებული პუბლიკაციების ციტირების ინდექსი; პროექტის შედეგების პრეზენტაციების რაოდენობა საერთაშორისო ღონისძიებებზე (სიმპოზიუმები, სემინარები, კონფერენციები); დაგეგმილი საერთაშორისო პროექტების რაოდენობა.

პროგრამა 4.1 სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი (უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობით,მათ შორის ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლების სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები; 2015-2019)

პროგრამის დასაბუთება: სამეცნიერო იდეების, საერთო კვლევითი ინტერესებისა და მეთოდოლოგიების ურთერთგაზიარების მეშვეობით ახალგაზრდებისთვის თავისუფალი გარემოს შექმნა აუცილებელი პირობა მკვლევართა ახალგაზრდა თაობების განვითარების ხელშეწყობისთვის. მსოფლიოში სეზონური სკოლების ფუნქციონირების კარგი საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს, რაც მისაბაძია, მით უმეტეს, თუ გავითვასიწინებთ საქართველოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებსა და მსგავსი სკოლების ორგანიზებისთვის ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას.

პროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერებისათვის და სტუდენტებისათვის ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო სეზონური სკოლების/ბანაკების ორგანიზება და არსებულ სეზონურ სკოლათა ფუნქციონირების ხელშეწყობა. სეზონური სკოლები შეიძლება იყოს დარგობრივი, ინტერდისციპლინური, კვლევის მეთოდებში ტრენინგსა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული. სეზონურ სკოლებში შესაძლოა შემოტანილ იქნას განაცხადი, რომელიც მიეძღვნება ქართველოლოგიური მეცნიერებების განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას და ქართველოლოგიური მეცნიერებების მიმართულებაში ადგილობრივ და საერთაშორისო მკვლევართა სამომავლო თანამ-შრომლობას.

მოსალოდნელი შედეგები: ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლება; მეცნიერებაში მოზიდვის მიზნით ახალგაზრდა კადრების სტიმულირება; საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება და კვლევების, სამეცნიერო გამოცემების უნარ-ჩვევების განვითარება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში; ქართველ ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა; ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება თემაზე/პრობლემაზე ორინეტირებული სეზონური სკოლების გზით; ქართველოლოგიისა და საქართველოს შემსწავლელი კვლევების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა საერთაშორისო მკვლევარების მოზიდვით.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები: დაფინანსებულ სეზონური სკოლების რაოდენობა; მონაწილე ქართველ მეცნიერთა, ახალგაზრდა მკვლევართა რაოდენობა; დაფინანსებული სეზონური სკოლების თემატიკა; კვლევის მეთოდებსა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სკოლების რაოდენობა; ინტერდისციპლინური სეზონური სკოლების რაოდენობა; ჩართული საერთაშორისო კოლაბორატორების (კვლევითი, საგანმანათლებლო ცენტრების, სამეცნიერო ინსტიტუტების, უნივერსიტეტებისა) და საერთაშორისო მეცნიერების რაოდენობა; სეზონური სკოლების შედეგად ინიცირებული საერთაშორისო თანამშრომლობის (კონსორციუმი, სამუშაო ჯგუფი) და ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტების რაოდენობა .

პროგრამა 4.2 საკონფერენციო გრანტების კონკურსი (უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობით)

პროგრამის დასაბუთება: ქართველ მეცნიერთა შეზღუდული, თითქმის არარსებული შესაძლებლობა გააცნონ კოლეგებს თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები უკვე წლებია უარყოფითად მოქმედებს მათ შემოქმედებით ზრდაზე. დაგროვილი ცოდნის მიწოდებისა და ახალი ცოდნის მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ამ პრობლემის გადასაწყვეტად სამეცნიერო კონფერენციები წარმოდგენენ.

პროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია საქართველოში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებისათვის დაფინანსების გაცემა; კვლევების შედეგების გაზიარება და ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა;

მოსალოდნელი შედეგები: საქართველოში მაღალი დონის, საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისა და კონფერენციების გამართვა; ქართული სამეცნიერო საზოგადოების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების ხელშეწყობა.

შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები: დაფინანსებული კონფერენციების რაოდენობა; ადგილობრივ მონაწილეთა რაოდენობა; მოწვეულ უცხოელ მონაწილეთა რაოდენობა; საკონფერენციო მასალების გავრცელების მასშტაბი.

ამდენად, გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ითვალისწინებდა საგრანტო პროგრამების შექმნის ვალდებულებას, რასაც ფონდი ასრულებდა, აღნიშნული აქტებით გათვალისწინებული წესების დაცვით.

4.2. გრანტების გაცემის დაგეგმვა

ფუნდამენტური გრანტების, გამოყენებითი გრანტების და მიზნობრივი გრანტების დებულებებით, კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, აგრეთვე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები საგრანტო პროგრამის ადმინისტრირებისთვის სპეციალურო ორგანოს შექმნის ვალდებულებას არ ითვალისწინებდა და საგრანტო პროგრამების ადმინისტრირებას თავად ფონდი ახდენდა.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (ფუნდამენტური, გამოყენებითი და მიზნობრივი გრანტების დებულებები) ითვალისწინებს საგრანტო განაცხადისადმი წასაყენებელი მოთხოვნების, წარსადგენი დოკუმენტების და მისი განხილვის პროცედურების შემუშავებას, კერძოდ, ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მომხდარიყო გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღებოდა.

აღნიშნული აქტით განისაზღვრებოდა საგრანტო განაცხადისადმი წაყენებული მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტები და მისი განხილვის პროცედურები, ხოლო საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ იყო განსაზღვრული ფუნდამენტური, გამოყენებითი და მიზნობრივი გრანტების დებულებებით.

ფუნდამენტური, გამოყენებითი და მიზნობრივი გრანტების დებულებებით საგრანტო კონკურსის გამოცხადების და გამჭვირვალობის კომპონენტი წინასწარ დეტალურად არ იყო განსაზღვრული, მათში მხოლოდ ნათქვამი იყო, რომ ფონდი ახორციელებდა "კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას".

4.3. გრანტების გაცემის პროცესი

4.3.1. საგრანტო კონკურსის გამოცხადება

საგრანტო კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები არ ითვალისწინებს. ფონდის მიერ საგრანტო კონკურსების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ფონდის ვებ-საიტზე.[105] განცხადებასთან ერთად ქვეყნდება ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანება, აგრეთვე, კონკურსის პირობები დეტალურად. ფონდში საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით. განცხადებასთან ერთად ვებ-საიტზე ხელმისაწვდომი იყო ყველა საჭირო დოკუმენტაციის (მ.შ. ბიუჯეტის) ნიმუშები და განმარტებები "ხშირად დასმული კითხვების" სახით.

2016 წელს საკონკურსო განაცხადების მიღება ფონდის მიერ ონლაინ-სისტემაში ატვირთვით ხდებოდა. გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი განაცხადების წარდგენის მინიმალურ ვადებს არ ითვალისწინებს. საკონკურსო განაცხადის/დოკუმენტების წარდგენისთვის ვადის დადგენა ხდება გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანებით. ბოლო ვადის გასვლის შემდეგ საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღებოდა.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

ფონდის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, გენერალური დირექტორის უფლებამოსილებაა, ფონდის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შექმნას კომისიები და სხვა სათათბირო ორგანოები, განსაზღვროს მათი მუშაობის წესი.

ფუნდამენტური გრანტების დებულებით, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემათ დამოუკიდებელ ადგილობრივ ან/და უცხოელ ექსპერტებს. პროექტის შეფასება უნდა განახორციელებინა, სულ ცოტა, ორ დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელთა ვინაობა კონფიდენციალურია.

გამოყენებითი გრანტების დებულებით, პირველ ეტაპზე, სულ ცოტა, 2 დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ პროექტების შეფასების შემდეგ ისინი, გამარჯვებულების გამოვლენის მიზნით, გადაეცემოდა შექმნილ კომისიას, რომელიც შედგება "კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 თებერვლის №32 დადგენილებით შექმნილი კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ადგილობრივი დარგობრივი ექსპერტების, ბიზნესის, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსა (GITA) და სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) წარმომადგენლებისგან.

მიზნობრივი გრანტების დებულებით, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები შესაფასებლად გადაეცემა, სულ ცოტა, 2 ექსპერტს. ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.

2016 წლის საკონკურსო კომისიის წევრების სია გამოქვეყნებულია ფონდის საიტზე.[106] აღსანიშნავია, რომ გრანტის მაძიებლის მიერ პროექტის ფონდში წარდგენისას შესაძლებელია მიეთითოს არა უმეტეს სამი არასასურველი ექსპერტისა, რომელთაც შესაფასებლად წარდგენილი პროექტი არ გაეგზავნებათ.

[105] https://www.rustaveli.org.ge/geo/2016-tslis-konkursebi
[106] https://www.rustaveli.org.ge/geo/2016-tslis-sakonkurso-komisiis-tsevrebi

ფუნდამენტური, გამოყენებითი და მიზნობრივი გრანტების დებულებებით დარეგულირებული იყო ინტერესთა კონფლიქტის საკითხები, კერძოდ: დაუშვებელია ექსპერტი იყოს ამავე კონკურსის მონაწილე პირი; არ შეიძლება პროექტის შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი, რომელსაც აქვს საერთო პუბლიკაცია ძირითად პერსონალთან ან მონაწილეობდა მასთან ერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში, რომელმაც შესაძლოა მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის გამარჯვების ან დამარცხების შემთხვევაში, რომელსაც აქვს პროექტის თემატიკის ან კვლევის მეთოდიკის შესახებ პროექტის ავტორებისაგან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიცია, რომელიც თვითონ არის დაინტერესებული მხარე პროექტში; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის ნათესავია; პროექტში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით; შრომით ურთიერთობაშია პროექტში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან. თუ ასეთი გარემოებები არსებობს, ექსპერტი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია, ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

4.3.3. საგრანტო შეთავაზების შეფასება

საგრანტო კონკურსებში შეფასების პირობები გაწერილია ფონდის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის (2015-2019 წწ.) პროგრამების ჩამონათვალში, პროგრამების მიხედვით[107]:

პროგრამა 1.1 ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსი (2015-2019)

კონკურსის შეფასების პირობები: პროგრამა ცხადდება ღია კონკურსის გზით და დაფინანსდება საუკეთესო პროექტები. პროექტები ფასდება დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერთა (დოქოტრანტების, 35 წლამდე მეცნიერთა) ჩართვას პროექტში მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით. სასურველია საერთაშორისო კოლაბორატორის თანამონაწილეობას პროექტში (არა ძირითადი პერსონალის, არამედ კონსულტანტის სახით).

პროგრამა 1.3 ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით (2015-2019)

კონკურსის და შეფასების პირობები: პროექტები ფასდება დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერთა (დოქოტრანტების, 35 წლამდე მეცნიერთა) ჩართვას პროექტში მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით. სასურველია საერთაშორისო კოლაბორატორის თანამონაწილეობა პროექტში (არა ძირითადი პერსონალის, არამედ კონსულტანტის სახით).

პროგრამა 4.1 სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსი

კონკურსის შეფასების პირობები: პროგრამა ცხადდება ღია კონკურსის გზით და დაფინანსდება საუკეთესო პროექტები. პროექტები ფასდება დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერთა (დოქოტრანტების, 35 წლამდე მეცნიერთა) ჩართვას პროექტში მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით. სასურველია საერთაშორისო კოლაბორატორი თანამონაწილეობა პროექტში (არა ძირითადი პერსონალის, არამედ კონსულტანტის სახით).

პროგრამა 4.2 საკონფერენციო გრანტების კონკურსი

[107] მოყვანილია ის პროგრამები, რომლებითაც 2016 წელს გაიცა გრანტები საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

კონკურსის შეფასების პირობები: პროგრამა ცხადდება ღია კონკურსის გზით და დაფინანსდება საუკეთესო პროექტები. პროექტები ფასდება დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდა მეცნიერთა (დოქტორანტების, 35 წლამდე მეცნიერთა) ჩართვას პროექტში მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობის მიზნით. აუცილებელია საერთაშორისო კოლაბორატორებისა და მკვლევარების თანამონაწილეობა პროექტში (არა ძირითადი პერსონალის, არამედ მომხსენებლების სახით).

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით წინასწარ არის დადგენილი საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმები.

ფუნდამენტური გრანტების დებულებით, პროექტების შეფასებას ექსპერტები ახორციელებდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმები და განმარტებები	**ცუდი**	**სუსტი**	**საშუალო**	**კარგი**	**ძალიან კარგი**	**საუკეთესო**	**შეფასება და კომენტარი**
1. სამეცნიერო კომპონენტი	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 20 ქულა*
1. კვლევითი თემის/ საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება 2. კვლევის მიზნები და ამოცანები 3. კვლევის მეთოდოლოგია 4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან პრაქტიკული გამოყენება და კვლევის შედეგების გავრცელების (დისემინაციის) გეგმა							
2. აკადემიური კომპონენტი	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 15 ქულა*
1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევები და კვალიფიკაციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან 2. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამისობა კვლევითი თემის მიმართულებით 3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი							
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 20 ქულა*
1. პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3. პროექტის ეფექტური განხორცილებისათვის საჭირო მასპინძელი / თანამონაწილე დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან 4. კვლევის საჭირო მასალებისა და აპარატურის შესაბამისობა კვლევით პროექტთან							
ქულების ჯამი:							*მაქსიმუმ 55 ქულა*

თითოეული ქვეკრიტერიუმი ფასდებოდა 6-ქულიანი სისტემით. ჯამური მაქსიმალური შეფასება იყო 55 ქულა. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო, პროექტს მიეღო 40 ან მეტი ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებდა პირველ კრიტერიუმში (სამეცნიერო კომპონენტი), შემდეგ კი თანმიმდევრულად, მე-3 (პროექტის მენეჯმენტი) და მე-2 (აკადემიური კომპონენტი) კრიტერიუმებში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებოდა ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

გამოყენებითი გრანტების დებულებით, კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შეფასების I საფეხურზე გადიოდა ექსპერტიზას, პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. დამოუკიდებელი ექსპერტები პროექტს აფასებდნენ დებუებით გათვალისწინებული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. პროექტის შეფასებას ახორციელებდა, სულ ცოტა, ორი დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლებიც შეფასების შედეგებს წარედგენდნენ ფონდისთვის. პირველ საფეხურზე, ექსპერტები პროექტის შეფასების ახდენდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმები და განმარტებები	**ცუდი**	**სუსტი**	**საშუალო**	**კარგი**	**ძალიან კარგი**	**საუკეთესო**	**შეფასება და კომენტარი**
1. სამეცნიერო კომპონენტი და გამოყენებითობა	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 25 ქულა*
1. კვლევითი თემის/ საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება 2. კვლევის მიზნები და ამოცანები 3. კვლევის მეთოდოლოგია 4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან პრაქტიკული გამოყენება და კვლევის შედეგების გავრცელების (დისემინაციის) გეგმა 5. კვლევის შედეგების კომერციალიზაციის პერსპექტივა							
2. აკადემიური კომპონენტი	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 15 ქულა*
1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევები და კვალიფიკაციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან 2. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციისა და უნარების შესაბამისობა კვლევითი თემის მიმართულებით 3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობის ხარისხი							
3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა	0	1	2	3	4	5	*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 20 ქულა*
1. პროექტის განხორციელების გეგმა - გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 2. პროექტის ბიუჯეტის შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3. პროექტის ეფექტური განხორცილებისათვის საჭირო მასპინძელი / თანამონაწილე დაწესებულების ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან 4. კვლევის საჭირო მასალებისა და აპარატურის შესაბამისობა კვლევით პროექტთან							
ქულების ჯამი:							*მაქსიმუმ 60 ქულა*

განხილვის მე-2 საფეხურზე გადასვლის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო შეფასების სრული 60 ქულიდან 43 და მეტი ქულის მიღება.

მიზნობრივი გრანტების დებულებით, შეფასებისა და საბოლოო ქულის დაანგარიშების წესი დგინდება ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. პროექტების შეფასებას ექსპერტები ახორციელებდნენ შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმები და განმარტებები	**ცუდი**	**სუსტი**	**საშუალო**	**კარგი**	**ძალიან კარგი**	**საუკეთესო**	**შეფასება და კომენტარი**
	0	1	2	3	4	5	

1 - სამეცნიერო დასაბუთება (წარმოდგენილი კვლევის სიახლე, სამეცნიერო ღირებულება, პროექტის სიცხადე, მითითებული ლიტერატურის ადეკვატურობა, ციტირება და ა.შ.)							*მინიმუმ 0, მაქსიმუმ 5 ქულა*
2 - მეთოდოლოგია (მეთოდოლოგიის დასაბუთება: ორიგინალობა და მიზანშეწონილობა)							
3 - მოსალოდნელი სამეცნიერო შედეგები (დასახული მიზნების მიღწევადობა, მიღებული შედეგების გამოყენებადობა არსებული ან ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის)							
4 - პროექტში ჩართული ადამიანური რესურსების (პროექტის ხელმძღვანელის (მენეჯერის), ახალგაზრდა მკვლევარის და ძირითადი პერსონალის) კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა პროექტთან							
5 - განხორციელებადობა და გამოყენება (არსებული ინსტიტუციური ტექნიკური შესაძლებლობებისა და რესურსების, აგრეთვე მოთხოვნილი მატერიალური და ფინანსური რესურსების, განხორციელების გრაფიკის შესაბამისობა მიზნების განხორციელებასთან)							
6 - მდგრადობა (შემდგომი სამეცნიერო განვითარების ან კომერციალიზაციის შესაძლებლობა)							
7 - პროექტის უცხოელი კოლაბორატორის კომპეტენციისა და გამოცდილების შესაბამისობა კვლევით პროექტთან							
ქულების ჯამი:							*მაქსიმუმ 35 ქულა*

თითოეული ქვეკრიტერიუმი ფასდებოდა 6-ქულიანი სისტემით. ჯამური მაქსიმალური შეფასება იყო 35 ქულა. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა იყო, პროექტს მიეღო 25 ან მეტი ქულა.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები წარდგენილ განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესებს არ ითვალისწინებდა, თუმცა, ფონდის გენერალური დირექტორის ბრძანებების მიხედვით, შესაძლებელი იყო გამარჯვებულ პროექტში კორექტივების შეტანა, ხელშეკრულების გაფორმებამდე.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

ფონდის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის "ჟ" ქვეპუნქტის თანახმად, საგრანტო განაცხადების საგრანტო კონკურსთან შესაბამისობის დადგენის, საგრანტო განაცხადების დაფინანსების, დაფინანსების შეჩერების, განახლების, პირობების ცვლილების, პროექტის დაფინანსების შეწყვეტის, ხარვეზის გამოვლენისა და ხარვეზის გამოსწორების ვადების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს ფონდის გენერალური დირექტორი. აგრეთვე, წესდების იმავე მუხლის "2. მ" ქვეპუნქტით, ის არის უფლებამოსილი, ფონდის სახელით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დადოს ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

ფუნდამენტური გრანტების დებულებით, კონკურსს შემდეგი ეტაპები ჰქონდა:

- კონკურსის გამოცხადება;
- პროექტების ფონდში წარდგენა;
- პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;
- დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შერჩეული დასაფინანსებელი პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება.
- დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან და ძირითად პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

გამოყენებითი გრანტების დებულებით, კონკურსს შემდეგი ეტაპები ჰქონდა:

- კონკურსის გამოცხადება;
- პროექტების ფონდში წარდგენა;
- პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

- გენერალური დირექტორის მიერ შექმნილი კომისიის მიერ კონკურსის მე-2 საფეხურზე გადასული პროექტების შეფასება, პრეზენტაცია კომისიის წინაშე და გამარჯვებულების გამოვლენა;
- დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მიზნობრივი გრანტების დებულებით, კონკურსს შემდეგი ეტაპები ჰქონდა:

- აპლიკანტების მიერ მომზადებული საპროექტო წინადადებების მოკლე ვერსიის რეგისტრაცია,
- პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
- პროექტების მოკლე ვერსიის შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;
- დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, საუკეთესო ქულების მქონე პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცება და გადაგზავნა უკრაინაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრში, რომელთანაც ფონდს 2006 წლის 31 ოქტომბრიდან გააფორმებული აქვს "საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პრიორიტეტული სფეროების ერთობლივი ვალდებულების" განაცხადი თანამშრომლობის შესახებ;
- მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის მმართველთა საბჭოს მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ;
- ფონდის მიერ საქართველოს სახელით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრში წარსადგენად მომზადებულ პროექტებზე თანხმობის გაცემა;
- დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან, წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

ფუნდამენტური კვლევების საგრანტო კონკურსის 2016 წლის ბიუჯეტი იყო 2662163 ლარი, კონკურსზე დარეგისტრირდა - 472 პროექტი, დაფინანსდა - 86 პროექტი, (392 მეცნიერი), პროექტების ხანგრძლივობა - 12-36 თვე, განხორციელების პერიოდი - 15/01/2017-15/01/2020. ამ კონკურსში ფონდმა დააფინანსა 4 საზოგადოებრივი ორგანიზაცია:

გრანტის მიმღები	დაფინანსებული პროექტი	საგრანტო დაფინანსება (ლარებში)
ა(ა)იპ მეცნიერება და ენერგეტიკა	ბეტონის ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლების გამოკვლევა ადსორბციული თეორიის პოზიციიდან	209740.00
ა(ა)იპ ჯანმრთელობის კვლევის კავშირი	ჯანდაცვასთან ასოცირებული C ჰეპატიტის რისკის შეფასება ქართველ ქალებში	210000.00
ა(ა)იპ კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია	ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ); ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია მე-17-მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში	162300.00
ა(ა)იპ მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი	რელიგია და საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი საქართველოში	90000.00

გამოყენებითი კვლევების საგრანტო კონკურსის 2016 წლის ბიუჯეტი იყო 5 945 686 ლარი, კონკურსზე დარეგისტრირდა - 129 პროექტი, დაფინანსდა -26 პროექტი (142 მეცნიერი), პროექტების ხანგრძლივობა - 12-24 თვე, განხორციელების პერიოდი - 1/01/2017-1/01/2019. ამ კონკურსში 2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გრანტები არ გაცემულა.

უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევების პროგრამის 2016 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 771 602 ლარს, კონკურსზე დარეგისტრირდა - 38 პროექტი, დაფინანსდა - 12 პროექტი (67 მეცნიერი), პროექტების ხანგრძლივობა - 24-36 თვე, განხორციელების პერიოდი - 1.01.2017-1/01/2020. ფონდმა საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე 2016 წელს გასცა 1 გრანტი:

გრანტის მიმღები	დაფინანსებული პროექტი	საგრანტო დაფინანსება (ლარებში)

ა(ა)იპ კროსკულტურული უნივერსუმი CCU	სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში	148173.00

სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის 2016 წლის ბიუჯეტი იყო 472 805 ლარი, კონკურსზე დარეგისტრირდა 53 პროექტი, დაფინანსდა - 13 პროექტი (132 მეცნიერი), განხორციელების პერიოდი -31.05.2016-31.05.2017. ფონდმა 2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გასცა 3 გრანტი:

გრანტის მიმღები	დაფინანსებული პროექტი	საგრანტო დაფინანსება (ლარებში)
ა(ა)იპ ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია	ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები	30000.00
ა(ა)იპ საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია	იმუნოლოგიური კვლევის მეთოდების სკოლა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით	45000.00
ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი	ზეპირი ისტორია: საქართველოს წარსულის შესწავლა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადება	37750.00

საკონფერენციო გრანტების კონკურსის 2016 წლის ბიუჯეტი იყო 332 525 ლარი, კონკურსზე დარეგისტრირდა - 82 პროექტი, დაფინანსდა - 11 პროექტი (37 მეცნიერი), განხორციელების პერიოდი - 10.04.2016-10.04.2017. ფონდმა 2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გასცა 5 გრანტი:

გრანტის მიმღები	დაფინანსებული პროექტი	საგრანტო დაფინანსება (ლარებში)
ა(ა)იპ "ფონდი მედინვესტი"	"თანამედროვე ტენდენციები განვრცობილი პროსტატის კიბოს მკურნალობაში" მე-2-ე კავკასიური სიმპოზიუმი	40000.00
ა(ა)იპ საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი	საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირების VII გაერთიანებული საერთაშორისო კონფერენცია: უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები	40000.00
ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი	ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება	39952.00
ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება	ფსიქიკური ჯანმრთელობა, მიმართულებები და პრობლემები	38000.00
საქართველოს ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს ასოციაცია	CG16_i_3_87 ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს მეორე საერთაშორისო ტრანსკავკასიური კონგრესი	39490.00

2016 წელს ფონდმა გაიცა **სულ 13 გრანტი 12 საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე, 1130405 ლარის ჯამური მოცულობით.** გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები გამარჯვებულის შესახებ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ვალდებულებას არ ითვალისწინებდა. 2016 წლის გამარჯვებული პროექტების ნუსხა და ინფორმაცია პროექტების შესახებ გამოქვეყნებულია ფონდის საიტზე.[108]

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები კონკურსის შედეგების გასაჩივრების შიდა მექანიზმს არ ითვალისინებდა. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული სამართლის მოქმედი ნორმების შესაბამისად და სასამართლო წესით.

4.4. გრანტების განხორციელების მონიტორინგი

4.4.1. გაცემული გრანტების განხორციელების შეფასება

[108] https://www.rustaveli.org.ge/geo/2016-tseli

დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ, ფონდი უზრუნველყოფდა საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან და წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს ფონდისთვის უნდა წარედგინათ წერილობით დადასტურება იმის შესახებ, რომ მათ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ჰქონდათ.

პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდებოდა ტრანშების სახით. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშები ირიცხებოდა პროექტის მიზნობრივ საბანკო ანგარიშებზე ავანსის სახით. ყოველი მომდევნო ტრანში ირიცხებოდა წინა საანგარიშო პერიოდის შედეგების შესრულების შესახებ ფონდში წარდგენილი ანგარიშების განხილვის საფუძველზე.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები მონიტორინგის განხორციელების გეგმისა და მეთოდოლოგიის შემუშავების ვალდებულებას არ ითვალისწინებდა, თუმცა გათვალისწინებული იყო მონიტორინგის ჩატარება. ფონდი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებდა დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავდა პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას ფონდი ამოწმებდა პროექტის სამეცნიერო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშს. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობდა საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები ითვალისწინებდა პროექტის შეჩერების წესებს. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტდა გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდებოდა პროექტი), თუ მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია (ან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაუქმდა მისი ავტორიზაცია), აგრეთვე, თუ გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდებოდა საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები პროექტების განხორციელების შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის მექანიზმებს არ ითვალისწინებდა.

4.4.2. საგრანტო პროგრამის და გრანტების ეფექტიანობის შეფასება

გრანტის გაცემის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები საგრანტო პროგრამის ეფექტიანობის შეფასებას და შეფასების მექანიზმებს არ ითვალისწინებდა. ფონდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს საგრანტო დაფინანსების საფუძველზე შექმნილი ახალი სამეცნიერო პროდუქციისა და მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტის მონაცემების თაობაზე. ფონდის 2016 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია მის ვებ-საიტზე.[109]

[109]https://rustaveli.org.ge/images/angarishi%202016/2016%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98%20-09.02.17.pdf

VIII. საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში იქმნება საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი (შემდეგში - ფონდი), რომლის ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით გასცემდა დაფინანსებას, მათ შორის, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე, სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. ფონდიდან გაცემული თანხები, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გრანტად არ იწოდება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, "2016 წლის წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული იყო საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი 5 მილიონი ლარის ოდენობით, რომლიდან გრანტის სახით თანხა არ გაცემულა, შესაბამისად, არ ხდებოდა საგრანტო პროგრამისა და მისთვის საჭირო პირობების შემუშავება".[110] მიუხედავად ამისა, ფონდის მიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროექტების განსახორციელებლად გაცემული დაფინანსება, თავისი არსით, წარმოადგენდა გრანტს, და დაფინანსების პროცესი, რიგი ნიშნების მიხედვით, სხვა დონორების მიერ "ღია კარის პრინციპით" გრანტების გაცემის ანალოგიური იყო. აღნიშნული გარემოებების გამო ფონდის საქმიანობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების მიმართულებით, გარკვეულწილად, წინამდებარე ანგარიშში აისახა.

2019 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი აღარ შეიქმნა.

4.1. გასაცემი დაფინანსების დაგეგმვა - პროგრამების შექმნა

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 დეკემბრის №963 ბრძანებულებით "საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესახებ" 111 დამტკიცებული საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დებულების მე-2 მუხლის "მ" პუნქტით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია (შემდეგში - ადმინისტრაცია), თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის დავალებების შესრულებასა და კონტროლს ფონდის განკარგვასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის მიერ ფონდის განკარგვის პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 9 ოქტომბრის №412 ბრძანებულებით [112] დამტკიცდა საქართველოს ფონდის განკარგვის პროცესში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმიანობის წესი (შემდეგში - საქმიანობის წესი). პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემის მარეგულირებელი ეს სამართლებრივი აქტი საგრანტო პროგრამის შექმნას არ თვალისწინებდა.

პრეზიდენტის ვებ-საიტზე გამოქვეყნებული იყო ფონდის მიზანი: "სარეზერვო ფონდის უმთავრესი მიზანია საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა". სარეზერვო ფონდის ხარჯების მიმართულებებს განსაზღვრავდა საქართველოს პრეზიდენტი, ბიუჯეტით განსაზღვრული მოცულობის მიხედვით.

2016 წელს ფონდიდან დაფინანსდა საგანმანათლებლო პროექტები როგორც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე უცხოეთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, ახალგაზრდული სპორტული პროექტები, სადისკუსიო და საინფორმაციო პლატფორმის მხარდაჭერა - საპრეზიდენტო კოლეგიუმი, საკონსტიტუციო, საარჩევნო საკითხებზე, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების შესახებ, ეთნიკური უმცირესობებისათვის ევროატლანტიკური მისწრაფებების შესახებ; სოციალური პროექტები - ძალადობის მსხვერპლთა და ბავშვთა ფსიქოლოგიური დახმარება, რესოციალიზაცია, შეწყალებულ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია,

[110] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხი ა(ა)იპ მწვანე კავკასიას №207 11.01.2019
[111] 05.04.2016 რედაქციით https://matsne.gov.ge/ka/document/view/2144157?publication=4
[112] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2543745?publication=2

რესოციალიზაცია, ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობის პროექტი, სხვადასხვა სოციალური, კულტურული და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის განხორციელებული პროექტები.

4.2. დაფინანსების გაცემის დაგეგმვა

საქმიანობის წესის მე-3 მუხლის მიხედვით, ფონდიდან თანხა გამოიყოფოდა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ან შემოსული განცხადების საფუძველზე. ორივე შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობასა და ორგანიზებას უზრუნველყოფდა ადმინისტრაცია.

ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის წერილობითი განცხადება წარედგინებოდა საქართველოს პრეზიდენტს. განცხადება შესაბამისი მსვლელობისათვის ბარდებოდა ადმინისტრაციის კორესპონდენციის მართვის დეპარტამენტს ან ფოსტით ეგზავნება ადმინისტრაციას. ადმინისტრაციაში შემოსული განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა-დამუშავებას, სისტემატიზაციასა და შენახვას უზრუნველყოფდა ადმინისტრაციის უფროსის სამდივნო (შემდეგში - სამდივნო).

4.3. დაფინანსების გაცემის პროცესი

4.3.1. კონკურსის გამოცხადება

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-საიტის ცალკე გვერდზე[113] ქვეყნდებოდა ინფორმაცია ფონდიდან დაფინანსების მსურველთათვის, რომელთაც "ღია კარის" პრინციპით შეეძლოთ წლის განმავლობაში წარედგინათ ადმინისტრაციაში საპროექტო წინადადებები და ეთხოვათ პრეზიდენტისათვის ფონდიდან დაფინანსება. გამოქვეყნებული იყო ფონდის მიზანი - "სარეზერვო ფონდის უმთავრესი მიზანია საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობა", მიმდინარე წლის პრიორიტეტები, ფონდის წლიური მოცულობა, ფონდიდან თანხების გამოყოფის სამართლებრივი საფუძველი და წესი, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

"საქართველოს საარჩევნო კოდექსი (მუხლი 49) ითვალისწინებს სარეზერვო ფონდის განკარგვის შეზღუდვის შემთხვევებს, კერძოდ:

1. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რაც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
2. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობების ზრდა/ ისეთი გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება,რაც ზემოაღნიშნულ პერიოდამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

ზემოაღნიშნული აკრძალვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და საარჩევნო უბნების მოწყობის დაფინანსებაზე.

წინასაარჩევნო პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც /რომელზეც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/ პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ სუბიექტის /პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. ასევე ამ პერიოდში აკრძალულია საბიუჯეტო

[113] https://www.president.gov.ge/ka-GE/sajaro-informacia/sarezervo-fondi.aspx

სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება".

ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იყო ადმინისტრაციაში განცხადების შეტანის პროცედურა: განცხადების შეტანა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელსაც არ გააჩნდა დავალიანება სახელმწიფოს წინაშე ან მესამე პირების წინაშე. საამისოდ საჭირო იყო ფორმის შევსება, რომლის ჩამოტვირთვა შესაძლებელი იყო ვებ-გვერდიდან, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით ფიზიკურად ჩაბარება ადმინისტრაციის კორესპოდენციის მართვის დეპარტამენტში. განაცხადთან ერთად აპლიკანტ ორგანიზაციებს მოეთხოვებოდათ შემდეგი საბუთების წარდგენა:

1. ცნობა ყადაღის შესახებ
2. ცნობა საგადასახადო დავალიანების შესახებ
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
4. ამონაწერი საბანკო რეკვიზიტების შესახებ
5. ბენეფიციართა და/ან პროექტის განმახორციელებელთა ბიოგრაფიები

დაზუსტებული იყო, რომ უცხოენოვანი საბუთების წარდგენა უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ენაზე თარგმნილი და კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით დამოწმებული ასლების მეშვეობით.

ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იყო ჩამოსატვირთი ფორმები:

ფორმა 1_საპროექტო განაცხადი_ორგანიზაციის შესახებ
ფორმა 2_საპროექტო განაცხადი_პროექტის აღწერა
ფორმა 3_ბიუჯეტი

აგრეთვე, სარეზერვო ფონდის წინა წლების ანგარიშები.

4.3.2. შემფასებელი ორგანოს (საბჭო/კომისია) ფორმირება

საქმიანობის წესის მე-3 მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ წინადადებების მომზადების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით შესაძლებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის შექმნა. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების შესაბამისად, ჯგუფისათვის პროექტის განსახილველად გადაცემის შემთხვევაში, ჯგუფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებდა ადმინისტრაცია.

საქმიანობის წესის მე-3 მუხლის მიხედვით, ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელი იყო საზოგადოების წარმომადგენლების მოწვევა არასამთავრობო, სამეცნიერო ან/და ბიზნესის სექტორიდან (ანაზღაურების გარეშე). ჯგუფის სხდომა უფლებამოსილი იყო, თუ სხდომას დაესწრებოდა არანაკლებ სამი წევრისა, გადაწყვეტილებას მიღება შესაძლებელი იყო სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ წევრთა არანაკლებ 1/3-ის თანხმობით. ჯგუფის წინადადებების ფაიქსირება უნდა მომხდარიყო სხდომის ოქმში, რომელსაც სხდომაზე დამსწრე თითოეული წევრი მოაწერდა.

ინტერესთა კონფლიქტის საკითხებს ეხება საქმიანობის წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, დაფინანსების საკითხის განხილვისას ინტერესთა კონფლიქტი არსებობს, თუ ჯგუფის წევრი პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია კონკრეტული პროექტის/დახმარების დაფინანსების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგებით, ან არის დაფინანსების საკითხის ინიციატორის ნათესავი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. საქმიანობის წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გამოირიცხებოდა ჯგუფის წევრის მონაწილეობა დაფინანსების საკითხის განხილვის პროცესში.

4.3.3. საკონკურსო შეთავაზების შეფასება

საქმიანობის წესი საკონკურსო განაცხადის შეფასების კრიტერიუმებს ან მათი განსაზღვრის წესებს არ ითვალისწინებდა, ამდენად, თუ არა განაცხადების შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არ იქნა დადგენილი. საქმიანობის წესი არ ითვალისწინებდა წარდგენილ განაცხადში ხარვეზების შევსების/გამოსწორების წესებს და საკონკურსო განაცხადების შეფასების პროცედურებს.

4.3.4. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება

საქმიანობის წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ფონდიდან თანხა გამოიყოფა საქართველოს პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილების გათვალისწინებით, საქართველოში დემოკრატიული ღირებულებებისა და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დამკვიდრების ან/და განვითარების ხელშეწყობის, ასევე საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული სხვა მიზნობრიობის შესაბამისად და ოდენობით, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზნობრიობასა და ოდენობას განსაზღვრავდა საქართველოს პრეზიდენტი განკარგულებით.

საქმიანობის წესის მე-3 მუხლის მიხედვით, ფონდიდან დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ფონდიდან თანხებს გამოყოფდა ფინანსთა მინისტრი.

4.3.5. გასაჩივრების მექანიზმები

საქმიანობის წესი არ ითვალისწინებდა გასაჩივრების რაიმე მექანიზმს.

4.4. პროექტების განხორციელების მონიტორინგი

საქმიანობის წესის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სამდივნოს მეშვეობით უფლებამოსილი იყო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაეტარებინა დაფინანსების მიზნობრივად ხარჯვის მონიტორინგი. საამისოდ სამდივნო დაფინანსებული პირებისაგან ითხოვდა დაფინანსების მიზნობრივად ხარჯვის შესახებ შუალედურ ან/და საბოლოო ინფორმაციას.

4.4.1 დაფინანსებული პროექტების განხორციელების შეფასება

ფონდიდან გაცემული დაფინანსებით განხორციელებული პროექტების შედეგების შეფასებას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ ახდენდა. საქმიანობის წესის მიხედვით, მე-5 მუხლის მიხედვით, ინფორმაცია ფონდიდან გაცემული დაფინანსების შესახებ საჯაროა, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, "საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული პროექტების ჩამონათვალი, ასევე სრული ინფორმაცია ორგანიზაციებისა და პროექტების შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე (www.mov.gov.ge); ხოლო ანალიტიკური ინფორმაცია სარეზერვო ფონდების სახსრების განკარგვის თაობაზე განთავსებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ბიუჯეტის მონიტორის ვებგვერდზე (www.budgetmonitor.ge)".[114]

[114] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პასუხი ა(ა)იპ მწვანე კავკასიას №207 11.01.2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტმა განახორციელა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის 2015-2016 წლების აუდიტი.[115] აუდიტის დასკვნის მიხედვით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ასიგნებები 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული იყო 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ პერიოდში ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ოდენობამ შეადგინა 4,974.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 4,860.1 ათასი ლარი. აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულ ზოგიერთ პროექტში მაღალია პროექტის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურების წილი. 2016 წელს განხორციელებული პროექტების შემთხვევაში ასეთი ვითარება იყო 2 პროექტთან მიმართებაში:

[115] საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 30/36, 2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

5. დასკვნები / რეკომენდაციები

2016 წლის გაცემული სახელმწიფო გრანტების მინიტორინგის შედეგად ვიღებთ სურათს, სადაც გამოიკვეთა როგორც პროგრამის წარმატებები ცალკეული სფეროებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში, ისე გარკვეული გამოწვევები.

ამ გამოწვევებზე რეაგირებას ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურები ახორციელებდნენ 2017 და შემდგომ წლებშიც, მაგრამ ვინაიდან წინამდებარე მონიტორინგი მხოლოდ 2016 წლით შემოიფარგლება, დასკვნები ამ პერიოდში არსებული სურათის შესაბამისად არის ჩამოყალიბებული.[116]

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია განსხვავებები ცალკეულ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ განხორციელებული პროგრამების მარეგულირებელ წესებს შორის.

ბუნებრივია, როცა ცალკეული უწყება დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს საკუთარ პროგრამას, განსხვავებები საქმის წარმოებისას იქნება. ეს ახდენს ბენეფიციართა მხარდაჭერის წყაროების დივერსიფიცირებას და ზღუდავს საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერის პროცესის ერთი უწყების მიერ მონოპოლიზაციას.

მეორეს მხრივ, იკვეთება რიგი საკითხებისა, რომელთა რეგულირება უნდა მოხდეს ერთიანი სტანდარტების შემოღებით ან/და დაკონკრეტებით. სავარაუდოდ ყველზე მისაღები ფორმა იქნება ამ რეგულაციების კანონმდებლობაში ასახვა. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება საქართველოს კანონი "გრანტების შესახებ" (28/06/1996). გარდა კანონსა, რეგულაციები შეიძლება იქნეს მიღებული როგორც საქართველოს მთავრობის, ისე ცალკეული სამინისტროებისა ან/და (კოორდინირების შემთხვევაში) სსიპ-ების მიერ.

როგორც პროგრემების შემუშავების, ისე განხორციელების და მონიტორინგის პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- პროგრამის ადმინისტრირება - ზოგ ინსტიტუციაში ბიუროკრატიული პროცედურების (უპირველეს ყოვლისა - ფინანსურ სფეროში) სიმრავლე ხელს უშლის გადაწყვეტილების დროულად მიღების პროცესს, შესაბამისად საჭიროა პროცედურების პროცესის გამარტივება - არა მოთხოვნათა ნაწილის საერთოდ ამოღება, არამედ არსებული სხვადასხვა მოთხოვნის ფორმატების ურთიერთმიმართების დაზუსტება ;
- მოთხოვნების თანმიმდევრულობა - ცალკეულ შემთხვევაში გრანტების მიმღებთადმი მოთხოვნები წამოყენებული იყო პროექტების დასრულების შემდეგ, რისი გათვალისწინებაც პოსტ-ფაქტუმ შეუძლებელია, ასეთ შემთვევებში უმჯობესი იქნება გრანტების მიმღებებებს თავიდანვე ჰქონდეთ ინფორმაცია ყველა ვალდებულების შესახებ, რომლებიც შემდეგ აღარ შეიცვლება;
- პროექტების შეფასების პროცესი - მისასალმებელი იქნება იმპერატიული გახდეს გაცემული გრანტების საქმიანობების შედეგების ანალიზის შედეგად ზოგადად პროგრამის ეფექტურობის შემოწმების პროცესი;
- ბენეფიციართა (მოქალაქეთა) კმაყოფილება - ასევე იმპერატიულად უნდა დადგინდეს პროგრამის ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხის შესწავლა, რასაც მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო უწყება ახორციელებს;
- საზოგადოების ინფორმირება - განსასაზღვრია როგორც პროგრამების, ისე ცალკეული პროექტების შესახებ იმ ინფორმაციის მინიმუმის დონე, რომელიც პროაქტიულად უნდა იყოს გამოქვეყნებული სახელმწიფო ინსტიტუციის მიერ;
- შემდეგი ეტაპების დაგეგმვა - პროგრამების შეფასებისას მიღებული შედეგების ანალიზის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ეტაპის (მომავალი წლის) აქტივობების დაგეგმვის პროცესში - დასრულებული პროგრამების (ან მათი ეტაპების) შედეგების გათვალისწიბება

[116] 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 ივნისამდე მხოლოდ კანონში "გრანტების შესახებ" შესულია 15 ცვლილება.

მომავალ საქმიანობათა დაგეგმვისას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრემების ეფექტურობას და ეფექტიანობას.

უშუალოდ განხორციელების პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნად მიაქციონ:

- პროგრამის რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას - იმ შემთხვევაში, როცა დაფინასება ხდება არა უშუალოდ გარკვეული მომსახურების მიწოდების, არამედ საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონებში მოქმედი და მცირე ზომის ორგანიზაციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე (მაგ. ანგარიშგების ელექტრონული ფორმის დაშვება, როცა მცირე რეგიონულ ორგანიზაციებს უჭირთ მუდმივად თბილისში დოკუმენტაციის ნაბეჭდი ორიგინალების პერმანენტულად ჩამოტანა);
- შეფასების ერთიანი სტანდარტების შექმნას - ზოგიერთი სახელმწიფო ინსტიტუციის პროგრამაში აღინიშნება შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სახის გადაცდომას სხვადასხვა წელს და სხვადასხვა ორგანიზაციის მიმართ განსხვავებული რეაგირება მოსდევს (შენიშვნის გარეშე დატოვება, გაფრთხილება, ზედმეტი თანხების დაბრუნება, საპროექტო ხელშეკრულების შეწყვეტა). შესაბამისად, ყველა საჯარო ინსტიტუციის მიერ ერთიანი ნორმატიული აქტის საფუძველზე, ერთიან პრინციპებზე დაფუძნებული წესებითა და პროცედურებით გრანტების გაცემის პროცესის, პროექტების განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების ჩატარება უფრო გაამარტივებდა, გამჭვირველეს და ობიექტურს გახდიდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო დაფინანსების მოპოვებას.

დანართი #1 ძირითადი სამართლებრივი აქტების სია

	სახელმწიფო გრანტების გაცემის ჩარჩო სამართლებრივი აქტები
1	"საქართველოს კანონი გრანტების შესახებ"
2	"სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ" საქართველოს კანონი;
3	"სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართველოს კანონი;
4	"მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი
5	"ინოვაციების შესახებ" საქართველოს კანონი
6	"მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი
7	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის N126 დადგენილება "აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ"
	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
1	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N389 დადგენილება "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ";
2	საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N160 ბრძანება "საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
1	საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის N34 დადგენილება "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ";
2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის N246 ბრძანება "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სისტემაში გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
1	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის N7/2012 დადგენილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ";
	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
1	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა მინისტრის 2016 წლის 28 აპრილის #1797 ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ";
2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვითა მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის #2883 ბრძანება "სსიპ "დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს" მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
3	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 16 აგვისტოს N401 დადგენილება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ"
	სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
1	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 5 მარტის №1- 1/66 ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ";
2	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2014 წლის 1 ოქტომბრის N1-1/282 ბრძანება "საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გრანტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ";
3	საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 სექტემბრის N1554 განკარგულება ""საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტის გამცემად განსაზღვრის შესახებ"
	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
1	საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის ბრძანება №62/ნ
2	საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 მარტის N131 დადგენილება "სსიპ _ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გრანტების გაცემის წესის, საგრანტო კონკურსების დებულებებისა და საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე
3	ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №84 დადგენილება
4	გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილება
5	მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №86 დადგენილება
6	საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის №57/ნ ბრძანება
7	საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის N273 დადგენილება "სამეცნიერო გრანტების გაცემის უფლებამოსილების მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირის განსაზღვრის შესახებ"

დანართი #2 სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ 2016 წელს გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია, ინსტიტუციებისა და ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

I. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი)**

წელი: **2016**

N	გრანტის მიმღების დასახელება	გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები	დაფინანსებული პროექტის დასახელება	გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა / ლოტის N	გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა
2015 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტები					
1	ააიპ ფონდი აფხაზინტერკონტი	212701771	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი)	01-003-2015	42450.00
2	ააიპ გურიის ახალგაზრდული რესურს ცენტრი	237093159	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა (აჭარა, გურია, სამეგრელო)	02-003-2015	42430.00
3	ააიპ მიგრაციის ცენტრი	404436776	ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება (საქართველო)	01-002-2015	15000.00
4	ააიპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	249262097	ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება (თბილისი)	02-002-2015	14879.00
5	ააიპ წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი GCRT	204415935	არტ-თერაპია (თბილისი)	03-002-2015	14980.00
					129739.00
2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ 2016 წელს განხორციელებული პროექტები					
1	ააიპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	249262097	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა (აღმოსავლეთ საქართველო)	01-001-2016	100000.00
2	ააიპ გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი	237093159	ყოფილ მსჯავრდებულთა ბიზნესინიციატივების მხარდაჭერა (გურია, აჭარა, სამეგრელო)	02-001-2016	48773.00

3	ააიპ დავიწყოთ ახლა	401968395	"გახდი აქტიური ახალგაზრდა"	ფორუმ-თეატრი მოზადებისათვის, (თბილისი) 02-002-2016	9794.00
4	ააიპ ინიციატივა სოციალური ცვლილებებისთვის	401981557	"პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისათვის"	პიროვნული განვითარება, თბილისი 03-002-2016	10000.00
5	ააიპ გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში - თბილისი	205077584	"დანაშაულის მესამეული პრევენციის ხელშეწყობა არასრულწლოვანი განრიდებულების უნარ-ჩვევების განვითარებით"	კონფლიქტისა და ბრაზის მართვა (თბილისი) 04-002-2016	15000.00
6	ააიპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	249262097	"დანაშაულის გაცნობიერება აღდგენითი პროგრამის საშუალებით"	დანაშაულებრივი ქმედების გააზრება (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი) 05-002-2016	14831.00
7	ააიპ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი	205110789	"ელექტრონული წიგნი მოგზაურებსა და დიდ აღმოჩენებზე"	ელექტრონული წიგნის პროგრამა (თბილისი) 06-002-2016	10000.00
					208398.00
2016 წელს გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ 2017 წელს განხორციელებული პროექტები					
1	ააიპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	249262097	"ყოფილ მსჯავრდებულთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა ტატუს მოშორების გზით"	ყოფილ მსჯავრდებულთათვის ტატუს მოშორება 01-003-2016	14984.00
2	World Vision International-ის ფილიალი საქართველოში	203844251	"ინოვაციები ინტეგრაციისთვის"	ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა 01-004-2016	34000.00
3	ააიპ ინიციატივა სოციალური ცვლილებებისათვის	401981557	"ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება საჭიროებათა კვლევისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების გზით"	ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა იდენტიფიცირების ხელშეწყობა 02-004-2016	20000.00

II. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო**

წელი: **2016**

N	**გრანტის მიმღების დასახელება**	**გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები**	**დაფინანსებული პროექტის დასახელება/ მიმართულების №**	**გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა**	**გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა**
1	ააიპ საზოგადოებრივი დამცველი	404892014	0100	სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; საცხოვრისით დროებითი უზრუნველყოფა; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა (თბილისი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი)	190500.00
2	ააიპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია "ტოლერანტი"	224073179	0200	სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა (შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი)	106500.00
3	ააიპ საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთი"	249262097	0300	სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა (სამეგრელო-ზემო სვანეთი)	106500.00
4	ააიპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - ბათუმი	445408363	0400	სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სოციალური პროექტების დაფინანსება; სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა (აჭარა, გურია)	106500.00
5	ააიპ ახალგაზრდა ადვოკატები	401973094	0500	იურიდიული დახმარება (საქართველოს მთელი ტერიტორია)	20000.00
6	ააიპ ვიპიარ ჯგუფი	400126993	0600	საზოგადოების ინფორმირების პროგრამა (საქართველოს მთელი ტერიტორია)	70000.00
					600000.00

III. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო / სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცელკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო/ სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო**

წელი: **2016**

N	**გრანტის მიმღების დასახელება**	**გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები**	**დაფინანსებული პროექტის დასახელება**	**გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა**	**გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა**	**პროექტის ვადა**
1	ააიპ ფონდი აფხაზინტერკონტი	212701771	სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები, ახალი შესაძლებლობები, კონსტრუქციული და მდგრადი გარემო დევნილთათვის, იმერეთის სამიზნე მუნიციპალიტეტებში	**მიზანი:** დევნილთა შემოსავლების გაზრდა, განსახლების ადგილებზე სოციალურ - ეკონომიკური ინტეგრაცია და სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირება. სამიზნე მუნიციპალიტეტებში სასოფლო სამეურნეო და სოციალური მიმართულების ინიციატივების მხარდაჭერა, 70 დევნილი ბენეფიციარის დაფინანსება, მათი შემოსავლების გაზრდა 35-40%-ით და განსახლების ადგილებზე სოციალურ ეკონომიკური ინტეგრაცია. მიზნობრივ ბენეფიციართა (სულ 70 ბენეფიციარი) მინიმუმ 30% -ის მიერ სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლა, სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. ქალების, შშმ პირებისა და განსაკუთრებით მოწყვლადი ოჯახების პროექტების მხარდაჭერა (მათ შორის ინოვაციური), გენდერული თანასწორობის ბალანსის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. **არეალი:** იმერეთის რეგიონი (ვანი, სამტრედია, წყალტუბო, თერჯოლა, ხონი, ზესტაფონი, ტყიბული) **სამინე ჯგუფი:** დევნილები რომლებსაც მიღებული აქვთ გრძელვადიანი საცხოვრებელი **ბენეფიციარები:** 83 დევნილი (36 ქალი) **შედეგები:** პროექტით გათვალისწინებული 70 - ის ნაცვლად გაიცა 83 გრანტი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და იარაღების შესაძენად, მიკრო ბიზნესის და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივის დასაფინანსებლად.	74994.00	მაისი 2016 დეკემბერი 2016
2	ააიპ ფონდი აფხაზინტერკონტი	212701772	სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივები, ახალი შესაძლებლობები, კონსტრუქციული და მდგრადი გარემო დევნილთათვის, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში	**მიზანი:** დევნილთა შემოსავლების გაზრდა, განსახლების ადგილებზე სოციალურ - ეკონომიკური ინტეგრაცია და სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების შემცირება სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში. სამიზნე მუნიციპალიტეტებში (ის თემები, სადაც ცხოვრობენ მიზნობრივი ბენეფიციარები, მათ შორის სოფლად სახლის პროექტის მონაწილე ოჯახები), სასოფლო სამეურნეო და სოციალური მიმართულების ინიციატივების მხარდაჭერა, 90 დევნილი ბენეფიციარის ხელშეწყობა საარსებო წყაროებისადმი წვდომაში, დაფინანსება, მათი შემოსავლების გაზრდა 35-40%-ით და განსახლების ადგილებზე მდგრადი სოციალურ - ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარება, მათი განსახლების ადგილებიდან მიგრაციის შემცირება; მიზნობრივ ბენეფიციართა (სულ 90 ბენეფიციარი) მინიმუმ 30%-ის მიერ სიღარიბის დაძლევა, სახელმწიფო დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე გადასვლა, სოციალურ-ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. ქალების, შშმ პირებისა და განსაკუთრებით მოწყვლადი ოჯახების პროექტების	99995.00	მაისი 2016 დეკემბერი 2017

				მხარდაჭერა (მათ შორის ინოვაციური პროექტების), გენდერული თანასწორობის ბალანსის დაცვის პრინციპების გათვალისწინებით. **არეალი:** სამეგრელო ზემო-სვანეთი (მესტია, აბაშა, სენაკი, ხობი, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტები) **სამინე ჯგუფი:** დევნილები რომლებსაც მიღებული აქვთ გრძელვადიანი საცხოვრებელი **ბენეფიციარები:** 119 დევნილი (54 ქალი) **შედეგები:** პროექტით გათვალისწინებული 90 - ის ნაცვლად გაიცა 119 გრანტი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და იარაღების შესაძენად, მიკრო ბიზნესის და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივის დასაფინანსებლად.		
3	ააიპ "ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის"	404882980	საარსებო წყაროების განვითარება ქვემო ქართლის დევნილი მოსახლეობისთვის	**მიზანი:** ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების გრძელვადიანი საარსებო წყაროს შესაძლებლობის შექმნა სასოფლო სამეურნეო და სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის გზით. **არეალი:** ქვემო ქართლის რეგიონი **სამინე ჯგუფი:** დევნილები რომლებსაც მიღებული აქვთ გრძელვადიანი საცხოვრებელი (პრიორიტეტი მიენიჭა სოციალურად დაუცველ, მარტოხელა დედებს და შშმ პირებს) **ბენეფიციარები:** 30 დევნილი ოჯახი **შედეგები:** გაიცა 30 გრანტი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და იარაღების შესაძენად, მიკრო ბიზნესის და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივის დასაფინანსებლად.	37496.00	მაისი 2016 დეკემბერი 2016
4	ააიპ "ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის"	404882980	საარსებო წყაროების განვითარება შიდა ქართლის დევნილი მოსახლეობისთვის	**მიზანი:** შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირების გრძელვადიანი საარსებო წყაროს შესაძლებლობის შექმნა სასოფლო სამეურნეო და სოციალური ინიციატივების მხარდაჭერის გზით. **არეალი:** შიდა ქართლის რეგიონი **სამინე ჯგუფი:** დევნილები რომლებსაც მიღებული აქვთ გრძელვადიანი საცხოვრებელი (პრიორიტეტი მიენიჭა სოციალურად დაუცველ, მარტოხელა დედებს და შშმ პირებს) **ბენეფიციარები:** 30 დევნილი ოჯახი **შედეგები:** გაიცა 30 გრანტი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და იარაღების შესაძენად, მიკრო ბიზნესის და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური ინიციატივის დასაფინანსებლად.	37496.00	მაისი 2016 დეკემბერი 2017
					249981.00	

IV. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო**

წელი: **2016**

N	**გრანტის მიმღების დასახელება**	**გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები**	**დაფინანსებული პროექტის დასახელება**	**გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა**	**გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა**	**პროექტის ვადა**
1	ააიპ ედუქეარ ჯორჯია	454409319	"Educare Global"	პროექტისთვის ,,Educare Global" ონალაინ საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა. აღნიშნული პლატფორმა ითვალისწინებდა საგნმანათლებლო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე პირების პროექტების განთავსებას და სახალხო დაფინანსების პრინციპით პროექტებისთვის დაფინანსების მოძიების შესაძლებლობას.	5000.00	8 თვე
2	ააიპ ეუჰაკი	200122900	,,ჰაკათონი"	პროექტის მიზანი იყო თავისუფალ უნივერსიტეტში 48 საათიანი ჰაკათონის ჩატარება ტექნოლოგიის სფეროში ახალგაზრდების ინოვაციურ პროექტებში ჩასართავად. ჰაკათონში მონაწილეობას იღებდა 150 სტუდენტი.	4000.00	3 დღე
3	ააიპ ,,Georgian Society of Investment Professionals"	400088070	,,Seedstars Tbilisi 2016"	პროექტის მიზანი იყო ჩატარებულიყო შეჯიბრი სტარტაპებს შორის, გამარჯვებულ გუნდს შესაძლებლობა ჰქონდა წარდგენილიყო საქართველოს სახელით შვეიცარიაში ქ. ჟენევაში დაგეგმილ გლობალურ საფინალო კონკურსზე (Seedstars Global).	5000.00	1 დღე
					14000.00	

V. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი**

წელი: **2016**

N	გრანტის მიმღების დასახელება	გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები	დაფინანსებული პროექტის დასახელება	გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა (მოკლე შინაარსი)	გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა	პროექტის ვადა
1. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის						
1	ააიპ საქართველოს სახელმწიფო მოდერნიზაციის ინსტიტუტი	405091323	პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება 2016	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	110510.00	2 თვე
2	ააიპ "სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი"	404901807	პოლიტიკური პარტიების წევრების ტრენინგი-იმერეთი	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	145350.00	3 თვე
3	ააიპ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	202910261	პოლიტიკური პარტიების ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაზრდა კახეთის რეგიონში	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	105068.00	3 თვე
4	ააიპ თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია.	245441767	ერთად დემოკრატიისთვის	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	78900.00	3 თვე
5	ააიპ ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია (ECCA)	220014678	შესაძლებლობების განვითარება არჩვნებისთვის	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	113250.00	3 თვე
6	ააიპ საერთო სამოქალაქო მოძრაობა "მრავალეროვანი საქართველო"	204442816	კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის	92245.00	3 თვე

			საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის	მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.		
7	ააიპ სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურცენტრი (MRC	206195375	პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	77348.00	3 თვე
8	ააიპ "განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი" (CDD)	205242539	პოლიტიკური პარტიების რესურსების გაძლიერება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	114364.00	3 თვე
9	ააიპ სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა ქალ ექსპერტთა ქსელი მშვიდობის და უსაფრთხოებისთვის	401991966	ძლიერი პოლიტიკური პარტიები დემოკრატიული საარჩევნო პროცესებისათვის საქართველოში	კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის უზრუნველყოფისა და 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საარჩევნო საინფორმაციო/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.	109199.95	3 თვე
	ჯამი				**946234.95**	
2. ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის						
1	ააიპ POST- ალიონი	441993354	არჩევანი: "არ იქნება წინსვლა, თუ დაგვეზარა მისვლა!"	გურიის და მიმდებარე რეგიონში მცხოვრები, განსაკუთრებით - ახალგაზრდების ინფორმირება 2016 წლის არჩევნების, მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ მედიაპარტნიორების დახმარებით. ბენეფიციარების ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში და გურიის მიმდებარე რეგიონების სოფლებში; აუდიტორიასთან, ბენეფიციარებთან წვდომისთვის, ინფორმაციის მიღებისა და გაცემისთვის, მრავალფეროვანი მედიაინსტრუმენტების, ასევე ღია სადისკუსიო სივრცის გამოყენება; ბენეფიციართა სრულუფლებიანი ჩართულობა და აქტივობების მობილურობა/ახალგაზრდულ ინტერესებზე მორგება ყოველდღიური, უშუალო კომუნიკაციის, შეხვედრების და ინტერაქტივის გზით.	29020.00	2 თვე
2	ააიპ მედია ცენტრი კახეთი	227718725	ადგილობრივი მედია ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველისათვის.	ახალგაზრდა ამომრჩევლთა ინფორმირებისა და არჩევნებისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით მედია ბანაკის ორგანიზება და მათი საარჩევნო საკითხებზე ინფორმირება, კრიტიკული აზროვნებისა და მედიის ინსტრუმენტების გამოყენება, გაანალიზება და მედია წიგნიერების ცოდნის დონის ამაღლება. ახალგაზრდული/სტუდენტური რესურსების მობილიზება და არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდა ამომრჩევლისათვის საინფორმაციო, საგანმანათლებლო შეხვედრების,	26550.00	2 თვე

				სემინარების მოწყობა მათ შორის ახალგაზრდა ქალი ამომრჩევლისათვის. შეხვედრების მოწყობა კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ახალგაზრდა ამომრჩევლის ინფორმირება (ქართულ და აზერბაჯანულ ენებზე) შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩევლის მონაწილეობის მნიშვნელობა; პარლამეტისა და საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირება; ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლების, აქტივობის ზრდისა და ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით; საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ბლოგერების, სტუდენტი-ახალგაზრდობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სპეციალური საინფორმაციო ბროშურის, საგაზეთო ჩანართისა და რადიო გადაცემების მომზადება და გავრცელება.		
3	ააიპ საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია	441993354	რეგიონული მედია ამომრჩეველთა ინფორმირებისა და განათლებისათვის	საქართველოს 8 რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი; კახეთი; შიდა ქართლი; ქვემო ქართლი;იმერეთი; გურია; სამეგრელო; აჭარა) არჩევნების პოპულარიზაცია მრავალფეროვანი საინფორმაციო კამპანიის წარმართვით: საინფორმაციო შეხვედრების მოწყობით, ქუჩის აქციებითა თუ ფლეშმობების გამართვით. საინფორმაციო შეხვედრები(ე.წ. ვორქშოფები): პანკისში, თელავში,ქუთაისში,ხარაგაულში, მარნეულის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელ ალგეთში, ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურში მცხოვრებ ეკომიგრანტებთან. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლების, აქტივობის ზრდისა და ამომრჩეველთა მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობის მიზნით ამომრჩევლების ინფორმირება შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის მართვის პროცესში ამომრჩევლის მონაწილეობის მნიშვნელობა; საქართველოში სახელმწიფო მოწყობისა და არჩევითი ორგანოების ფორმირება; ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების პრინციპები. პროექტით გათვალისწინებულია, სპეციალურად საარჩევნო თემაზე დადგმული ფლეშმობები და ქუჩის აქციები, დევიზით "მოდი არჩევნებზე 8 ოქტომბერს!". ასევე, საინფორმაციო შეხვედრებისა თუ ქუჩის აქციების დროს მოსახლეობისთვის საინფორმაციო ბეჭდური მასალის, სპეციალურად საპარლამენტო არჩევნების თემაზე მომზადებული საგაზეთო ჩანართის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, შესაბამის რეგიონებში გავრცელება.	29990.00	2 თვე
4	ააიპ კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი - CCFJ	427728514	ინფორმირებული არჩევანისთვის - საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის	საქართველოს ყველა რეგიონში მოსახლეობის ინფორმირება არჩევნებთან და საკანონმდებლო ორგანოსთან თუ დეპუტატების უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით და მათთვის დეკლარირებული უფლებების გაცნობა. 8 საგაზეთო გვერდის მომზადება და 9 რეგიონულ გამოცემაში განთავსება საინფორმაციო მასალების განთავსება 9 ვებ-გვერდზე; საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის მუშაობა მედიასაშუალებების დასახმარებლად; პროექტში ჩართულ მედიასაშუალებებთან 6 ლაივსტრიმინგის ჩატარება.	29820.00	2 თვე
5	სამოქალაქო ინიციატივა სამართლიანი არჩევნები	404892871	ინფორმირებული ამომრჩეველი	თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის ინფორმირებულობა საარჩევნო პრინციპებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს შეუწყობს საარჩევნო კულტურის უფრო მეტად ამაღლებას, რაც გაზრდის სამოქალაქო პასუხისმგებლობას; შესაბამისი საინფორმაციო/სარეკლამო მასალების შექმნა (ბუკლეტები, ბროშურები,	29080.00	2 თვე

				მაისურები, კეპები, პლაკატები); საინფორმაციო ავტო ტურის განხორციელება; არჩევნებში პირველად მონაწილე ახალგაზრდებში არჩევნებისადმი ინტერესის გაღვივება, თეორიული მასალის პრაქტიკაში რეალიზაციის მიზნით იმიტირებული არჩევნების ჩატარება. ადგილობრივი მასმედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა გათვითცნობიერება მოახლოებული არჩევნების თავისებურებებში.		
6	საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია	204479457	" წინასაარჩვენო ტელედებატები რეგიონული ამომრჩევლის ინფორმირებისთვის"	20 რეგიონული ტელევიზიისთვის ტელედებატების ფორმატის გაიდლაინის შექმნა და გაზიარება. 20 რეგიონული ტელევიზიის ბაზაზე წინასაარჩევნო ტელედებატების ორგანიზება კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობით. მკაცრად განსაზღვრული და აღიარებული სტანდარტების დაცვით მომზადებული და პირდაპირ ეთერში გადაცემული პროგრამები საქართველოს რეგიონებში ხელს შეუწყობს ინფორმირებულ არჩევნებს .	29900.00	2 თვე
7	ააიპ სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი	404901807	ამომრჩევლის ინფორმირება-იმერეთის რეგიონში (ბაღდათის, ხარაგაულის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტი)"	ბაღდათის, ხარაგაულის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტებში ამომრჩევლებისათვის საარჩევნო პროცესების და არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; 24 დღის განმავლობაში, წინასწარ გაწერილი გრაფიკის მიხედვით ავტოტურის განხორციელება, ამომრჩევლებთან შეხვედრები საჯარო შეხვედრების ფარგლებში და სპეციალურად დაბეჭდილი ფლაერების, კალენდრების და კალმების ამომრჩევლისთვის გადაცემა. პროექტით განსაზღვრული აქტივობების ამოცანაა 10-12 000 ამომრჩევლის ინფორმირება საპარლამენტო არჩევნების და მასში მონაწილეობის მიღების საჭიროების/აუცილებლობის შესახებ.	29860.00	2 თვე
8	ააიპ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია ,,დეა"	220008006	გზა საპარლამენტო არჩევნებამდე თანაბარი ხელმისაწვდომობით	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ამომრჩეველთა (ახალგაზრდების, ქალების, მათ შორის, შშმ ქალების, გოგონების, ქალთა საინიციატივო ჯგუფების, ადგილობრივი და დევნილი შშმ პირების, დასავლეთ საქართველოს მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ა.შ. ფართო საზოგადოების) საარჩევნო ცნობიერების ამაღლება და პოლიტიკური განათლება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართ საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე გენდერული თანასწორობისა და მოწყვლადი ჯგუფების (ადგილობრივი და დევნილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების) ინტერესების გათვალისწინებით. სემინარების ჩატარება შერეული ჯგუფებისთვის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (ზუგდიდი, სენაკი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, მარტვილი, აბაშა, ფოთი, ხობი, მესტია) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშისაინფორმაციო ბუკლეტის ,,ყველაფერი საპარლამაენტო არჩევნების შესახებ" გავრცელება, საარჩევნო თემაზე ვიდეორგოლის მომზადება. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში პანტომიმა-პერფომანსი ,,მე ვაკეთებ არჩევანს" ჩვენება.	27700.00	2 თვე
9	ააიპ "ინტერნიუსი - საქართველო"	203852214	ინფორმირებული საზოგადოება და არჩევანი	სამ ფილმის მომზადება გენდერული თანასწორობის, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და ეკომიგრანტების საარჩევნო უფლებების, პრობლემების და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის შესახებ, არჩევნების როლზე დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების პროცესში, ამომრჩევლის აქტიურობისა და გააზრებული არჩევანის მნიშვნელობაზე. ფილმების ოთხი რეგიონალური ტელემაუწყებელის ეთერში გაშვება: "ტელეარხი 25" (ქ. ბათუმი), "რიონი"(ქ. ქუთაისი), "თრიალეთი" (ქ. გორი). "ქვემო ქართლის ტელე-რადიო კომპანია" (ქ. რუსთავი), ასევე სტუდიაში მიწვეული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების, ექსპერტებისა და მოქალაქეების (მიზნობრივი	30000.00	2 თვე

				ჯგუფიდან) დისკუსია ფილმში წამოჭრილი, საზოგადოებისთვის აქტუალური თემების გარშემო		
10	კავშირი სამხრეთის კარიბჭე	224079388	ინფორმირებული არჩევანი - დემოკრატიის საფუძველი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობისათვის არჩევნების მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობა; საარჩევნო პროცედურების მოსახლეობისათვის გაცნობა; ამომრჩევლის უფლება-მოვალეობების გაცნობა. პროექტის განხორციელების პერიოდში 3 ჩანართის (ქართულ და სომხურ ენებზე) გამოცემა. თითოეული ჩანართის ტირაჟი - ქართული - 5000 ცალი, სომხური -5000 (სულ ჩანართის სამი ნომერი, საერთო ტირაჟი 30 000). "სამხრეთის კარიბჭეს" საინფორმაციო პორტალზე www.sknews.ge-ზე ჩანართისათვის მომზადებული ტექსტური და ვიდეო მასალებისგამოქვეყნება; www.sknews.ge-ზე ვიზიტორების ყოველდღიური რაოდენობა - 9000- 10 000-მდეა, უნიკალური ვიზიტორების რაოდენობა - 3500-5500-მდე.	27304.00	2 თვე
11	ააიპ კავშირი "21-ე საუკუნე"	211381253	დუშეთის, ყაზბეგის და თიანეთის მუნიციპალიტეტების ამომრჩეველთა ინფორმირებულობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის	დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ამომრჩევლებისათვის საპარლამენტო არჩევნების და კონკრეტულად, ახალი მაჟორიტარული დაყოფის პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მათი ცნობადობის დონის ამაღლება; საჯარო შეხვედრების ორგანიზება, ამომრჩევლისთვის საინფორმაციო და საცნობარო მასალების მომზადება და გადაცემა. ამომრჩევლებისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხებზე: პოლიტიკური პარტიები; მათი როლი და ვალდებულებები; საქართველოს სახელმწიფო მოწყობისა და პარლამენტის ფორმირების წესი; საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრების არჩევის წესი და მათი უფლებამოსილება; ელექტორატსა და მის მიერ არჩეულ ინსტიტუციებს შორის ანგარიშვალდებულების ძირითადი პრინციპების და მათი რეალიზების მექანიზმები.	27765.00	2 თვე
12	ააიპ სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო	237093104	ჩვენი ხმა გადამწყვეტია	ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო/ საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით სამიზნე თემებში ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების და ინფორმირების დონის ამაღლებას არჩევნების და ქვეყნის საპარლამენტო ინსტიტუტის შესახებ, რომლის მისაღწევადაც გათვალისწინებულია ახალგაზრდა "ლიდერთა ჯგუფის" ჩამოყალიბება, მათი შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა და ამ ჯგუფის წევრების მიერ თავიანთ თემებში/სოფლებში "მრგვალი მაგიდების" ორგანიზება/ჩატარება. სამიზნე სოფლებში 60 "მრგვალი მაგიდის" და მათში მინიმუმ 1200 ახალგაზრდა ამომრჩევლის ჩართვა.	12552.00	2 თვე
13	ააიპ სახელმწიფოს ტერიტორიულ ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრი	208216526	ინფორმირებული არჩევანი	სამტრედიისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მათი ინფორმირება არჩევნების მნიშვნელობაზე, საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობა. შესაბამისი საინფორმაციო-სარეკლამო მასალის მომზადება და დარიგება, მოხალისეების მოზიდვა და გადამზადება, დასახლებებში ავტოტურის მოწყობა და ამომრჩევლებთან შეხვედრა.	26378.00	2 თვე
14	ააიპ სამოქალაქო ფორუმი მშვიდობისათვის (სივილ ფორუმი)	400024567	ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე ქალაქ გორსა და გორის რაიონში	ქალაქ გორისა და გორის რაიონის თემების ამომრჩეველთა ინფორმირებისა და მათი საარჩევნო პროცესში ჩართულობის ხელშეწყობა. ქალაქ გორიდან და გორის რაიონიდან 30 სამოქალაქო აქტივისტი შერჩევა და მათთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარება. მომდევნო ეტაპზე აქტივისტების მიერ. პროექტის გუნდთან ერთად, საკუთარი თემის მოსახლეობის ინფორმირება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, თემის	29990.00	2 თვე

				მობილიზების გზით გააქტიურებენ მათ საარჩევნო პროცესში. არჩევნების შესახებ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება როგორც სარეკლამო ფლაერებისა და საინფორმაციო ბროშურების, ასევე უშუალოდ თემებში დაგეგმილ საჯარო შეხვედრებისა და ადგილობრივი ტელევიზიით ინტერაქტიული დისკუსიების გამართვის საშუალებით .		
15	ააიპ დახმარების საერთაშორისო ფონდი	212709390	მე მივდივარ არჩევნებზე	ქალაქ ქუთაისში ამომრჩეველთა გააქტიურება და მათი სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება. პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტიურ მოქალაქეთა ჯგუფების, გადამზადება არჩევნების მნიშვნელობისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. ცნობადი და კომპეტენტური ადამიანების მონაწილეობით ოთხი სატელევიზიო გადაცემის - "მე მივდივარ არჩევნებზე" - მომზადება. სოციალური სარეკლამო რგოლის "მე მივდივარ არაჩევნებზე" და საინფორმაციო ტრიპლეტების "მე მივდივარ არჩევნებზე" შექმნა და მოსახლეობაში დარიგება.	29453.25	2 თვე
16	ააიპ საარჩევნო სისტემების კვლევითი ცენტრი	406047512	ამომრჩეველთა ინფორმირება სიღნაღსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში	სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მათი ინფორმირება არჩევნების მნიშვნელობაზე, საარჩევნო ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობა. მოხალისეთა 5-10 კაციანი ჯგუფები შექმნა და მათი ჩართულობა პროექტის ფარგლებში განხორციელებულ ყველა ღონისძიებაში, როგორიცაა ავტო-ტურები, საჯარო შეხვედრები და დისკუსიები, ფლაიერის და სხვა საინფორმაციო მასალის გავრცელება.	26378.00	2 თვე
17	ააიპ ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი	404906465	,,გაიზიარე არჩევნები": ინფორმირებული ახალგაზრდა	სტუდენტური დისკუსიების ორგანიზება გორის, ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის, თელავის და თბილისის უნივერსიტეტების ბაზაზე, ლაივსტრიმინგის თანხლებით. ტელე, რადიო და სოციალური მედიის საშუალებებთან ერთად საგანმანათლებლო მედიაკამპანიის "გაიზიარე არჩევნები" წარმოება. დისკუსიების გზით ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონისა და არჩევნებში ჩართულობის მაჩვენებლის ზრდა.	16800.00	2 თვე
18	ააიპ ფოთის ახალგაზრდული ალიანსი	215109745	ახალგაზრდების ჩართულობა ამომრჩეველთა ინფორმირებისა და აქტივობისათვის	აქტიური ახალგაზრდების ჩართვა/ორგანიზებით საინფორმაციო მასალების გადაცემით შეხვედრების მოწყობა ამომრჩევლებთან. საშუალოდ 600-700 ამომრჩეველთან საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება, თემატური სახის საჩუქრები (კედლის კალენდარი და კალმები) ამომრჩევლისთვის გადაცემა. შეხვედრებში მონაწილე და საინფორმაციო მასალების მქონე ამომრჩევლების მოტივირება მათ მიერ მიღებულ ინფორმაციისა და გამოცდილების ოჯახის წევრების, მეგობრების, მეზობლებისა და ნათესავებისთვის გასაზიარებლად.	26745.00	2 თვე
19	ააიპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო	212884930	იცოდე მეტი არჩევნების შესახებ	2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება საარჩევნო საკითხებზე, საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების შესახებ, ტრენინგების, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებისა და სიმულაციური კენჭისყრის დღის/საარჩევნო უბნის დემონსტრირების გზით.	27062.11	2 თვე
20	ააიპ ადამიანის უფლებათა და სოციალური სამართლიანობის	215112036	რეგიონული ახალი მედია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ინფორმირებისთვის	საქართველოს მოსახლეობის ამომწურავად ინფორმირება რეგიონში მიმდინარე მოვლენებით, რომლებიც კავშირშია 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან. საქართველოს მოსახლეობის ამომწურავად ინფორმირება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სიახლეების და სერვისების შესახებ. მოსახლეობის ინფორმირება	24160.00	2 თვე

	დაცვის კვლევის ცენტრი			პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პროგრამებისა და აქტივობების შესახებ, რათა ამომრჩეველმა გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი. საქართველოს მოქალაქეებთან მედია კომუნიკაციის თანამედროვე ხერხების გამოყენება, რათა გაიოლდეს მათი ინფორმირება.		
21	ააიპ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის თვითმმართველობის რესურს ცენტრი	222940352	აქტიური ამომრჩეველი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში	სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა და ინფორმირებულობის გაზრდა იმ ამომრჩევლებში, ვინც პირველად აძლევს ხმას. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის საარჩევნო ცნობიერებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამაღლება და საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობა. უშუალო კომუნიკაციის დამყარება 130 ახალგაზრდასთან, რომლებიც, თავის მხრივ, ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. 17 საჯარო შეხვედრის ჩატარება, რაც მიზნად ისახავს დაახლოებით 765 ამომრჩევლის ინფორმირებას.	29676.81	2 თვე
	ჯამი				**566184.17**	
			3.1 მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში			
1	ააიპ კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის	205005162	2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა	საინფორმაციო-საგანამანათლებლო სემინარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან (DPO) საქართველოს რეგიონებში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში. სემინარი სტუდენტებთან - "სტუდენტების როლი და ინიციატივები თანაბარი არჩევნების უზრუნველყოფისთვის". ინტერნეტ-რესურსების (ფეისბუქი, კოალიციის ვებ გვერდი, ორგანიზაციების საერთო ქსელები, იუთუბი) აქტიური გამოყენება შშმ პირთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობისა და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდის მიზნით. საინფორმაციო ვიდეო რგოლის დამზადება და გაშვება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.საზოგადოებრივი სოლიდარობის აქცია (ადვოკატირების კამპანია) ბათუმსა და ოზურგეთში: "დამოუკიდებელი პიროვნება - თავისუფალი არჩევანი"	29790.00	2 თვე
2	ააიპ სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	202910261	ყრუ პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში	სმენის არ მქონე პირთა ცნობიერების ამაღლება არჩევნების, დემოკრატიის, სახელმწიფოს მოწყობის პარლამენტის როლის და მნიშვნელობის, ამომრჩევლის აქტივობის მნიშვნელობის და ამომრჩევლის უფლება-მოვალეობების მიმართულებით. ტრენინგ-სემინარები ჟესტურ ენაზე; საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა ჟესტურ ენაზე სახელწოდებით ,,არჩევანი ხელის უფლებისთვის" ყრუ პირთა და არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიის ლიდერების მომაწილეობით; ამომრჩევლის უფლება-მოვალეობების შესახებ ვიდეო ლექციების მომზადება ჟესტურ ენაზე.	29975.00	2 თვე
3	ააიპ საზოგადოებრივი დამცველი	404892014	საპარლამენტო არჩევნებში იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო ჩართულობის გაზრდაა	პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება გარდაბნის, წალკის, საგარეჯოს, თელავის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის იმ სოფლებში, სადაც კომპაქტურადაა განსახლებული ეთნიკური უმცირესობები. საინფორმაციო კამპანიის ჩატარება 37 სოფელში, კერძოდ საინფორმაციო ავტოტური სლოგანით - "შენი ხმა გადამწყვეტია", შეხვედრა/დისკუსიების მოწყობა თემაზე: "დეპუტატის როლი და ფუნქციები". ასევე არჩევნების დღის პროცედურების უკეთ გაცნობის მიზნით აქტიური ამომრჩეველი მოსახლეობისათვის არჩევნების დღის სიმულაციის გამართვა.	27100.00	2 თვე

4	ააიპ თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ასოციაცია	245441767	ჩვენი ქვეყანა - ჩვენი არჩევანი - ერთი ხმის ხმოვანება	ბორჯომის, ასპინძისა და სოფლების აზავრეთის, გოკიოს, პტენას, ბარალეთის, და ჩუნჩხის სოფლების გაერთიანების შედეგად შექმნილი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური სომეხი მოსახლეობისა და აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებისთვის, არჩევნების პოპულარიზება, საარჩევნო საკითხებში მათი ცნობიერების ამაღლებას და მათ საარჩევნო უფლებებზე ინფორმაციის მიწოდება. პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვის მიზნით, თითოეულ სოფელში ადგილობრივი სამუშაო ჯგუფის შექმნა, პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ხელშეწაწყობად. მოსახლეობის ინტერესის გასაზრდელად და მიწოდებული ინფორმაციის ასათვისებლად საჯარო ლექციის ჩატარება.	26450.00	2 თვე
5	ააიპ სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	205050736	ეთნიკურ უმცირესობათა საარჩევნო ელექტორატის ინფორმირებულობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის	2016 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანული მოსახლეობის სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის შესახებ ინფორმირება, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობის ამაღლება. 2 დღიანი ტრენინგის ჩატარება, MOBILE CINEMA (მოძრავი კინოთეატრი) - 20 სოფელში ცესკოს საარჩევნო საკითხებზე გადაღებული ფილმის ჩვენება; WHISTLE-STOP TOUR - ქვემო ქართლის 20 სოფელში "MOBILE CINEMA-ს" პარალელურად მოსახლეობის ინფორმირება; სიუჟეტებითა და ტელე-გადაცემებით - თემაზე "საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობა".	27880.00	2 თვე
6	ააიპ საქართველოს აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი	234178715	ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო გზამკვლევი	2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო პასუხისმგებლობის, საარჩევნო კულტურის გაზრდა მათი ინფორმირებულობის ხელშეწყობის გზით. ა) ადგილობრივი მოსახლეებისათვის საარჩევნო კონსულტაციების ჩატარება; ბ) საარჩევნო თემატიკაზე საინფორნაციო შეხვედრები (ავტოტურები) ჩატარება გ) საინფორმაციო მასალების საარჩევნო საკითხებზე გამოცემა და გავრცელება დ) მონიტორინგის და კონსულტაციების ჩატარება ე) "მრგვალი მაგიდების" ჩატარება ვ)ამომრჩეველთა საკონსულტაციო-საინფორმაციო კარავი.	28330.00	2 თვე
7	ააიპ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი	205242539	სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება საარჩევნო პროცესებში	ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის ეთნიკური უმცირესობათა წარმომადგენლების ინფორმირება სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების, პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების, ასარჩევი სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქციებისა და როლის შესახებ, საგანმანათლებლო და ინტერაქტიული ღონისძიებების განხორციელების გზით. ახალგაზრდებისთვის საინფორმაციო შეხვედრებისა და ვორქშოპების მოწყობა, რეგიონების ეთნიკური უმცირესოსობებით დასახლებულ ქალაქებსა და თემებში შემავალ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სათემო ორგანიზაციებში.	29935.00	2 თვე
8	ააიპ სოციალური დაცვის ლიგა	202459384	შშმ პირებისა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ეკომიგრანტების მონაწილეობისათვის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში	ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში მცხოვრები შშმ ამომრჩევლებისა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ეკონმიგრანტებისა და საარჩევნო უფლების მქონე შშმ პირების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარება. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების და შეხვედრების ჩატარება, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ორიენტირება ელექტორატის ინტერესების მიმართულებით. საარჩევნო გარემოს განახლების, გაუმჯობესების, უბნების ადაპტირებისთვის ხელშეწყობა და ამომრჩეველთა საარჩევნო უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია.	29500.00	2 თვე

9	ააიპ მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის	404401081	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლემენტის არჩევნების პროცესში	დასავლეთ საქართველოს ყველა საქალაქო მუნიციპალიტეტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთა ჩართულობის მოტივირებას 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლემენტის არჩევნების პროცესში. ინფორმაციის მიწოდება შშმ პირთა თემისთვის, რათა გაცნობიერებულ იქნას მათი ჩართულობისა და მონაწილეობის მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლების წახალისება, შშმ ამომრჩევლებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციის წინასაარჩევნო პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობის შესახებ ხელმისაწვდომი ფორმით	29880.00	2 თვე
10	ააიპ საქართველოს უსინათლოთა კავშირი	206070222	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობა	საქართველოს უსინათლოთა კავშირის კახეთის, რუსთავის, ბოლნისის, მცხეთის, გორის, ახალციხის, ზესტაფონის, ჭიათურის, ქუთაისის, ზუგდიდის, ქობულეთის, ბათუმის და ოკუპირებული ტერიტორებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფილიალებში 30 რეგიონალური კოორდინატორის შერჩევა. კოორდინატორების მიერ უსინათლოთა და მცირემხედველ ამომრჩეველთა იდენტიფიცირება და რაოდენობის დადგენა. უსინათლო ამომრჩეველთა საჭიროებათა და მოთხოვნათა დასადგენად ბენეფიციართა ანკეტური გამოკითხვა. უსინათლო ამომრჩევლებისთვის 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ვიდეო რგოლის მომზადება. მოსახლეობაში ბრაილისა და ბრტყელი შრიფტიდ დამზადებული ფლაერების გავრცელება. რეგიონების 30 მიკრო კოორდინატორისათვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება საარჩევნო საკითხების გარშემო.	29250.00	2 თვე
11	ააიპ სამოქალაქო განათლებისა და რეაბილიტაციის ცენტრი	200270214	საარჩევნო პროცესში მოწყვლადი ჯგუფების სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ხელშეწყობა საგანმანათლებლო კამპანიის საშუალებით	შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების, კერძოდ კი, საქართველოს აზერბაიჯანული მოსახლეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა, საარჩევნო კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია ქვემო ქართლში, რეგიონის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ქვეყნის პრიორიტეტებისა და გრძელვადიანი გეგმების თაობაზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობის გაცნობა და პოპულარიზაცია აზერბაიჯანელ ახალგზარდებსა და მოსახლეობაში, თაობებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავებას, საგანმანათლებლო საქმიანობის წახალისება.	27790.00	2 თვე
12	ააიპ საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი	205278929	8 ოქტომბრის არჩევნებს შენი ხმა სჭირდება!	ყველაზე დაბალი საარჩევნო აქტივობის მქონე ქვემო ქართლის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩევლის ინფორმირება და არჩევნებში ჩართულობის ზრდა. პრ პროექტი მოიცავს დიდ სამიზნე ჯგუფს - 15.000 პირდაპირ და 60.000 არაპირდაპირ ბენეფიციარს. პროექტი ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებების ჩატარებას, როგორებიცაა საუბრები არჩევნებზე ჩაიხანებში, შშმპ ჩართულობა შეხვედრებში, შეხვედრები წყაროებთან და მინდვრებზე - საუბრები ქალებთან, არჩევნების იმიტაცია ბაზარში და საარჩევნო ყუთი გზავნილებისათვის. ასევე, სატელევიზიო გადაცემების, ვიდეორგოლებისა და საგაზეთო ჩანართების მომზადება. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ფლაერების მომზადება და მოსახლეობაში გავრცელება.	29920.00	2 თვე
13	ააიპ ევრო-კავკასიური თანამშრომლობის ასოციაცია	220014678	ინფორმირებული დევნილები	სამეგრელოს, აჭარისა და შიდა ქართლის რეგიონში იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო საკითხებზე და მათი აქტიური ჩართვა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. საინეფორმაციო ბუკლეტების, ფერადი კალენდრებისა და პლაკატების მომზადება გავრცელება, შეხვედრების ჩატარება სამიზნე ჯგუფებთან.	29025.00	2 თვე

14	ააიპ სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელი	202452746	"ინფორმირებული ეროვნული უმცირესობები მონაწილეობითი და დემოკრატიული საარჩევნო პროცესებისთვის საქართველოში"	ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი ახალგაზრდების, როგორც ამომრჩევლის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება-მოვალეობების გაცნობა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება. მოქალაქეთა არჩევნების პროცესში აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა, კერძოდ აზერბაიჯანელი ახალგაზრდების ჩართულობის მხარდაჭერა არჩევნების პროცესების დაკვირვებაში. მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობა მათ სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებით; კერძოდ, უზრუნველყოს უფრო მეტი აზერბაიჯანელი ახალგაზრდის ინფორმირებულობა საგანგებოდ მოწყობილი კამპანიით: აზერბაიჯანელი ახალგაზრდობა დემოკრატიული არჩევნებისთვის საქართველოში.	29762.20	2 თვე
	ჯამი				**404587.20**	
3.2 ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში						
1	ააიპ ქალთა საინფორმაციო ცენტრი	202215209	ქალის ხმა გადამწყვეტია	ქალაქ ამბროლაურში ამომრჩეველ ქალთა საარჩევნო პროცესებზე ინფორმირებულობისა და პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლება, ამომრჩეველ ქალთა ინფორმირებული გადაწყვეტილებისას და მოტივაციის გაზრდის ხელშეწყობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის. პროექტით დაგეგმილი ღონისძიებების მიზანია ამციროს არჩევნებში ქალებისა და მამაკაცების აქტივობას შორის -20%-იან სხვაობას, რომელიც დაფიქსირდა ადგილობრივი არჩევნების დროს ქალაქ ამბროლაურში.	29920.50	2 თვე
2	ააიპ ქალი და განვითარება	218037595	ჩვენ ვართ ქალები	შიდა ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მოწყვლად ქალთა სამოქალაქო აქტივობის ამაღლება და საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა. ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების, საარჩევნო-საგანმანათლებლო შეხვედრების, ვორშოპების, მრგვალ მაგიდის დისკუსიების და რადიო გადაცემების ორგანიზება.	29950.00	2 თვე
3	ააიპ ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის	400094759	შენი ხმა გადამწყვეტია, თანასწორობას მოაქვს წარმატება!	საზოგადოების ინფორმირება საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში გენდერული თანასწორობის კონცეფციის მნიშვნელობის და იმ პოზიტიური შედეგების შესახებ, რაც პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობას მოაქვს. მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლება ამომრჩევლის და კანდიდატის რანგში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი უფლებების, შესაძლებლობების და მათი რეალიზების შესახებ. არჩევნების და არჩევნებში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ მოქალაქეების განათლებისა და ინფორმირების დონის ამაღლება. არჩევნებში მონაწილეობის მსურველი ქალების მოტივაცის გაზრდა.	28980.00	2 თვე
4	ააიპ სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრი	404433877	ქალები ერთვებიან - ქალები მართავენ"	კასპის რაიონის საზღვრისპირა და მიმდებარე სოფლებში მაცხოვრებელი ქალების მოტივაციის ზრდის წახალისება 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საპარლამენტო არჩევნებისათვის ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართვის უზრუნველსაყოფად. სამიზნე ჯგუფის პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე ცნობიერების ამაღლება. ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი უფლებების რეალიზების ხელშეწყობა. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ტრენინგების ჩატარება და საარჩევნო პროცესის იმიტირება. საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ბუკტელების შექმნა და გავრცელება, ასევე ყველა ღონისძიების გადაღება და რეგიონული ტელევიზიის ეთერში გაშუქება.	23770.00	2 თვე
5	ააიპ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია - კავშირი "პაროს"	236686289	აქტიური ქალები დემოკრატიული არჩევნებისათვის	ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა ეროვნების ქალთა ჩართულობა 2016 წლის 08 ოქტომბერს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში. პროექტის ფარგლებში აქტიურ ქალებისთვის ტრენინგების ჩატარება არჩევნების თემაზე და გენდერულ საკითხებზე. პროექტის მონაწილე ქალთა შერჩევა და მათთვის	24370.00	2 თვე

				საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათის ტრენინგების ჩატარება. დატრენინგებული ქალების მიერ 22 საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში.		
6	ააიპ საქართველოს ინსტიტუციონალური განვითარების ცენტრი	401978847	ჩემი პირველი არჩევნები - ახალგაზრდა ქალთა ინფორმირებულობის გაზრდა არჩევნების შესახებ	იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის იმ ქალი-ამომრჩევლების საარჩევნო ქცევის ფორმირება, რომლებიც 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის მიაღწევენ საარჩევნო ასაკს. შერჩერული მონაწილეებისთვის შესაბამისი რეგიონის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში 2 დღიანი ტრენინგის ჩატარება საარჩევნო თემატიკაზე. კენჭისყრის დღის სიმულაცია. არჩევნებში ქალთა ჩართულობის შესახებ ესსე-ების კონკურსის მოწყობა შერჩეული სამიზნე ჯგუფისთვის/ ბენეფიციარებისათვის. არჩევნებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობისთვის ბუკლეტების მომზადება. რეგიონებში ახალგაზრდა ქალთა არჩევნების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით რეგიონებში ინფორმაციის გავრცელება პროექტის მონაწილეების მიერ.	28510.00	2 თვე
	ჯამი				**165500.50**	

VI. სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი**

წელი: **2016**

გრანტის მიმღების დასახელება	გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები	დაფინანსებული პროექტის დასახელება	გაცემული დაფინანსებების მიზნობრიობა	გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა
ააიპ "ახალგაზრდული ასოციაცია დრონი"	404392180	"წიგნო-ბარი"	პროექტის მიზანია, ალტერნატიული სივრცის შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით მიიღონ ცოდნა და პრაქტიკაში განავითარონ ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება მათ ახალი პროფესიების დაუფლებაში, როგორიცაა ბარმენობა, მიმტანი, ბარის მართვა, ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება. აქ მოსულ ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა გაიარონ ტრენინგები და მასტერკლასები შემდეგ საკითხებზე: ღონისძებების ეფექტური დაგეგმვა და ჩატარება; კლიენტის ეფექტური მომსახურება (სერვის +); მიმტანის და ბარმენის საქმიანობის შესწავლა; ეფექტური კომუნიკაცია; ლიდერობა და გუნდური მუშაობა; უცხო ენის სწავლება. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები და თბილისის ზღვის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები ახალგაზრდები. ბენეფიციართა რაოდენობა: სულ 30 მდე ახალგარზდა 18-დან 25 წლამდე.	11225.00
ააიპ "საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოება 21-ე"	404467625	"ქართული ენის შემსწავლელი კურსი ფერეიდნელი ქართველებისთვის"	პროექტის მიზანია ფერეიდნელ ახალგაზრდებს 2 თვის განმავლობაში შეასწავლოს ქართული ენა და ხალხური სიმღერები; გააცნოს ისტორიული ძეგლები (ექსკურსია). პროექტის მიხედვით საქართველოში ქართული ენის და ხალხური სიმღერის შესაწავლად ჩამოვა 12 ფერეიდნელი ახალგაზრდა. ქართულ ენასთან ერთად ისინი შეისწავლიან 9 ხალხურ სიმღერას. პროექტის განმავლობაში მოეწყობა 3 გასვლითი ექსკურსია მცხეთაში, სიღნაღსა და ყაზბეგში. პროექტის დასრულებისას დაგეგმილია შემაჯამებელი ღონისძიების გამართვა, სადაც ფერეიდნელები შეასრულებენ შესწავლილ ქართულ სიმღერებს. პროექტის ორგანიზატორებისგან მათ გადაეცემათ სერთიფიკატები. აღნიშნულ ღონისძიებაზე მოწვეული იქნებიან სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები. ღონისძიება გაშუქდება პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. პროექტის მიმდინარეობისას დაგეგმილია ფერეიდნელი ახალგაზრდების შეხვედრები პარლამენტისა და საკრებულოს წევრებთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. ახალგაზრდების შერჩევას უზრუნველყოფს თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი, ფერეიდნელი ქართველი ამინ ნაგელიანი (ანდრო ფანიაშვილი).	21350.00
ააიპ "საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია"	404489709	"რეწვის პროდუქციის განვითარება და მარკეტინგი-ახალგაზრდა ოსტატების ეკონომიკური გაძლიერებისთვის"	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს დედაქალაქში ასოციაციის ახალგაზრდა წევრების და რეგიონებში, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმის, მცხეთა-მთიანეთის, აჭარის, შიდა ქართლისა, კახეთის ტერიტორიაზე არსებული ტრადიციული რეწვის სახელოსნოების ბაზაზე შექმნილი საგანმანათლებლო ცენტრების მიერ გადამზადებული ახალგაზრდების პროდუქციის განვითარებასა და მარკეტინგს. პროექტის სამიზნე ჯგუფებია: ასოციაციის წევრი, დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა ოსტატები (10 ახალგაზრდა) და ახალგაზრდა ოსტატები რეგიონებიდან (60 ახალგაზრდა). პროექტში გათვალისწინებულია ახალგაზრდა ბენეფიციარებისთვის პროდუქციის განვითარების ტრენინგების ჩატარება (6 ტრეინინგი, თბილისი, დუშეთი, გორი, თელავი, ამბროლაური, ბათუმი); ახალი ხაზების, კოლექციების შექმნა; მოხდება სარეალიზაციო ობიექტის სარემონტო სამუშაოები; სარეალიზაციო ობიექტის აღჭურვილობის შეძენა; შესაფუთი მასალების დიზაინი და დამზადება; ტრენინგების შედეგად შექმნილი პროდუქციის აღრიცხვა-კოდირება, შეტანა სარეალიზაციო ობიექტში; სარეალიზაციო ობიექტის ექსპოზიციის მოწყობა; სარეკლამო ფლაერის დამზადება და ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში დისტრიბუცია.	23077.00

ააიპ "გლობალური თანადგომა"	441484065	"სნოს ახალგაზრდული კემპინგ-ცენტრი"	ყაზბეგის რაიონ სოფელ სნოში უნდა შეიქმნას კემპინგის ტიპის ტურისტული ცენტრი, სადაც დასაქმნდებიან ახალგაზრდები ტურიზმის მიმართულებით. პროექტის საშუალებით შეიქმნება ახალგაზრდული ტურისტული ცენტრი ,სადაც ახალგაზრდები შეიძენენ მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვან ცოდნას: ეკოლოგიაზე, ენერგოეფექტურობაზე, ტურიზმის სწორად განვითარებაზე, მარკეტინგზე და სხვა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. პროექტის განხორციელება ემსახურება ახალგაზრდების დასაქმებასა და არაფორმალური ცოდნის გაღრმავებას, მაღალმთიანი საზღვრისპირა რეგიონიდან მიგრაციის შემცირებას და ახალგაზრდების ჩართულობას რაიონის განვითარებაში. პროექტის სამიზნე ჯგუფი არის სნოს ახალგაზრდობა 16დან 25წლის ჩათვლით 20მდე ახალგაზრდა ვინც სურვილი გამოხატა დაკავდეს ტურისტული ბიზნესით, იყვნენ სამთო ტურიზმის გამყოლები, მიხედონ კემპინგის ადმინისტრირებას და ჰქონდეთ მოგზაურებთან და დამსვენებლებთან საქმიანი ურთიერთობა, რაც მისცემთ მათ საშუალებას ცოდნასთან და გამოცდილებასთან ერთად მიიღონ შემოსავალი.	23000.00
ააიპ "ახალგაზრდა მკვლევართა ცენტრი უცნობი საქართველო"	404951995	"აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები"	პროექტის ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები" მიზანია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონთან დაკავშირებული არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული, ლინგვისტური, ისტორიული სამეცნიერო საკითხების კვლევა, საკითხების კომპლექსური ანალიზი და თავმოყრა; ცნობილია, რომ დღეისათვის ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა თუ ქსნის ხეობის მაგალითზე, ინტენსიურად მიმდინარეობს ისტორიის მიზანმიმართული გაყალბება, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ამ ვრცელი რეგიონის ისტორიის შესწავლის აქტუალობას და საჭიროებას. პროექტში მონაწილე ახალგაზრდა მეცნიერების პროფესიული დახელოვნება და წახალისება, პრაქტიკული კვლევა-ძიების უნარის გამომუშავება და უფროსი თაობის მეცნიერებთან ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა;11. სამეცნიერო კონტაქტების გაღრმავება, საკითხით დაინტერესებული მკვლევრების თანამშრომლობის ხელშეწყობა; ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მკვლევრების დისკუსიის ინიცირება, ახალი საკვლევის საკითხების გამოკვეთა და სამომავლო ერთობლივი მუშაობის პერსპექტივების გაჩენა; უცხოელი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება, მათ მიერ შესწავლილი მთის ისტორიის, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თავისებურებების გაცნობა; შესაძლო პარალელებისა თუ სხვაობების წარმოჩენა; 2015 წელს წარმატებით ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის: ,,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები'' ყოველწლიურ სამეცნიერო კონფერენციად ჩამოყალიბება. ადგილობრივი ახალგაზრდების, აგრეთვე ტურისტებსა და სამეცნიერო წრეებს შორის მთიულეთის რეგიონის ეპიგრაფიკული, ხელნაწერი მემკვიდრეობისა და ისტორიული ძეგლების პოპულარიზაცია - ლექციების, ვიდეორგოლებისა და სამეცნიერო ნაშრომის სახით.	24800.00
ააიპ "აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ- მუნჯთა კავშირი ჰერა"	249265049	"სოციალური საწარმო აუდიო-მულტი სტუდია "ჰერა" გუშინ, დღეს, ხვალ"	"ჰერა"-ს ბაზაზე 2012 წლიდან ფუნქციონირებს სოციალური საწარმო - "აუდიო-მულტი სტუდია ჰერა", სადაც დასაქმებული არიან ახალგაზრდა დევნილი შშმ პირები. სოციალური საწარმო ძირითადად დაკავებულია აუდიო წიგნების გამოშვებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჩვენი სოციალური საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება, რაც ითვალისწინებს ახალი ციფრული ტექნიკის შეძენას. ახალი ტექნიკის შეძენა ხელს შეუწყობს ჩვენს მიერ გამოშვებული აუდიო წიგნების ლამაზი დიზაინის ყდების შექმნას. პროექტის განხორციელებიდან უშუალო მომსახურებას მიიღებენ უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარები. ამჟამად საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემით ცხოვრობს დაახლოებით 13 000 უსინათლო და მცირემხედველი ბენიფიციარი. ძირითადი აქტივობებია: არსებული სოციალური საწარმოს ტექნიკური გადაიარაღება; უსინათლო და მცირემხედველ ბენეფიცართა თანაბარი ხელმისაწვდომობა ლიტერატურასა და ინფორმაციაზე, შშმ პირების დასაქმება	19810.00
ააიპ "ჩვენი ჯანსაღი და სპორტული თაობა"	437063990	"ბურთი და მოედანი"	პროექტის მიზანია სოფლად ფეხბურთის პოპულარიზაცია, რომელიც ითვალისწინებს ოზურგეთის სამიზნე სოფლებში (სულ 8 სოფელი) მარტივი ტიპის საფეხბურთო მოედნების მოწყობას, ბავშვთა ჯგუფების ჩამოყალიბებას, მწვრთვნელების მომზადებას, სასწალო-საწვრთვნელო გეგმის შედგენას; სოფლის ბავშვების ფართო ფენების ჩართვას ფეხბურთში, მასობრივივი შეჯიბრებისა და ტურნირების ორგანიზებას. მასობრივი ფეხბურთის განვითარება და ხელმისაწვდომობა (სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებისა და მოზარდებისთვის სპოტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა), ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა; მათი შემდგომი დაოსტატების მიზნით რეკომენდაციის გაწევა საფეხბურთო პროფესიონალური კლუბებისთვის. ბავშვთა მწვრთნელების მომზადება C	15420.00

			კატეგორიის მისაღებად. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ოზურგეთის 8 სოფლის საჯარო სკოლების მოსწავლეები, სულ 600 -მდე მოსწავლე და ამავე სოფელში მცხოვრები 8 ვეტერანი ფეხბურთელი.	
ააიპ "არტ-ისტი"	არ იძებნება	"ქართული ფოლკლორი კომპიუტერულ თამაშებში"	პროექტი გამიზნულია სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების მოზარდებზე, და ორიენტირებულია მომავალში მათ დასაქმებაზე ინოვაციური მიმართულებით მომუშავე კომპანიებში. ბენეფიციარები 5 თვის განმავლობაში გაეცნობიან IT ტექნოლოგიების ისეთ სპეციფიურ ინოვაციურ და მოთხოვნად მიმართულებებს როგორიცაა: კომპიუტერული გრაფიკა და ვიდეოთამაშების წარმოება, კერძოდ გაივლიან ამ ტიპის პროექტებზე მუშაობის ძირითად და უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, როგორიცაა: • ვიდეოთამაშის სცენარი • პერსონაჟების შექმნა • 2D ხატვა • 3D ძერწვა • პროექტის კონცეფციის აწყობა და პრეზენტაცია • პორტფოლიოს შექმნა რაც მოიცავს, როგორც სასწავლო, ასევე კრეატიულ დისციპლინების დაუფლებას და პროექტების განხორციელებას გუნდურობის პრინციპებზე დაყრდნობით. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან 15-21 ასაკის მოზარდები სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან, რომელთაც აქვთ სურვილი და შემოქმედებითი მონაცემები დაეუფლონ ინოვაციური ტექნოლოგიებს.	24500.00
ააიპ "ლაჰილი"	404470210	"ტრადიცია და ტურიზმი - ქვემო სვანეთის ახალი სიცოცხლე"	პროექტის მიზანია ლენტეხის რაიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ქვემო სვანეთის, როგორც ტურისტული ზონის ცნობადობის ამაღლება; უძველესი სვანური თამაშობების აღდგენა და პოპულარიზაცია; სვანური ფოლკლორული ფესტივალის ჩატარებისათვის ტრადიციული სახის მიცემა. ორგანიზაცია გეგმავს 10 ადამიანის დატრეინინგებას ტურიზმის მენეჯმენტის და ტურისტული სერვისების განვითრების კუთხით, ასევე 10 ადამიანის გადამზადებას სამთო გამყოლ გიდებად. ორგანიზაციის მიერ შემუშავებულია 5 ტურისტული მარშუტი, სადაც იგეგმება ფოტო ტურის მოწყობა და საუკეთესო ფოტოების გამოფენები სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს ქვემო სანეთის მიმზიდველ ტურისტული ზონად წარმოჩენას. იგეგმება მასშტაბური სვანური ფოლკლორული ფესტივალის ჩატარება ქვემო სვანეთის სამ ტურისტულად ყველაზე პერსპექტიულ ადგილზე. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება სვანური სამზარეულო, ხეზე კვეთისა და ფერწერის ნიმუშები, სხვადასხვა მივიწყებული სვანური თამაშობები და ა.შ. პროექტით გათვალისწინებული აქტივობების გაპიარება მოხდება სხვადასვა ტელევიზიის, სოციალური ქსელისა და აქტივობების განხორციელებით.	21875.00
ააიპ "მშვიდობისა და ინტეგრაციის საერთაშორისო ცენტრი"	400015443	"აქსელერატორი 9.8"	ბოლო ათწლეულის განმავლობაში საკმაოდ პოპულარული და მასშტაბური ხდება სტარტაპ აქსელერატორების კონცეფცია. ეს არის ინტენსიური (საშუალოდ 3-4 თვე) ბიზნეს და პიროვნული განვითარების პროგრამა, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს დამწყები კომპანიების ხელშეწყობას ზრდისა და განვითარებისთვის. მსოფლიოს მასშტაბით ის აღიარებულია, როგორც ეკოსისტემის განვითარების მნიშვნელოვანი საშუალება. პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში მონაწილეები გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობენ სპეციალისტებთან ერთად ერთ სივრცეში, რაც მათ საშუალებას აძლევს მიიღონ პროფესიონალთა მენტორინგი და განავითარონ საკუთარი ბიზნეს იდეა. პროექტის ფარგებში იგეგმება უკვე არსებული სოციალური საწარმო "გენერტორი 9.8"-ს ნაწილობრივი გარდაქმნა აქსელერატორად, რომლის საბოლოო მიზანიც ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა და მათი სოციალურ საწარმოებად, არასამთავრობო ორგანიზაციებად, start-up-ებად ჩამოყალიბების პროცესში დახმარების გაწევაა. ღია კონკურსის საფუძველზე შეირჩევა ახალგაზრდების 10 გუნდი, რომელთაც სურთ NGO-ს, start-up-ის ან სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება. 3 თვის განმავლობაში გუნდები სამუშაოდ გამოიყენებენ "გენერატორი 9.8"-ს საერთო სამუშაო სივრეს. მათ მუდმივ დახმარებას გაუწევს ექსპერტთა გუნდი (ფინანსისტი, იურისტი, ბიზნეს კონსულტანტი და NGO კონსულტანტი), რომლებიც დაეხმარებიან მონაწილეებს სამოქმედო და ბიზნეს გეგმის შემუშავება/ განვითარებაში, ლეგალური და ფინანსური საკითხების გარკვევაში, ფონდების მოძიებაში, პროექტების წერაში და ა.შ. პროექტის დასასრულს გვეყოლება 10 ახალი სოციალური საწარმო, NGO ან სტარტ-აპი კონკრეტული ხედვებით და სამოქმედო გეგმით, რომელთაგანაც შეირჩევიან ახალი საკონსულტაციო ჯგუფის წევრები და სამომავლოდ დაეხმარება მათ მსგავსად საჭიროების მქონე ახალგაზრდებს და საინიცატივო ჯგუფებს. "აქსელერატორი 9.8"-ს უშუალო ბენეფიციარები არიან: • ახალგაზრდები, რომელთაც გაჩნიათ კონკრეტული იდეები, ხედვები და სურთ ჩამოყალიბდნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია ან სციალური საწარმო; • უკვე არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ან კომპანიები, რომელთაც სურთ სოციალური საწარმოს ჩამოყალიბება; • სტარტ- აპები, ან ახალგაზრდების	22312.50

			ჯგუფი, რომელთაც სტარტ-აპად ჩამოყალიბება სურთ. ბენეფიციართა რაოდენობა მაქსიმუმ 10 გუნდია, რომელიც მაქსიმუმ 5 ადამიანით იქნება დაკომპლექტებული. პროექტი განხორციელდება თბილისში.	
ააიპ "რაჭის განვითარების ცენტრი"	422935890	"ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ჯანმრთელობის გარანტიაა"	პროექტის მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ძველი ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგის (მებოსტნეობის) აღდგენა-განითარებაზე ორიენტირებული სოციალური საწარმოს შექმნა. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან სოციალურ საწარმოში დასაქმებული 6 ახალგაზრდა (სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახებიდან) და ასევე ქ.ამბროლაურისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველთა და შეჭირვებულთა უფასო სასადილოს 56 ბენეფიციარი, რომლებიც კვირაში ორჯერ მიიღებენ საწარმოს მიერ წარმოებულ პროდუქტს უსასყიდლოდ. საწარმოდან მიღებული მოგება მოხმარდება მის განვითარება გაფართოებას. გაკეთდება სათბური. მომავალ წელს საწარმო შეძლებს აწარმოოს საკუთარი ნერგები წარმოების გაფართოებისათვის. შერჩეულ 6 ახალგაზრდას, რომლებმაც უნდა იმუშაონ სოციალურ საწარმოში, ამბროლაურის სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლები ჩაუტარებენ ერთ კვირიან სწავლებას პროდუქტის სწორად მოვლისა და წარმოების საკითხებზე. შერჩეული იქნება ტერიტორია სადაც უნდა განთავსდეს სოციალური საწარმო; მოხდება ნიადაგის კულტივაცია; შეძენილი იქნება ადგილობრივი ჯიშის პამიდვრისა და კიტრის ნერგები; დაირგვება ნერგები და მომზადდება შპალები, შესყიდული იქნება შხამქიმიკატები და ორგანული სასუქი, რომლის შერჩევაზე პროექტის ორგანიზატორებს კონსულტაციას გაუწევს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო ცენტრის ენტომოლოგი; საწარმოს შესახებ ინფორმაცია განთავსდება ადგილობრივ გაზეთ,,ამბროლაურის მოამბეში"; მოეწყობა საწარმოს გახსნის პრეზენტაცია, სადაც მოწვეული იქნებიან ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების წარმომადგენლები. მიღებული პროდუქტი კვირაში ორჯერ გადაეცემა სასადილოს უფასოდ და ასევე გასაყიდად დისტრიბუცია მოხდება ადგილობრივ ბაზარსა და სავაჭრო ობიექტებში.	9773.50
ააიპ "მზიანი"	404488121	"ახალი მზიური"	პროექტი "ახალი მზიური" გულისხმობს სოციალური საწარმოს ამოქმედებას, რომლის ფარგლებშიც გაიხსნება სოციალური კაფე და ამფითეატრი თბილისში, ბავშვთა ქალაქ "მზიურში". პროექტის განხორციელების შედეგად კაფესა და ამფითეატრში ეტაპობრივად დასაქმდებიან შეზღუდული შესაძებლობის მქონე პირები და ახაგაზრდები მათი უნარების შესაბამისად. სულ დასაქმდება 5 ახალგაზრდა სტაბილურად და 5-6 ახალგაზრდა მოკლე ვადით. საგანმანათლებლო და გასართობ ღონისძებებში მონაწილეობას მიიღებს 4000-მდე ბავშვი და ახალგაზრდა. მზიურის ამფითეატრის აღდგენა-რეკონსტრუქცია უკვე მიმდინარეობს და დასრულებული უნდა იყოს 10 მაისისთვის. ამის შემდეგ მოხდება სოციალური კაფესა და ამფითეატრის ამუშავება. მოხდება მისი ტექნიკურად აღჭურვა, საჭირო ინვენტარის შეძენა და დამონტაჟება, პროდუქციით მომარაგება, მენიუს კერძების საცდელი ნიმუშების დამზადება. საწარმოს ოფიციალური გახსნა დაგეგმილია 1 ივნისს, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილ ყოველწლიურ "მზის ფესტივალზე". ორგანიზაცია სისტემატურად იმუშავებს სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობაზე.	28240.00
ააიპ "კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი"	218016420	"შშმ პირთა ხელშეწყობა პროფესიული განათლების და დასაქმებისთვის"	პროექტი ითვალისწინებს შიდა ქართლში მცხოვრები 16 დან 30 წლამდე 34 ბენეფიციარი ახალგაზრდის პროფესიული უნარების განვითარებას ხელობის სხვაფდასხვა სფეროში (ჭრა-კერვა, თიხის დამუშავება, ტიხრული მინანქარი, უსინათლოთათვის ბრაილის შრიფტის სწავლებას), მათში პიროვნული უნარების განვითარებას ტრენინგებით და შემდგომ მათ დასაქმებას ორგანიზაციაში არსებულ სოციალურ საწარმოში, ასევე ბენეფიციართა შრომითი მოწყობის შესაძლებლობებს რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების განხორციელებას: სამიზნე ჯგუფის მობილიზება- მოწვევას; ტრენინგებს (პიროვნული უნარების განვითარება; პროფესიული ორიენტაციის ტრენინგები; გასაუბრებისთვის საჭირო უნარებისა და ტექნიკების დაუფლების ტრენინგი). პროფესიული გადამზადების სერვისების სრულყოფა (კერვა, მინანქარი ,თიხის წარმოება). პროფესია დაუფლებული ბენეფიციარების სერთიფიცირება. შემდგომი დასაქმების ხელშეწყობა ორგანიზაციაში არსებულ სოციალურ საწარმოში. მხედველობა დაქვეითებული პირებისათვის კომპიუტერული პროგრამების შესწავლა ბრაილის შრიფტით. ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესმენების ინფორმირება გადამზადებული პროფესიული კადრების შესახებ, რამეთუ გაითვალისწინონ შესაძლო შემდგომი დასაქმებისთვის.	37043.00

ააიპ "შიდა ქართლის სოციალური მეწარმეობა"	400165780	"სოციალური საწარმო - ჩემი ფუტკარი"	პროექტის მიზანია სოციალური საწარმოს "ჩემი ფუტკარი" შექმნა; პროექტი განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სოფ. დიცში.პროექტის მიზანია შვიდ სულიანი სოციალურად დაუცველი ოჯახის დასაქმება. ბენეფიციარები: 200 მდე არაფორმალური განათლების მიმღები სოფლების მოსწავლე-ახალგაზრდობა და სხვა დაინტერესებული პირები. სოციალური საწარმოს "ჩემი ფუტკარი"ბაზაზე დაფუძნდება საველე - პრაქტიკული ცენტრი, სადაც დასაქმდებიან და კონსულტაციას მიიღებენ სოციალურად დაუცველი პირები, სკოლა ახალდამთავრებული ახალგაზრდები და სოფლის მოსახლეობა. თაფლის წარმოებისათვის გამოყენებული იქნება საფუტკრე, რომელიც გაშენებული იქნება ხეხილის ბაღში. საწარმოში მოწვეული იქნება საქართველოს მეფუტკრეთა გილდიის თავმჯდომარე გიორგი კეპაშვილი და სხვა სპეციალისტები, რომელიც გაწევენ რეკომენდაციებს ფუტკრის მოვლა-პატრონობაზე და პროდუქციის რეალიზებაზე. საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს ადგილმდებარეობის შერჩევა (უკვე შერჩეულია-ეს არის ხეხილის ბაღი), ფუტკრის სკას შეძენა - 20 ცალი, ფუტკრის პაკეტების შეძენა - 40 ცალი, ფუტკრის სკას მოვლა, ფუტკრის ოჯახების გამრავლება, პროდუქციის მიღება-რეალიზაცია, მოსწავლე - ახალგაზრდების ჩართულობა ქართული ფუტკრის ბიზნესის უნარჩვევების გამომუშავებაში, რეინვესტიცია.	22000.00
ააიპ "წყალტუბოს განვითარების ფონდი"	421272606	"ვირტუალური ტური იმერეთში"	პროექტის მიზანია ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიით საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცნობიერების გაზრდა იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქ.წყალტუბოს სკოლების 10-12-ე კლასების მოსწავლე-ახალგაზრდობა. პროექტის ფარგლებში შეიქმნება ვირტუალური რეალობის ტური წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე (წყალტუბოს ცენტრალური პარკი, ცივი ტბა, პრომეთეს მღვიმე, სათაფლიის ნაკრძალი) და მოხდება პრეზენტაცია საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში. ვირტუალური ტური გულისხმობს: დრონით გადაღებული 360 გრადუსიანი სადემონსტრაციო ვიდეო-პრეზენტაცია პროგრამულად განთავსდება ვირტუალური რეალობის სათვალის ფორმის აქსესუარში (Google Cardboard ან მსგავსი), რომლის მეშვეობითაც მოსწავლე-ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ საკლასო ოთახიდან გაუსვლელად ,,იმოგზაურონ" ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიებზე. წყალტუბოს სკოლის მოსწავლეები (წინასწარ შერჩეული და დატრენინგებული ჯგუფი) ვირტუალური რეალობის სათვალეებს ჩამოატარებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში და თანატოლებს გააცნობენ საკუთარი რაიონის ღირსშესანიშნაობებს. პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად: წყალტუბოს მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით დაიგეგმება ლოკაციების გადაღების დღეები და სოციალური აქტივობები; მოხდება დრონით 360 გრადუსიანი ვიდეო გადაღება, გადაღებული მასალის დამონტაჟება და პროგრამულად ვირტუალური რეალობის სათვალეებში განთავსება; მოხდება ქ. წყალტუბოს სკოლებიდან აქტიური და კომუნიკაბელური მოსწავლეების შერჩევა მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრის დახმარებით; მოხდება შერჩეული მოსწავლეების ტრენინგი ვირტუალური სათვალის მოხმარების და სწორად პრეზენტირების შესახებ; მოხდება მომზადებული ჯგუფის ვიზიტების დაგეგმვა წინასწარ შერჩეულ სკოლებში მთელი წლის განმავლობაში. პროექტის მსვლელობა გაშუქდება, როგორც ადგილობრივი მედიის, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დაიდგმება ვირტუალური სათვალეების 1 სტენდი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით) ჩამოსული სტუმრებისთვის რეგიონის ღირსშესანიშნავი ადგილების ორიგინალური ფორმით გასაცნობად.	25000.00
ააიპ "ხევსურეთი და თემი"	429320843	"სოციალური საწარმოს დაფუძნება - "არაბული Arthouse" კულტურის ცენტრი/ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო/სასწავლო ცენტრი"	"არაბული Arthouse კულტურის ცენტრი/ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო/სასწავლო ცენტრი" - სოიალური საწარმოს პროექტი მოიცავს ტრადიციული ხევსურული ხელსაქმის - ფარდაგის ქსოვა, ქარგვა, ხევსურული ტალავრის წარმოება, ტოლის ქსოვის აღდგენა, მინანქრის სწავლება წარმოება, სამკერვალოს შექმნა და ძველი ორნამენტით თანამედროვე ტანსაცმლის წარმოება და ახალი ტანსაცმლის ხაზის შექმნა, ხის ნაკეთობების, მჭედლობა და ა.შ სახელოსნოს შექმნას, სადაც დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, გაიხსნება ხელოვნების სკოლა დაინტერესებული პირებისთვის და გაიმართება შემოქმედებითი ღონისძიებები/ფესტივალები. სახელოსნო შემოსავლების მოგების ნაწილს მოახმარს ადგილობრივი ახალგაზრდების სწავლებას და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას. პროექტის მიზანია, ხევსურეთში სოციალური საწარმოს დაფუძვნება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რაც ხელს შეუწყობს მიგრაციის შეჩერებას. საწავლო ცენტრის მთავარი ფუნქცია იქნება ხევსურეთში არსებული ეთნო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, შესწავლა, შენახვა, განვითარება, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და იქ ჩასული სტუმრების	19331.00

			თუ ფართო საზოგადოებისთვის ხევსურეთის როგორც გამორცეული კუთხის დამახასიათებელი კულტურის სათანადოდ გაცნობა. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიას, ხევსურეთში მცხოვრები მოსახლეობა და ახალაგაზრდები, ისინი ამ პროექტის ფარგლებში სწავლობენ ტრადიციულ ხელსაქმეს ეუფლებიან კარგად მათი ინტერესის შესაბამისად რომელიმე მიმართულებას ან რამოდენიმე მიმართულებას, ქმნიან ნამუშევრებს იწყებენ პროდუქციის წარმოებას ჩვენი მენეჯმენტის ქვეშ და გაყიდვების შედეგად მიიღებენ შემოსავალს.	
ააიპ "წმინდა თეოდეორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი"	არ იძებნება	"ტრადიციული რეწვის სწავლება წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრის შშმ აღსაზრდელებისა და სოფ. ბებნისის ახალგაზრდების გაძლიერებისთვის"	პროექტის მიზანია წმინდა თეოდორე ტირონის სარეაბილიტაციო ცენტრის შშმ აღსაზრდელების და სოფელ ბებნისის სიღარიბის ზღვარზე მყოფი ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების გზით, სახელობო უნარების განვითარება, სოციალური ინტეგრაცია და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შექმნა. პროექტი ითვალისწინებს ქარელის რაიონის სოფ. ბებნისში მდებარე წმინდა თეოდორე ტირონის სარეაბილიტაციო ცენტრის შშმ აღსაზრდელებისა და სოფ. ბებნისის ახალგაზრდებისთვის ტრადიციული ხელობების შემსწავლელი ცენტრის შექმნას, კერძოდ კი მინანქრის, გობელენის, თექის და ხის დამუშავების ტექნოლოგიების სწავლებას, სახელოსნოს იარაღ-დანადგარებითა და მასალით აღჭურვას. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან წმინდა თეოდორე ტირონის სარეაბილიტაციო ცენტრის 20 შშმ აღსაზრდელი და სოფელ ბებნისში მცხოვრები 25 მოზარდი და ახალგაზრდა. პროექტით გათვალისწინებულია: - სარეაბილიტაციო ცენტრის სახელოსნოს აღჭურვა (მინანქრის ღუმელი, გობელენის საქსოვი დაზგა, ხის გასაშალაშინებელი აღწურვილობა და ხის საჭრელი წვრილი იარაღები); ნამუშევრების შესაქმნელად აუცილებელი მასალის შეძენა; სასწავლო კურსი 4 თვის მანძილზე. ახალგაზრდები გადანაწილდებიან სხვადასხვა მიმართულებით სურვილის და შესაძლებლობების მიხედვით. კურსის ბოლოს ახალგაზრდების მიერ შექმნილი პროდუქცია წარმოდგენილი იქნება ცენტრის მიერ ორგანიზებულ გამოფენა -გაყიდვაზე და ასევე გამოიფინება სარეაბილიტაციო ცენტრის მცირე მაღაზიაში.	12325.00
ააიპ "გურიის ახალგაზრდული ინიციატივა"	437066096	"გურიის ახალგაზრდული დღეები"	გურიაში მცხოვრები აქტიური ახალგაზრდების წარმოჩენა და გააქტიურება. მათი სამოქალაქო განათლების ამაღლება ტრენინგების გამართვის გზით, პრაქტიკული უნარების ამაღლება მათ მიერვე პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ გურიაში მცხოვრები 18-25 წლის ახალგაზრდები: ახალგაზრდები რომლებიც არ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდები. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია: 1. პროეტის პრეზენტაცია გურიის ოთხივე მუნიციპალიტეტის მაშტაბით, რომლებზეც მოწვეულნი იქნებიან საზოგადოების, თვითმართველობებისა და ადგილობრივი პრესის წარმომადგენლები ახალგაზრდები რომლებიც თანამშრომლობენ ორგანიზაციასთან. მოხდება ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელის მეშვეობით, ასევე მოხდება თვითმმართველობის ჩართულობის უზრუნველყოფა ინფორმაციის გავრცელებისათვის. კონკრეტულად გამგებლის წარმომადგენლების (სოფლებსა და თემებში) მეშვეობით ინფორმაციის გავრცელება სოფლებსა თემებში. განაცხადების გამოკვრა სოფლის ცენტრებში. მიღებული ინფორმაციების საფუძველზე მოხდება პროექტში მონაწილე ახალგაზრდების ჯგუფების შექმნა. 2. ტრენინგები ჩატარდება ოთხივე მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებისათვის, შემდეგ თემებზე: 1. საქართველოს კანონმდებლობა. 2. გუნდის შეკვრა, გუნდური მუშაობა და ლიდერობა. 3. აქტუალური საკითხების კვლევა და ადვოკატირება 4. პროექტების შექმნა, ფონდების მოძიება და განხორციელება. თითეულ საკითხზე ჩატარდება თითო ტრენინგი. ჯამში 16 ტრენინგი.	17890.00
ააიპ "ახალგაზრდები ცვლილებებისთვის"	437064436	"ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა გურიაში სანერგე მეურნეობის განვითარების გზით"	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს გურიის რეგიონში სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებას, ახალგაზრდების (18-29 წწ) დასაქმებას სოციალურ საწარმოში, რომელიც იარსებებს სანერგე მეურნეობის სახით. ბენეფიციარები არიან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და სოფლის მეურნეობის საკითხებით დაკავებული 18-29 წლის ახალგაზრდები. საბოლოოდ დასაქმდება 5 ახალგაზრდა. ტრენინგს გაივლის სოფლის მეურნეობის საკითხებით დაკავებული მინიმუმ 50 ახალგაზრდა. პროექტის ფარგლებში მოხდება ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. მიწის ნაკვეთზე პროექტის ჯგუფის მიერ გაშენდება შეძენილი ე.წ. მწარე ნერგები. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი კონკურსის წესით შეარჩევს ახალგაზრდებს სანერგე მეურნეობაში ზაფხულის პერიოდში დასაქმებისთვის. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი კონკურსის წესით შეარჩევს ექსპერტებს, რომლებიც ზაფხულის განმავლობაში საწარმოში დასაქმებულ ახალგაზრდებს ჩაუტარებენ პრაქტიკულ სემინარებსა და მეცადინეობებს სოფლის მეურნეობის საფუძვლებში, ნერგების გამოყვანასა და დამყნაში, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის	20125.00

			გასაღებაში. საუკეთესო სტუდენტები დაჯილდოვდებიან წამახალისებელი პრიზებით, ასევე დასაქმდებიან საწარმოში პროექტის დასრულების შემდეგ.პროექტის ჯგუფი ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით შექმნის სანერგე მეურნეობის პროდუქციის გასაღების მინიმუმ სამ წერტილს.	
ააიპ "საინფორმაციო ბანკი - საქართველოს ახალგაზრდობა"	405140486	"Youth Georgia(ახალგაზრდული საქართველო)"	Youth Georgia (ახალგაზრდული საქართველო) - არის საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდული ღონისძიებების, სტუდენტური სიახლეების, სტაჟირებების, საგრანტო კონკურსების, სტიპენდიების, კულტურული მოვლენების, სპორტული აქტივობების, სახელმწიფო სერვისების, კერძო სექტორის მიერ შეთავაზებული ახალგაზრდული ფასდაკლებების შესახებ არსებული ინფორმაციის ცენტრალიზებული წყარო. აღნიშნული საიტი განკუთვნილია პერსონალური კომპიუტერებისა და სმარტფონებისთვის. პროექტის მიზანია შეიქმნას საიტი, რომელიც ვიზუალურად, ფუნქციურად და შინაარსობრივად საინტერესო და მიმზიდველი იქნება ახალგაზრდებისთვის. განხორციელდეს ისეთი პიარაქტივებები და ქვეპროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს Youth Georgia (ახალგაზრდული საქართველო) - პოპულარიზაციას და გაზრდის მის მომხმარებელს. გაიმართოს საინფორმაციო შეხვედრები თბილისის და რეგიონულ უმაღლეს სასწავლებლებში, სტუდენტური თავშეყრის ადგილებში (გენერატორი 9.8), სახელმწიფო უწყებებში, სამინისტროებსა და სსიპ-ებში, რათა საიტის მომხარებელსა და ინფორმაციის მიმწოდებლებს შორის შეიქმნას ერთიანი ქსელი. გაფორმდეს მემორანდუმები სახელმწიფო უნივერსტეტებს, სამინისტორებს, სსიპებს, კერძო ორგანიზაციებს და Youth Georgia (ახალგაზრდული საქართველო) შორის, რათა Youth Georgia (ახალგაზრდული საქართველო)- მ აიღოს ვალდებულება, განათავსოს ახალგაზრდობისთვის საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია, ხოლო ინფორმაციის მიმწოდებლებმა რეგულარულად მიაწოდონ განსათავსებელი სიახლეები.	21219.00
ააიპ "ობსკურა"	404991121	"სინთეზი"	პროექტი "სინთეზი" თბილისში, თელავში და რუსთავში დაგეგმილი ღონისძიებებით აერთიანებს თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს, რომლეშიც ახალგაზრდა არტისტები და კურატორები არიან ჩართული. "სინთეზის" მთავარი ამოცანაა აღმოაჩინოს საინტერესო ნამუშევრები და ფართო საზოგადოების წინაშე წარმოადგინოს ახალგაზრდა არტისტების მრავალმხრივი მოღვაწეობის სფეროები ტრადიციული მედიებიდან (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, კინო) ექსპერიმენტულ ნამუშევრებამდე (ინსტალაცია, ვიდეო არტი,პერფორმანსი, საუნდ ინჟინერია). პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 4 ღონისძიება საუნდ არტის თანხლებით: 1. გამოფენა თბილისში- ახალგაზრდა არტისტების საზოგადოებისთვის ჯერ უცნობი ნამუშევრების ჩვენება. 2. ახალი მედიები თელავში - ღია ცის ქვეშ, ნადიკვარის პარკში ვიდეო ჩვენებები, ინსტალაცია. 3. რუსთავის პარკში ინსტალაციები და პერფორმანსი. 4. არტისტების პირად არქივებში დაცული უსახსრობის გამო ვერგანხორციელებული იდეების მიხედვით შემნილი ნამუშევრების გამოფენა თბილისში. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ერთი მხრივ ახალგაზრდა ხელოვანები, რომელთა შემოქმედებას ეტაპობრივად ეცნობა პროექტის სამუშაო ჯგუფი.	24510.00
ააიპ "მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის"	401959341	"ახალგაზრდების მაღალმთიანი რეგიონებიდან"	დღევანდელი სამოქალაქო საზოგადოებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია რეგიონების პრობლემა. რეგიონების, რომლებიც დაცლის პირასაა და იქ მცხოვრები თითოეული ახალგაზრდა ცდილობს მათ დატოვებას. მედია ნაკლებად ინტერესდება რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემებით, მათი რესურსრებით, მიღწევებით, წარმატებებით, საჭიროებებითა თუ სხვა აქტუალური საკითხებით. პროექტის მიზანია რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდობის სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება, მათთვის სტიმულის მიცემა, რათა მათ არ დატოვონ საკუთარი მხარე და აკეთონ საქმე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოსდით; ნიჭიერი ახალგაზრდების ცნობადობის გაზრდა და მათი საქმიანობით შიდა და საგარეო ინვესტორთა დაინტერესება. ასევე დახმარება მათთვის სავარაუდო სპონსორის მოძიებაში. პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, განსაკუთრებით კი - მაღალმთიან ზონებში, მოწყვლად და კონფლიქტურ ზონებში მცხოვრები საინტერესო ახალგაზრდების შესახებ მოამზადოს პროფესიონალური სიუჟეტები. ამ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ვიდეოსიუჟეტების საშუალებით, გვსურს, გამოვაჩინოთ სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემები, მიღწევები, წარმატებები, გამოწვევები, შესაძლებლობები, სურვილები და სხვა მათთვის აქტუალური საკითხები. ყველა სიუჟეტი განთავსდება პროექტის ფარგლებში შემქნილ სოციალურ გვერდზე, ხოლო საუკეთესო სიუჟეტები მიეწოდებათ სხვადასხვა ტელევიზიებს, მათ შორის რეგიონულ არხებსაც.. პროექტი მთელი	17696.00

			წლის განმავლობაში შექმნის უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო რესურსს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების საქმიანობისა და მათთვის აქტუალური საკითხების შესახებ.	
ააიპ "გრინ ლაიფი"	405141234	"კავკასიური სოჭის სანერგე"	პროექტის მიზანია დაფუძნდეს სოციალური საწარმო "კავკასიური სოჭის სანერგე" და ახალგაზრდების მონაწილეობით აღორძინდეს სოჭის სანერგე მეურნეობა. პროექტი ხელს შეუწყობს კავკასიურისოჭის საქართველოში განვთარებას, მის პოპულარიზაციას. პროექტის ბენეფიციარები არიან ახალგაზრდები, რომლებიც დასაქმდებიან სოციალურ საწარმოში; აგრეთვე, მოზარდები, რომლებიც გაივლიან ტრენინგებს ნერგების მოვლის შესახებ, მიიღებენ ინფორმაციას კავკასიური სოჭის თვისებების შესახებ და ისწავლიან ბუნების დაცვას. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს კომპანია "FAIR TREES" -პროექტის პარტნიორი და მეგობარი, ა(ა)იპ "დეკორატიული მებაღეობის კოლეჯი, ასევე საპატრიარქოს სოციალური სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი. "გრინ ლაიფის" საკომუნიკაციო სტრატეგიის შედეგად უნდა შეიქმნას სოჭის ნერგის ყიდვისადმი მეტი მოთხოვნა. პროექტის მიზანია, სოჭის ნერგებთან ერთად შობა- ახალი წლის შეხვედრისა და "ცოცხალ ნერგთან" ურთიერთობის ტრადიციისთვის საფუძვლის ჩაყრა. საშობაოდ აღარ მოიჭრება ხეები, არამედ სანერგე მეურნეობაში გაიყიდება კავკასიური სოჭი და ყველას ექნება შესაძლებლობა სწორედ მასთან ერთად შეხვდნენ შობა-ახალ წელს. მოეწყობა სანერგის პრეზენტაცია, სადაც მოწვეული იქნებიან საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, ტელეწამყვანები. უკვე ფუნქციონირებს "გრინ ლაიფის" ფეისბუქის გვერდი და ბლოგი. აგრეთვე მომზადდება სატელევიზიო და რადიო გადაცემები, დაიბეჭდება სტატიები პროექტის შესახებ.	25000.00
ააიპ "ალტერნატიული განათლების აკადემია"	416315669	"Youth Room"	პროექტის არსს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში სოციალური კინოს "Youth Room" - ის შექმნა, რომელიც ახალგაზრდებს შესთავაზებს კინო და სპორტული მატჩების ჩვენებებს. პროექტის მიზანია ადგილობრივი ახალგაზრდების დასაქმება, ახალგაზრდების მონაწილეობის ზრდა კულტურულ ცხოვრებაში, შშმ და სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია და მათი მონაწილეობის ზრდისათვის უფასო სერვისების დანერგვის საშუალებით. რეგიონში პირველი სოციალური კინო "Youth Room"- ის შექმნა გრძელვადიან პერსპექტივაში შეინარჩუნებს მდგრადობას და ჩამოყალიბდება როგორც ახალგაზრდებისათვის შემეცნებისა და კულტურული თვითშეგნების ამაღლების საშუალება, ასევე ადგილობრივი ახალგაზრდული სტარტაფების, საინიციატივო ჯგუფებისა და სკოლის თვითმმართველობების ხელშეწყობა, რაც გამოიხატება მათთვის შემდეგ შეთავაზებებში: უფასო სამუშაო სივრცე - წაახალისებს ადგილობრივ ახალგაზრდებს განახორციელონ ქალაქისა და რეგიონის საჭიროებებზე მორგებული სხვადასხვა კამპანიები; უფასო სამუშაო ინვენტარი (საკონფერენციო დარბაზი არაფორმალური შეხვედრებისათვის, ინტერნეტი, პროექტორი, გათბობა/კონდენცირება-ხელს შეუწყობს ადგილობრივ ორგანიზაციებს მიიღონ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინვენტარი); ინფორმაციის გაზიარების მარტივი საშუალება: ინდივიდებსა და ორგანიზაციებს მიეცემათ საშუალება დღის განმავლობაში განახორციელონ სხვადასხვა სახის საინფორმაციო შეხვედრები, რომლებიც წინასწარ დაანონსდება კინოს ფეისბუქ და ვებ გვერდებზე; Public და Private კინოთეატრის შეთავაზება წარმოადგენს პროექტის ბიზნეს კომპონენტს; ასევე იგეგმება ყოველკვირეული უფასო კინო-სეანსი შშმ და სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისათვის ადგილობრივი დღის ცენტრებიდან. კაფე-ბარის მომსახურება-არის ორგანიზაციის შემოსავლის ერთ-ერთი წყარო, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს დასაქმებულთა ზრდის შესაძლებლობას.	27350.00
ააიპ "ფუდბანკ საქართველო"	405126108	"ორნამენტი"	პროექტის მიზანია ააიპ "ფუდბანკ საქართველომ" დაიწყოს დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა - დააფუძნოს სოციალური საწარმო სამკერვალო სახლი "ორნამენტი". პროექტი ხელს შეუწყობს 18-დან 23 წლამდე ასაკის სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნის გამოცდილების მქონე გოგონების პროფესიულ გადამზადებას, დასაქმებასა და საზოგადოებაში დამკვიდრებას. ეს ის ახალგზარდები არიან, რომლებიც ე.წ. ბავშვთა სახლებს ტოვებენ, როგორც კი სრულწლოვანები გახდებიან. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა ქუჩის ცხოვრებისთვის არის განწირული, რაც ასოცირდება მათხოვრობასთან, პროსტიტუციასა და კრიმინალთან. პროექტის მიზანია ამ ახალგაზრდებზე ზრუნვა, მათთვის პროფესიის, კერძოდ, კერვის, ქარგვის, ქსოვის სწავლება და სოციალურ საწარმოში დასაქმება. შედეგად, მათი კრიმინალურ სისტემაში ჩართვის შესაძლებლობა შემცირდება და გაიზრდება მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. პროექტის მიზანია, ასევე, ქართული ტრადიციული ნაქარგობების აღდგენა-პოპულარიზაცია. პროექტი განხორციელდება ქ. თბილისისში. პროექტის ფარგლებში მოეწყობა სამკერვალო სახელოსნო საპატრიარქოს სოციალური სამსახურის კუთვნილ შენობაში ქალაქის ცენტრში, ს.	23480.00

			ჩიქოვანის ქ. 41.სამკერვალოს ექნება ერთ-ერთი საუკეთესო საკერავი და საქარგავი მანქანა.ბენეფიციარებს კერვას და ქარგვას შეასწავლის ამ საქმის პროფესიონალი, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე დედა ნინო მსხვილაძე. პროექტის ფარგლებში დაფუძნებული მინი- ფაბრიკა გამოუშვებს ისეთ აქსესუარებს, როგორიცაა: ყაბალახი, შარფი, სუფრა და ხელსახოცები, ჩაის ტილოები, წინსაფრები, ქუდები, სასაჩუქრე ნაკრებები; ასევე იმუშავებს შეკვეთებზე: სადღესასწაულო და ყოველდღიური კაბები. საწარმო ითანამშრომლებს დიზაინერებთან, რათა მათ დაუკვეთონ კოლექციების შეკერვა, მოქარგვა, აქსესუარებით გაფორმება.	
ააიპ "კავშირი განვითარებისთვის"	400131870	"უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის შექმნა"	პროექტი დუშეთის რაიონში, უკანა ფშავში მცირე მეფუტკრეობის ცენტრის შექმნას გულისხმობს, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების თვითდასაქმებას და რეგიონში მეფუტკრეობის დარგის განვითარებას. შარშან აქ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვიტარების ფონდის მხარდაჭერით სამთო მექანიზაციის ცენტრი შეიქმნა. პროექტის მიზანია უკანა ფშავის ახალგაზრდებისთვის და სხვა ადგილობრივი მსურველებისთვის სასწავლო ტრენინგების ორგანიზება, რომლებიც მათ ამ დარგში წარმატებული მუშაობისთვის საჭირო ცოდნას მისცემს. ტრენინგს გაუძღვება ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"-ს წამყვანი სპეციალისტი მეფუტკრეობის დარგში ვახტანგ ღლონტი. მოეწყობა მცირე მეფუტკრეობის ცენტრი, რომელიც აღჭურვილი იქნება ყველა იმ აუცილებელი ნივთით, რომელიც საქმიანობის წარმართვისთვის არის საჭირო. ცენტრში არსებული აღჭურვილობა შესაძლებლობას მისცემს მოსახლეობას ადგილზე დაამზადონ მეფუტკრეობისთვის აუცილებელი ინვენტარი, როგორიც არის, სკა, სკის შიგთავსისთვის საჭირო ჩარჩოები, დაბეჭდონ ფიჭის პროფილები ჩარჩოებისთვის. პროფესიონალურად მოახდინონ ფუტკრის პროდუქტების წარმოება. აქვე მოეწყობა მცირე ბიბლიოთეკა, რომელშიც მეფუტკრეობის ძირითადი სახელმძღვანელოები იქნება განთავსებული. პროექტის ბენეფიციარები არიან ფშავის თემის მოსახლეები, რომლებსაც საშუალება ექნებათ ისარგებლონ ცენტრში არსებული აღჭურვილობით და წარმატებით დასაქმდნენ მეფუტკრეობის დარგში. ცენტრის შექმნით მომზადდება საწარმოს შექმნის საფუძველი, რის შესაქმნელად ამჟამად მზაობა არ არსებობს. ცენტრი შარშან ჩამოყალიბებული სამთო მექანიზაციის ცენტრის შენობაში განთავსდება. მის გატიხვრასა და შიდა მოწყობაში აქტიურად ჩაერთვებიან ადგილობრივი ახალგაზრდები.	17096.50
ააიპ "სვანეთის რეგიონალური განვითარების ცენტრი"	434065441	სვანური ტრადიციული რეწვის და სუვენირების სოციალური საწარმო	სოციალური საწარმო მოიცავს ტრადიციული სვანური რეწვის განვითარებას, სადაც მოხდება მაღალმთიან რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა, დამზადდება ტრადიციული სვანური სუვენირები (ქუდები, ნაბდები, ხის ნაკეთობები, მუსიკალური საკრავები და სხვა). დამზადებასთან ერთად, ადგილზევე მოეწყობა სუვენირების მაღაზია, მოხდება დამზადებული ნაწარმის როგორც ადგილზე რეალიზება, ისე სხვა რეგიონების სასუვენირო მაღაზიებში დისტრიბუცია. პროექტის მიზანია დასახელებული დარგების შენარჩუნება, არსებული ცოდნის ახალგაზრდა თაობისთვის გადაცემა, ტრადიციული რეწვის სახელოსნოს შექმნა, რომელიც პოპულარიზებას გაუწევს სვანური ქუდებისა და ხეზე კვეთის უძველეს ტექნოლოგიებს და ამით ხელს შეუწყობს ლენტეხის ტურისტული პოტენციალის გაზრდას, მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების დასაქმებას. პროექტში სვანური ტრადიციული რეწვის და სუვენირების სოციალური საწარმო ძირითადად მოიცავს სავარაუდოდ 20-30 ახალგაზრდა ბენეფიციარს. პროექტის ძირითად აქტივობებს წარმოადგენს: 1. სახელოსნოს მოწყობა, სათანადო ინვენტარით აღჭურვა; 2. პედაგოგების/ოსტატებისა და მოსწავლეების მობილიზება; 3. ინტენსიური სასწავლო პროცესის დაწყება 4. პრაქტიკული საქმიანობა, ნიმუშების დამზადება; 5. სხვადასხვა კულტურული ღიონისძიების მოწყობა; 6. დამზადებული ნაწარმის ბრენდირება და დისტრიბუციის უზრუნველყოფა 7. სამომავლოდ იგეგმება, სახელოსნოსთან არსებული მაღაზიის გახსნა. შემოსული თანხები კი ისევ აღნიშნულ საწარმოში რეინვესტირდება და საწარმოს გაფართოებას, დამატებით მეტი ახალგაზრდას ჩართვას და დასაქმებას უზრუნველყოფას მოხმარდება. პროექტი განხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტში.	23460.00
ა(ა)იპ "ფანტასტი"	405092448	ვეფხისტყაოსნის დაფის თამაში	დიდი ხანია მსოფლიოში მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლებზე ბავშვებისთვის დაფის თამაშები (BOARD GAME) იქმნება, რომელიც მოსწავლეს ადრეულ ასაკში გაუადვილებს თხზულების სწავლას და თამაშით გააცნობს ლიტერატურულ სამყაროს. დღემდე არ გამოცემულა ბავშვებისთვის ვეფხსიტყაოსნის მაღალპოლიგრაფიული ფერადი დაფის თამაში. წარმოდგენლი პროექტი ითვალისწინებს ვეფხსიტყაოსნის ილუსტრაციების - პოემის ლიტერატურული რუკის შემქნას და დაფის თამაშის გამოცემას. დაფის თამაში (BOARD GAME), მიზნად ისახავს ვეფხისტყაოსნის სამყაროში პანორამულ	9434.00

			მოგზაურობას. გასართობ- შემეცნებითი პროექტი, რომელიც თამაშით გააცნობს და გაუადვილებს ვეფხისტყაოსნის სამყაროს ბავშვებს. პროექტი ითვალისწინებს მის პოპულარიზაციას სკოლებსა და ბიბლიოთეკებში; კოლექტიური თამაშების ჩატარებას და გამარჯვებულის გამოვლინებას და ზოგადად არტწიგნებით და დაფის თამაშებით, როგორც თანამედროვე ხელოვნების მიმართულებებით ახალგაზრდების დაინტერესებას. პროექტის ფარგლებში დასაქმდებიან მხატვრები, როლებმაც უნდა შემქნან ილუსტრაციები. პროექტი დაეხმარება ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების და ზოგადად ამ დარგის განვითარებას. პროექტის ფარგლებში ხელშეკრულების საფუძველზე მოხდება თანამშრომლობა სტამბასთან, რომელმაც უდა გამოსცეს დაფის თამაში.	
ა(ა)იპ სამოქალაქო ინიციატივა-Civic Initiative	401960865	ცოდნის კაფე	"სამოქალაქო ინიციატივის" მიზანია, წნორში, ორგანიზაციის ოფისის ბაზაზე შექმნას სოციალური საწარმო - "ცოდნის კაფე", რომელიც გააერთიანებს - წიგნების მაღაზიას, თანამედროვე ბიბლიოთეკას, კაფესა და სატრენინგო სივრცეს. სადაც დასაქმდება სულ მცირე 3 ადამიანი და კაფის სერვისებით ისარგებლებს წნორის 6000-ზე მეტი მოსახლე, სულ მცირე 2 მეზობელი სოფლისა და ქალაქის ბიზნეს თუ სამთავრობო დაწესებულებებში მომუშავე მოქალაქეები. გაიმართება თანამედორვე გამოცემების პრეზენტაციები და ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცემა თვალყური ადევნონ ლიტერატურულის სფეროს ტენდენციებს და შეიძინონ უახლესი გამოცემები მუნიციპალიტეტის დაუტოვებლად.სიღნაღის მუნიციპალიტეტში გაიხსნება პირველი თანამედროვე ბიბლიოთეკა - ახალი გამოცემებით, კომპიუტერებით, Wi-Fi სივრცითა და პრინტერით. ადგილობრივი მოსახლეობა კვირის ნებისმეიერ დღეს შეძლებს ისარგებლოს "ცოდნის კაფის" ბიბლიოთეკის სერვისებით. ჩატარდება ყოველკვირეული კინოჩვენებები და დისკუსიები. ყოველთვიურად მოეწყობა წიგნის პრეზენტაციები მწერლებთან და პოეტებთან ერთად. ყოველწლიურად მოეწყობა წიგნის ბაზრობა. სულ მცირე ყოველთვიურად ჩატარდება ტრენინგ(ებ)ი ახალგაზრდებისთვის საინტერესო თემაზე. ყოველ სეზონზე გაიმართება ინტელექტუალური შეჯიბრებები სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის. პროექტის განხორცილების მოსალოდნელი შედეგი გახლავთ შემდეგი: 1. "ცოდნის კაფეში" დასაქმებული სულ მცირე 3 ახალგაზრდა. 2. "ცოდნის კაფეში" ინტერნად მუშაობის გამოცდილების მქონე სულ მცირე 2 ახალგაზრდა. 3. წნორში არსებული 30-მდე საჯარო და კერძო დაწესებულებაში მომუშავე ადამიანები, ქალაქ წრნორის, მიმდებარე სოფლების/მუნიციპალიტეტის მოქალაქეები, რომლებიც ისარგებლებენ "ცოდნები კაფის" სერვისებით; 4. თანამედროვე ბიბლიოთეკისა და არაფომალური განათლების ცენტრში მიღებული განათლების საფუძველზე დასაქმებული და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა მიღებული ახალგაზრდები; 5. ახალგაზრდები/მოქალაქეები, რომლებსაც მუნიციპალიტეტში შეეძლებათ თანამედროვე ლიტერატურის შეძენა. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციები: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG); ფონდი ტასო; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველს პარლამენტის ერვნული ბიბლიოთეკის პროექტი _ "ეკვილიბრიუმი". პროექტი განხორციელდება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, წნორში, კახეთის რეგიონი.	21154.00
ააიპ "რადარამი"	404392590	"რადარამი" - წაიკითხე და შემოგვიერთდი	ქართულ ენაზე საკმაოდ იშვიათად თუ შევხვდებით წიგნებს გლობალური გამოწვევების შესახებ. ქართულენოვან მკითხველს ძალზედ მცირე ხელმისაწვდომობა აქვთ მსოფლიოში მიმდინარე გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებზე. უცხოური ლიტერატურა კი საქართველოში როგორც წესი მხოლოდ სპეციალიზირებული პროექტების ფარგლებში ითარგმნება. რადარამის წიგნის შერჩევის საერთაშორისო საბჭომ შეარჩია გარემოს დაცვით საკითხებში თანამედროვე აქტივისტის ბილ მაკკიბენის (Bill Mckibben) ბესტსელერი "Oil and Honey: an education for an unlikely activist" რომელიც მოგვითხრობს პირად და გლობალურ ისტორიას ჩვენი მდიდარი პლანეტის დასაცავად ბრძოლაზე. გარდა ხსენებული წიგნისა პროექტის ფარგლებში იგეგმება რადარამის პირველი წიგნის "სწრაფად წინ: ეთიკა და პოლიტიკა გლობალური დათბობის ეპოქაში" ახალი ტირაჟით გამოცემა. ამ პროექტის მეშვეობით ქართველ ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ზემოთ ხსენებულ უმნიშვნელოვანეს, თანამედროვე წიგნებს ქართულად, მაღალი ხარისხის თარგმანით. ისინი იქნება ხელმისაწვდომი სკოლის და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში, რეგიონალურ მაღაზიებში და საჩუქრად გადაეცემათ პრეზენტაციაზე დამსწრე სტუმრებს. პროექტის ბენეფიციარები იქნებიან საქართველოს რეგიონებში და მაღალ მთიან სოფლებში მცხოვრები ახალზარდები, რომლებიც არ საუბრობენ უცხო ენებზე. ახალგაზრდებს მიეცემათ ახალი საინტერესო, აქტუალური საკითხავი მასალები გარემოს დაცვის თემაზე - ისინი შეძლებენ	21200.00

			დისკუსიების გამართვას და ერთმანეთთან კომუნიკაციას, გაიზრდება ცნობიერების დონე ეკოლოგიურ პრობლემების შესახებ და ასევე გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობა.	
ა(ა)იპ "ეთიკფინანსი"	205264328	სოციალური საწარმო "სობისური"	პროექტი ხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო სობისში და გულისხმობს ახალგაზრდული სოციალური საწარმო "სობისურისთვის" ახალი დანადგარების შეძენასა და დამხმარე სასაწყობე ნაგებობების მოწყობას, რითაც მოხდება საწარმოს მდგრადობის ხელშეწყობა და გაიზრდება საწარმოში დასაქმებული ადგილობრივი ახალგაზრდების რაოდენობა. პროექტის ბენეფიციარები არიან 16-30 წლამდე ახალგაზრდები, რომლებიც დასაქმებულნი არიან საწარმოში. ასევე ნედლეულის მომწოდებლები და მომხმარებელი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება იყიდოს მაღალი ხარისხის ადგილობრივი ნაწარმი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებია: აღჭურვილობის შეძენა; სამშენებლო მასალის შეძენა; ფლაერების და ეტიკეტების დამზადება; სამშენებლო სამუშაოები; ტრენინგები ჩირის წარმოების ტექნოლოგიაში; პროდუქტისთვის ლაბორატორიული დასკვნებით და სტანდარტებით უზრუნველყოფა. დაგეგმილი აქტივობები გაზრდის საწარმოო შესაძლებლობებს. პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობაში ადგილობრივი სოფლის ხელოსნები და საწარმოს ახალგაზრდა თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას. ტრენინგებს ჩირის დამზადების ტექნოლოგიაში ჩაატარებს ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი ბატონი პატრიკ ვანგი.	23170.50
ააიპ "იმედი პლიუსი"	205170535	მეთოდური წიგნის სახელწოდებით "ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში" გამოცემა	პროექტი ითვალისწინებს წიგნის შშმ პირებისათვის (და არა მარტო მათთვის) სახელწოდებით "ადაპტური ფიზიკური აღზრდა ოჯახურ პირობებში" გამოცემას, რომელიც დაეხმარება ფიზიკური აღზრდის დანერგვას ოჯახურ პირობებში. ადაპტური ფიზიკური აღზრდა ფიზიკურ განვითარებაში ჩამორჩენის მქონე პირებისთვის წარმოადგენს კომპლექსური რეაბილიტაციის განუყოფელ ნაწილს. ეს მეთოდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ საყრდენ-მამოძრავებელი და ნერვულ-კუნთური აპარატის დაზიანების, პარეზების და დამბლების შედეგად გამოწვეული დეფექტები. წინამდებარე ნაშრომში სამკურნალო-კინეზოკორექციო ზემოქმედების მიზნით განხილულია, თუ როგორ უნდა მოეწყოს სპორტული კუთხე და ჩატარდეს კინეზოკორექციული სამუშაოები ოჯახურ პირობებში. განხილულია ფიზიკური ვარჯიშები მათი აქტიურობის და დატვირთვის ნიშანთვისებების მიხედვით; ინდივიდუალური საკორექციო-განმავითარებელი სამუშაო გეგმები, ტანდეგობა (აღნაგობა) და ხერხემლის მაკორეგირებული ვარჯიშები და ა.შ. ვინაიდან მსოფლიოში წარმატებით ვითარდება საინვალიდო (სარეაბილიტაციო) სპორტი, გარკვეული ადგილი დაეთმო ადაპტური სპორტული წრთვნის მეთოდიკას, დღის რეჟიმს, აუტოგენურ წრთვნას და მრავალ სხვა თემატიკას. წინამდებარე ნაშრომი პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს იმ ოჯახებს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები იზრდებიან და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს. წიგნის ავტორები არიან თეიმურაზ მიქიაშვილი (ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი) და იგორ დოლიძე (ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი). პროექტის ბენეფიციარები არიან ბავშვთა ცერებრული დამბლის, უსინათლობის, ყრუ- მუნჯობის, გონებრივი ჩამორენილობის მქონე ბავშვები და მოზარდები.	6450.00
ააიპ "ხვამლი 2015"	442570175	თანადგომა მდგრადი განვითარებისათვის	პროექტი განხორციელდება ცაგერის რაიონის სოფელ ტვიშში. მოხდება ორგანიზაციის ბაზაზე არსებული სოციალური საწარმოს მოდერნიზაცია. ამ დროისათვის პროექტში მონაწილეობისათვის შერჩეულია 12 უშუალო ბენეფიციარი, აქედან 8 არის 18-დან 20 წლამდე, ხოლო 4 - სოფელ ტვიშის საჯარო სკოლის მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები, მათ შორის - 3 გოგონაა (2 მათგანი იძულებით გადაადგილებული პირია). ახალგაზრდების უმრავლესობა არის სოციალურად დაუცველი ოჯახიდან. ორგანიზაცია ბოლო ორი წელია აქტიურად აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას (2015 წელს დაიწყო ღია გრუნტში კიტრისა და პომიდვრის, ასევე ნესვის მოყვანა); დაიხნა 1 ჰექტარი მიწის ფართობი. ბოსტნის პარალელურად ჰყავთ 50 კურდღელი, 6 დედალი ღორი, 30 გოჭი. ხილის საშრობში, მზადდება კარალიოკისა და შავი ქლიავის ჩირი. ორგანიზაციის ხელმძღვანელი არის სასოფლო კოოპერატივის მონაწილე, რომელიც ფლობს 60 ოჯახ ფუტკარს. პროექტის ფარგლებში მოხდება აუცილებელი აღჭურვილობისა და მასალების შეძენა- მონტაჟი (დაგეგმილია ღია გრუნტის გადახურვა სასათბურე მინის კონსტრუქციით, რომელიც აღიჭურვება სარწყავი სისტემით), შხამქიმიკატების, PTQ-244 მარკის ტრაქტორის შეძენა. მოეწყობა მარტივი კონსტრუქციის ნაგებობა (10მ x 4მ), სადაც შესაძლებელი იქნება ნედლეულის მიღება-დახარისხება, ასევე უკვე წარმოებული პროდუქციის დახარისხება და ყუთებში ჩალაგება, ტექნიკისა და შხამქიმიკატების შენახვა. მოეწყობა ერთი ოთახი, სადაც მოხდება ახალგაზრდების დატრენინგება, პრეზენტაციების მოწყობა,	16100.08

			სპეციალისტებთან და რაიონის ხელმმძღვანელებთან შეხვედრების ორგანიზება. პროექტის აგრონომიული კომპონენტი ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს: ჩითილების გამოყვანა, ვაზის მყნობა; ჩითილებისა და ნამყენი ვაზის გადატანა ღია გრუნტზე; მებოსტნეობისა და ნამყენი ვაზისათვის საჭირო სამუშაოები (კულტივაცია, შეწამვლა და ა.შ.); ტყლაპების, ხილის, სამკურნალო მცენარეების შრობა; მწვანილის, ბოსტნეული კულტურების მოყვანა სათბურში; ჰიბრიდული უხვმოსავლიანი სიმინდის დათესვა. მოეწყობა ტრენინგების ციკლი ტვიშისთვის აქტუალურ თანამედროვე აგროტექნოლოგიებზე. იგეგმება რამდენიმე ახალგაზრდის გადამზადება ტრაქტორის მართვაში.	
ააიპ ,,სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია"	204905736	ხის საწარმო შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისთვის	პროექტის მიზანია ხის დამამუშავებელი სოციალური საწარმოს შექმნა, ინტელექტის განმავითარებელი ხის სათამაშოების წარმოება, შშმ პირთა პროფესიული გადამზადება და დასაქმება. სათამაშოების ქსელი საქართველოში არის უცხოური, ძვირადღირებული და მიზნობრივი ჯგუფისთვის მიუწვდომელი. საწარმოს ძირითადი მიზანი იქნება მოგების რეინვესტირება შშმ პირთა თემში არსებული პრობლემების მოგვარებისა და სოციალური მიზნების მისაღწევად. პროექტის ბენეფიციარებია 18 წლიდან 30 წლამდე შშმ პირები (20 ბენეფიციარი). სამიზნე ჯგუფი შეირჩევა დღის ცენტრებიდან და გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოც.მომსახურების სააგენტოდან. პროექტის ფარგლებში მოხდება მუშა ჯგუფის შედგენა; თანამშრომელთა დაქირავება; ბენეფიციართა შერჩევა; პროფესიული უნარების განვითარების ტრეინინგის დაგეგმვა; საწარმო საშუალებების შეძენა სოციალური საწარმოსთვის; ტრეინინგი შერჩეულ შშმ პირებთან; პროფესიონალთა (სპეც.პედაგოგი, ფსიქოლოგი, სოციალური თერაპევტი) მიერ მოხდება შერჩეული ბენეფიციარების შესაძლებლობების შეფასება. მოხდება გადამზადებული შშმ პირების ჩართვა სოციალურ საწარმოში. მომზადდება და გავრცელდება საინფორმაციო ბუკლეტი შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობებზე (1000 ტირაჟი); მომზადდება სოციალური ვიდეო-რგოლი: "დასაქმება სოც.საწარმოში-წარმატებული მაგალითი" და მოხდება მისი გაშვება საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას შშმ პირთა დასაქმების შეუძლებლობაზე.	20969.00
ააიპ "ჰერეთის სახლი"	416324551	ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკა, ჰერეთის ელექტრონული არქივი, დოკუმენტური ფილმი კახის ეკლესიები	პროექტი გამიზნულია ჰერეთის (საინგილოს) შესახებ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ელექტრონული ბაზის შექმნაზე, რომელიც მოიცავს: 1) ჰერეთის ელექტრონულ ბიბლიოთეკას (ჰერეთის (საინგილოს) შესახებ, ფართო საზოგადოების სრული უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელი სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურის, ამავე თემატიკის მხატვრული ლიტერატურის, წყაროს და სხვა ტიპის მასალების ბაზის/ელექტრონული ბაზის შექმნას); 2) ჰერეთის ელექტრონულ არქივს (დოკუმენტების, ფოტო, ვიდეო, აუდიო, კარტოგრაფიული, ბეჭდური მასალების მოძიება-თავმოყრას და ელექტრონული ბაზაში განთავსებას); 3) საპრეზენტაციო დოკუმენტური ფილმის "კახის ეკლესიები" გადაღებას და წინამდებარე პროექტით გამიზნულ ვებსაიტზე განთავსებას; 4) დედოფლისწყაროს რაიონის ჰერელებით (ინგილოებით) დასახლებულ სოფელ სამთაწყაროს სკოლაში მოპოვებული მასალების პრეზენტაციის გამართვას და პროექტის შემსრულებელი სტუდენტი ახალგაზრდობის მიერ სკოლის მოსწავლეებისათვის ჰერეთის (საინგილოს) შესახებ საინტერესო ლიტერატურის გაცნობას; 5) ახალგაზრდების მოზიდვას და ჩართვას ჰერეთის ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნის პროცესში. თანამედროვე რეალობაში, როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე სტუდენტებისა და ფართო საზოგადოების წინაშე დგას მნიშვნელოვანი პრობლემა ჰერეთის (საინგილოს) შესახებ არსებულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურასთან, აგრეთვე, ამავე თემატიკის მხატვრულ ლიტერატურასთან, წყაროს და სხვა ტიპის მასალებთან წვდომისა. პროექტის განხორციელების პროცესში უშუალო სარგებელს მიიღებენ: 1) პროექტის დამხმარე პერსონალი (ანუ დაქირავებული დამხმარე პერსონალი, _ მაღალი აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ჰერეთის ელექტრონული არქივის შექმნის პროცესში მიიღებენ უამრავ ინფორმაციას (განათლებას) ჰერეთის (საინგილოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, ფოლკლორის, ლიტერატურის და სხვა საკითხების ფარგლებში. 2) პროექტის დამხმარე პერსონალი მიერ მოწვეული ახალგაზრდა მოხალისე დამხმარე-შემსრულებლები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილიდან ცალკეულ მიმართულებებში (მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ფარგლებში) მიიღებენ საინტერესო ინფორმაციებს.მოსწრებით გამორჩეული ჰერელი სტუდენტების ჯგუფი), რომლებიც, ჰერეთის	14595.00
ა(ა)იპ "ორგანიზაცია ჯი თი ეს"	425053773	სოციალური მეწარმეობის	პროექტის ფარგლებში მოხდება სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული საქმიანობის ვიზუალური შეჯამება, წარმატებული სოციალურ საწარმოების გადაღება (ფოტოგრაფ გიორგი ცაავას მიერ), რომლებიც ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, სოციალური მეწარმეობის ცენტრისა,	15276.00

		ფოტოისტორია საქართველოში	თუ ევროპის ფონდის მიერ დაფინანსებულა. მხატვრული ფოტოები ასახავს წარმატებულ ისტორიებს, სოციალური მეწარმეობის მდგრად შედეგებს და ბენეფიციარებს. მოპოვებული მასალები გაერთიანდება ქართულ-ინგლისურ ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ფართოდ გავრცელდება საზოგადოებაში, მცირე ანოტაციებითა და ისტორიებით, ხოლო პროექტის ბოლოს მოეწყობა მხატვრული ფოტოებისა და ანოტაციების გამოფენა, როგორც სოცმეწარმეობის ფოტო ისტორია საქართველოში, სადაც თავს მოიყრის ყველა წარმატებული სოციალური საწარმო - ვიზუალური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით. პროექტის ფოტოგრაფირებისას, სოციალური საწარმოების მიმდინარეობის ადგილზე მოხდება ვიდეორგოლების გადაღება, მოხდება პროექტების განმახორციელებლების ჩაწერა, რომ შემდეგ ბროშურისთვის მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია იქნეს გამოყენებული. ჩაწერილი შავი ვიდეომასალა კი მოეწოდება ფონდს, რითაც შესაძლებელია სოცმეწარმეობის მდიდარი ვიდეოარქივი შეიქმნას. პროექტის უშუალო ბენეფიციარები არიან ის ორგანიზაციები, რომელთაც წარმატებით დაიწყეს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით საქმიანობა და დღემდე აგრძელებენ. ეს იქნება მათთვის დამატებითი სტიმული, რომ მომავალში კიდევ უფრო გააფართოვონ საწამოო პროცესი, გაიგონ ერთმანეთის საქმიანობის შესახებ და დასახონ სამომავლოდ თანამშრომლობის პერსპექტივები.	
ააიპ "რეგიონალური განვითარების ახალგაზრდული ფონდი"	421270047	ღია სივრცე (OPEN SPACE)	პროექტის "ღია სივრცე" (OPEN SPACE) მიზანია, წყალტუბოში შეიქმნას პირველი სოციალური კაფე ახლად დაარსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, სტარტაფებისა და თავისუფალი პროფესიონალებისთვის. ბენეფიციარად ითვლება ნებისმიერი დაინტერესებული ფიზიკური პირი, ორგანიზაცია, საინიციატივო ჯგუფი, ახალგაზრდული გაერთიანებები. პირველი ეტაპი მოიცავს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, შენობის აღჭურვას, სივრცის დიზაინს & ინვენტარიზაციას; მეორე ეტაპი გულისხმობს გასაცნობი ხასიათის შეხვედრებსა და პროექტის "ღია სივრცე" (OPEN SPACE) პრეზენტაციების ჩატარებას ღონისძებას პოტენციური მომხმარებლებისთვის. იგეგმება სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური აქტივობების განხორციელება. ასევე შეიქმნება საინფორმაციო კუთხე "Info desk", რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ინფორმაციას სწავლის, მოხალისეობის და დასაქმების შესახებ ინფორმაციას.	24300.00
ააიპ "არქეიდ"	406172298	არტისტების რეზიდენცია და საწარმო	იმერეთის სოფელ ობჩაში ყოფილი ღვინის ქარხნის ტერიტორიის მიმდებარე სახლში არქეიდი მოაწყობს ტექსტილის სახელოსნოსა და საერთაშორისო არტისტულ რეზიდენციას, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები გამოყენებით ხელოვნებას შეისწავლიან, ხოლო უცხოელი ხელოვანები გრძელვადიან არტისტულ პროექტებზე იმუშავებენ (ქუთაისის აეროპორტთან სიახლოვის გათვალისწინებით). ინტენსიურ საზაფხულო პროგრამას/ვორქშოპებს გაუძღვებიან ორგანიზაციასთან ასოცირებული ტექსტილის არტისტები/დიზაინერები, რომლებიც ღია კონკურსის შედეგად შერჩეულ რეგიონის ახალგაზრდებს შეასწავლიან საყოფაცხოვრებო და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების (ტანსაცმელი, აქსესუარები, ბალიშები/საბნები...) დამზადებას. ნაკეთობები განთავსდება პროექტის ფარგლებში შექმნილ ონლაინ მაღაზიაში, რომელიც მუდმივად მოემსახურება ახალგაზრდებს თავიანთი შემდგომი ნაკეთობების პოპულარიზაციასა და ჯეროვან ფასად რეალიზაციაში. პროექტის უცხოელი პარტნიორები იზრუნებენ სახლის საერთაშორისო მნიშვნელობის არტისტულ რეზიდენციად (არტი/კრაფტი) გადაქცევასა და ონლაინ პლატფორმის პოპულარიზაციაზე. პროექტი გრძელვადიანია, რადგან სახლი ახალგაზრდებისთვის მუდმივ არტისტულ სახელოსნოდ იქცევა და ახალგაზრდები გადამზადდებიან.	19085.00

ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრი	441484038	მეკლდეურობის განვითარება ყაზბეგის რაიონში	პროექტის მიზანია ყაზბეგის რაიონში სოფელ არშაში საცოცად ვარგისი კლდეების გაწმენდა და მარშრუტების მომზადება . კლდეზე ცოცვის ფესტივალის ჩატარება. მეკლდეურობის განვითარება. ადგილობრივი ახალგაზრდების ჩაბმა სპორტის ამ სახეობაში . ადგილობრივი და საქართველოს სხვა დანარჩენი მთამსვლელებისა და მეკლდეურების განვითარებისთვის სავარჯიშო ადგილის მოწყობა. ექსტრემალური ტურიზმის ახალი სფეროს შექმნა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში კლდეზე ცოცვის მარშრუტებს მოამზადებენ ,, საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის '' და ,,საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის კვალიფიცირებული სპეციალისტები. პროექტის განხორციელების შემდეგ , შექმნილი ინფრასტრუქტურა იარსებებს ათეულობით წლები , რომლითაც ისარგებლებენ, როგორც ადგილობრივი მეკლდეურები და მთამსვლელები, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის სპორტსმენები. კლდეზე ცოცვის მარშრუტების მომზადების გარდა მოხდება მარშრუტებისთვის კატეგორიების მინიჭება , დაიბეჭდება საინფორმაციო ბუკლეტები და მოხდება მათი გავრცელება, ქვეყნის მასშტაბით, კლდეზე ცოცვის დარბაზებიდან, ადგილობრივ ტურისტულ სააგენტოებიდან და სხვადასხვა დაწესებულებებიდან. ასევე კლდეების მიმდებარე ტერიტორიაზე გზასთან ახლოს დამონტაჟდება დაფა, სადაც მარშრუტებზე ინფორმაციასთან ერთად ასევე იქნება, დაინტერესებული ტურისტებისთვის , შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი ინსტრუქტორების საკონტაქტო ინფორმაცია. ინფორმაციის გავრცელების მიზნით ჩატარდება კლდეზე ცოცვის ერთ დღიანი ფესტივალი, სადაც საქართველოს საუკეთესო, დაახლოებით 30-35 მეკლდეურთან და მთამსვლელთან ერთად მონაწილეობის მიღება შეეძლება ნებისმიერ მსურველს . განხორციელდება პროექტის ამსახველი ინფორმაციის, ფოტო და ვიდეო მასალის გავრცელება სოციალური ქსელით.	10500.00
ააიპ "რეგიონული კინოს ასოციაცია"	425358622	სოციალური არტ კაფე ბოლნისში	პროექტის მიზნად ისახავს სოციალური საწარმოს შექმნას ბოლნისში. ეს სივრცე კაფესთან ერთად საგანმანათლებლო, კულტურული და სამოქალაქო აქტივიზმის ცენტრი იქნება. ბოლნისის მრავალეთნიკური მოსახლეობა და მისი ახალგაზრდობა შეძლებს მიიღოს თანამედროვე კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და კაფის სერვისები ერთ სივრცეში. პროექტში დასაქმდება და კვალიფიკაციას აიმაღლებს რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდა. ამ საწარმოს ამუშავებით ბოლნისის ცენტრში წლების მანძილზე მიტოვებულ საჯარო შენობაში თანამედროვე და მულტიფუნქციური სივრცის განვითარების პროცესი დაიწყება. პროექტის პირველადი ბენეფიციარები იქნებიან კაფეში დასაქმებული ეთნიკურად ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდები. კანდიდატების საბოლოო შერჩევამდე, გამოსაცდელი ვადით შეირჩევა სულ თორმეტი შესაძლო კანდიდატი და ყველას ერთად ჩაუტარდება ტრენინგი კულინარიასა და კვების სერვისის მენეჯმენტში, რითაც შერჩეული ოთხი საუკეთესო თანამშრომლის გარდა მივიღებთ კიდევ რვა ადამიანს, რომელსაც უკეთ შეეძლება მოემზადოს ამ სფეროში დასაქმებისთვის. აღნიშნული ამოცანებიდან გამომდინარე პროექტის აქტივობებია: 1. გარემონტდება აღნიშნული შენობის მთავარი დარბაზი; 2. მოხდება "სოციალური არტ კაფის" რეკლამირება და პრეზენტაცია, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური მედიის საშუალებით; 3. საჯაროდ გამოცხადებული კონკურსის მეშვეობით შევარჩევთ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ადგილობრივ ახალგაზრდებს (სულ თორმეტ ახალგაზრდას) და ჩატარდება მათი კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგი კვების ობიექტის მენეჯმენტისა და მომსახურების სეგმენტში და საბოლოოდ შეირჩევა მათგან ოთხი ეთნიკური ჯგუფის (ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი) წარმომადგენელი, რომელთაგან საუკეთესო აირჩევა ტრენერის მიერ გაცემული რეკომენდაციის მიხედვით. ტრენინგის ორგანიზების კომპონენტს უზრუნველყოფს პროექტის პარტნიორი ორგანიზაცია "ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა"; 4. კულტურულ- საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას უზრუნველვყოფთ სისტემატიურად. მინიმუმ კვირაში ერთხელ მოეწყობა ფილმის ჩვენება და დისკუსია. მოეწყობა საჯარო ლექციებისა და დისკუსიების ჩვენება, ისტორიული ფოტო და ვიდეო ქრონიკებისა გამოფენა, ვიდეოარტისა და სხვა ცოცხალი პიესების კითხვა და სხვა შემოქმედებითი ღონისძიებები; 5. საწარმოს მოგებიდან მიღებული შემოსავლით სტაბილურად განვავითარებთ შენობის ყველა ნაწილს. გამგეობასთან კონსულტაციითა და თანამშომლობით სივრცეებს დაიკავებენ გამგეობის დაფინანსების ქვეშ შემავალი ორგანიზაციები და შემოქმედებით-საგანმანათლებლო გაერთიანებები. პროექტი განხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციებია: ქვემო ქართლის ეთნოშორისი ერთობა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა.	24675.00

ააიპ "პანკისის ახალგაზრდული ცენტრი"	424613868	სოციალური კაფე და სასწავლო კურსები პანკისის ხეობაში	პროექტი გულისხმობს პანკისის ხეობაში სოციალური კაფეს გახსნას და არაფორმალური განათლების კურსების ორგანიზებას ახალგაზრდა პანკისელი ქალებისა და შშმ პირებისათვის. სოციალური კაფე იქნება მრავალმხრივი დატვირთვა, აქ მოხდება საკონდიტრო ნაწარმის წარმოება და ცხობა, მოეწყობა ლიტერატურული და ჟურნალ-გაზეთების კუთხე.ხელმისაწვდომი იქნება wi-fi კავშირი. სოციალურ კაფეში დასაქმდებიან ადგილობრივი ახალგაზრდები მათ შორის მზარეულის თანაშემწის პოზიციაზე დასაქმდება ერთი შშმ პირი. ჭრა კერვისა და კულინარიის არაფორმალური განათლების კურსებზე ცოდნას მიიღებენ და პროფესიულ უნარებს გაიუმჯობესებენ ახალგაზრდა პანკისელი ქალები და შშმ პირები. პროექტის საბოლოო მიზანია პანკისის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაცია, პანკისელი ახალგაზრდების ინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტის სპეციფიური მიზნებია: ა) პანკისელი ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა ბ) შშმ პირების არაფორმალური განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობა გ) პანკისელი ახალგაზრდების დასაქმება დ) პანკისის მოსახლეობისათვის საჭირო სერვისების მიწოდება ე) პანკისის ხეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. პროექტის სამიზნე ჯგუფი, უშუალო ბენეფიციარები არიან პანკისის ხეობის ახალგაზრდა გოგონები და შშმ პირები. ძირითადი აქტივობები იქნება ორიენტირებული შემდეგ მიმართულებებზე. 1. ჭრა-კერვის კურსების ბენეფიციარი -12 , მათ შორის სამი უკვე დასაქმებული სოციალურ საწარმოში 2. კულინარიის კურსების ბენეფიციარი - 12 , მათ შორის 4 შშმ პირი (ერთი დასაქმდება), 1შშმ პირი და 1 წარმატებული მოსწავლე სულ 2 ახალგაზრდა გოგონა დასაქმდება კაფეში 3. საქართველოს კულინარიის აკადემია,ბენეფიციარი - 2 , დატრენინგდებიან, ჩაატარებენ კულინარიის კურსებს და დასაქმდებიან კაფეში. არაფორმალურ განათლებას მიიღებს სულ 26 ახალგაზრდა პანკისელი გოგო, რომელთაგან მინიმუმ 4 დასაქმდება. 1. პროექტის ფარგლებში მოხდება ჭრა-კერვის კურსების ორგანიზება. ეს იქნება გაგრძელება და განვითარება ფონდის მიერ 2015 წელს დაფინანსებული სოციალური საწარმოს "პანკისის სამკერვალო". ავიყვანთ ორ სპეციალისტს. ერთი მათგანი იქნება სამკერვალო დარგის ინჟინერ-ტექნიკოსი, რომელიც შეასწავლის კონსტრუირებას, ტექნოლოგიას და ზოგადად თეორიულ ნაწილს. ხოლო მეორე არის პრაქტიკოსი, რომელიც იმუშავებს ყველა კვანძის დამუშავებასა და ქსოვილზე გადატანაზე. გარდა ამისა დაქირავებული იქნება მექნიკოსი, რომელიც თანამედროვე მანქანა-დანადგარების მოვლა, გამოყენებას უკეთ შეასწავლის. აღნიშნულ კურსებს გაივლის 12 ახალგაზრდა ქალი. 2. 2 ახალგაზრდა საქართველოს კულინარიის აკადემიაში გაივლის 8 დღიან პროფესიულ კურსს "საკონდიტრო ნაწარმი და ცხობა". ეს ორი ახალგაზრდა იქნება გამოყენებული კულინარიული კურსების ტრენერად და კაფეში უზრუნველყოფენ საკონდიტრო ნაწარმის ცხობას.	29582.50
ააიპ "ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის"	419999050	დასაქმება და არაფორმალური განათლება სამეგრელოს ახალგაზრდების თვის	პროექტის მიზანია სამეგრელოს ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თვითრეალიზაციის ხელშეწყობა და კვალიფიკაციის ამაღლება არაფორმალური განათლების მეთოდებით. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სოციალურად დაუცველი, დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები ახალგაზრდები. პროექტის განსახორციელებლად ჩამოყალიბდება საორგანიზაციო ჯგუფი, რომლის წევრები იქნებიან სამეგრელოს 8 რაიონიდან ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან დაუკავშირდნენ უნივერსიტეტებს, პროფესიულ სასწავლებლებს და ახალგაზრდებს მთელი რეგიონის მასშტაბით. მოხდება აღნიშნულ ახალგაზრდებთან შეხვედრების ორგანიზება, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გაცნობის მიზნით. გამოცხადდება რეგისტრაცია, რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდზე, უნივერსიტეტების სტენდებზე და ვებ-გვერდებზე. სულ შეირჩევა 200 ბენეფიციარი რომლებსაც ჩაუტარდებათ ტრეინინგები შემდეგ თემებზე: 1. ლიდერობა/პრეზენტაციის უნარ- ჩვევები/გუნდის მართვა 2. დამსაქმებელთან ეფექტური კომუნიკაციის მეთოდები 3. CV-სა და სამოტივაციო წერილის ეფექტურად მომზადების ხერხები 4. პროექტის მენეჯმენტის საფუძვლები. საჯარო უწყებებთან დატრეინინგებული ახალგაზრდებისაგან ჩამოყალიბდება საინიციატივო ჯგუფები, რომელთათვისაც გამოცხადდება კონკურსი მცირე ბიუჯეტიანი პროექტების მიღებაზე, რომლის მიზანია ტრეინინგებზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში რეალიზება. მიღებულ პროექტებს შეაფასებს კომისია და გამარჯვებული პროექტების ორგანიზებას უზრუნველყოფს საინიციატივო ჯგუფი, ფინანსურ მხარეს ორგანიზებას გაუწევს ორგანიზაცია. პროექტის დასასრულს გაიმართება შემაჯამებელი კონფერენცია. საინიციატივო ჯგუფები წარმოადგენენ განხორციელებულ პროექტებს. ბენეფიციარებს გადაეცემათ სერტიფიკატები და შეფასების ფორმები.	23255.00

ააიპ "ჰელფინგ ჰენდ"	202457313	სოციალური სახელოსნო ბორჯომში	პროექტი მიზნად ისახავს ბორჯომში მცხოვრები ახალგაზრდებისა და შშმ პირებისათვის სოციალური საწარმოს (სოციალური სტამბა სახელოსნო) გახსნას. ბორჯომში არ არსებობს დღის ცენტრი, რომელიც შშმ პირებს მოემსახურება და შშმ პირები ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრობენ. ადგილობრივი გამგეობა მხარს დაუჭერს პროექტის განხორციელებას. სოციალური სტამბის მსგავსი მოდელი უკვე არსებობს თბილისში და მსგავი პრაქტიკა საკმაოდ აპრობირებულია. სტამბა სახელოსნოში მოხდება შშმ პირთა შრომითი თერაპიაც. პროექტის ბენეფიციარებია: 10 შშმ პირი პირველ ეტაპზე; ბორჯომელი მოხალისეები - 20 ახალგაზრდა; შშმ პირთა მშობლები - 20 მშობელი; პროექტის ფარგლებში მოხდება სოციალური მინი სტამბის აწყობა და გახსნა - ბორჯომში სპეციალური ფართის მოძიება ადგილობრივ გამგეობასთან თანამშრომლობითა და დახმარებით; მინი სახელოსნოსათვის სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და აწყობა - თბილისის სოციალურ თერაპიის სახლთან კონსულტაციებით შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა; სტამბაში მომუშავე პირების ტრენინგი - სტამბის სამი თანამშრომელი გაივლის სოციალური თერაპიის კურს თბილისში; 20 ბორჯომელი მოხალისისათვის 3 დღიანი ტრენინგის ჩატარება - შრომითი თერაპიისა და შშმ პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ; სტამბა სახელოსნოს გახსნა, შშმ პირთა შერჩევა და 10 შშმ პირის დასაქმება ცენტრში/შრომით თერაპიაში ჩართულობა; პროდუქციის შექმნა და რეალიზება, შეკვეთების მიღება, შექნილი პროდუქტების რეკლამირება. მინი სტამბაში შეიქმნება შემდეგი პროდუქტი: ბლოკნოტი, რვეული, მისალოცი ბარათი, სატიტულე ფურცელი, ტრიპლეტი, სავიზიტო ბარათი, კონვერტი, მენიუ, სერთიფიკატი/სიგელი/დიპლომი, სტიკერი, აფიშა, მეორადი ქაღალდების გადამუშავება და ა.შ. პროექტის მხარდაჭერის მოპოვების მიზნით მოხდება სატელევიზიო გადაცემების მომზადება. ბორჯომის ტელეკომპანიასთან თანამშრომლობით გაშუქდება სახელოსნოს საქმიანობა	24294.00
ააიპ "ფარი 2009"	242272429	"შურუბუმუ"-ს კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიზიტორთა თავშესაფრების კეთილმოწყობა და ტურისტული ინვენტარით მათი უზრუნველყოფა	მუხურის თემის ტერიტორიაზე მდებარე "შურუბუმუ"-ს კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა ტურისტული ინფრასტრუქტურა. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად შეკეთდება ბონდის ხიდი, გასუფთავდება საფეხმავლო ბილიკები, ტერიტორიაზე განთავსდება სანაგვე ურნები, ჩაიდგმება საპირფარეშოები და მოწესრიგდება ტურისტული ზონის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. მოხდება ტურისტული თავშესაფრების კეთილმოწყობა, შეძენილ იქნება ტურისტული კარვები, საძილე ტომრები და სხვა საჭირო ინვენტარ- მოწყობილობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტურისტების აქტიურ დასვენებას. ვიზიტორტათვის ორგანიზებულ იქნება ლაშქრობები, სხვადასხვა სპორტული ტურნირები (ჭადრაკი, შაში, ბადმინტონი, მენჩურუა(წყალჭიდი) და სხვა). ასევე ორგანიზებულ იქნება კულტურული ღონისძიებებიც. ყოველივე ზემოაღნიშნული მოემსახურება ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. პროექტის საბოლოო ბენეფიციარები იქნებიან ვიზიტორები(ტურისტები, შშმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები წლიურად დაახლოებით 12 000), ადგილობრივი მოსახლეობა. შშმ და სოციალურად დაუცველი პირების ჩართულობას პროექტში უზრუნველყოფენ პროექტის ორგანიზატორები. პროექტის გამახორციელებლი პარტნიორი ორგანიზაცია არის ააიპ საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო	24589.00
ააიპ "ახალგაზრდები მომავლისა და ცვლილებებისთვის"	406171271	სოციალური საწარმო"თუშეთი "	პროექტის ზოგადი მიზანია წვლილი შეიტანოს საქართველოში შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოების განვითარებაში. კონკრეტულად პროექტის საზოგადოებრივი მიზანია, სოფ.ქვემო ალვანში მცხოვრები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 10 ახალგაზრდა ქალის ეკონომიკური და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა,დასაქმება და სამუშაო უნარების განვითარება. დასაქმებულები შეისწავლიან ცხვრის მატყლის დამუშავებას, თექის და ფარდაგის ნაწარმის შექმნას, დამუშავების ინოვაციურ მეთოდებს და დასაქმდებიან ამ სოციალურ საწარმოში. საწარმოო საშუალებები პროექტის დასრულების შემდეგ მათ დარჩებათ. სოციალურ სახელოსნოში დასაქმებული ქალების ნამუშევრების რეკლამირებისათვის სოციალურ ქსელებში შეიქმნება გვერდი. პროექტში მოწვეული პედაგოგი და ტრენერები მასტერკლასებით და ონლაინ ვიდეო კურსებით ქალებს შეასწავლიან თუშური ცხვრის ჯიშის მატყლის დამუშავებას და შემდგომ ამ მატყლის საშუალებით თუშურ ხელსაქმეს -თექის სუვენირები, პანოები, თექის თოჯინა, ფარდაგი, ნაბადი, წინდა, ჩითები ქუდი ,შარფი, ტახტის ნაბდები,თუშური არქიტექტურის მატყლის მაკეტები, ხურჯინები და სხვა.ყველა ამ ნაწარმს ექნება თუშ ქალთა სოციალ;ური საწარმოს სასაქონლო ნიშანი. პროექტის უშუალო ბენეფიციარია სოფ,ქ/ალვანში მცხოვრები ცხრა სოციალურად დაუცველი და ერთი შშმ.პირი. პროექტის ძირითადი აქტივობებია: 1.1ნედლეულით მომარაგება და ხელშეკრულებების დადება მომწოდებლებთან 1.2საწარმო საშუალებების შეძენა და სამუშაო სივრცის /სახელოსნოს აღჭურვა 1.3ნაწარმის პროდუქციის	22597.00

			გასაღება გაყიდვის დაგეგმვა და ხელშეკრულების დადება შემსყიდველთან. 1.4 პროდუქციის რეკლამის და საწარმოს გაყიდვებისნ გაფართოების გრძელვადიანი გეგმა/სტრატეგიის შედგენა. 2. 1სამუშაო ადგილზე წვრთნა- ტრენინგი 2.2შრომის სტიმულირება და შრომისადმი დადებითი დამოკიდებულების გამომუშავება. პროექტი განხორციელდება კახეთის რეგიონში, სოფ. ალვანში.	
ააიპ "საქართველოში მცხოვრებ ქისტ ქალთა საქველმოქმედო ფონდი მარშუა კავკაზ"	224621522	ნექტარი	პროექტის მიზანია მეფუტკრეობის დარგის განვითარების გზით პანკისის ხეობაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მოზარდი თაობის ადგილობრივად დასაქმება. ორგანიზაციის სურვილია სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციის მოყვანით, შექმნას უწყვეტი საწარმოო ჯაჭვი რომელიც ჯანმრთელობისთვის უვნებელი, ხარისხიანი პროდუქციის დამკვიდრების მთლიანი ციკლის განვითარებას უზრუნველყოფს. ამისათვის მოხდება 20 ოჯახ სკის, ხოლო ფუტკრის ტრანსპორტირებისათვის სპეციაური მისაბმელის შესყიდვა. დასაქმდება 15 ახალგაზრდა, რომელთაც ჩაუტარდებათ ტრენინგები, თბილისიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ. მაისის თვეში სკები მოთავსდება ეზოში. აგვისტოს თვეში მოხდება თაფლის ამოღება.	21300.00
ააიპ "გავაძლიეროთ სოფლად ახალგაზრდები"	არ იძებნება	TRAVEL SVANETI სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობა	პროექტის მიზანია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში დაარსდეს სოციალური ტურისტული ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება ვიზიტორთა მოზიდვაზე, რაც ხელს შეუწყობს თემში მოსახლეობის დასაქმებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას, ახალგაზრდების დაინტერესებას ბიზნეს საქმიაობით, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სოფლად დაკავებას. ცნობადი უნდა გახდეს ისეთი სოფლების ტურისტული პოტენციალი,რომლებიც არ არიან ჩართული ტურისტულ მარშრუტებში. ტურ-ცენტრი სვანეთში ჩამოსულ ვიზიტორებს შესთავაზებს მომსახურებას ეკო და კულტურული ტურიზმის კუთხით, მთაში საცხენოსნო და საფეხმავლო ტურებით, ისტორიული და კულტურული ადგილების მონახულებას, ულამაზესი ლანდშაფტების ნახვას. შეიქმნება კატალოგი,რომელიც ტურისტს საშუალებას მისცემს თავად აირჩიოს სასურველი მარშრუტი. ასევე გამყოლ-გიდების ორგანიზებული სისტემა. შეიქმნება მცირე ტურისტული ცენტრი, რომელიც ორიენტირებული იქნება მარშრუტების გაყიდვაზე. შეიქმნება ტურისტული მარშრუტების კატალოგი,როგორც ელექტრონული ასევე ბეჭდური სახით,რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ტურისტისთვის. დაიდგმება ბილინგვური ბანერები,რაც ხელს შეუწყობს პროექტის საქმინობის ცნობადობას. გაკეთდება ელექტრონული საიტი,სადაც განთავსდება ინფორმაცია ტურების შესახებ. გადამზადდება ახალგაზრდები,ისინი შეისწავლიან ბიზნესის მარკეტინგულ მართვას რაც სამომავლოდ მათ დასაქმებას და წარმატებულ კერძო ბიზნესის შექმნას შეუწყობს ხელს. პროექტის ბენეფიციარები არიან მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ.ფარის და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ადამიანები, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 232 ადამიანს.	12519.50
ააიპ "რაჭის ახალგაზრდული კავშირი"	422935694	რაჭის ახალგაზრდები მასობრივი სპორტის განვითარებისთვ ის	პროექტი ითვალისწინებს: რაჭის სკოლის მოსწავლეებისათვის და ახალგაზრდებისთვცის საჯარო ლექცია-სემინარების ორგანიზება ცხოვრების ჯანსარი წესის თემაზე, ტრენინგები თანასწორთა განმანათლებლების გადამზადება რომლებიც შემდგომში იმუშავებენ საკუთარ თანატოლებთან. სპორტული ტურნირების ორგანიზება რაჭის 3 რაიონში (ონი, ამბროლაური, ცაგერი) და მასში რეგიონის ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობა. სპორტული კლუბების ჩამოყალიბება. სკოლებში და რაიონებში ინფორმაციის გავრცელება მოხდება სოციალური ქსელის მეშვეობით. ონლაინ რეგისტრაცია გამოცხადდება ფეისბუქის მეშვეობით ორგანიზაციის გვერდზე სკოლის მოსწავლეებისათვის და ახლგაზრდებისათვის, დაინტერესებული პირების რეგისტრაცია განხორციელდება საინფორმაციო შეხვედრებზეც რაიონებში, რომელიც გაიმართება სკოლებში წინასწარ დაანონსებული თარიღით, დესწრებიან მოსწავლეები და ადგილობრივი ახალგაზრდობა. ტრეინინგების მიზანია ახალგაზრდების ინფორმირება ცხოვრებსი ჯანსაღი წესის შესახებ შესახებ და აგრეთვე მათთვის სათანადო უნარ-ჩვევების განვითარება თუ როგორ გაავრცელონ მათივე თანატოლებში ტრეინინგებიდან მიღებული ცოდნა და ინფორმაცია. ტრეინინგებისათვის შეირჩევა 30 კაციანი ჯგუფი თითო რაიონიდან მათი მოტივაციისა და უნარების მიხედვით რომლებიც მომავალში ჩაერთვებიან ჩვენი ორგანიზაციის მიერ დაგეგმის სპორტულ ღონისძიებებში. სპორტულ ღონისძიებებში ბენეფიციარები ჩაერთვებიან მათი სპორტული გამოცდილებისა და სურვილის მიხედვით. ტურნირების ორგანიზება მოხდება ოლიმპიური სისტემით: ფეხბურთის ტურნირში ჩაერთვება 10 გუნდი - 60 ახალგაზრდა მთლიანად რაჭის რეგიონიდან. ღონისძიებების დასრულების შემდგომ ჩამოყალიბდება სპორტული კლუბები რაიონებში და სკოლებში რომელშიც გაწევრიანდებიან ახალგაზრდები, სამომავლოდ თვითონ	16945.00

			დაგეგმავენ და განახორციელებენ პროექტებს. ტრეინინგში მონაწილე ახალგაზრდებს გადაეცემათ სერტიფიკატები, ტრენერები მოწვეულები იქნებიან თბილისიდან. პროექტს ეყოლება პირდაპირი ბენეფიციარი 150 ახალგაზრდა.	
ააიპ "ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაცია"	405032218	იტალიური ეზოს ფესტივალი	პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მასშტაბური სახელოვნებო ფესტივალის მოწყობა, ტრადიციის განახლება და იტალიური ეზოებისთვის ახალი ფუნქციის შეძენა, რომელიც ერთის მრივ ხელს შეუწყობს თბილისის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ახალგაზრდების ჩართულობას, მეორე მხრივ კი წვლილს შეიტანს თბილისის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების და ახალგაზრდათაობის ცნობიერების ამაღლებაში. პროექტის სპეციფიკური სამიზნე აუდიტორია ახალგაზრდა თაობაა, ასევე პროექტის ბენეფიციარები არიან ღონისძიებაში ჩართული ხელოვანები: მუსიკოსები და მწერლები (12 ხელოვანი). პროეტის ფარგლებში დაგეგმილია 4 უფასო ღონისძიების ჩატარება თბილისის ე.წ. იტალიურ ეზოებში. წინასწარ შეირჩევა ოთხი სხვადასხვა ლოკაცია, რომელიც სპეციალურად მოეწყობა ღონისძიებისთვის (აივნიდან გადმოფენილი ხალიჩები, სკამები, განათება, ინსტრუმენტები,ა.შ.), ცოცხალი მუსიკა, პოეზიის და პროზის ფონზე. მონაწილეობას მიიღებენ გამორჩეული ქართველი მუსიკოსები და მწერლები/პოეტები, რომლებიც სპეციალურად პროექტისთვის შექმნიან ერთობლივ მუსიკალურ და ლიტერატურულ ნამუშევრებს და წარუდგენენ აუდიტორიას. თითო დღე თითო მუსიკალურ მიმართულებას დაეთმობა: კლასიკა, ჯაზი, ფოლკლორი/(ქალაქური), საოპერო არიები. სავარაუდო მონაწილეები: ბექა გოჩიაშვილი, დათო ევგენიძე, ნატალია ქუთათელაძე, ხატია ბუნიათაშვილი, გაგა ნახუცხრიშვილი, დათო ტურაშვილი, რატი ამაღლობელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკოლოზ მაჩაიძე, ოპერის მომღერლები და აკაპელას გუნდი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია წინასწარი მასშტაბური პიარ კამპანია, რომელიც ხელს შეუწყობს მაქსიმალურად დიდი აუდიტორიის მოზიდვას. მოხდება ყველა ღონისძების სრული ვიდეო დოკუმენტირება, სრული ვიდეო არქივაცია. ფესტივალის სახელით ვიდეოები გავრცელდება ტელეკომპანია "არტარეას" სამაუწყებლო არხის, ინტერნეტ ტელევიზიის და სოციალური მედიის საშუალებით. ვიდეოების და ფესტივალის ძირითადი სლოგანი მიმართული იქნება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდისკენ.	24788.70
ააიპ "ასოციაცია ქალი, ბავშვი და სოციუმი"	406067152	ველოტანდემი უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისათვის"	პროექტი "ველოტანდემი უსინათლო და მცირემხედველი შშმ პირებისათვის" მიზნად ისახავს უსინათლო ადამიანებისათვის საერთაშორისოდ აღიარებული პარაოლიმპიური სპორტის ერთ- ერთი სახეობის - ველოტანდემის დანერგვას საქართველოში, რათა მოხდეს უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების განვითარება, მათი აქტიურ სპორტულ ცხოვრებაში ჩაბმა, საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში შემენილი იქნება 4 ტანდემი. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ამოცანების ეტაპობრივად განხორციელება: უსინათლო და მცირემხედველ ადამიანებთან საინფორმაციო შეხვედრები; ველოტანდემის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის; ველოტანდემის ინსტრუქტორის შერჩევა და დატრენინგება; მცირე მხედველი კონსულტანტის მიერ საკუთარი გამოცდილების გაზიარება და ასევე მისი ჩართულობა პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე; უსინათლოთა კავშირის რაიონულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ველოტანდემების შერჩევა საერთაშორისო ბაზარზე; ველოტანდემებისა და საჭირო ინვენტარის შეკვეთა-შეძენა- და საქართველოში ტრანსპორტირების უზრუნველყოფა; მოხალისეების შერჩევა, დატრენინგება რათა შეძლონ უსინათლო სპორტსმენებს გაუწიონ ასისტენტობა; ველოტანდემის წესებისა და სტანდარტების თარგმნა, და დასურათებული ტრიპლეტის გამოცემა მათი დეტალური აღწერით; ბრაილით ბეჭდვა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისათვის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსათვის, პარაოლიმპიური კომიტეტისათვის რეკომენდაციების მომზადება და შეთავაზება; მედიასთან თანამშრომლობა, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით. თანამშრომლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ურბანული მართვისა და განვითარების ჯგუფთან; ინსტრუქტორი შეასწავლიან უსინათლო და მცირემხედველ პირებს ტანდემის მართვასა და მასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს; პროექტის დასასრულს გაიმართება დატრენინგებული პირების მიერ საჩვენებელი ველოგარბენი და პროექტის პრეზენტაცია. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ ის პირები, ვინც უშუალოდ გამოიყენებს ველოტანდემს. კონკრეტულად სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან უსინათლოები,	24285.00

			მცირემხედველები, მათი ოჯახის წევრები, მეგობრები, სხვა შეზღუდვის მქონე შშმ პირები მათ შორის ბავშვები, მათი თანამგზავრები და ასისტენტები.	
ააიპ "ახალგაზრდები მთისთვის"	435892465	ახალგაზრდული ცენტრი ბეთქილი	პროექტი ითვალისწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ კლუბ "ბეთქილის" აღდგენას და ფუნქციონირებას. ახალგაზრდული ცენტრის განახლება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრები და სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდების ჩართულობის ზრდას სხვადასხვა შემეცნებით, გასართობ და კულტურულ აქტივობებში. ახალგაზრდულ კლუბ " ბეთქილში " განთავსდება კინოთეატრი სადაც მოეწყობა სხვადასხვა დოკუმენტური, შემეცნებითი, მხატვრული, სათავგადასავლო და ანიმაციური ფილმების ჩვენება. მოეწყობა თემატური კვირეულები (მაგ: მუნჯური ფილმების ჩვენება, ისტორიული ფილმები და ა .შ.), აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელება ნაწილობრივ გადაჭრის მუნიციპალიტეტში კინოთეატრის არ არსებობის პრობლემას. ჩვენებები იქნება უფასო. პროექტის ფარგლებში გაიმართება კულტურული ღონისძიებები, რაც გულისხმობს პოეზიის საღამოებს, გამოფენებს, წიგნის პრეზენტაციებს, შეხვედრებს საზოგადო მოღვაწეებთან და ა.შ. ჩატარდება ქართული ხალხური პოეზიის საღამოები, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სვანური პოეზიის საღამოებს, რაც ნაწილობრივ ხელს შეუწყობს სვანური ენის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში გაზრდის მოტივაციას მის შესასწავლად. ჩატარდება 4 თემატური ტრენინგი, რომელიც მოიცავს: გარემოს დაცვა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება, პროექტების მართვის ციკლი და მასტერ-კლასი ფერწერაში. კინოთეატრი ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღიურად უმასპინძლებს 50 ბენეფიციარს, პროექტით ისარგებლებს დაახლოებით 9000 ბენეფიციარი.	19995.00

VII. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი**

წელი: **2016**

N	**გრანტის მიმღების დასახელება**	**გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები**	**დაფინანსებული პროექტის დასახელება**	**გაცემული დაფინანსების მიზნობრიობა**	**გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა**
1.	ა(ა)იპ კროსკულტურული უნივერსუმი CCU		DI-2016-47 სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში	9. უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისთვის სამეცნიერო საგრანტო კონკურსი/ ქართველოლოგია	148173.00
2.	ა(ა)იპ "ფონდი მედინვესტი"	401983555	CG16_i_3_69 "თანამედროვე ტენდენციები განვრცობილი პროსტატის კიბოს მკურნალობაში" მე-2 კავკასიური სიმპოზიუმი	4.საკონფერენციო გრანტების კონკურსი/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	40000.00
3.	ა(ა)იპ ბავშვთა ასაკის შეზღუდულ შესაძლებლობათა საქართველოს აკადემია	405075760	SS16_B_006 ნეიროგანვითარებითი დარღვევები - მტკიცებულებები და შესაძლებლობები	3. სეზონური სკოლების გრანტები/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	30000.00
4.	ა(ა)იპ მეცნიერება და ენერგეტიკა	205005858	217690 ბეტონის ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლების გამოკვლევა ადსორბციული თეორიის პოზიციიდან	14. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები/ საინჟინრო მეცნიერებები, მაღალტექნოლოგიური მასალები	209740.00
5.	ა(ა)იპ საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია	204419557	SS16_B_033 იმუნოლოგიური კვლევის მეთოდების სკოლა უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით	3. სეზონური სკოლების გრანტები/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	45000.00
6.	ა(ა)იპ საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი	211372851	CG16_i_7_53 საქართველოს მათემატიკოსთა და მექანიკოსთა კავშირების VII გაერთიანებული საერთაშორისო კონფერენცია: უწყვეტ გარემოთა მექანიკა და ანალიზის მონათესავე საკითხები	4.საკონფერენციო გრანტების კონკურსი/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	40000.00
7.	ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი	205017444	CG16_i_5_52 ევროპული ღირებულებები და იდენტობა: ევროპეიზაციის მრავალი განზომილება	4.საკონფერენციო გრანტების კონკურსი/ სოციალური მეცნიერებანი	39952.00
8.	ა(ა)იპ სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი	205017444	SS16_A_006 ზეპირი ისტორია: საქართველოს წარსულის შესწავლა და ახალგაზრდა მეცნიერების მომზადება	3. სეზონური სკოლების გრანტები/ ჰუმანიტარული მეცნიერებები	37750.00
9.	ა(ა)იპ ჯანმრთელობის კვლევის კავშირი	204977230	217998 ჯანდაცვასთან ასოცირებული C ჰეპატიტის რისკის შეფასება ქართველ ქალებში	14. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	210000.00
10.	ა(ა)იპ კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია	204562847	217512 ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956 წწ);	14. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები/ ჰუმანიტარული მეცნიერებები	162300.00

			217722 ფრანგები საქართველოში და ფრანგული ლიტერატურის რეფლექსია მე-17-მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ სივრცეში		
11.	ა(ა)იპ მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრი	211363781	217704 რელიგია და საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი საქართველოში	14. ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები/ სოციალური მეცნიერებანი	90000.00
12.	ავლიპ ზურაბაშვილის სახელობის საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება	204962193	CG16_i_3_30 ფსიქიკური ჯანმრთელობა, მიმართულებები და პრობლემები	4.საკონფერენციო გრანტების კონკურსი/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	38000.00
13.	საქართველოს ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს ასოციაცია	404931767	CG16_i_3_87 ფოტოდერმატოლოგიისა და კანის კიბოს მეორე საერთაშორისო ტრანსკავკასიური კონგრესი	4.საკონფერენციო გრანტების კონკურსი/ მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებანი	39490.00
2016 წელს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე გაცემული გრანტები სულ					**1130405.00**

VIII.საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ცალკეული გრანტის მიმღებების მიხედვით

გრანტის გამცემი საჯარო ინსტიტუციის დასახელება: **საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**

წელი: **2016**

N	**გრანტის მიმღების დასახელება**	**გრანტის მიმღების საიდენტიფიკაციო მონაცემები**	**გაცემული საგრანტო დაფინანსების ოდენობა**
1	ააიპ საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია	204892474	125000.00
2	ააიპ საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია	204898744	140000.00
3	ააიპ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია	203845385	65000.00
4	ააიპ საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია	204892152	45000.00
5	ააიპ საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია	204889282	140000.00
6	ააიპ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	204889488	150000.00
7	ააიპ საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია	204896942	100000.00
8	ააიპ „სპორტული საზოგადოება საქართველოს კიოკუშინკაი კარატედოს ფედერაცია“	200091186	75000.00
9	ააიპ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია	202903153	120000.00
10	ააიპ საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია	204900134	310000.00
11	ააიპ საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	204900134	70000.00
12	ააიპ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია	204885124	140000.00
13	ააიპ საქართველოს რაგბის კავშირი	204874911	1700000.00
14	ააიპ საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშის ეროვნული ეროვნული ფედერაცია	205046458	170000.00
15	ააიპ საქართველოს ტაეკვონდოს ფედერაცია	204915663	50000.00
16	ააიპ რევაზ ჩომახიძის სახელობის წყალბურთის სპორტული კლუბი „ივერია“	204548819	260000.00
17	ააიპ რაგბის კლუბი „ლელო“	206333617	40000.00
18	ააიპ რაგბის კლუბი „ს.ტ.უ. ყოჩები“	202163434	40000.00
	სულ		**3740000.00**

2016 წელს სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გაცემული გრანტების მონიტორინგის ანგარიში

მკვლევარები: დავით ლოსაბერიძე, კონსტანტინე კანდელაკი

2016 წელს სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ გაცემული გრანტების მონიტორინგი ჩაატარა და წინამდებარე ანგარიში მოამზადა არასამთავრობო ორგანიზაციამ " მწვანე კავკასია", სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის CSI მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - "სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

© მწვანე კავკასია, 2019